1970
2015

ტექსტების და კონტექსტების
ჟურნალი

№3 (21)

მარტი, 2015 წელი
ფასი 2,5 ლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვა

ახალი

ნომრის თემა:
თბილისის პირველი საერთაშორისო
ლიტერატურული ფესტივალი

ფილიპ ბესონი (საფრანგეთი)
სარა ბოუერი (დიდი ბრიტანეთი)
მიკოლაი ლოზინსკი (პოლონეთი)
კეროლინ ფორშე (აშშ)

ნომრის ავტორები
ნესტან ნენე კვინიკაძე & ჟან რუო

პროზა
ალექსანდრე ჭელიძე

ახალი წიგნი
დანიელ პენაკის
„სკოლის სევდა“

პოეზია
შალვა ბაკურაძე
ნენე გიორგაძე
ბელა ჩეკურიშვილი
პაპუნა გიორგაძე
დურმიშხან ტაბატაძე

iNNO print STUDIO

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცე
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერ
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრ
პოსტერები ბლანკები; კონვერტ
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუ
ნებისმიერი სირთულის ყუთ
ასევე ყუთებზე ბეჭ
ყველა სირთულის კვეთ
ეტიკეტები და სხვა თვითწებ
პროდუქტები; ბილეთ
აფიშები, ბანერები, ვიტრინ
და ავტომობილების გაფორმ
საათების ბრენდირ
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგ
ნატურალურ ტილ
პლასტიკური ბარათებზე ბეჭ
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭ

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.co

PUBLISHING HOUSE გამომცემლობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

ეწეისათა სანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1

ნომრის თემა:
თბილისის პირველი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

ფესტივალის პროგრამა 3
ფილიპ ბესონი (საფრანგეთი)
ბიოგრაფია 5
ერთი რომანის შესახებ 7
ინტერვიუ (მოამზადა მანანა ბოსტოღანაშვილმა) 8
იქიდან ზღვა ჩანს (ფრაგმენტი რომანიდან)
(ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა) 10
სარა ბოუერი (დიდი ბრიტანეთი)
სარა ბოუერი წერის ხელოვნების შესახებ (ინტერვიუ)
(ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 12
სიყვარული კლავს, არა? (ფრაგმენტი რომანიდან)
(ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ) 14
მიკოლაი ლოზინსკი (პოლონეთი)
დოროტა ვოდეკკას საუბარი მიკოლაი ლოზინსკისთან
(პოლონურიდან თარგმნა რაჟდენ ჩიხორიამ) 17
გასაღები (მოთხრობა) (პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა) 19
კეროლინ ფორშე (აშშ)
ინტერვიუ კეროლინ ფორშესთან (ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) 23
ლექსები (ინგლისურიდან თარგმნეს დალილა გოგიამ და პაატა შამუგიამ) 25

41

ნომრის ავტორები

ნესტან ნენე კვინიკაძე
ეკა ქევანიშვილი – ნესტან ნენე კვინიკაძის სერიოზული თამაში 29
ნესტან ნენე კვინიკაძე – ფრანგულის გაკვეთილი (პიესა) 36
დათო ტურაშვილი – ამარგი 39
ნესტან ნენე კვინიკაძე – დღე თამაშობისა
(ფრაგმენტი გამოუქვეყნებელი რომანიდან) 40
ამონარიდები (ანუკი იმნაიშვილი; გოგი გვახარია) 41

ჟან რუო
მანანა ბოსტოღანაშვილი – გონკურების პრემიის ლაურეატი თბილისში 42
ჟან რუო: ლიტერატურა ვერტიკალურია (ინტერვიუ შოთა იათაშვილთან) 44

2

პოეზია

შალვა გაკურაძე 46
ნენე გიორგაძე 51
გელა ჩეკურიშვილი 54
პაპუნა გიორგაძე 56
დურმიშხან ტაბატაძე 58

პროზა

ალექსანდრე ჭელიძე – ფრაიბურგული ამბავი 66

ახალი წიგნი

ლელა კოდალაშვილი – იქნებ ამ რომანში ჩვენმა პედაგოგებმა საკუთარი თავი ამოიცნონ... 78

3

4

5

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა ბოსტოღანაშვილი
დალი იაშვილი
თამარ კოტრიკაძე
დალილა გოგია
რაჟდენ ჩიხორია
ამბროსი გრიშიკაშვილი
პაატა შამუგია
ნესტან ნენე კვინიკაძე
ეკა ქევანიშვილი
დათო ტურაშვილი
შალვა გაკურაძე
ნენე გიორგაძე
გელა ჩეკურიშვილი
პაპუნა გიორგაძე
დურმიშხან ტაბატაძე
ალექსანდრე ჭელიძე
ლელა კოდალაშვილი

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje_saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.saungeo.ge

1 ნომრის თემა: თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Tbilisi International Festival of Literature

თბილისის პირველი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი
18-23 მაისი, 2015

პროგრამა

18 მაისი, ორშაბათი

ადგილი: მწერალთა სახლი, მაჩაბლის ქ. 13

12.00. პრესკონფერენცია
ორგანიზატორები, სპონსორები, პარტნიორები

18.00. თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის გახსნა

18:30. ფილიპ ბესონი (საფრანგეთი) – შეხვედრა მკითხველთან, წიგნის „იქიდან ზღვა მოჩანს“ პრეზენტაცია
ენა: ფრანგული, ქართული თარგმანით

20.00. სვეტლანა ალექსიევიჩი (ბელარუსი) საუბრობს ანა კორძაია-სამადაშვილთან. წიგნის „ჩერნობილის ლოცვა“ პრეზენტაცია
ენა: რუსული

21:30. პოეზიის ღამე ფესტივალის ყველა სტუმრის მონაწილეობით

19 მაისი, სამშაბათი

15.00. ფილიპ ბესონის შეხვედრა თსუ-ს სტუდენტებთან
ენა: ფრანგული
ადგილი: ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს აუდიტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-5 კორპუსი 309-ე აუდიტორია (ჭავჭავაძის ქ. 36)

18:00. რაულ შროტი (ავსტრია) საუბრობს ლაშა ბაქრაძესთან. ჰესიოდე „თეოგონია“, ჰომეროსი „ილიადა“ – უძველესი ტექსტები, მათი წყაროები და კონტექსტები.
ენა: გერმანული, ქართული თარგმანით
ადგილი: ლიტერატურის მუზეუმი (გ. ჭანტურიას ქ. 8)

18:00. ვერა პავლოვა (რუსეთი) – პოეზიის საღამო
ენა: რუსული
ადგილი: კავკასიური სახლი (გალაკტიონის ქ. 20)

19.00. მიკოლაი ლოზინსკი (პოლონეთი) – შეხვედრა მკითხველთან.
მოდერაცია: მაგდა ნოვაკოვსკა
ენა: პოლონური, ქართული თარგმანით
ადგილი: ევროპის სახლი (თავისუფლების მოედანი 1)

19:00. სარა ბოუერი (დიდი ბრიტანეთი) და ანთეა ნიკოლსონი (დიდი ბრიტანეთი) საუბრობენ დავით გაბუნიასთან
ენა: ინგლისური, ქართული თარგმანით
ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბლის ქ. 13)

20:30. კეროლინ ფორშე (აშშ), კიმბერლი ჯონსონი (აშშ), პაატა შამუგია (საქართველო) – პოეზიის საღამო
ენა: ინგლისური, ქართული
ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბლის ქ. 13)

20 მაისი, ოთხშაბათი

15.00. სარა ბოუერის (დიდი ბრიტანეთი) შემოქმედებითი წერის ვორკშოპი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებთან
ენა: ინგლისური
ადგილი: თავისუფალი უნივერსიტეტი (დავით აღმაშენებლის ხეივანი 240)

18.00. ვიოლეტ გრიგორიანი (სომხეთი), გიუნელ მოვლუდი (აზერბაიჯანი), ეკა ქევანიშვილი (საქართველო) – პოეზიის საღამო
ადგილი: კავკასიური სახლი (გალაკტიონის ქ. 20)

საქართველოს, პარლამენტის ეროვნული ბიბ...

18:00. რაულ შროტი (ავსტრია) – პოეზია და პროზა, შეხვედრა მკითხველთან
ენა: გერმანული, ქართული
ადგილი: გოეთეს ინსტიტუტი (მ. ზანდუკელის ქ. 16)

19:00. დისკუსია და ფოტო გამოფენა „უკრაინული ღამე“ – წიგნის ავტორის, კატერინა მიშჩენკოსა (უკრაინა) და ფოტოგრაფის, მირონ ზოვნირის (გერმანია) მონაწილეობით. სერგეი ჟადანი (უკრაინა) და ლაშა ბაქრაძე საუბრობენ უკრაინის მოვლენებზე
ენა: რუსული, ქართული თარგმანით
ადგილი: ევროპის სახლი (თავისუფლების მოედანი 1)

19.00. კლაუდიო პოცანი (იტალია) – შეხვედრა მკითხველთან წიგნის „ჩრდილების მარში“ პრეზენტაცია
წიგნის „ქართული თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია იტალიურ ენაზე“ პრეზენტაცია. წარადგენს მთარგმნელი ნუნუ გელაძე
ენა: იტალიური, ქართული თარგმანით
ადგილი: მწერალთასახლი (მაჩაბლის ქ. 13)

20.30. ლიტველი პოეტების საღამო
ენა: ლიტვური, ქართული თარგმანით
ადგილი: მწერალთა სახლი (ივ. მაჩაბლის ქ. 13)

21 მაისი, ხუთშაბათი

15.00. იოსიფ ნოვაკოვიჩის (კანადა) შეხვედრა საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებთან
ენა: ინგლისური, ქართული თარგმანით
ადგილი: საქართველოს უნივერსიტეტი (მ. კოსტავას ქ. 77)

18:00. აშშ-ს საელჩოს წიგნის თარგმანის მხარდაჭერის პროგრამის პრეზენტაცია
გამომცემლობა „დიოგენე“, „ქარჩხაძის გამომცემლობა“

19.00. დისკუსია „პოეზია, როგორც მარგინალური ლიტერატურა დღეს“ – კლაუდიო პოცანი (იტალია), ვიოლეტ გრიგორიანი (სომხეთი), ვერა პავლოვა (რუსეთი), კიმბერლი ჯონსონი (აშშ)
ენა: ინგლისური, ქართული თარგმანით
ადგილი: მწერალთა სახლი (ივ. მაჩაბლის ქ. 13)

20.30. ვერა პავლოვა (რუსეთი), სერგეი ჟადანი (უკრაინა), ზვიად რატიანი (საქართველო) – პოეზიის საღამო
ენა: რუსული, უკრაინული, ქართული
ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბლის ქ. 13)

22 მაისი, პარასკევი

14.30. ლუსი ტაპაჰონსო (აშშ) – შეხვედრა ამერიკული აკადემიის მოსწავლეებთან
ენა: ინგლისური
ადგილი: ამერიკული აკადემია (ლისის ტბა, 01/014)

18:00. რასულ იუნანი (ირანი) საუბრობს გიორგი ლობჟანიძესთან
ენა: სპარსული, ქართული თარგმანით
ადგილი: კავკასიური სახლი (გ. ტაბიძის ქ. 20)

18.00. დისკუსია თემაზე „მწერალი და მოქალაქე: მწერლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა“ სვეტლანა ალექსიევიჩი (ბელარუსი), კაროლინ ფორშე (აშშ), ლუსი ტაპაჰონსო (აშშ) იოსიფ ნოვაკოვიჩი (კანადა), გიუნელ მოვლუდი (აზერბაიჯანი) – მოდერაცია: ლევან ბერძენიშვილი
რა გამოწვევების წინაშე აყენებს მწერალს 21-ე საუკუნე – შეიცვალა თუ არა მწერლის როლი ტექნოლოგიების და მედიის განვითარებასთან ერთად? შესუსტდა თუ არა მწერლის გავლენა საზოგადოებაზე? სად არის მწერლის, როგორც მოქალაქის ადგილი დღეს და რისი შეცვლა შეუძლია მას? – ესაა ის კითხვები, რომელზედაც პასუხის გაცემას ჩვენი დისკუსიის მონაწილეები შეეცდებიან.
ენა: ინგლისური, რუსული, ქართული თარგმანით
ადგილი: თიბისი გალერეა (კ. მარჯანიშვილის ქ. 4)

20:00. კიმბერლი ჯონსონი (აშშ), კაროლინ ფორშე (აშშ), ზვიად რატიანი (საქართველო) In Memoriam Mark Strand
ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბლის ქ. 13)

21:00. პოეზიის საღამო ყველა პოეტის მონაწილეობით
ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბლის ქ. 13)

23 მაისი, შაბათი

13:00. ბავშვები ვასო გულეურთან და დავით გაბუნიასთან ერთად – სვენ ნურდკვისტის დასურათებული წიგნის „ფინდუსი და პეტსონის“ კითხვა
ენა: ქართული
ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბლის ქ. 13)

14:00. ლაშა ბუღაძის შეხვედრა მოზარდებთან – როგორ დავწეროთ პიესა
ენა: ქართული
ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბლის ქ. 13)

16:00. ანა კორძაია-სამადაშვილის შეხვედრა მოზარდებთან – „ყველას შეუძლია წერა“
ენა: ქართული
ადგილი: მწერალთა სახლი (მაჩაბლის ქ. 13)



ფილიპ ბესონი (საფრანგეთი)



ფილიპ ბესონი არის თანამედროვე ფრანგი მწერალი, დრამატურგი და სცენარისტი. მისმა დახვეწილმა სტილმა და თანამედროეობით შთაგონებულმა რომანებმა („მისი ძმა", „იტალიელი ბიჭი", „იქედან ზღვა ჩანს" და სხვ.) მოხიბლა როგორც სხვადასხვა ჟიურის წევრები, ასევე ფართო საზოგადოება. მის წიგნებში მეორდება ბავშვობის, ვნების გაღვიძების, საზოგადოებრივი ნორმების დამრღვევი, წინააღმდეგობრივი სიყვარულის თემები.

იგი დაიბადა 1967 წელს მასწავლებელი მამის და ნოტარიუსის კლერკის ოჯახში. ფილიპ ბესონმა (მას არანაირი ნათესაობა არ აკავშირებს მწერალ პატრიკ ბესონთან), ბრწყინვალედ დაამთავრა რუანის უმაღლესი კომერციული სკოლა და, ამავე დროს, მიიღო უმაღლესი განათლების დიპლომი სამართალმცოდნეობაში.

1989 წელს იგი ქალაქ შარენტიდან საცხოვრებლად გადავიდა პარიზში, სადაც იურისტად მუშაობდა და სოციალურ სამართალს ასწავლიდა. 6 წლის განმავლობაში იყო ლორანს პარიზოს მარჯვენა ხელი, როგორც ადამიანური რესურსების დირექტორი, შემდეგ ფრანგული ინსტიტუტის გენერალური მდივანი საზოგადოებრივი აზრის სფეროში. მერე იგი გახდა ინტერნეტ კლუბის T-online France-ის ადამიანური რესურსების დირექტორი. მაშინ ეპისტოლარული გატაცებით დღეში რამდენიმე წერილს წერდა.

1999 წელს პირველი მსოფლიო ომის მებრძოლთა მოთხრობების წაკითხვამ მას პირველი რომანის, „კაცების არყოფნისას" დაწერა შთააგონა. ეს პირველი თხზულება გამოქვეყნდა 2001 წელს გამომცემლობა „ჟულიარში" და 80 000 ეგზემპლარი გაიყიდა. მასში მოთხრობილია სიყვარულის ამბავი პირველი მსოფლიო ომის დროს.

2001 წელს რომანს, რომლის გმირია მარსელ პრუსტი, ემანუელ-რობლესის პრემია მიენიჭა.

იმავე წელს, 2001 წლის აგვისტოში, ფილიპ ბესონმა გამოაქვეყნა „მისი ძმა", რომელიც „ფემინას" პრემიისთვის შეარჩიეს. ამ რომანის მიხედვით პატრის შერომ გადაიღო ფილმი, რომელმაც 2003 წელს ბერლინის ფესტივალის „ვერცხლის დათვი" მიიღო. მთავარ როლებში ბრუნო ტოდესკინი და ერიკ კარავაკა გადაიღეს. ბესონი მონაწილეობდა ფილმის სცენარის შექმნაში რეჟისორთან ერთად და მას მერე რეგულარულად წერს სცენარებს ტელევიზიისთვის. ფილმში მოქმედება ხდება 18 თვის განმავლობაში, როდესაც ორი ძმის ცხოვრებას ვეცნობით. ტომა მიდის უმცროს ძმასთან, ლუკასთან და უმხელს, რომ განუკურნებელი დაავადება სჭირს. მათ მრავალი წლის მანძილზე არ ჰქონიათ ურთიერთობა, რადგან უფროსი ძმა ვერ ეგუებოდა უმცროსის ჰომოსექსუალობას, ლუკას კი მობეზრდა ტომის ეგოიზმი. მაგრამ სიკვდილის პირისპირ მდგომმა ძმებმა საკუთარ თავში შერიგების ძალა იპოვეს. ტომამ გადაწყვიტა, სიკვდილს დალოდებოდა ზღვისპირა სახლში, სადაც ბავშვობა გაატარა... მალე ლუკას და მისი პარტნიორის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა...

ამ ფილმში გახსნილია ყველა ტაბუ: ინცესტი, თვითმკვლელობა, ჰომოსექსუალიზმი, ღალატი, კაცის სიშიშვლე და ა.შ. მინიმუმამდე დაყვანილი დიალოგები, განზრახ შენელებული, ამაფორიაქებელი და ტრაგიკული მოვლენები შთამბეჭდავად ავლენს ადამიანის ბუნებას.

2002 წელს გამოქვეყნებულ რომანმა „გვიანი შემოდგომა", რომელსაც 2003 წელს RTL-lire-ის გრან-პრი მიენიჭა, ფილიპ ბესონი თავისი თაობის მნიშვნელოვან ავტორად აქცია.

2003 წელს გამოიცა „იტალიელი ბიჭი", რომელიც გონკურის და მედიჩის პრემიებისთვის შეარჩიეს. რომანებით გამოწვეულმა ინტერესმა ფილიპ ბესონი წაახალისა და გადაწყვიტა, თავი მხოლოდ მწერლობისთვის მიეძღვნა.

2004 წელს გამოცემულმა, არტურ რემბოს სიცოცხლის ბოლო დღეებისადმი მიძღვნილმა მისმა მეხუთე რომანმა, „წარმავალმა დღეებმა" რეჟისორ ფრანსუა დუპეირონის ყურადღება მიიპყრო. წიგნის საავტორო უფლებები სავარაუდო ეკრანიზაციისთვის შეძენილი აქვთ ჟერარ დეპარდიეს და კლოდ ბერის.

2007 წლის მარტში 150 ადამიანთან ერთად მან ხელი მოაწერა ტექსტს, რომელიც საზოგადოებას მოუწოდებდა, პრეზიდენტის არჩევნებზე სეგოლენ ღუაიალისთვის, „მემარცხენეთა იმედისთვის" მიეცათ ხმა „ამპარტავნობის უფლების წინააღმდეგ".

2011 წელს მან მხარი დაუჭირა ასოციაცია „Isotas"-ს, რომელიც აქტიურად მუშაობს ჰომო-

სექსუალისტი წყვილების ქორწინებისა და მათ მიერ შვილის აყვანის საკითხებზე.

წერის მკაცრი სტილი მწერალს მარგერიტ დიურასმა შთააგონა. 2006 წელს „ოქტომბრის ბავშვმა“ გამოცემისთანავე კამათი გამოიწვია, მწერალს პირად ცხოვრებაში ჩარევა დაუბრალეს. ეს რომანი მხატვრულად მოგვითხრობს გრეგორის საქმეზე მაშინ, როდესაც ამ დრამის რამდენიმე მონაწილე ჯერ ცოცხალია. თავის დასაცავად ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საყვარელი ადამიანის სიკვდილის და არყოფნის თემები ხშირად მეორდება მის თხზულებებში. თუმცა, კრიტიკოსების ერთმა ნაწილმა რომანი მაინც კარგად მიიღო, მიუხედავად მისი გატაცებისა დანაშაულებათა ქრონიკით 2007 წელს გამოქვეყნებულ რომანში „დამშვიდობების გადაწყვეტილება“.

ფილიპ ბესონი მუდმივად გვაოცებს და ინტერესს გვიღვივებს.

2009 წელს მან გამოსცა „შემთხვევითი კაცი“, რომლის ინტრიგა ვითარდება ბევერლი ჰილში და სხვა ავტორებთან ერთად მონაწილეობს განვითარების მიზნებზე გამოცემულ ნოველების კრებულში სათაურით „რვა“.

2009 წელს იგი კვლავ ინტერესდება აშშ-ით რომანში „ტომას სპენსერის ღალატი“, რომელიც ერთ დღეს დაბადებული ორი მეგობრის ცხოვრებაზე მოგვითხრობს და თან ცდილობს, აღადგინოს მეოცე საუკუნის აშშ-ის ისტორია.

„ადამიანებთან დაბრუნება“ ათი წლის წინ დაწერილი მისი პირველი რომანის გაგრძელებაა.

2010-2013 წლებში ტიერი არდისონის მიერ შექმნილი საკულტო გადაცემა „პარი დეღნიე“ მიჰყავდა „პარი პრემიერ“ არხზე. ადრე იგი ლიტერატურულ ქრონიკას და კრიტიკას წერდა „სა ბალანს ა პალიში“. მწერალმა დაწერა აგრეთვე „რასპუტინის“ სცენარი ჟოზე დაიანისთვის.

ჯეიმს დინისადმი მიძღვნილი მისი წიგნი „სწრაფად ცხოვრება“, 2015 წლის იანვარში, მსახიობის გარდაცვალებიდან 60 წლისთავზე გამოიცა. ეს არის რომანი-კალეიდოსკოპი, იმ სარკეებიანი ბურთების მსგავსი, ადრე საცეკვაო დარბაზებში რომ ეკიდა ხოლმე ჭერზე. ფილიპ ბესონმა გაგვაცნო მიწიერი გზა ლამაზი და სევდიანი ჯეიმზ ბაირონ დინისა (1931-1955 წწ.), რომელიც გარდაიცვალა ავარიაში სალინასის გზაზე, კალიფორნიაში, ვინმე დონალდ ტარმფსიდის მიზეზით. პერსონაჟი სახელგანთქმულია, და გვგონია, უკვე ყველაფერი ვიცით მის ცხოვრებაზე, მის ხანმოკლე კარიერაზე: რამდენიმე პიესა თეატრში, სამი ფილმი, რომელთაგან ორი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა. მართლაც, აუცილებელი იყო ბესონივით ნიჭიერი მწერალი ისტორიის გამოსაკვლევად და მის გამოსაგონად.

ბესონი ამ დრამის გმირებს ალაპარაკებს ერთმანეთის მიყოლებით, პირველ პირში, როგორც მოჩვენებებს. ჯერ მილდრედ დინი, ქალიშვილობაში ნილსონი, ჯეიმსის დედა გვიამბობს. ოჯახი დასავლეთიდან ინდიანას შტატში გადავიდა, მერე კი კალიფორნიაში გადასახლდა. ჯეიმსი სიყმაწვილეშივე ამჟღავნებდა როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ თვისებებს, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მისი სევდიანი სილამაზე, მიუხედავად აჩეჩილი ქერა თმისა, არაბუნებრივი გრაცია, თუმცა დაბალი, ოდნავ მოხრილი და ბეცი იყო, მისი ორაზროვანი ხიბლი, რომელიც ორივე სქესის ადამიანებს იზიდავს, ვისაც კი ცხოვრების გზაზე შეხვედრია: დელინე ბრუქშირს, დრამატული ხელოვნების პედაგოგს, ვინც მისი სიფაქიზე აღნიშნა („ის მინისგან იყო“, ამბობს იგი); პასტორ დივირდს, ჰომოსექსუალისტს, ვინც იგი შეაცდინა; ლიზ ტეილორს, მის პარტნიორი რომ იყო „გოლიათში“; როკ ჰადსონს, ფილმის მეორე ვარსკვლავს, „თითქმის მაშინვე რომ შესძულდა“ ეს ქედმაღალი ბიჭი, რომელიც გამოჩენისთანავე იპყრობდა ეკრანს. მისთვის სანიმუშონი იყვნენ მარლონ ბრანდო, ვისაც „გენიოსად“ მიიჩნევდა, ან მონტგომერი. მთავარი გმირების – ოჯახის წევრების, რეჟისორების, მასთან ხანმოკლე სასიყვარულო ურთიერთობის მქონე გოგოების და ბიჭების, და თვით ჯეიმს დინის ნაამბობით, მასში აღმოვაჩენთ ცეკვით, სპორტით, სისწრაფით და სხეულებით სიღრმისეულ გატაცებას; პროფესიას, რომელსაც ცხოველური ინსტინქტით ასახიერებდა; იმას, თუ როგორ ამაყობდა, როდესაც ნიუ-იორკის პრესტიჟულ სტუდიაში მიიღეს; „მის“ ქალაქს... რა თქმა უნდა, მკითხველმა იცის მისი ისტორია. მაგრამ ფილიპ ბესონის ოსტატობა იმაში გამოიხატება, რომ წარმოგვადგენინებს კალიფორნიის გზას, რომელზეც დაიმსხვრა ძალიან სწრაფად მქროლავი „პორშე 550 სპაიდერი“. ჯეიმს დინს სურდა „სწრაფად ცხოვრება, ახალგაზრდობაში სიკვდილი, მშვენიერ გარდაცვლილად ყოფნა“ და ღმერთმაც შეუსრულა ეს სურვილი.

2014 წელს ფილიპ ბესონმა გამოაქვეყნა მე-14 რომანი „მაცდური მზე“, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოავლინა ბალნეოლოგიური კურორტების და სასიყვარულო გრძნობების ცოდნა.

დალი იაშვილმა სულ ცოტა ხნის წინ დიდებულად თარგმნა ფილიპ ბესონის რომანი, „იქიდან ზღვა ჩანს“. ეს რომანი მწერალს შთააგონა პოლ გიმარის წიგნმა „ცხოვრებისეული წვრილმანები“, რომელიც კლოდ სოტემ გადაიღო, მთავარი როლი კი ბრწყინვალე რომი შნაიდერმა შეასრულა. წიგნი წარმოგვიდგენს სამ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ, სიყვარულისა და თავისუფლების მაძიებელ ადამიანს. ძლიერი ქალი, მწერალი ლუიზა ახალგაზრდა მამაკაცის შეყვარებით, ძალიან ნატიფი და სუსტი ხდება და მისი ცხოვრება იცვლება. მწერალი უმნიშვნელო წვრილმანების აღწერით „უთქმელის“ გამოთქმის ნამდვილი ოსტატია.

2015 წლის 18 მაისს მწერალი ამ რომანს მკითხველებს წარუდგენს თბილისში, წიგნის ფესტივალის გახსნაზე. ფილიპ ბესონს კარგად ეხერხება მრავლისმეტყველი მდუმარების გადმოცემა ისე, რომ მკითხველმა არ მოიწყინოს. იგი ისეთი სიზუსტითა და მუსიკალურობით აღწერს პეიზაჟებს, რომ მისი სიტყვებით დატკბობაღა დაგვრჩენია. ფილიპ ბესონი გრძნობების ნამდვილი ექსპერტია და აღიარებს, რომ მის რომანებში გულისამაჩუყებლად უპირისპირდება ერთმანეთს სიყვარული და უსიყვარულობა.

მოამზადა მანანა ბოსტოღანაშვილმა

ერთი რომანის შესახებ

2012 წელს გამოვიდა ფილიპ ბესონის რომანი, „იქიდან ზღვა ჩანს“ (გამომცემლობა „ულიარი“). მისთვის დამახასიათებელი სიფაქიზით და ელეგანტურობით მწერალი გვთავაზობს სიყვარულის მართლაც რენტგენოლოგიურ აღწერას, როდესაც გრძნობები შიშველია და ნათელი.

ფილიპ ბესონს არ უყვარს გმირები. მას ურჩევნია მოელვარე თვალებიანი, იდუმალი სილუეტი. მის პერსონაჟებს ერთი რამ აქვთ საერთო: საკუთარ თავთან აბსოლუტურად გულწრფელნი არიან.

ასევე, ლუიზა, რომანის, „იქიდან ზღვა მოჩანს“ გმირი, არ არის სიმპათიური პერსონაჟი. მაგრამ არც ანა კარენინაა; და განა ემა ბოვარი გხიბლავთ? საზოგადოების მიერ განკიცხული ქალი გმირების სამყაროში ლუიზას თავისი ადგილი უკავია. მეტისმეტად თავდაჯერებულია, მეტისმეტად მარტოსული, ერთი სიტყვით – თავისუფალი.

ის 40 წლისაა. ცნობილი მწერალია და მხოლოდ წერით არის გატაცებული. შვილები არ სურს. მისი მეუღლე, ფრანსუა ყველაფერზე თანახმაა. მათი ურთიერთობა მრავალი წლის მანძილზე ყოველდღიური სითბოთია განმსჭვალული. თუმცა, ლუიზა ხშირად მიდის სახლიდან, სასტუმროს ნომრებში თუ მეგობრების ვილებში, რათა პარიზული ცხოვრებისგან დაისვენოს და წყნარად წეროს. მას სჭირდება ეს აფორიაქებული დასვენება, სხვები რომ შთაგონებას უწოდებენ.

ბესონი უკარება ადამიანს წარმოგვიდგენს. ქალს, რომელიც აძრწუნებს ნორმას და კოლექტიურ შიშს იწვევს: რეპროდუქციაზე ხელის აღება, თავდავიწყება, ხელოვნების ყოვლისშემძლეობა. თუმცა, ლუიზა არ ტრაბახობს ამით. მართებულობის ამგვარი აბუჩად აგდების სანაცვლოდ იღებს მარტოსულობას, რომელიც დასახლებულია იმ რომანის ფანტომებით, რომელსაც ამჟამად თხზავს. მხოლოდ სათნო და მშვიდი ფრანსუაა ფხიზლად; საყვარელი ქალის დაკარგვას ურჩევნია, დაიტანჯოს.

მხოლოდ იტალიაში, ტოსკანაში, მეგობრის ვილაში, სადაც რომანის დასასრულებლად გაემგზავრება, ლუიზა სულს მოითქვამს, პოულობს ერთგვარ ხსნას, ნეტარებას, – თავისზე ორჯერ უმცროსი ვაჟი შეუყვარდება. აქ ჰაერი სითბოთი და შუქით არის გაჯერებული, აზრები ერთმანეთში ირევა და ცხოვრება მირაჟს ემსგავსება. ნუთუ რეალურია 20 წლის ლუკა, ერთ დილას ლუიზას კარს რომ მოადგება ახალგაზრდული უშუალობით, მხოლოდ იმიტომ, რომ მან უთხრა, შეგიძლია მეწვიოო, და ენებიანად შეუყვარდება ქალი?

ფილიპ ბესონი თავისი ერთგული მეგობრების – წვრილმანების – ერთგული რჩება. მცირე დეტალების აღწერით გამოხატავს უხილავს, მოუხელთებელს. ეს მიკროსკოპული სტილი ახასიათებს მწერალს პირველივე რომანიდან „კაცების არყოფნისას“. არავითარი პანორამული ხედები, ფართო პლანი და ა.შ. არ გვაქვს ლუკას აღწერისას, მაგრამ მწერალი გვაჩვენებს ძილის დროს მისი წამწამების მსუბუქ რხევას, „ღამით ამოსული წვერის მუქ ღინღლს, ორ ხალს ამოზნექილ ბეჭზე“. დანარჩენი უნდა გამოიცნო, იყნოსო, შეამჩნიო. სინამდვილეში, სიყვარული უმცირესი წვრილმანებისგან შედგება.

ასევე თავშეკავებით, ორაზროვანი სიტყვებით აღწერს საავადმყოფოში, ქმრის სასთუმალთან მჯდომი ლუიზას თითქმის უგრძნობელ სახეს, როდესაც მას განშორებაზე აცნობებს. ის არ არის თავაზიანი, სათნო ადამიანი, არც არასდროს უცდია, ყოფილიყო. ის ქვეცნობიერს, თავის ინსტინქტს ემორჩილება. ამიტომ მას არა აქვს გამართლება. მაგრამ ლუიზა ამას არც ითხოვს. იგი მონანიებისთვის არ არის შექმნილი. ფილიპ ბესონი მას თავისებურად, ბრწყინვალედ, რომანის ფორმით მიუტევებს – წიგნი ხომ უმშვენიერესი შენდობაა. ქმნის მის დიდებულ პორტრეტს, არ განსჯის და პატივს სცემს იმას, რასაც ნორმა კიცხავს, მაგრამ ხელოვნება მოითხოვს: თავისუფლებას.

მწერალი ფაქიზად გადმოგვცემს დახვეწილად დაფარულ ტანჯვას, ეჭვიანობას, კინკლაობებს, უთქმელ ფრაზებს. იგი ერთმანეთს ამატებს ცხოვრებას და წერას, და როგორც სიცრუის ორ მანერას, ერთიმეორეს ადარებს. ეს თავხედური, სახიფათო და უხეშია. ბესონის აზრით, უნდა აირჩიო ან წერა, ან სიყვარული.

მთელი თავისი სიმტკიცით, ლუიზა პარადოქსულად მწერლის ყველაზე ამაფორიაქებელი პერსონაჟია, რომელიც გვაოცებს უნარით, გაბედულად მიჰყვეს თავის გზას და მოიშოროს დანაშაულის გრძნობა თავისუფლებისთვის. ეს თავისუფლება უფრო ეგოიზმს ჰგავს. თუმცა, განა ეგოისტობა საჭირო არ არის იმისთვის, რომ საკუთარ თავთან თანხმობაში ვიცხოვროთ?

გამოყენებული სტატიები:

1. კლარა დიუპონ-მონე, „ლიტერატურული ჟურნალი“, „ულმობელი თავისუფლება“, 2013 წ. თებერვალი.
2. „მადამ ფიგარო“. 11.12.2013
3. „ექსპრესი“, ფრანსუა ბუშნელი, „მწერალი ქალი“.
4. „ელ“, ჟან დე მენიბუს

მოამზადა მანანა ბოსტოღანაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ლოს-ანჟელესი. იქ წელიწადში 3-4 თვის განმავლობაში ვცხოვრობ. სენსაციური მისამართი მაქვს: 7950, სანსეტ ბულვარი. შატო მარმონიდან რამდენიმე კაბელტოვის[1] მოშორებით. ჩემი ბინა ქალაქს გადაჰყურებს, რადგან მეექვსე სართულზე ვცხოვრობ და LA ჰორიზონტალურია. ვაკვირდები მიწის კვადრატულად დაყოფილ ნაკვეთებს, პალმის ხეების ნაზ რწევას, „სენჩარი სითის“ კოშკებს შორს, და თოვლივით დადებულ დაბინძურებას, რომელიც ხაზად მოჩანს მიწასა და ცას შორის. მანქანით მივდივარ ყველგან: სუპერმარკეტში, „სტარბაქსში“, ოკეანესთან. იქ უსაქმურად ვარ, არაფერია გასაკეთებელი, კულტურული ცხოვრება ნულია, წიგნის მაღაზიები შეცვალა სპორტულმა დარბაზებმა, სასაუბრო თემებია ძაღლები, შინაური ცხოველების სიყვარული, ადამიანები ისე მარტოსულნი არიან. არა, იქ არაფერს ვაკეთებ. გარდა წერისა. ჩემი წიგნების წერისა. არავინ მაწუხებს. სოციალური ცხოვრება გაქრა. საფრანგეთი გაქრა. განხვავება დროში უზარმაზარია. ვერაფერი აღწევს ჩემამდე. მწერლის ოცნება.

რემბოს ყველასთვის ცნობილი ფოტოსურათი, ეტიენ კარჟას გადაღებული. პოსტერებზე, მაისურებზე დაბეჭდეს. მე, ცხადია, თვითონ ის მომწონს: ამაღლებული, იმ ადამიანის გამომეტყველებით, პირველად რომ ეზიარება, მისი ნათელი მზერა, სახის უზადო ოვალი, უნაკლოდ მოხაზული ბაგეები და ბავშვური კანი. მაგრამ თუ უკეთ დავაკვირდებით, გარეგნული მოკრძალებულობა იმსხვრევა: თმა აჩეჩილია, ბაფთა-პეპელა ირიბად ჩანს, და განსაკუთრებით თვალები იმზირებიან სადღაც, უკვე სხვა რამეს ეძებენ, გვეუბნებიან: ვერ ჩამიგდებთ ხელში, ვერ გამაცურებთ, ჩემი თანდასწრება უკვე არყოფნაა. თანაც მახსოვს ახალგაზრდობა არტურისა, რადიგესი, ჯეიმზ დინისა, ჯიმ მორისონისა, მეტისმეტად ადრე წასული ყველა იმ კადნიერისა, სამუდამოდ ისეთივეები რომ დარჩნენ. იმათი ახალგაზრდობა, ვისაც არ ექნება დრო დაბერებისთვის. ისინი უცვლელად, დაუჭკნობლად რჩებიან ჩვენს მეხსიერებაში. ამ ყმაწვილებში ორაზროვნებაც იგრძნობა. ეს ყველაზე მეტად მხიბლავს.

დიახ, კიდევ ჰოპერი[2], მუდამ ჰოპერი, დაუღლელად ჰოპერი. დიახ, კვლავ ვისაუბროთ ამ ქალებზე, რომლებიც ელიან კაფეებში, საწოლებში, თავიანთ ფანჯრებთან, ეს ქალები მუდამ უსაფრდებიან იმას, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, რასაც მხოლოდ გამოვიცნობთ და არც კი ვიცით, ბედნიერებაა თუ საფრთხე. კვლავ ვისაუბროთ ამ ფაქიზ წამებზე, გაურკვევლობისას, რომლებშიც შეიძლება მთელი სიცოცხლე ჩავტიოთ. ამ შუქ-ჩრდილზე, ხანმოკლე ჩრდილებზე, ჩვენი ცხოვრების არამდგრად წონასწორობას რომ ასახავს. ამ დაჟინებულ თუ დაბნეულ მზერებზე, რომლებიც მოწმობს ჩვენს შინაგან ვნებათაღელვას, დაუცხრომელ იმედებს და ბედთან მდუმარე შერიგებას. ამ დილებზე, როდესაც ყველაფერი შესაძლებელი გვეჩვენებოდა, საღამოებზე, როდესაც ყველაფერი დაკარგული გვეგონა. ამერიკის პეიზაჟებზე, თვალუწვდენელ ველებზე ან ოკეანეზე სულ ახლოს, სწორ გზებზე უკაცრიელ ადგილებში, ანდა ფრიალო კლდეებზე ამავალ მიხვეულ-

[1] ძველებური საზღვაო სიგრძის საზომი

[2] ედვარდ ჰოპერი (1882-1967 წწ.) – რეალისტური ნახატებით ცნობილი ამერიკელი მხატვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხვეულ ბილიკებზე. დიახ, ვისაუბროთ ამ ინტიმურ გეოგრაფიაზე. ჩვენსაზე.

ვირჯინია ვულფი სიცოცხლეს დაასრულებს. იგი მძიმე ქვებს ჩაიწყობს კაბის ჯიბეებში, წყალში შევა უყოყმანოდ და წავა, გაქრება. იქამდე კი მეუღლეს, ლეონარდს მისწერა, ვგრძნობ, კვლავ როგორ ვგიჟდები, ხმები მესმისო. და ამას ვეღარ ვიტან, აღარ ძალმიძს ჩემს საკუთარ დემონებთან ბრძოლაო. მაშინ სიკვდილის აღარ რჩება სხვა გზა, გარდა გადაწყვეტილი, ნებაყოფლობითი სიკვდილისა. ქმარს მისწერა, რომ აღარ უნდოდა დიდხანს გაემწარებინა მისთვის სიცოცხლე. მას მადლობას უხდის ბედნიერებისთვის. განა ოდესმე ვამბობთ მადლობას მიღებული, გაზიარებული ბედნიერებისთვის? ამგვარად გამოსამშვიდობებელი წერილი უპირველეს ყოვლისა, სასიყვარულო ბარათია. წასვლის ჟამს, უკანასკნელი სიტყვები გამხელაა, მადლიერების გამოხატვა. გავყურებ ცივ წყალს, ვულფ-კიდმანის სხეულს, რომელიც მასში შედის. ვფიქრობ, თუ რაოდენ გამბედაობას მოითხოვს ეს საქციელი, ბედის რანაირ მორჩილებას გულისხმობს. ვფიქრობ ჩემს მეგობრებზე, რომლებიც აღარ არიან. იმ სიჩუმეზე, რაც მათ დატოვეს. სიჩუმეზე, რომელიც გაგიჟებს. ვირჯინია კარგად მოიქცა, რომ ამაზე გვიამბო.

ბავშვობაში ყველა ზაფხულს კუნძულ რეზე ვატარებდი. საათობით ვიდექით რიგში ნავმისადგომის ბაქანზე (მაშინ ჯერ არ იყო ხიდი), ბორანში ვსხდებოდით და ოცი-ოდე წუთში სენტ-მარისკენ ვიპარებოდით, არაფერი დამვიწყებია. კუნძული იმ დროს პოპულარული იყო: კემპინგები, ანაზღაურებული შვებულება, დასაკეცი მაგიდები გზის პირას. სულაც არ ჰგავდა სენ-ჟერმენ-დე-პრეს, რადაც *გადაიქცა*. კედლები მუქი იყო, დარაბები – ბოთლისფერი მწვანე. ახლა ყველაფერი ნათელი, პასტელის ფერებისაა, ჟურნალ „ელის“ დეკორაცია გეგონება. როდესაც ბავშვებს ვხვდები პლაჟზე და ვხედავ, როგორ დარბიან სენ-სოვერის დიუნებში, ოდნავ გული მტკივა. მახსენდება, რომ მათსავით უდარდელი ვიყავი, მსუბუქად, მზეში. ვიცი, რომ ეს საბოლოოდ დავკარგე. ვერასდროს გამოვჯანმრთელდებით ბავშვობისგან. განსაკუთრებით, თუკი ეს ბავშვობა ბედნიერი იყო.

ფანი არ შეცვლილა. „მეზობელი ქალის“ გამოსვლიდან ოცდაათი წლის შემდეგაც ისევ ისეთი გადარეული, შეყვარებული ქალია,



რომლის დიდი პირი უზარმაზარ ღიმილს გამოსახავს, და *ყორანივით შავი თვალები* კი ახლოს არ გიშვებენ. ისეთივე სილუეტი, სიარულის მანერა, თავდაჭერა, რაღაც მეფური, რაც მიუწვდომლად გეჩვენება და მაინც გეუბნება: „მოდი, მომიახლოვდი“, თითქოს მგზნებარე ცეკვისკენ მოგვიწოდებს. ისეთივე დიდებული, არისტოკრატული ხმა, რომელსაც, შესაძლოა, ყალბად გაეჟღერა სიყვარულის უბრალო სიტყვების წარმოთქმისას და რომელიც ასე ზუსტად ჟღერს, რადგან მასში აღელვება გაისმის. და კოლექტიურ მეხსიერებაში დამკვიდრებული იგივე კინემატოგრაფიული სახე, რაც ცოტა სასაცილოა, რაკი ვიცით, რომ არასდროს უყურებს თავის ფილმებს. არა, ფანი არ *შეცვლილა*, რადგან ის მთლიანად აწმყოში ცხოვრობს, არასდროს მიეცემა ნოსტალგიას, წარმოუდგენლად მკვირცხლია. გუშინ, ვახშმობისას, მესროლა: „მოდი, ვიცინოთ. უბედურებაზე ვიცინოთ. განსაკუთრებით უბედურებაზე“. და ჩვენ გავიცინეთ.

„ტრანსფუჟ“, 2013 წ, ივნის-ივლისი, ვენსან ჟორი

ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოღანაშვილმა

იქიდან ზღვა ჩანს *(ფრაგმენტი რომანიდან)*

ფილიპ ბესონი

როდესაც ამბავი იწყება, ზაფხულის პაპანაქება დგას, იტალიური ექსტრავაგანტური ზაფხულების პაპანაქება. მზე ისე ძლიერად აჭერს, რომ მზერისთვის აუტანელს ხდის შემოგარენის თეთრ ფასადებს. კიდევ ქვებს ახურებს, შეუძლებელია ფეხშიშველა სიარული. შორს ზღვა გაწოლილა, მზის სხივების არეკვლით დაღარული, ბრილიანტი გეგონებათ. და კიდევ, ყველგან ეს ცისფერი ფერია, ულაქები, ლაჟვარდოვანი, კამკამა. სიოც კი არ იძვრის.

ნაშუადღევის პირველ საათებში, გალენჩება მდუმარებაში ძირავს ქალაქს. ნახევრად დახურულ დარაბებიან ოთახებში მკვდრებივით გაშხლართული კაცები სიესტას მისცემიან. ქალები უხმაუროდ საქმიანობენ, შენელებულები, სიტყვადაკარგულები. არავითარი ხმაური, მხოლოდ ხანდახან ძაღლის დაღლილი წამოყეფება, ვესპას ბღუილი.

ჰყვებიან, რომ ზენიტში მყოფი მზის სიმძიმემ ზოგიერთი გააგიჟა. თხზავენ ამბებს შეწუხებულ ხალხზე, მოკირწყლულ ქუჩებში საღებავგადაქერცლილ კედლებთან გამწკრივებულ ჩალის სკამებზე ჩამომსხდარნი, ველურნი და უძლურნი, უძრავნი, თვალგაშტერებულნი, აზრდაკარგულნი. ნამდვილად მართალია ეს ამბები.

მაგრამ მაინც, დღეს სექტემბერია. როგორ უნდა დაიჯერო, რომ მალე შემოდგომა დადგება?

აქტი პირველი

აგერ, უკვე თხუთმეტი დღეა, ლუიზა ანას სახლში დასახლდა.

პარიზიდან მომავალი მისი თვითმფრინავი პიზაში დაჯდა და აეროპორტში ნაქირავები მანქანით ოცი კილომეტრი გაიარა ლივურნამდე მისაღწევად. მაჩვენებლების მოუწესრიგებლობისა და ახირებულობის მიუხედავად, არ შეცდა, მაშინვე სწორად დაადგა გზას, ტრიუმფით გადალახა ქალაქის ცენტრის ლაბირინთები, ნამდვილად ბედი სწყალობდა.

სახლიც ადვილად იპოვა. ანამ უთხრა: „ნახავ, ადვილია, ვერ აცდები, ქალაქის სამხრეთით იქ, სადაც მთები იწყება, მაღალ კონცხზეა შესკუპებული და ზღვას გადაჰყურებს, გზიდან ჩანს.“ და ეს ზუსტად ასეა, როგორც კი თავს დააღწევ ქალაქის ცენტრის ლაბირინთს, ეგრევე ხელისგულზე მოგერთმევა, ნაალაფარივით, ჯილდოსავით.

ლუიზამ კვიპაროსების ხეივანში შეუხვია და მანქანა გააჩერა. ბარგი მაშინვე არ გადმოუღია, არც სახლში შესულა. არა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ყორის მიმართულებით და თვალწინ ზღვა გადაეშალა. ქვიშის ამ დაცულ ანკლავში მხოლოდ გულგრილი დედების გვერდით მოთამაშე რამდენიმე ბავშვი შენიშნა, საღამოს ექვსი საათი იყო. არც ტურისტები, არც მოცურავეები. მხოლოდ სიცხე. დამქანცველი სიცხე, რომელმაც, ლამის იყო, გადააყირავა.

მშვიდად მობრუნდა ვილასაკენ. კარი რომ შეაღო, ფართო, ნათელი მისაღები ოთახი აღმოაჩინა თანამედროვე, უბრალო, გატყავებული ავეჯით. შეამჩნია სიღრმეში სოფლური სამზარეულო ახალთახალი კაფელით და გვერდით კაბინეტი, რომლის ფანჯარაც ბაღს გადაჰყურებდა. მეორე სართულზე საძინებელი იყო ბაცი ცისფერი შპალერითა და ძელებით გადაკვეთილი, აშკარად ქალის ხელით მორთული; სააბაზანო ოთახს კი საუკუნის დასასრულის ბენუარი ამშვენებდა. ლუიზა მეორე საძინებელი ოთახის დიდ თეთრ საწოლზე გაიშხვართა, ეს ჩრდილიანი ოთახი იყო; ზეთისხილის ტოტები შემოსეოდნენ ფანჯრის მინებს. ჩაკეტილი ოთახის სუნი კი არსად იდგა, თითქოს ახლახან გაწმინდეს და გაანიავეს ყველაფერიო. მხოლოდ თაროზე დაწყობილ ზოგიერთ წიგნს და ავეჯს ასდიოდა შმორის ისეთი სუნი, როგორიც სააგარაკო სახლებშია ხოლმე. ლუიზამ გაიფიქრა: დროებითი, გასავლელი ადგილები მშვენივრად ემთხვეოდა მის მდგომარეობას, ის გამვლელი ქალი იყო.

წიგნის დაწერა. მხოლოდ ამ ერთადერთი მიზნით ჩამოვიდა აქ, წიგნის დასაწერად. იცოდა, უძლეველი ცოდნით იცოდა, რომ ეს საქმიანობა მარტოობას მოითხოვდა, თითქმის ველურ მარტოობას და ვილა ჩაკეტავდა ამ ველურობაში.

ისე მიაქროლებს მანქანას, გზას არ უყურებს, განუწყვეტლივ ტრიალდება ლუიზასკენ, იცინის, ხუჭავს თვალებს, უკან აგდებს თავს, მკვეთრი მოძრაობით თვალებიდან იცილებს კულულებს, კვლავ იცინის, უღმუის ქარს, თვითმფრინავის პილოტივით საჭეს მიკრული, სწევს თავის სკამს, გიჟივით მიჰყავს დანჯღრეული, გადახდილი მანქანა, რომელიც საზღვაო აკადემიის ერთმა ამხანაგმა ათხოვა. მჭახე წითელი იტალიური ფერის, რომელსაც ტკაცატკუცი გაუდის, ალალბედზე მიაქანებს ჩიანტის მთების ხვეულებში, ჭრის მოსახვევებს, მიუყვება თხრილებს, სრიალდება ხრეშზე, გაუჩერებლად კვეთს გზაჯვარედინებს, არად დაგიდევს გადამკვეთ ხაზებს, უმატებს სიჩქარეს და ამუხრუჭებს უხეშად, აგდებს საფრთხეში მათ სიცოცხლეს, შეურაცხყოფს გრავიტაციისა და კარაბინერების კანონებს; რბოლის სახიფათო მანქანა რომ ჩაუგდია ხელში, იმ სულელი ბიჭუნასავით მიაქროლებს თავბრუდამხვევი პეიზაჟების, ამწვანებული გორაკების, მოულოდნელად გამოჩენილი ტყეების, მზით გადახრუკული სოფლების, დახუნძლული ვენახების, ზეთისხილის ბაღების, დახვეწილი ფერდობების შუაგულში, მიაგელვებს სულისშემხუთავ სინესტეში, გადალახული კილომეტრების ცხელ სუნთქვაში, პაპანაქება შემოდგომაში, და ისეთი მხიარული, ისეთი უზრუნველი ჩანს, ისე ჰგავს ახალგაზრდობას, რომ ქალს თავის ნებაზე ჰყავს მიშვე-

ბული, ნებას აძლევს, იყოს ასეთი კაცი, ამაყი, რომელიც ზრდასრულს თამაშობს და მაინც ასე ბავშვური, ცხოველურად მამაკაცური და ნაზად შეყვარებულია, და ქალი მას უყურებს, მოუღლელად, დავიწყებია თავისი ასაკი, და მოსალოდნელი დიდი საფრთხე და გროტესკული კლიშე, რომელსაც ასეთი სცენა წარმოადგენს, მხოლოდ ამ წამის სიმსუბუქის შენარჩუნება უნდა, მისი სრულყოფილი სიცარიელის; მზის სათვალე უკეთია, რომელსაც მონიკა ვიტიც კი არ დაიწუნებდა, სახეზე შემოხვეული აქვს თავსაფარი, რომელიც ფრიალებს და უეცრად ახსენდება, რომ არსებობს სიტყვათშეთანხმება, უკიდურესად დახვეწილი, ქალის ქუდის ლენტის აღმნიშვნელი, რომელიც კეფაზე ფარფატებს, შეუძლებელია უფრო დელიკატური ხატების წარმოდგენა, რომელიც ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ დამკვიდრებულია მეტყველებაში, ფრანგული ენის სასწაული, აბსოლუტური განცხრომა, ძნელად დასაჯერებელი, იმდენად მისადაგებულია, და ეს სიტყვათშეთანხმება არის: „გამომედევნე ვაჟო"; მაგრამ ახლა ქალი მისდევს გადარეულ ახალგაზრდას, ამ გიჟ იტალიელს, ქალი თანხმდება მის სიგიჟეს, ემორჩილება, თვრება მისი მგზნებარებით, მოხუცი-მოზარდი შავი სათვალის უკან დამალული ნაოჭებით, უარი რომ უთქვამს ყველანაირ ჭკუაზე, გონივრულობაზე, მონურად მიუბაძავს ახალგაზრდა პილოტის ღიმილისთვის, ძლივს ავლებს თვალს ვენახებიან ტოსკანას, იმედოვნებს, რომ წამი რაც შეიძლება გვიან შეწყდება, არაფერზე ფიქრობს და წარმოიდგენს, რომ ასე ძლიერად არასდროს სდომებია სიცოცხლე, რომ სიკვდილის შიში ასე უმნიშვნელო არასდროს ყოფილა მისთვის; თვალებს ხუჭავს.

სწორედ ვაჟმა გადაწყვიტა ამ გასეირნების მოწყობა, ქალს არჩევანი არ ჰქონდა, „ალე ჰოპ, მივდივართ", თქვა ვაჟმა და არაფერი იყო საკამათო, ქალი ჯერ კიდევ გაბრუებული იყო, ღამის გადაქანცულობით, მაგრამ არა, ვაჟს გაგონება არაფრის სურდა, „ფედერიკო გვათხოვებს თავის მანქანას", თქვა მან, "ევალება მომცეს, ჩაიცვი ჩქარა, წუთი არ გვაქვს დასაკარგი. ნახავ, გზა ლამაზია, ხშირად მივლია, სოფელია, იქ ვატარებთ არდადეგებს, ზღვიდან შორს. როდესაც მთელი წელი ზღვასთან ახლოს ცხოვრობ, უნდა მოშორდე, თუ არა და შეუძლებელია, ავად გახდები. გადაიცვი კაბა, აჩქარდი", ქალმა თქვა: „სად გვეჩქარება, უამრავი დრო გვაქვს", ვაჟმა თქვა: „როგორ არ გვეჩქარება, ყველაფრის გაკეთება მანამ უნდა მოასწრო, სანამ შეგიძლია, არ უნდა იცადო. არასდროს", და ქალმა გადაიცვა თხელი კაბა, ქალმა თქვა: „და ჩემი მანქანით რატომ არ მივდივართ?" ვაჟმა საბრალო გამომეტყველებით შეხედა. „ის სწორედ ბურჟუებისთვისაა კარგი, და კიდევ თავი არ ეხდება". მაშინ ქალი გაჰყვა ფედერიკოსთან, გარეთ უცდიდა, სანამ ისინი მოილაპარაკებდნენ, ხალხი მიშტერებოდა, დაინახა, როგორი გამარჯვებული სახით გამოვიდა, ხელში გასაღებებს ატრიალებდა, და კარის გაუღებლად ჩახტა თავმოხდილ მანქანაში, როგორც ცელქი ბიჭი, ქალიც ჩაჯდა, გრიგალივით დასძრა, დიდხანს მიდიოდნენ, ყლაპავდნენ კილომეტრებს, ტრანზისტორში მუსიკა უკრავდა, მაგრამ არაფერი ესმოდათ, მუსიკას ქარი და მოტორის ხმაური ფარავდა, და ვაჟი იცინოდა მთელი გზა, ახლა აქ არიან, სოფლის მოედანზე გაჩერებულები, რომლის სახელიც ქალმა ვერ დაიმახსოვრა, ეკლესიის ძირში, აქ არიან, ისევ მანქანაში სხედან, და ერთმანეთს ეხვევიან, და ვაჟი თავს მუხლებზე უდებს, და ეკლესიის სამრეკლო ექვსჯერ რეკავს.

ზამთარი კარზეა მომდგარი, და დიდი ხნითაც.

პლაჟზე ქვიშა გამაგრდა, ნაცრისფერისკენ გადაიხარა და შორს, წყალი არის მუქი და მძიმე. აღარ ჩამოდიან ბორნის მგზავრები. პორტის კაცები დაკოჟრილ ხელებს სულს უბერავენ. „მარინის" ბარის პატრონი სიჩუმეში მეფობს. ქალაქის მოკირწყლული ქუჩები თითქმის ცარიელია. რამდენიმე მოხეტიალე ძაღლი, მიტოვებული ბავშვები, მათხოვრები.

ლუიზა ფერდობზე მდგარი ვილას შემინულ კედელთან ზის ისე, როგორც ყოველდღე. წერს. წიგნს ამთავრებს. ბოლომდე მივიდა: ქვრივი ქალი ასრულებს თავის გლოვას სასტუმროს ახალგაზრდა კაცის მეშვეობით და გრძნობს, რომ ცხოვრებაში დაბრუნება შეუძლია, თანხმდება თავის მარტოობას.

რადგან ძირითადად ეს ასე შეიძლება იყოს, ჰარმონია მარტოობის მიღებაა.

ლუიზა ფიქრობს, რომ დაწერა წიგნი სიმყიფეზე, ვნებაზე, რყევაზე, და საბოლოო წონასწორობაზე. ის ჰყვება ჯამბაზის ბედზე. სხვა არაფრის კეთება არ იცის.

მისი ამბების გასაგებად ანამ ახლახან დაურეკა. გაუმეორა, რომ იმდენხანს შეუძლია დარჩეს ლივურნის სახლში, რამდენ ხანსაც მოესურვება. ლუიზამ მადლობა გადაუხადა. თავისი გმირისგან განსხვავებით, ჯერ არაა მზად პარიზში დასაბრუნებლად. სხვათაშორის, აქვს კი თავისი ადგილი? თავს ეკითხება, მისი ადგილი უფრო აქ ხომ არაა, ზღვისპირა ტოსკანაში, სეზონების ნელ გავლაში.

რადგან ამიერიდან ის მშვიდია. მისი მზერა მინად იქცა, მორბილდა. მთელი მისი სხეული უფრო მშვიდია. ნაბიჯებიც უფრო ნელი. და ხმაც დაუდინჯდა, ყველანაირ აჩქარებას მოკლებულია. მოსწონს ეს მდგომარეობა, რომელშიც შეუღწევადად გრძნობს თავს. დიახ, შესაძლოა აქ იყოს მისი ადგილი, აქ.

იმ მომენტში, სიგარეტის მოსაკიდებლად რომ ემზადებოდა, კარზე დარეკეს. უნდა გაკვირვებოდა, რადგან არავინ მოდიოდა გრაციელას გარდა, მას კი გასაღები ჰქონდა. მაგრამ მაინც, თავის ახალ სულიერ სიმშვიდეს უნდა უმადლოდეს, რომ ზედმეტ კითხვებს არ უსვამს თავს. კართან მიახლოებისას, უშფოთველია. მიხვდა, ვინ მოაკითხა; ეს გარანტირებულ დაზღვევას აძლევდა, თუ პირიქით, სრულ მიამიტობაში აგდებდა?

კარის ჩარჩოში, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა კაცია.

ის ამბობს: „დაბრუნება მინდა."

ქალი უყურებს. დიდხანს.

უღიმის.

ფრანგულიდან თარგმნა დალი იაშვილმა

სარა ბოუერი (დიდი ბრიტანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარა ბოუერს არაერთი ჯილდო აქვს მოპოვებული თავისი რომანებისა და მოთხრობებისთვის. 2007 წელს რომანისათვის „სისხლიანი ნემსი“ მოიპოვა სიუზენ ჰილის პრემია. მეორე რომანი „სიყვარულის წიგნი“ (ამერიკული სათაურია „ბორჯიათა ოჯახის ცოდვები“) ცხრა ენაზე ითარგმნა და „ტორონტო გლოუბისა“ და „მეილის“ ბესტსელერი გახდა 2009 წელს. მეოთხე რომანი, „ეროზია“ 2014 წელს გამოიცა. მოთხრობები და ესეები კი მრავალგზის დაიბეჭდა ისეთ გამოცემებში, როგორიცაა „MsLexia“, „Words Without Borders“ და „Asian Cha“, ასევე გადაიცა ბიბისის რადიოთი.

სარა ბოუერი წერის ხელოვნების შესახებ

დიდი მადლობა კეროლ მაკგრათს ამ გლოგში მოწვევისათვის. მაშ, ასე, დავიწყოთ:

ამჟამად რაზე მუშაობთ?

გამიმართლა, ივნისამდე ჰონგ-კონგში ლინგნანის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე მიწვეული მწერლის სტატუსით ვიმყოფები. პედაგოგიური საქმიანობის გვერდით უნივერსიტეტი წერისათვისაც დიდსულოვნად მიტოვებს უამრავ დროს. ამჟამად ვმუშაობ რომანზე, რომლის სათაურიცაა „სიყვარული კლავს, არა?“ (ამ სათაურისათვის შესანიშნავ ალბომს, „მაგნიტურ მინდვრებს“ ვემადლიერები[1])? მასში სამი სიუჟეტური ხაზია, რომლებშიც მოქმედება ინგლისსა და პალესტინაში 1948-2008 წლების პერიოდში ვითარდება. მთავარი პერსონაჟი, ერთი მხრივ, ინგლისელი ქალია, რომლის წარსულიც იდუმალებითაა მოცული, რასაც თვითონ მხოლოდ მას მერე შეიტყობს, რაც მოულოდნელად ჩრდილოეთ იორკშირის სანაპიროზე მდებარე სახლის მემკვიდრე გახდება. მეორე პერსონაჟი პალესტინელი ტერორისტია. საკვანძო როლებს თამაშობენ აგრეთვე ქალის დედა და მცხობელი კაცი. რომანს რთული ქრონოლოგია აქვს და არც ერთი ურთიერთობა იმ გზით არ ვითარდება, რასაც თავდაპირველად ვვარაუდობთ. ამ წიგნის წერისას გამუდმებით ბენვის ხიდზე გავდივარ, ვცდილობ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა და დამთხვევათა სირთულე და ქაოტურობა გადმოვცე და, ამავდროულად, ჰარმონიული, ერთ ღერძზე ასხმული ნარატივიც გამომივიდეს. ეს რომანი ჩემთვის გამოწვევაა მრავალი გაგებით. მასზე მუშაობისას დღემდე ყველაზე უფრო სახალისო გამოცდილება მაშინ შევიძინე, როდესაც ოქსფორდის ფამპ-სტრიტის საცხობის მეპატრონემ ნება დამრთო, ერთი ცვლა პურის მცხობელებთან ერთად მემუშავა (მას შემდეგ, რაც მთელი ღამე ცომს ზელდი, დილის 4 საათზე საუზმედ ახლადგამომცხვარი ღვეზელის მირთმევა, მგონი, ზეციურ ნეტარებასთან ყველაზე უფრო მიახლოებული განცდაა, რასაც კი ოდესმე ვღირსებივარ!). შემდეგი ამგვარი გამოცდილება ამ წლის ოქტომბერში მელის, როცა პალესტინაში გავემგზავრები პროექტ „ზეითუნში“ მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ზეთისხილის მოსავლის აღებას ითვალისწინებს. პალესტინის უახლესი ისტორია ისე დაწვრილები-

[1] Magnetic Fields – ფრანგი კომპოზიტორის, ჟან-მიშელ ჟარის მიერ 1981 წელს გამოშვებული მუსიკალური ალბომი.

თაა დოკუმენტირებული, რომ არც კი ვიცი, მისი შესწავლა საიდან დავიწყო, ხოლო ჰამასფატას საზავო შეთანხმება კარგ შესაძლებლობას მაძლევს საიმისოდ, რომ პალესტინას ვეწვიო, მის ხალხს გავეცნო, თუნდაც ორიოდ კვირის განმავლობაში ვიცხოვრო ადგილობრივთა ცხოვრებით. ეს ჩემთვის, როგორც მწერლისათვის, ფასდაუდებელია და ამის გარეშე ვერ შევძლებ იქაური ატმოსფეროს – იქაურობისათვის დამახასიათებელი სუნების, გემოს, ფერებისა თუ ხმაურის – მოხელთებას.

ლინგნანის უნივერსიტეტში ჩემი მოღვაწეობის ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ ამჟამად ზღაპარ „ლამაზმანისა და ურჩხულის" თანამედროვე ადაპტაციაზე ვმუშაობ, რომელიც რვიდან თერთმეტ წლამდე მოწაფეებისათვის სცენაზე დასადგმელად იქნება განკუთვნილი. აგრეთვე ვამზადებ მოხსენებას თემაზე „მოდა ვამპირების რომანებში" სამეცნიერო კონფერენციისათვის „მხატვრული ლიტერატურა და მოდა". გარდა ამისა, ვწერ მინაე მიზუმურას „ჭეშმარიტი რომანის" განხილვას ელექტრონული ჟურნალისათვის Asian Cha.

ჩემი მესამე რომანი „ეროზია" ამ წლის 28 აპრილს გამოიცა.

ჩემი მოთხრობა „აღდგენა" ივნისში „ანთოლოგია 5"-ში დაიბეჭდება.

რით განსხვავდება თქვენი ნაწარმოებები ამავე ჟანრის სხვა ტექსტებისაგან?

ერთ რომელიმე ჟანრში არ ვწერ. ჩემი ისტორიული რომანები „ნემსის წვერი სისხლში" და „სიყვარულის წიგნი" (აშშ-ში გამოიცა სათაურით „ბორჯას გვარის ცოდვანი") ზოგიერთმა კრიტიკოსმა უბრალოდ მხატვრულ ლიტერატურას მიაკუთვნა, ზოგმა კი – ისტორიულ-რომანტიკულ ჟანრს. ჩემი ბოლო რომანი „ეროზია" კი თანამედროვე ლიტერატურული თრილერია. რაც შეეხება წიგნს „სიყვარული კლავს, არა?", მის შესახებ პირველ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას გიამბეთ და ამდენად მისი ჟანრის განსაზღვრა თქვენთვის მომინდია. მე მგონია, მწერალთა უმეტესობა დამეთანხმება, თუკი ვიტყვი, რომ ჟანრული განსაზღვრება უფრო მარკეტინგის საკითხი მგონია, ის მხატვრული ნაწარმოების არსისა და რაობის შესახებ არაფერს გვეუბნება. მაგალითად, როდესაც ამერიკელმა გამომცემელმა „სიყვარულის წიგნისათვის" სათაურის შეცვლა შემომთავაზა, თავიდან წინააღმდეგი ვიყავი, რადგან, ჩემი აზრით, „ბორჯას გვარის ცოდვანი" წიგნის შინაარსს არ შეესაბამება, მაგრამ მან ეს დაჟინებით მთხოვა, რადგან ჩათვალა, რომ ამ სათაურით წიგნი უკეთ გაიყიდებოდა. მართალიც აღმოჩნდა, ჰოდა, მეც რაღა დამრჩენია: ქედს ვიხრი მისი კომერციული ალღოს წინაშე და კუთვნილ ჰონორარს ვიღებ.

წერის მიზეზი. რატომ წერთ?

მიზეზი მარტივია. რომ არ ვწერო, ტვინი ამიფეთქდება. სათქმელს არ ვირჩევ, ის თვითონ მირჩევს.

გინდათ იცოდეთ, წერის პროცესი როგორ მიმდინარეობს?

ეს რომ ვიცოდე, მაშინ სამ წელიწადს არ მოვუნდებოდი ერთი რომანის წერას!

მე ინტუიტური მწერლების რიცხვს ვეკუთვნი. ერთადერთი რომანი, რომლისთვისაც წინდაწინ დეტალური გეგმა შევიმუშავე, „ეროზია" გახლდათ. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს დეტექტიური რომანია და მოზაიკის აწყობის ელემენტებს შეიცავს, რაც მოზაიკის წინასწარ შექმნას მოითხოვს. რომანზე მუშაობას აკადემიური კვლევის სახე მივეცი, მაინტერესებდა, თავს თუ გავართმევდი ამ ამოცანას. ცხადია, მკითხველმა უნდა განსაჯოს, რამდენად მივაღწიე წარმატებას. როგორც წესი, არასოდეს ვიცი, როგორ დასრულდება რომანი, უბრალოდ მოვლენებს მივყვები, ვიდრე ფინალს არ მივაღწევ.

ჩემი მცირე პროზაც დიდწილად ასევე იწერება. ზოგიერთი იდეა რომანის ჩანაფიქრის სახით მომდის, ზოგს იმთავითვე მოთხრობის ფორმა აქვს და ვერაფრით აგიხსნით, თუ რაზეა ეს დამოკიდებული; მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მოთხრობა უფრო ცხოვრებისეული მომენტის, წამიერი განწყობის თუ უეცარი აღმოჩენის გამოსაცემადაა იდეალური, რომანი კი მოვლენათა მთელ თანმიმდევრულ რიგს აღწერს.

რაც შეეხება სახელდობრ წერის ფიზიკურ პროცესს, ვეცდები თვალნათლივ გიჩვენოთ, თუ ახლა რა პირობებში ვმუშაობ. ჩემს ბინაში, ჰონგ-კონგის ოქროს სანაპიროზე საწერ მაგიდას ვუზივარ. შედარებით გრილი დღეა, ასე რომ, კონდიციონერის გუგუნს აივნის კარის გაღება ვამჯობინე. ჩიტების ჭიკჭიკი ისმის – შავი და თეთრი გულწითელებისა და დაწინწკლული მტრედების გარდა რაღაც ჩემთვის ჯერაც უცნობი ფრინველის ხმა მომესმის, ფეხბურთის მსაჯის სასტვენის ხმას რომ მაგონებს. საცაა მიმოზა აყვავდება, ჰიბისკუსი და ბაუჰინია უკვე ყვავის. ზღვა გლუვია და ლითონისფერი დაჰკრავს. ყურის მოპირდაპირე მხარეს აღმართული დანისლული მთები სამუდამოდ ჩამებეჭდება მეხსიერებაში, როგორც ჩინეთის ზღვისპირეთის ტიპური პეიზაჟი (არ მინდა იმაზე ფიქრი, რომ ამ ნისლოვანი ბინდის მიზეზი შენზენის ქარხნების კვამლი უფროა, ვიდრე აღმოავლური ჰავის თავისებურება). ეი ამ წუთას, შესაძლოა, დედამიწაზე ყველაზე უფრო ბედნიერი მწერალი ვიყო... მაშ, აქვე დავასრულოთ!

ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

სიყვარული კლავს, არა?

(ფრაგმენტი რომანიდან)

პალესტინა. 1948

რთული სათქმელია, მტვერია თუ კვამლი. ასეა თუ ისე, რიგითი რონი ექთონი თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, როცა ვერ ხედავს, რა ხდება ხაკისფერი ღრუბლის ქვეშ. წუხელ გენერალი წაიყვანა ქვემოთ, სოფელში, ვიღაც ბობოლასთან სადილზე. სადილის დროს თავად ეზოში იდგა, კარს იცავდა, რომლის თავზეც აიები იყო ამოკვეთილი. ეზოს მეორე მხარეს მდებარე სამზარეულოდან გამოსული მძაფრი სურნელი ცხვირში ფარფატით შესდიოდა, რის გამოც, დროდადრო მუცელში რაღაც გამაყრუებელი გრუხუნით უსკდებოდა. დღეს, დილაადრიან, როცა ჯერ კიდევ ჩანდნენ ვარსკვლავები, ხოლო მათი სუნთქვა უდაბნოს გაყინულ ცაში ჩახუთულ ღრუბლებად გროვდებოდა, კარავი აკეცეს და სხვა უამრავ ადამიანთან ერთად, ფეხაკრეფით გაეცალნენ იქაურობას, რათა ისრაელის ახალ სახელმწიფოს შეერთებოდნენ. ორიოდე ადგილობრივი მოსახლე მათ გასაცილებლად გამოვიდა. სახლების წინ ჩაცუცქულები, ხელში კრიალოსანს აჩხაკუნებნენ და მდუმარედ უყურებდნენ, როგორ ტოვებდა ბრიტანეთის არმია მათ სოფელს სიბნელის საფარქვეშ. დაგეგმილი გასვლა, როგორც ამას ზემოთ უწოდებენ, მმართველობის მშვიდობიანი და თანმიმდევრული გადაცემა. მისია შესრულებულია. კმაყოფილი ღიმილით ხელები მოიფშვნიტეს იმ ბიჭებივით, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ გაბულული პაბის უკანა ოთახში შავბნელი საქმე შესანიშნავად გაჩარხეს. რა მათი ბრალია, თუ არაბ ჯონს სულაც არ ეპიტნავება გაერთიანებული ერების რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც მისი მამაპაპისეული მიწის გვარიანი ნაწილი ებრაელებს გადაეცათ.

თუმცა, რონი ექტონმა იცოდა, და საერთოდაც, ყველამ იცოდა, რომ ბრიტანელები გარბოდნენ. დიდ უსიამოვნებაში კი ყოფენ თავს – ერთ მხარეს საცოდავი ებრაელები ბანაკებიდან და მეორე მხარეს საცოდავი არაბები, ახლა მთელი თავიანთი ცხოვრების დატევას პაწაწინა ურიკებზე რომ ცდილობენ. სადღაც, უაითჰოლის ცისფერ ოცნებაში ებრაელები და არაბები გვერდიგვერდ, სრულ ჰარმონიაში იცხოვრობენ. რონი ალმაცერად დასცქერის კვამლისა და მტვრის ღრუბელს და უნებურად ეცინება. ჰიტლერი რომ არ ყოფილიყო.... რონი ღრმა ნაფაზს არტყამს, ნიკოტინს ფიტვებში გზავნის და გონებაში მთელი იმ უბედურებების სიას ადგენს, რაც ჰიტლერის კისერზეა. ამ სიაში თავად ერთ-ერთ პირველ ადგილზეა: აქ ჩარჩა, საზიზღარ დახვეულ სიგარეტს ეწევა, ჩექმები ქვით აქვს სავსე, მტვერი კი ყველგან აღწევს – ცხვირში, პირში, ტრაკშიც კი. აქაური თამბაქო აქლემის გამხმარი ნეხვის სუნად ყარს. თუმცა, ყველაფერი სჯობია თოფის წამლის სიმწარეს, სოფლის გზიდან რომ ამოდის და იმ პატარა გორაკს ეკვრის გარს, რომელზეც ახლა მისი რაზმია გაჩერებული. გამთენიიდან მოყოლებული, ებრაელები რაკეტებს ესვრიან ლტოლვილებს, ბრიტანეთის ჯარს კი ნაბრძანები აქვს, არ ჩაერიოს. ახლა არაბების სოფელი ისრაელის ტერიტორიაა, და რონი ექთონი აქაურობას ტოვებს.

ძალიან კი აინტერესებს, ვის რა ჭირად უნდა ეს ადგილი, სადაც ადამიანს დღისით სიცხე ძვლებიანად წვავს, ღამით კი, სიცივე პირში ნერწყვს უყინავს, და სადაც ქვისა და ქვიშის გარდა არაფერია. ჰო, კიდევ გადამხმარი ზეთისხილის ხეები და ქეციანი ცხვრები.

ფიქრები სახლისკენ გაექცა. სულ ცოტაც და ბრიტანეთში დაბრუნდება, ბუხარს მიეფიცხება და ცხვირს ვირის ნეხვისა და ნივრის სიმყრალე კი აღარ აუწვავს, შემწ-

ვარი კარტოფილის სურნელით დატკბება, სახეს წვიმა დაუნამავს და Players მოწევს, ამ საზიზღარ ნაკელს კი არა, პირდაპირ ფილტვებს რომ უხვრეტს. სულ მალე, Sheffield Midland-ის მატარებლიდან პირდაპირ კატარინას მკლავებში გადაეშვება. როცა თვალებს ხუჭავს, მის სინაზეს გრძნობს, მის რბილ ტუჩებს, თითქოს აი, გოგონა მორიგი კოცნით ვითომ მორცხვად აჯილდოებს, მის მშვენიერ მკერდს ეხება, ფაფუკ საჯდომში თითებს ღრმად აფლობს, ის კი კისკისებს, სახეზე ალმური ასდის, ხელს კრავს, თუმცა, არც თუ დიდი გამეტებით. რონი გულისჯიბეს ისინჯავს, სადაც კატარინას ბოლო წერილი ეგულება. ქაღალდი ოფლითაა გაჟღენთილი, მრგვალი, გულმოდგინედ გამოყვანილი ასოები ახლა ერთმანეთში გადღაბნილა და კაშკაშა ცისფერიდან ნაცრისფრად ქცეულა. მთელი წერილი, სიტყვასიტყვით მეხსიერებაში აქვს ჩაბეჭდილი: *მგონი, შობამდე, საქორწინო კაბისთვის საკმარისი ტალონი მომიგროვდება. იცი, დედამ მთელი დანაზოგი დამითმო, რასაც თავისი პალტოსთვის აგროვებდა. მისის კოლინსი სამ ტალონად თავისი ფერმის კვერცხებს შეგვპირდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ტორტის ნაჭერს მიიღებს – (ღმერთო, იმედია, შარში არ გაეხვევა, როცა ამას ცენზორი წაიკითხავს) – ძალიან მიყვარხარ, რონი. უვნებელი დაბრუნდი სახლში, კარგი? ხომ მპირდები? რომ იცოდე, რამდენი გეგმა მაქვს მომავლისთვის, ჩემო საყვარელო. მხოლოდ შენი კ. xxxx.* ამ უწესო გოგოს სითამამე მოსწონს, მაგრამ მხოლოდ ამაში არაა საქმე. კატარინასთან ერთად გულიანად იცინის, მასთან თავს ყოველთვის კარგად გრძნობს, განსაკუთრებით, როცა ის ქვემოდან ნდობით სავსე თვალებით ეშმაკურად ამოხედავს ხოლმე. სამყარო კატარინასთან ერთად უფრო კაშკაშა და კეთილია, იქ მას თავისუფლად შეუძლია, დაივიწყოს საცოდავი ნაბიჭვრები, რომლებიც ამ ერთი ზოლი ქვიშისთვის იბრძვიან, რომელსაც მიწას უწოდებენ. მგონი, უყვარს ეს გოგო.

ნეტავ, ნებას თუ დართავს, როცა სახლში დაბრუნდება, უკვე ხომ დანიშნულები არიან. სულ იმას უმეორებს წერილებში, რომ უყვარს. უცებ ახსენდება, რომ გოგონები ძალიან სასაცილოდ ამტკიცებენ თავიანთ სიყვარულს. პირიქით. ამბობენ, რომ უნდათ, რადგან უყვარხარ, მაგრამ ჯანდაბა, იგივე სიყვარულის გამო, ამას არ გააკეთებენ. რა ბედნიერი იქნებოდა რონი, გოგოების რამე რომ გაეგებოდეს.

რამდენიმე ჯარისკაცმა ადგილობრივ ქალთან დაიჭირა საქმე. მას არც უფიქრია, განსაკუთრებით, ლეილას მერე, თუმცა, სრული სიმართლე რომ ითქვას, მცდელობა ჰქონდა, მაგრამ უმრავლესობას მძაღე კარაქის სუნი ასდის, თანაც მსუქანი და უსაშველოდ თმიანია – ზოგიერთს უფრო ხშირი ულვაში ამშვენებს, ვიდრე ნორჩ კაპიტან გეინბოროუს. მათ ძუძუსთავები კატარინასავით ნაზი ვარდისფერი კი არ აქვთ (როგორც მას წარმოუდგენია), არამედ მუქი იისფერი. ამასთან, რონი დარწმუნებულია, რომ ყველა დაუბანელია. თანაც, იმ ამბის მერე, რაც რობოსა და ლეილას შორის მოხდა... ამის გახსენებაზე სახეზე ცეცხლი ეკიდება.

არავინ ეკარება გემით ჩამოყვანილ ქალს. თითქოს კაცებმა უთქმელად შეთანხმება დადეს, რომ თითსაც არ დააკარებენ, რომ ეს არასწორია იმ ყველაფრის მერე, რაც მათ გამოიარეს. ერთი გოგო დაუდგა თვალწინ, გაზასთან სანაპიროზე რომ ნახა. ის იმ ჯაბახანა ჟანგიან გემზე იყო, რომელიც ისე სწრაფად იძირებოდა, რომ მათ სასწრაფოდ მაშველი გემის გაგზავნა მოუხდათ ხალხის გამოსაყვანად. მიბრუნება და კვიპროსზე წასვლა? რამ მოაფიქრა! კარგი ხუმრობაა, არა? ისიც კატარინასავით ქერა, მაგრამ კატარინასგან განსხვავებით, ძვლებზე გადაკრული ტყავი იყო, ხოლო თავი, გაქუცული ძაღლივით, ალაგ-ალაგ მოტიტვლებული ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ რონიმ იარაღი შემართა და ზუსტად მის თავზემოთ ისროლა, გოგო არც შემკრთალა და არც ნაბიჯი შეუნელებია, ისე განაგრძო სვლა ზღვაში. როგორც რონი ახლა ხვდება, ეს მისი სიმამაცე კი არ იყო, ან სიჯიუტე, ან ღირსების გრძნობა, არამედ ინდიფერენტულობა, ფართო და ყოვლისმომცველი. კაცს არაადამიანური, უმეტყველო ლურჯი თვალებით მისჩერებოდა. რონი მათმა უძირო სიცარიელემ შეძრა, ერჩივნა, იმ უფსკრულში ბანაკის შესახებ მოგონებების კვალი დაენახა. ნეტავ, ახლა სად არის. კვიპროსზე, ალბათ. ისევ უნებური სიცილი წასკდა.

აბა, ქალბატონებო, ისმის სერჟანტ მელორის ღრიალი. შესვენება დასრულდა, მოეწყვეთ!

კაცები მწყობრში, ჩვეულებრივ, ბუზღუნით ეწყობიან. შესვენების დროს, როცა ისრაელი ქვემოთ არაბ ლტოლვილებს რაკეტებს ესროდა, რონის ყავა არ მიურთმევია და ამიტომ, დანაშაულის გრძნობაც თითქოს ნაკლებად აწუხებს. როგორც ჩანს, რაკეტების მარაგი კარგი აქვთ. არ გაუკვირდება, თუ ამაში ბრიტანეთის ჯარის ხელი ურევია, რომელიც ახლა ჩაურევლობის პოლიტიკას კეთილსინდისიერად ახორციელებს. ათი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ, როცა ჰაერი მათ ირგვლივ აცახცახდა და გორაკის ძირში საშინელი გრიალით რაღაც გასკდა. მოულოდნელად რონიმ აღმოაჩინა, რომ მიწაზე გულაღმა გდია, ზურგჩანთა ხერხემალში ღრმად აქვს ჩამჯდარი, ხოლო ხელ-ფეხს კი ზურგზე გადმოტრიალებული ტარაკანივით უმწეოდ და გამეტებით იქნევს. აზრადაც არ მოსდის, რომ შესაძლოა დაჭრილი იყოს, მაგრამ როდესაც ხელით გულმკერდს ისინჯავს, ბლანტ, წებოვან სისხლს გრძნობს.

ალბათ დაიჭრა. კვდება? ვითომ ისე ცუდადაა, რომ ვერაფერს გრძნობს? ვიღაცისგან გაუგონია, რომ სწორედ ასე ხდება, როცა ადამიანი ბოლო წუთებს ითვლის. მთლიანად სისხლითაა დაფარული. გრძნობს, როგორ ეწებება ტრუსები ფეხებზე, როცა წამოდგომას ცდილობს. ვაი, კატარინა! გვერდზე ტრიალდება, მტვერს აფურთხებს, თვალებს ახამხამებს, რომ მზერა დაიწმინდოს. მკერდიდან რაღაც უვარდება. წამით ეჩვენება რომ გულია.

გარკვეული თვალსაზრისით, ასეცაა.

ძალებს იკრეფს, წამოდგომას ცდილობს და ხელები ვიღაცის სხეულის ნაწილებში ღრმად ეფლობა. არა, ორი ვიღაცის. ნაწლავების, ძვლების და ხორცის ნაკუწების გროვაში სამი ხელი მოჩანს. ერთი ბავშვისაა. რონი აშტერდება. ვარსკვლავივით კაშკაშა ყავისფერი თითები და მკრთალი ხელისგული, მაჯაზე ოქროს წვრილი სამაჯური, დაუჯერებელია, რომ არ დაზიანებულა. თვალს ვერ აშორებს, ამ ბავშვის მთელ ცხოვრების დანახვა შეუძლია ახლა, ან შეიძლება ეჩვენება, რომ შეუძლია. რეალურად, ბევრს ვერაფერს ხედავს. აფეთქებისგან აზვირთებული მტვერი ნელ-ნელა იფანტება და გადარჩენილი ჯარისკაცები ისე მოუხეშავად დააბოტებენ, თითქოს თიხის ფიგურებს სული ჩაჰბერესო. როგორც ჩანს, ვერავინ შეამჩნია რონი და ვერც მის ფორმაზე, სახესა და თმებზე შემხმარი ბავშვის სისხლი. ჩაფხუტიც სადღაც გადავარდა.

შველას ითხოვს, მაგრამ ამაოდ, არავის ესმის მისი. საკუთარი ყვირილი თავადაც ძლივს ესმის, ხმა დახშული აქვს და უკან ექოდ უბრუნდება. *აფეთქების ხმამ დამაყრუა*, ასკვნის თავისთვის, *მალე გამივლის*. ეუფლება გრძნობა, რომ ამ აფეთქებამ სამყაროს მოწყვიტა და რომელიღაც სხვა განზომილებაში გადაისროლა.

შემდეგ, თითქოს ყურებში მჭიდროდ ჩატენილ ბამბას რაღაც ნემსივით უხვრეტს. ბავშვის ველური, განწირული, გაუჩერებელი ტირილის ხმა მის ყურამდე აღწევს. ამას სხვა ხმებიც ემატება – კივილი, გმინვა, დაჭრილი მხეცების ღრიალი, ტყვიამფრქვევის კაკანი, ლი ენფილდის გასროლა, ქვებზე ასხლეტილი ექო. ბავშვის ხმა ყველა სხვა ხმას კვეთს და პირდაპირ რონისკენ მიემართება. ისიც გარბის, ეჭვი არ ეპარება, რომ მთელს სხეულზე ამ ბიჭუნას დედისა და დის სხეულის ნაწილები აქვს აკრული და, ამიტომ ბავშვის გადარჩენა მისი პირდაპირი მოვალეობაა. ვიღაც უცნობი კაცები მკლავებზე ეჭიდებიან და მის შეჩერებას ცდილობენ, კაპიტანი გეინბოროუ მთელი ხმით რაღაცას შებღავის, უშვერად იგინება. რა დროს რაზმია, ბავშვია ახლა მთავარი.

აი, ხედავს – დაბალ, დახვეულ ბუჩქშია გაჩხერილი, სულ რამდენიმე იარდზე იმ ადგილიდან, სადაც მისი ოჯახის წევრების ნაფლეთები ყრია. აფეთქებას ბუჩქი ძირფესვიანად ამოუგლეჯია, ბიჭუნა სიკვდილს ეკლიანმა ტოტებმა გადაარჩინა. როცა რონი მას ტანსაცმელს ხდის, რომ ეკლებიდან გამოიხსნას, თვალში ნაკაწრები ხვდება. შიშისა და სასოწარკვეთისგან სახეგაშავებული ბიჭი ისე ჩხავის, რომ მის მხსნელს ნამდვილად ისევ დააყრუებს. *სასწაულია, ამის დედაც, ნამდვილი სასწაული.* ფიქრობს რონი, და თან ბავშვის დაწყნარებას ცდილობს. ცდილობს როგორმე გააჩერებინოს შეუპოვარი, სლიპინა, ერთმანეთში გადაგრეხილი ხელ-ფეხი. ამ ახალ, ომისშემდგომ გაგანია ომში, ამდენ ქანცგაწყვეტილ, უსასოო, თავისი სახლებიდან აყრილ ადამიანს შორის ეს პატარა ბიჭი ცხოვრების აზრია, მომავლის იმედი, სასიცოცხლო ენერგია, და ყველაფერი ის, რაც ადამიანებს სჭირდებათ, რომ ამ ღვთისაგან მივიწყებულ უდაბნოში ყვავილი გაიშალოს. რონი დარწმუნებულია, რომ ამ წყეულ ომში სწორედ ამ წუთის, ამ ბავშვის, მისი მომავლის გამო იბრძვიან.

რონი იავარქმნილი გორაკიდან დაბლა მიაბიჯებს, გზისკენ, სადაც ისრაელის თავდასხმით თავზარდაცემული ლტოლვილები ჯერ კიდევ ირევიან, ბიჭი მთელი ძალით ჰყავს ჩაბღუჯული და გულზე მიკრული. მისი მზერა გაქვავებულ ქალს აწყდება: ხელი პატარა გოგონასთვის ჩაუჭიდია და გაყინული თვალებით დაჰყურებს გადაყირავებულ ურიკას, საიდანაც ქვაბები, ქაშანურის ჭურჭელი, და ოდესღაც ალბათ ფერადი, მტვრით დაფარული ქსოვილები გადმოყრილა. ალბათ მისი უძრაობა იყო, რის გამოც ის სხვებისგან გამოარჩია, ან ის, რომ ქალს გოგონა ჰყავდა და რონიმ იფიქრა, ის ბიჭუნას ნამდვილ დას შეუცვლიდა, რომლის სხეულის ნაფლეთებიც ახლა ფორმაზე ჰქონდა აკრული. მოგვიანებით, მიზეზებზე ის ხშირად დაფიქრდება, მაგრამ ზუსტ პასუხს ვერასოდეს იპოვის. ქალი შემზარავად კივის, როცა რონი ბავშვს აჩეჩებს. ალბათ რა საშინელი სანახავი არიან, ერთიანად სისხლით მოთხვრილები. რონი არაფრის ახსნას არ ცდილობს, არც ქალის დარწმუნებას, უბრალოდ ზურგს აქცევს და გარბის, უკან, მიწასთან გასწორებული გორაკისკენ, შორს ამ წყეული, საცოდავი არაბებისგან, და წყეული, საცოდავი ებრაელებისგან, და წყეული, საცოდავი პალესტინიდან. მორჩა, თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ახლა მისი ერთადერთი სურვილი სახლში დაბრუნებაა, თავის კატარინასთან, მისის კოლინსის ყველა კანონის დარღვევით გაყიდულ კვერცხებთან და თავის ძველ სამუშაოსთან, ბანკში.

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ

მიკოლაი ლოზინსკი (პოლონეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონელი ავტორი მიკოლაი ლოზინსკი დაიბადა 1980 წელს ვარშავაში. სწავლობდა სოციოლოგიას სორბონის უნივერსიტეტში. მისი ნაწარმოებები მრავალ ენაზეა ნათარგმნი. ლოზინსკის თხზულებათა შორისაა: „Reisefieber"[1] („მოგზაურობის ცხელება") (2006), „წიგნი" (2011) და მოკლე საბავშვო მოთხრობების კრებული „ზღაპრები იდასთვის". მიღებული აქვს კოშციელსკის ფონდის პრემია (2007), ჟურნალ „პოლიტიკას" პრემია კულტურულ სფეროში „Passport of Polityka" (2011) და იანის ბალტვილკის საერთაშორისო პრემია საბავშვო ლიტერატურაში. ლოზინსკი ცხოვრობს ვარშავაში მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად.

დოროტა ვოდეცკას საუბარი მიკოლაი ლოზინსკისთან

(„Gazeta Wyborcza", 2011 წელი)

დოროტა ვოდეცკა: თუ არსებობდა გარკვეული ნიშნები, რომ მწერალი გახდებოდით?

მიკოლაი ლოზინსკი: ამ სიტყვასთან პრობლემა მაქვს. თუკი ითქმელია, მირჩევნია ვთქვა, რომ ვარ სამი, მათ შორის, ერთი საბავშვო წიგნის ავტორი. მხოლოდ ერთხელ მითქვამს, რომ მწერალი ვარ.

– როდის?

– ქალაქის ერთ-ერთ უბანში სიჩქარის გადაჭარბებაზე პოლიციამ გამაჩერა. ჩემს მეგობართან ქალაქგარეთ მეჩქარებოდა. ამომიწერეს ჯარიმა და პლიუს 500 ზლოტი. მე უფრო მსუბუქი სასჯელი ვთხოვე. ისინი დაინტერესდნენ, რას ვსაქმიანობ. ეს არ იყო შესაფერისი დრო, იმის ახსნა დამეწყო, სოციოლოგი ვარ, ოგრამ პროფესიით არ ვმუშაობ-მეთქი და ასე შემდეგ. და ვთქი, რომ მწერალი ვარ.

– და მათ?

– ისინი დაინტერესდნენ, თუ რას ვწერდი და რაიმე ფულს თუ ვშოულობ ამით. მირჩიეს, უფრო მეტის საშოვრად კრიმინალური ან პორნოგრაფიული ნაწარმოებები მეწერა. მე მადლობა გადავუხადე კარგი რჩევისათვის, მათ კი განაცხადეს, რომ ემოქმედებს მხარდაჭერა სჭირდებათ. და ყველაფერი მხოლოდ კუის სწავლებით შემოიფარგლა.

– საყვარელი ნივთი თუ გაქვთ?

– დიახ. გასაღების ფორმის USB ფლეშ მეხსიერების ბარათი. საშობაოდ საცოლემ მაჩუქა და ჯიბით დამაქვს.

– ყოველთვის?

– ყოველთვის. ეს არის ჩემი გარე მეხსიერება. ერთხელ დავკარგე და პანიკაში ჩავვარდი. მთელ ბინაში ვეძებდი, ყველაფერი გადავაქოთ-გადავატრიალე. ბოლოს სხვა შარვალში ვიპოვე.

– რისი დამახსოვრება ღირს?

– არ ვიცი. მე ხშირად ვიხსენებ ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანებს. ლიცეუმში პოლონური ენის მასწავლებელს – ცეზარე გერონს. ისეთი მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა, რომ დავალებული თემის ნაცვლად გამოგონილ ისტორიებს მაწერინებდა. იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა. იმაზე ცოტათი უფროსი იყო, ვიდრე მე ვარ ახლა. მერე მოვიდა პოლონური ენის ახალი მასწავლებელი ქალი და ერთი კვირის შემდეგ განაცხადა, რომ სიმწიფის ატესტატზე მთელი კლასი შესანიშნავად ჩააბარებს გამოცდებს – ლოზინსკის გარდა. მართალიც იყო. მე სრულიად არ მეხერხებოდა თეორიული ნაშრომების წერა.

– კიდევ ვინ გახსენდებათ?

– უნივერსიტეტის პროფესორი. მას ერქვა საულ კარში. მისი მოთხოვნით დაწერილი ნაშრომი ერთ გვერდზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ანუ მხოლოდ ის, რაც აუცილებელია, არც ერთი ზედმეტი სიტყვა. ეს იყო ჩემთვის წერის სკოლა. თანდათან ვისწავლე, რომ ნაკლები ლაპარაკით მეტის თქმა შეიძლება. ამიტომ „Reisefieber"-იდან 70 გვერდი, „წიგნი"-დან კი

---

[1] Reisefieber – (გერ.) მოგზაურობის ცხელება

საქართველოს, ... ეროვნული ...

რამდენიმე თავი ამოვაგდე. პროფესორ კარშს პირველად მაშინ დაველაპარაკე, როდესაც გადავწყვიტე სწავლისთვის თავი დამენებებინა. მივედი მასთან. „დაჯექი, რა მოხდაო?“ „სასულელეა ამის თქმა, რადგან თქვენ წამყვანი ლექტორი ხართ, მაგრამ მე, მართალი გითხრათ, სოციოლოგია არ მაინტერესებს“. მან შემომხედა და მცირე ხნის შემდეგ მითხრა: „არც მე მაინტერესებს“. მეორე საუბარი ორი წლის შემდეგ შედგა. ჩვენ ვიცოდით, რომ პენსიაზე გასვლამდე ეს მისი ბოლო ლექცია იყო. მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამს. როგორც ყოველთვის, ნივთები ჩაალაგა და პირველი გამოვარდა აუდიტორიიდან. მე სორბონიდან გამოვედი და შევნიშნე, თუ როგორ სეირნობდა შადრევნის გარშემო. მივედი და ვუთხარი, რომ მადლობას ვუხდი, რადგან ეს ჩემი საყვარელი ლექციები იყო. მან შემომხედა და თქვა: „ჩემიც, ასევე“.

უნივერსიტეტში დარჩენას ორმეტრიანი ტუნისელი მომოც მირჩევდა, რომელთან ერთადაც არდადეგების დროს უზარმაზარ საბითუმო ფოტოსაწყობში ვმუშაობდი. იგი უნივერსიტეტში სწავლაზე ოცნებობდა, მაგრამ საამისოდ არც დრო ჰქონდა და არც ფული. ყველაფერს, რასაც იშოვიდა, ტუნისში ოჯახს უგზავნიდა. მე კი მარიგებდა: „დაამთავრე უნივერსიტეტი, მეფე გახდები“

– თქვენ ფოტოგრაფობაზე ოცნებობდით?

– დიახ. ეს პროფესია ძალიან მომწონდა. მქონდა ბედნიერება, შემთხვევით შევხვედროდი ანრი კარტიე-ბრესონს და ვიფიქრე, ეს იმის ნიშანია, რომ ფოტოგრაფი გავხდები მეთქი.

– დაელაპარაკეთ?

– ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვარშავაში, ლიცეუმში ვსწავლობდი, ორი დღით პარიზში ჩავედი ჩემს საცოლესთან ერთად და ფოტოგამოფენაზე წავედით. შემოსასვლელში, ფოტოალბომების უზარმაზარ სტენდებთან, დავინახე ბრესონი, ჩემი საყვარელი ფოტოგრაფი. მაშინ 90 წლის იყო. მშვენივრად გამოიყურებოდა: ელეგანტური ლურჯი პიჯაკი ეცვა, ლურჯი ყელსახვევი ეკეთა, სპილენძის ჯოხი ეჭირა და ჭრელი ფეხსაცმლები – Nike Air-ის ბოლო მოდელი ეცვა. ნელ-ნელა გასასვლელისკენ მიემართებოდა. მე მრცხვენოდა მასთან მისვლა, რადგან ვიცოდი, რომ ბრესონი ზოგჯერ ჟურნალისტებს ქედმაღლურად უყურებდა; და რომ მეუღლის გარდა არავის რთავდა ფოტო გადაღების ნებას. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და დამტვრეული ფრანგულით ვუთხარი: მე პოლონეთიდან ჩამოვედი, თქვენ ჩემი საყვარელი ფოტოგრაფი ხართ-მეთქი. მან ხელი ჩაიქნია და მკითხა: „პოლონეთიდან? შენ იცი, რომ ცოტა ვსაუბრობ პოლონურად? „ხუი, პიერდოლე, კურვა მაჩ“ – მითხრა და ჯოხით მინაზე დააკაკუნა. აღმოჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა, სადაც დაუმეგობრდა პოლონელს, რომელიც გაუთავებლად ამას იმეორებდა.

მე ვკითხე, შეიძლება თუ არა ვთხოვო ავტოგრაფი, მაგრამ მხოლოდ დაჭმუჭნილი ქაღალდი ვიპოვე, კალამი არ მქონდა. ამ დროს მან შეამჩნია, რომ ფოტოაპარატი მაქვს, და მკითხა, ხომ არ ვისურვებდი, სურათი გადამეღო. მით უმეტეს, მშვენიერი წითელი აგურების ფონზე. ის კედელთან დადგა და ორი სურათი გადავუღე. მერე ხელი ჩამომართვა და წავიდა. მე ვერ დავიჯერე, რაც მოხდა. ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში, ფოტო ალბომების სტენდების კურატორმა მოძებნა და მითხრა: „ცხოვრების ბოლომდე კარგად დაიმახსოვრე ეს დღე, იმიტომ, რომ თუ ოდესმე ვინმე ბრესონს სურათს უღებს, ის, როგორც წესი, დანას იძრობს“.

– ასტრიდიც ნიშანი აღმოჩნდა?

– სიმწიფის ატესტატის აღების შემდეგ, მე საფრანგეთში გავემგზავრე, საცოლესთან. პირველი ერთად ნაქირავები ბინა სწორედ ასტრიდმა მოგვაქირავა. შვედმა ქალბატონმა, რომელიც წლების განმავლობაში პარიზში ცხოვრობდა, ეს ბინა იაფად მოგვაქირავა, გირაოს გარეშე. გვთხოვა მხოლოდ, რომ მცენარეებიისთვის მიგვეხედა. მე ცოტა დაბნეული ვიყავი. ახალი ქვეყანა, ახალი ენა. და ვფიქრობდი, რომ ეს მანაც იგრძნო. ხშირად გვირეკავდა. დროგამოშვებით გვნახულობდა. ძალიან გახსნილი, თბილი და გონებამახვილი ქალი იყო.

ჩვენი საუბრების ერთადერთი სამწუხარო ლაიტმოტივი მისი შვილი იყო, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა ამქვეყანად. მარტომ გაზარდა. მაგრამ გვითხრა, რომ უკვე 6 წელია მისი ტელეფონის ნომერიც არ იცის. ერთხელ გავბედე და ვკითხე, როგორ მოხდა, რომ ერთმანეთი დაკარგეს. მან მიამბო, რომ შვილი მის მიმართ სასტიკი იყო, რომ შვილის აზრით, ყველაფერს, რასაც იგი აკეთებდა, არასწორად აკეთებდა. ერთი წლის შემდეგ ეს ქალბატონი გარდაიცვალა. ერთი კვირის თავზე სატელეფონო ზარი გაისმა – მისმა შვილმა დარეკა. გვითხრა, რომ გასაღების გამოსართმევად გამოგვივლის. ჩვენ მონსტრს ველოდებოდით. მაგრამ მოვიდა ტკბილი, გულისხმიერი მამაკაცი. ამან დამარეტიანა: ორი ადამიანი, რომლებსაც ასე ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, რატომ ვერ პოულობდნენ საერთო ენას? მე ავიღე A4 ფორმატის ფურცელი და ყველაფერი ჩავიწერე, რაც მათ შესახებ ვიცოდი. სამი სტრიქონი. და მივხვდი, რომ არაფერი ვიცი მათ შესახებ. მე მხოლოდ მოთხრობის ჩარჩო მქონდა. მაგრამ ვეღარ შევწყვიტე ამაზე ფიქრი. მახსოვს, რომ ერთი წლის შემდეგ უნივერსიტეტიდან მეტროთი ვბრუნდებოდი და თავში ასეთი წინადადება მომივიდა: "ეს ქალი ყოველთვის ფანქრით წერდა“. სახლში კომპიუტერს მივუჯექი და ორი გვერდი დავწერე. გამიხარდა კიდეც, რომ ასე სწრაფად წამივიდა, მაგრამ მერე უკვე ბევრად უფრო ნელა ვაგრძელებდი თითო-თითო წინადადებას, და ბოლოს, თითო-თითო სიტყვას. სამი წლის შემდეგ „Reisefieber“ დავასრულე. ასე თუ ისე გავუმკლავდი ამ ისტორიას, მაგრამ ხშირად ვფიქრობ, მისი შვილი ამას როგორ მოახერხებს. მას მხოლოდ ერთხელ შევხვედრივარ, როდესაც ბინის გასაღებს ვუბრუნებდით. მან გვიამბო, რომ ყოველდღე დილის 4 საათზე იღვიძებს და დედას იგონებს. ბინის დაცლის

შემდეგ, თავად უნდოდა რემონტის გაკეთება, გვითხრა, რომ ფიზიკური შრომა მოუხდება. მაგრამ, ეტყობა, ეს ასე არ მოხდა.

– რატომ?

– რამდენიმე წლის შემდეგ, ჩვენ იმ ქუჩაზე ვსეირნობდით. სახლის ჭიშკარზე ძველი კოდი ავკრიფე. გაიღო. ეზოდან შეიძლებოდა ჩვენი ყოფილი ბინის დანახვა. ტახტი ზუსტად იმავე ადგილას იდგა, როგორც წინათ, მაგიდა ერთი სანტიმენტრითაც არ გადადგმულა, არ შეღებილა ბზარები ჭერზე. და მე მივხვდი, რომ იმ ბინაში მას ხელი არაფრისათვის არ უხლია.

– როდესაც წერდით, გმირები უკვე წარმოსახული გყავდათ?

– ასტრიდი, როგორც ლივ ულმანი, ისე მყავდა წარმოსახული. მე მაქვს ცოტა გიჟური ოცნება. მინდა ვკითხო, თუ დაინტერესდებოდა „Reisefieber"-ის ეკრანიზაციით და დედის როლით.

– „Reisefieber" მეორედ გამოიცა, რომელშიც ცვლილებებია შესული. მკითხველს შეიძლება გარკვეული პრეტენზიები ჰქონდეს.

– ექვსი წლის შემდეგ „Reisefieber" ერთგვარი დისტანცირებით წავიკითხე. მცირე სტილისტური შეცდომები და მთავარი შეცდომა აღმოვაჩინე, რომელიც ადრე სამწუხაროდ, არ შემიმჩნევია. იქნებ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, მე მივხვდი, რომ დასასრული ჩასასწორებელია.

– მწერალს აქვს უფლება შეცვალოს ფაბულა, თუ წიგნი უკვე მკითხველს მიანდო?

– არ ვიცი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ სწორედ მკითხველისადმი პატივისცემიდან გამომდინარე, და წიგნის სასიკეთოდ უნდა ჩამესწორებინა დასასრული.

როდესაც „წიგნი" იწერებოდა, გინდოდათ თავი დაგეცვათ დანიელის ბედისგან, რომელსაც დედამისის გარდაცვალების შემდეგ არ შემორჩა მისი მნიშვნელოვანი ნივთები.

– „წიგნი" ეს არის ჩემი ოჯახის ამბით შთაგონებული ფიქცია. მე ვფიქრობ, რომ ყველა ამქვეყნად მოდის მშობლების და ბაბუა-ბებიების გამოცდილების ბარგით, მერე კი საკუთარ გამოცდილებას იძენს. და ბარგი უფრო და უფრო მძიმდება. მე გადავწყვიტე შემესწავალა, ამ ბარგში რა დევს, და თუ არის რაიმე ისეთი, რისი ამოღებაც შეიძლება, რაც შეამსუბუქებს ამ გზაზე სიარულს.

მე შევეცადე, პატარა ისტორია ფაქიზად ჩამესვა უფრო დიდ ისტორიაში: ომში, კომუნიზმში, 1968 წლის მარტის სამხედრო მდგომარეობაში. ამავე დროს, შევეცადე, პერსონაჟების ცხოვრებისეული არჩევანის მიმართ თანაგრძნობასა და გაგებას, ჩემთვის მზერის სიმახვილე არ დაეჩრდილა. ბებიაჩემის და ბაბუაჩემის, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე კომუნისტებად დარჩნენ, ცხოვრებით შთაგონებული ისტორიის ყველაზე რთულ ნაწილს ერთი წლის განმავლობაში ვწერდი.

– და როგორ დაგამახსოვრდათ ისინი?

– ბაბუაჩემი ყოველთვის სამხედრო ფორმას ატარებდა. როდესაც მასთან მივდიოდი, ხელკავს გამომდებდა, დამკოცნიდა და სიყვარულს მეფიცებოდა. მერე საბჭოთა შამპანიურს გახსნიდა, ქაღალდის ტომრიდან კანფეტებით მიმასპინძლებდა, და ხეზე მჯდარი ჩიტებისთვის პისტოლეტიდან მასროლინებდა. ბებიაჩემი იმავე სართულზე ცხოვრობდა, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. მახსოვს, მე და ბებია სეირნობიდან როგორ ვბრუნდებოდით და კიბის ბაქანზე ბაბუას გვერდს როგორ ავუვლიდით ხოლმე. იგი უსიტყვოდ გაივლიდა, თავს მოაჩვენებდა, თითქოს არც გვიცნობდა. მეორე დღეს კი, როდესაც მასთან მივიდოდი, მე კვლავ მისი საყვარელი შვილიშვილი ვიყავი. ამას რაღაც საკვანძო ეტაპები ჩვეულებრივ რამედ აღვიქვამდი. მხოლოდ „წიგნის" წყალობით მოვახერხე მივბრუნებოდი ზოგიერთ საკითხს და მისი გაგება მეცადა.

– წერას თერაპიული ხასიათი აქვს?

– არ ვიცი, მაგრამ „წიგნზე" ფიქრი უსინათლო ფსიქოთერაპევტის წყალობით დავიწყე, რომელთანაც სწავლის დროს კვირაში ერთხელ ვმუშაობდი. ხმამაღლა ვუკითხავდი, მის მაგივრად წერილებს ვწერდი, ერთად საყიდლებზე დავდიოდით. მახსოვს, პირველივე დღეს ამიხსნა, რაში მდგომარეობდა ჩემი სამუშაო და მხოლოდ ერთი შეკითხვა დამისვა.

– რა აინტერესებდა?

– ჩემი ოჯახის ისტორია. ასე რომ, შევეცადე, რაიმე პასუხი გამეცა: ბებია, ბაბუა, ომი, ებრაელები, კომუნიზმი, მშობლები, ოპოზიცია, „სოლიდარობა". როდესაც ერთი კვირის შემდეგ მივედი, იგივე კითხვა დამისვა. შემდეგ ჯერზეც იგივე. და ასე გრძელდებოდა 5 კვირის განმავლობაში. მეექვსედ უკვე მზად ვიყავი, იგივე პასუხი გამეცა, მაგრამ ეს კითხვა უკვე აღარ დაუსვამს. მე კი იმ დროიდან ოჯახზე ფიქრი მომდევს. ის ძალიან ჭკვიანი ქალია. ვფიქრობ, რომ ზუსტად ამ მიზნის მიღწევას ცდილობდა.

– საკუთარი გვარის წნეხს არ განიცდიდით?

– როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, მქონდა იმის პრობლემა, რომ მამაჩემი ცნობილი ადამიანია. 2006 წელს, „Reisefieber"-ის გამოცემისას, მოვილაპარაკე გამომცემელთან, არ ეხსენებინა, რომ მარსელ ლოზინსკის შვილი ვარ.

– საიდან ეს წინააღდეგობა ლოზინსკისადმი?

– უბრალოდ ვერ ვხედავ რაიმე დამსახურებას იმაში, რომ მამაჩემის შვილი ვარ. მე მინდოდა, რომ ეს მხოლოდ ჩემი წიგნი ყოფილიყო. მხოლოდ ჩემი თავის წინაშე მქონოდა დამსახურება.

– წერის დროს შემოქმედებითი Reisefieber გაქვთ?

– ალბათ ასეა, თუმცა, ჩემი წერა საოცარი არ არის. მე გიჟური ტემპით არ ვწერ. მე ძალიან ნელა ვწერ. „Reisefieber"-ს სამი წელიწადი მოვანდომე, „წიგნს" თითქმის ხუთი. ნაკლები იდეები მომდის და უამრავი ეჭვი. კომპიუტერთან ჯდომისას იშვიათად გამომდის რაიმე და ხშირად ელექტრონულ ფოსტას ვამოწმებ.

– ბოლო დროს პოლონეთში რა გახარებთ და რა გაწუხებთ?

– ადამიანები.

პოლონურიდან თარგმა რაჟდენ ჩიხორიამ

გასაღებები

მიკოლაი ლოზინსკი

1.

როდესაც პაპაჩემი, გასაღებით ხელში, ქუჩაში, თავის წითელი ფერის „ლადა“ მარკის ავტომობილთან დაეცა და მოკვდა, ეს ყველაფერი ბებიამ ფანჯრიდან დაინახა. ნანახში დასარწმუნებლად სამზარეულოს ფანჯარასთან მივიდა და შემდეგ ოთახში დაბრუნდა, დაჯდა დაბალ სკამზე, სათვალე გამოიცვალა და ტელეფონის ნომერი აკრიფა.

– ძვირფასო – ზუსტად ასე მიმართა ჩემს უფროს ძმას. – შენთან რა ხდება? ბინაში ხომ არ ცივა? იცი, პაპაშენთან რაღაც ყველაფერი წესრიგში ვერაა. ათ წუთზე მეტია, სახლის წინ წევს და არ ინძრევა. იქნებ მოსულიყავი?

ზევიდან უყურებდა, უცხო ადამიანები როგორ იხრებოდნენ ყოფილი ქმრის ცხედარზე. ათოვდა მის სამხედრო ფორმასა და ორდენებს. ტყავის ჩანთა იღლიდან გავარდნოდა და ძირს დაცემისას გახსნილიყო. როგორც ჩანს, მასში ქილა იდო, რადგან მურაბის წვენი ტროტუარზე იღვენთებოდა.

მათი ცოლ-ქმრობა ოცდაათ წელს ითვლიდა.

ცხედართან ხალხი თანდათან გროვდებოდა. რაღაც ნაჭერიც გადააფარეს. ვიღაცამ თითი პირველი სართულისაკენ, პაპას ჭუჭყიანი ფანჯრისაკენ გაიშვირა. ბებიამ ინსტინქტურად გადადგა ნაბიჯი ოთახის შუაგულისკენ.

2.

დედაჩემმა პაპას ჩანთიდან გასაღებები ამოიღო. ისინი რძის ცხიმიან პარკში იყო შეხვეული – ზოგი სლიპინა, ზოგი დაჟანგული და ზოგიც გატეხილი.

ათობით გასაღები.

რატომ კეტავდა ყველა ოთახს, კარადას, უჯრას? ახლა როგორ უნდა გაგვეღო? სათითაო გასაღებით უნდა გვეცადა ბინის, ავეჯის, ავტოფარეხის, სარდაფის და ჯერაც დაუსრულებელი სახლის გაღება? წლობით ხატავდა და რუკაზე გვიჩვენებდა, თუ სად რა უნდა ყოფილიყო. სახლს ოჯახისათვის აშენებდა, რომელიც უკვე დიდი ხანია, აღარ ჰქონდა.

რა უნდა გვექნა ფუტკრებისათვის, რომლებიც იქ დარჩნენ?

– ბუზები – ამბობდა მათზე ტელეფონში, დარწმუნებული იმაში, რომ უსმენდნენ. – ბუზები ხეებზე გამექცნენ.

ისევ რაღაცის ეშინოდა? და თან არც ის იცოდა, თუ რატომ გაექცნენ ფუტკრები სკიდან – ხეზე.

ქალს ახსოვდა, როგორ დაურეკა ყოფილმა ქმარმა 1968 წელს. მას სურდა ეთქვა, რომ მისმა დამ განცხადება შეიტანა პოლონეთის დატოვებაზე.

– მას ი.-ში[1] უნდა წასვლა! – ყვიროდა.

– სად?

– ი.-ში, როგორც ირინა.

3.

სასწრაფო დახმარების მანქანა გაჩერდა და სიგნალი გამორთო. ხალხმა გასავლელი გაათავისუფლა. ექიმი მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, ფეხი დაუცურდა, თუმცა არ წაქცეულა. ბებია ხედავდა, როგორ დაიხარა იგი ცხედართან და მცირე ხნით მთლიანად დაფარა.

ბოლოს მას რემონტისა და განქორწინების შემდეგ დაელაპარაკა. თითქმის ოცი წლის წინ. მაშინ მისცა პაპამ ყოფილ ცოლს გასაღები.

– გმადლობთ – უთხრა ქალმა.

[1] იგულისხმება ისრაელი. ეს ის პერიოდია, როდესაც პოლონეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობა დაიძაბა და პოლონეთში მცხოვრები მრავალი ებრაელი გაეშურა ისრაელში საცხოვრებლად. მთარგ.

ასე არასწორად, უსამართლოდ გაიყვეს საცხოვრებელი. მადლიერი ვერ დარჩებოდა. იმავე დღეს გამოცვალა საკეტი ყველა კარში. მას შემდეგ ქალი თავის ბინაში ჩაიკეტა, კაცი – თავისაში.

ბებია მალულად იყურებოდა ფანჯარაში, რათა რაღაც დაენახა.

ქალი ყოველივე ამის შემდეგ მხოლოდ კედელს იქით უსმენდა, თუ როგორ ლაპარაკობდა ტელეფონზე, როგორ რთავდა ტელევიზორს, როგორ სტუმრობდნენ ქალები. ქუჩაში თუ სადარბაზოში უხმოდ ჩაუვლიდნენ ხოლმე ერთმანეთს, ზედაც არ შეხედავდნენ. ბოლოს ეს დღეს დილით მოხდა, როდესაც ქალი სეირნობიდან ბრუნდებოდა საერთო უმცროს შვილიშვილთან ერთად.

ექიმმა პულსი გაუსინჯა. შემდეგ თვალები დაუხუჭა.

4.

მეექვსე აცმის გასაღებები მოერგო სახლის სხვადასხვა კარს. ახლა დედას უკვე შეეძლო მამამისის ბინაში შესვლა. კარისთვის მხოლოდ პატარა ხელისკვრა იყო საჭირო.

ქალმა წარმოიდგინა, რომ კაცი შუა ოთახში სავარძელში იჯდა და ქანაობდა. ჩაის სვამდა და კოვზი ჭიქაში ჩაეტოვებინა. გაოფლიანებულ შუბლს მწვანე სამხედრო ფორმის სახელოთი იწმენდდა. ხედავს მას და რუხი ფერის მუყაოს პარკს უწვდის.

ასაწონი კანფეტები.

იქნებ ვერ შენიშნა შვილის ოთახში შესვლა? როგორც სჩვეოდა, ორ ტელევიზორს ერთდროულად უყურებდა. ქვედა ტელევიზორში ნაშუადღევის ხუთი საათი ხდებოდა, ზედაში – თითქმის შვიდი. ქვედა, შავ-თეთრში ხალხი პოლონურად ლაპარაკობდა რაღაცაზე, ზედაში – რუსულად საუბრობდნენ. ძნელი იყო რაიმეს გაგება, რადგან სამზარეულოდან სხვა ტელევიზორის ხმაც გამოდიოდა.

კედელზე მისი ნადავლი ეკიდა.

ჭერამდე ყველგან რქები იყო ჩამოკიდებული – ტყეში ავტომობილით ნადირობების ნაკვალევი. კარაბინით უყვარდა სროლა, მინაჩაწეული ფანჯრიდან, ირემსა და შველზე. თუ მიზანში მოარტყამდა, მძღოლი „პობედას“ გააჩერებდა, ის კი გადმოვიდოდა და რევოლვერით სულს გააფრთხობინებდა უმწეო ცხოველს.

ორი წლის წინ მძღოლმა უკანა სარკეში დაინახა, რომ ის უკანა სკამზე უგონოდ იწვა. სადგურში მიდიოდნენ მისი დანიშნულის, მოსკოველი ექიმის დასახვედრად. დედაჩემს ის არასოდეს გაუცვნია. გონზე ერთი დღე-ღამის შემდეგ მოვიდა, სამხედრო ჰოსპიტალში. მას შემდეგ სრულიად შეიცვალა. დედას და მის დას სულ ბოზიშვილებს ეძახდა.

მას აქეთ აქ არ ვყოფილვარ, – გაიფიქრა.

5.

ღია ფანჯარასთან მჯდარ ბებიას შესცივდა. მხოლოდ პერანგი და მოკლესახელოიანი ჯემპრი ეცვა. რაღაც თბილის – ვარდისფერი, ღილებიანი სვიტერის მოსასხამად წავიდა.

ამ დროს გვამს მსუბუქი გადასაფარებელი გადააფარეს.

ომის შემდეგ ყველაფერს გაუარესება ეტყობოდა.

სამშობლოში, მამასთან, ქვის სახლში, ვარშავის დანგრევას გადარჩენილ, ვისლის მარცხენა მხარეს დავბრუნდით. ის რკინიგზის სადგურში გველოდებოდა, თოკგამობმული გერმანული ნაგაზის თანხლებით. ნაგაზის სახელი უკრაინულად ნაკლებად ჟღერადით შეეცვალა. გერმანელ პატიმრებს დაკლაკნილი კიბეებით შეჰქონდათ წითელი კაბინეტი, მუხის მაგიდა, მოოქროვილი კარადა, სარკე, საწოლები, სავარძლები. თავზე ვადექი, რომ არაფერი დაეზიანებინათ, არაფერი მოეპარათ.

პირველად უნდა გვეცხოვრა ერთად: მე, მას და ჩვენს ექვსი წლის გოგონას.

უკრაინიდან მშობლებიც ჩამოიყვანა. ჩამოვიდნენ და ძროხაც თან ჩამოიყვანეს. საქონელი მისი სამსახურის „ოპელის“ გვერდით მიაბეს.

როდესაც მამასთან ჭადრაკს წააგებდა, ფიგურებს ისროდა და მთელ ბინაში უნდა მეძებნა ეს ფიგურები, მაგრამ ყველაზე ხმამაღლა დედასთან ჩხუბობდა: რაც ხელში მოხვდებოდათ, ერთმანეთს ესროდნენ. გარეგნულადაც ერთმანეთს ჰგავდნენ, – მაღლები, მსხვილძვლიანები, ზაფხულში მზისგან გარუჯულები.

შემდეგ მეორე ქალიშვილი დაიბადა. ელეგანტურ ქუჩაზე გადავსახლდით, ხოლო მამის მშობლები ძროხასთან ერთად თავის სოფელში დაბრუნდნენ.

ვერ მივხვდარიყავი, თუ რატომ არ იღებდნენ გვამს. ექიმი მას თავზე ადგა და პაპიროსს ეწეოდა.

6.

დედამ ჯერ გაზეთები დაინახა. ყველგან ეყარა. პირველ გვერდზე ერთი წლის წინანდელ ცნობას და ფეხსაცმლის კვალს უყურებდა, რომელიც კაცს მასზე დაეტოვებინა. მთელ ბინაში „პრავდის“ ნომრები ეყარა. რუსულად სულ ბოლოს ინსტიტუტში სწავლისას უწევდა კითხვა.

– ინჟინერ-მექანიკოსი, მაგისტრი, ჩემი ქალიშვილი – მაშინ ყველასთან ასე წარმადგენდა ხოლმე. ეს კი ჩემი სიძეა, ჩვენთან მობრძანდა, კინომცოდნეობის სკოლის პირველი კურსის სტუდენტი, თუმცა ადრე ასევე ინჟინერ-ელექტრიკოსი, მაგისტრი.

მათ ეუცნაურებოდათ, თუ როგორი ამაყი იყო ამ ტიტ-ულებით. თავად მოსკოვში გენერალური შტაბის აკადემია ჰქონდა დამთავრებული. მის გარდა არაფერი, საშუალო სკო-ლაშიც კი არ უვლია.

მაგრამ განა სხვა ვინმე ყოფილა ჩემით ისეთი ამაყი, რო-გორც მამაჩემი?

როდესაც დიპლომი ფრიადზე დავიცავი ლითონტექნო-ლოგიაში, მძღოლთან ერთად დაბლა მიცდიდა. ქორწილშიც კი არ მოურთმევიათ ამდენი წითელი ვარდი.

ჩავჯექი „პობედაში“ და საჩუქრის საყიდლად წავედით.

– ბატონი პოლკოვნიკისათვის? – შეეკითხა გამყიდველი დიდი ტანსაცმლის მაღაზიაში.

– აბრეშუმის თეთრი ბლუზა – უთხრა. – ვარშავის პო-ლიტექნიკური ინსტიტუტის ახლადასრულებული ინჟინერ-მექანიკოსი, მაგისტრი. ჩემი ქალიშვილისათვის.

– რა ზომა?

– ასეთი, – ხელით აჩვენა ჰაერში, შემდეგ გაიღიმა და გამყიდველს თვალი ჩაუკრა. – თქვენ რომ კარგად მოგივათ.

არადა, მე, მაგისტრი, ინჟინერ-მექანიკოსი იქვე, მის გვერ-დით ვიდექი.

7.

პაპიროსის ბოლი პირველ სართულამდე აღწევდა და ბე-ბიამ ჰაერის უკმარისობა იგრძნო.

ეს ლამაზი, დიდი ბინა მთელ ქუჩაზე ერთადერთი ავტო-ფარეხით, ბედერმეროვსკის ავეჯით გაგვიწყო. ფეხზე მდგომი საათი და სურათები ლიფტში შეეტია. ფორტეპიანო ჯარისკაცებმა ფრთხილად ასწიეს თოკებით და ძლივს გადაი-ტანეს აივანზე.

ექიმს ნამწვი გადასაფარებელზე დაუვარდა. უყურებდა, როგორ დაიხარა, აიღო და თოვლში ჩააქრო.

სამსახურში გვიანობამდე რჩებოდა. აჯახუნებდა კარს, როდესაც ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროდან, ხოლო შემდეგ სამთავრობო დაცვის დეპარტამენტიდან ბრუნდებო-და. შემთხვევა არ ყოფილა, კარი ისე დაეკეტა, რომ ყველანი არ გაველვიძებინეთ. სიბნელეში სამხედრო ჩექმების გასახდე-ლად მის მიერვე მოგონილ, ლითონის ოთხი ფეხისაგან შემდ-გარ კონსტრუქციას ეძებდა. სად გადააშენებთ ხოლმე?

უკვე ბნელოდა, მაგრამ დედა სინათლეს არ რთავდა. ფა-ნარსაც მცირე ხნით ანთებდა.

დედა ჩხუბის დროს თითქმის არასოდეს ხმას არ აუწევდა. თეფშს მხოლოდ სასადილო ოთახის კუთხეში ისროდა, რათა შემდეგ ადვილი ყოფილიყო იატაკის დაგვა. შვებულება მხ-ოლოდ ერთხელ გავატარეთ ერთად – ზღვაზე. შემდეგ სულ ცალ-ცალკე ვისვენებდით. ის უფრო ხშირად ჩეხოსლოვაკია-ში, კარლოვი ვარის სანატორიუმში. იქიდან „ბატას“ ფეხსაც-მელი და ქალის ფეხსაცმლით სავსე ჩემოდანი ჩამოჰქონდა.

რაც უფრო მეტ ფეხსაცმელს იღებდა, დედას ის მით უფრო ეჯავრებოდა.

8.

დედამ ძველი გაზეთები ერთად შეკრა. გაიხსენა, მამამისმა როგორ ჩააბარა გამოცდე-ბი. ცხენიდან ჩამოვარდნის შემდეგ მთელი თვე სახლში, თაბაშირში იწვა. ირგვლივ სულ წიგნები ჰქონდა გროვად. მუდამ ოცნებობდა სკოლის დამთავრებაზე. დედა იძულებული იყო, მისთვის ეს თავიდან ამოეგდო.

– ნაცნობები რას იტყვიან? გენერალური შტაბის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრე-ბული საშუალო სკოლაში იწყებს სიარულსო? ან ჯერ იქნებ დაწყებითი დაგემთავრებინა?!

უყვარდა ქალიშვილებისათვის სწავლა-ში დახმარება. მეხუთე კლასში მათემატიკის მაგალითებს გვახსნევინებდა, ხშირად გაკვე-თილების შემდეგ ვურეკავდი სახელმწიფო უშიშ-როების სამინისტროში. თანამშრომელ ოფი-ცრებთან ერთად გამოიყვანდა ამ მაგალითებს და პასუხს ტელეფონითვე მკარნახობდა.

დედა საბჭოთა წიგნის მაღაზიაში მიჰყავ-და ხოლმე. ყველაფერს ყიდულობდა, რაც კი მოეწონებოდა.

ახლა კი დედა იატაკიდან აგროვებდა დაჩვრეტილ კონსერვის ყუთებს. საინტერესოა, ყუთის გამხსნელ ხელსაწყოს რატომ არ იყენ-ებდა? ხიშტით რატომ ხსნიდა მათ? თანაც ისე, რომ ხიშტს კარაბინსაც არ აძრობდა. დედა ჯაგრისის ტარით სწვდებოდა საწოლისა და რადიატორის ქვეშ შეყრილ დაობებულ კონ-სერვის ყუთებს.

– ვიდრე სადილს არ დაამთავრებ, მაგიდი-დან არ ადგები – ეუბნებოდა.

საათობით შეეძლო ასე ჯდომა. დამ-ლაგებელს ავალებდა, რომ მასზე თვალი დაეჭირა. ერთხელ გავექეცი და ხეზე ავძვერი.

საერთო, ოჯახურ საუზმეს პირველი მხო-ლოდ კვირას ვამთავრებდი. იძულებული ვიყა-ვი, ყველაზე ადრე მიმერთვა მისი საყვარელი ქაშაყი არაჟანში.

– სად გეჩქარება? კუჭი ხომ არ აგეშალა?

მინდოდა, საუზმე დამემთავრებინა და ეზოში გავქცეულიყავი, ვიდრე მამა რაიმეზე ჩხუბს წამოიწყებდა. მინდოდა ყინულზე სრი-ალი დამეწყო, ვიდრე დედა წყნარად ეტყოდა: უნდა იმკურნალო, შენ ხომ არანორმალური ხარ. მინდოდა ფრენბურთის თამაში დამეწყო, ვიდრე ბინაში თეფშები და ჯამები დაიწყებდ-ნენ ფრენას.

პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა

კეროლინ ფორშე (აშშ)



პოეტი, მემუარების ავტორი და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი. იგი არის ორი ბესტსელერი პოეტური ანთოლოგიის: „მივიწყების საპირისპიროდ“ და „პოეზიის მოწმე: ინგლისური ტრადიცია 1500-2001“ რედაქტორი. ავტორია პოეტური კრებულებისა: „შეკრებები და ტომები“, „ქვეყანა ჩვენს შორის“, „ისტორიის ანგელოზი“ და „ლურჯი საათი“. კეროლინი ხშირად იყო ნომინირებული სხვადასხვა ჯილდოზე და მიღებული აქვს მრავალი პრემია, მათ შორის: სტოკჰოლმში ედიტა და ირა მორისების ჰიროშიმას ფონდის პრემია მშვიდობისთვის, გუგენჰაიმის სტიპენდია, ლანანის უნივერსიტეტის სტიპენდია, ლანანის ლიტერატურული სტიპენდია და სულ ბოლოს, 2014 წელს, ამერიკის პოეზიის აკადემიის სტიპენდია პოეზიაში. კეროლინი ორმოც წელზე მეტია ლიტერატურასა და წერას ასწავლის, ასევე კითხულობს საკუთარ პოეზიას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მისი ნაწარმოებები ოცდახუთზე მეტ ენაზეა ნათარგმნი. კეროლინ ფორშე არის ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც იგი ასევე ხელმძღვანელობს პოეზიისა და სოციალური პრაქტიკის ლანანის ცენტრს.

ინტერვიუ კეროლინ ფორშესთან

ესაუბრა ბილ მოიერზი

მოიერზი: „ქვეყანა ჩვენ შორის“. რომელ ქვეყანას გულისხმობთ?

ფორშე: რთული სათქმელია, რადგან ამ წიგნზე მუშაობისას ადამიანთა უფლებათა დაცვის აქტივისტად ვმუშაობდი ცენტრალურ ამერიკაში და ეს ლექსები ჩემდაუნებურად იმისგან მკვეთრად განხვავებული გამოდგა, რასაც მანამდე ვწერდი. ეს კვლავაც პირველი პირით, თავისუფალი წყობით დაწერილი ნარატიული ლექსებია, მაგრამ რეალურად მანამ ვერ გავაცნობიერე, თუ რაოდენ შემცვალა სალვადორში ცხოვრებამ, ვიდრე ეს ცვლილება ამ ახალმა ლექსებმა არ დამანახა. ქვეყანა ჩვენ შორის ალბათ ის მანძილია, ერთ პიროვნებას მეორისაგან რომ აშორებს, და ის დრო, რაც ერთი ადამიანის ხმას მეორე ადამიანის ყურამდე მისაღწევად ესაჭიროება. ამ სახელწოდებით ალბათ სალვადორისადმი ჩემი მადლიერებაც გამოვხატე: ამ ქვეყანასთან ჩემი შეხვედრა მაშინ შედგა, როცა, ის-ის იყო, ზრდასრულობის ასაკში შევდიოდი და ზნეობრივი წარმოდგენებიც სწორედ მისი გავლენით ჩამომიყალიბდა. მაგრამ ეს, შესაძლოა, აშშ-ც იყოს, რადგან აშშ-ს რთულად და არაერთგვაროვნად აღვიქვამ. ერთი მხრივ, აშშ-ს მოსახლეობა ძალზე განიცდიდა ცენტრალურ ამერიკაში მიმდინარე ომის მოვლენებს, ცდილობდა, თავისი წვლილი შეეტანა ადამიანთა გადარჩენაში, მათი უფლებების დაცვაში, მაგრამ, მეორე მხრივ, აშშ ჩემთვის მისი მთავრობაცაა, რომელსაც ეს ყველაფერი თითქოსდა არ ადარდებდა. ასე რომ, თვალწინ ორი ქვეყანა წარმომიდგება: ჩემი ხალხის ქვეყანა და იმ მთავრობის ქვეყანა, რომლის გაცნობამაც ზრდასრულ ასაკში შესვლისთანავე მომიწია.

მოიერზი: როდესაც სალვადორს ახსენებთ, მაშინვე მაგონდება თქვენი ლექსი „პოლკოვნიკი“, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება ანთოლოგიებსა და ქრესტომათიებში. როგორ დაიწერა ეს ლექსი?

ფორშე: სალვადორში ვიყავი. 1978 წელი იყო. იქ მაშინ საელჩოს წარმომადგენელთა გარდა თითზე ჩამოსათვლელი ამერიკელები იმყოფებოდნენ. იყვნენ სამშვიდობო ბატალიონის წარმომადგენლებიც, მცირე რაოდენობით, მაგრამ ზოგადად ამერიკელები ამ ქვეყანაში არ ჩადიოდნენ. კლარიბელ ალეგრიას ოჯახის წევრებმა ქვეყანა მომატარეს და იქაური ვითარება გამაცნეს. ჩემმა იქ ყოფნამ სამხედროთა ყურადღება მიიქცია, მათ ეჭვი გაუჩნდათ, მეც ამერიკის მთავრობის დავალებით ხომ არ ჩამოვედი, რადგან, როგორც წესი, ყველა ჩრდილოამერიკელი იქ სწორედ ამ მიზნით ჩადიოდა.

ოფიცრები ჩემთან საუბრის სურვილს გამოთქვამდნენ. ახლა ვხვდები, ყველას იმის იმედი

ჰქონდა, რომ აშშ-ს მთავრობა სამსახურში აიყვანდა, მის მიერ მიწვდილ ინფორმაციასა და მათ გონებრივ შესაძლებლობებს გამოიყენებდა და ამისთვის გადაუხდიდა, მაგრამ მაშინ ეს აზრად არ მომსვლია. მათთან საუბარში იმას კი ჩავწვდი, რომ ყველანი ძალზე შეშფოთებულები იყვნენ პრეზიდენტ კარტერის ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკით. ეჭვი ჰქონდათ, რომ ადამიანის უფლებებზე საუბრისას აშშ თვალთმაქცობს. ისინი, ერთი მხრივ, დახმარებას იღებდნენ, მეორე მხრივ კი, საერთაშორისო მასშტაბით თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ, რადგან მათ ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდნენ.

სწორედ ამ ვითარებაში მიმიწვიეს ერთი მაღალჩინოსანი ოფიცრის სახლში. ვფიქრობ, მან არ ირწმუნა ის, რაც ჩემ შესახებ ვუამბე, არადა მართლა მხოლოდ ოცდაშვიდი წლის ამერიკელი პოეტი ვიყავი. ცოტათი გაცხარდა კიდეც და კარტერის ადმინისტრაციისათვის სათქმელი დამაბარა. სურდა, დაუყოვნებლივ დავბრუნებულიყავი ვაშინგტონში და კარტერისთვის გადამეცა: „თქვენი ადამიანის უფლებათა პოლიტიკა არაფერში გვჭირდება". თავისი საუბრითა და თავდაჭერით ჩვენდამი უკიდურეს ზიზღს გამოხატავდა.

მოიერზი: მართლა გადმოყარა იატაკზე ადამიანის მოჭრილი ყურები, როგორც ამას ლექსში აღწერთ?

ფორშე: არა, მაგიდაზე დაყარა. მოგვიანებით შევიტყე, რომ არაერთი ოფიცერი აგროვებდა ბრძოლების შემდეგ ათასნაირ ნაალაფარს. შემდეგ ვიეტნამის ომის ვეტერანებმაც მიამბეს მსგავი შემთხვევების შესახებ, ასე რომ, რაც ვიხილე, ისეთი იშვიათობა სულაც არ ყოფილა, როგორც მაშინ მეგონა. გულისრევა და თავბრუსხვევა ვიგრძენი, მაგრამ ცუდად არ გავმხდარვარ. მასპინძლის მეუღლემ სასტუმრო ოთახში ყავის დასალევად მიგვიწვია, რადგან იგრძნო, რომ სადილობას ვეღარ განვაგრძობდით. მაგრამ ეს ოფიცერი ყველაზე უარესი არ ყოფილა მათგან, ვისაც იქ შევხვდი. მან არაერთხელ გააფრთხილა სასულიერო პირები, როდესაც მათ საფრთხე ემუქრებოდათ.

მოიერზი: იმ ყურებიდან, ძირს რომ ეყარა, ზოგიერთი ნიუარით ქვევით იყო მოქცეული, თითქოს მიწას აყურადებდნენ...

ფორშე: მიხარია, რომ ამ სიმბოლურ სახეს ჩასწვდით, რადგან ბევრი ადამიანი ვერ ხვდება, თუ ასე რატომ აღვწერ ამას. ხომ არსებობს გამოთქმა: „მიწაზე ყურის მიდება". მიწას ყური რომ მიადო, მატარებლის მოახლოებას გაიგონებ. ვფიქრობ, ლექსის წერისას ჩვენი ასოციაციური მეხსიერება ამგვარ დაკავშირებებს ახდენს. „პოლკოვნიკის" წერისას არაერთი ამგვარი მომენტი მქონდა.

მეგონა, ლექსში ნახსენები მთვარე უბრალოდ მთვარე იყო, ვიდრე ვიღაცამ არ მიმითითა, რომ ის იმ ნათურას ჰგავს, დაკითხვის ოთახში პატიმარს სახეში რომ ანათებენ. მკითხველები ამ ლექსის დეტალების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ახდენენ, არადა, წერისას მხოლოდ მომხდარის ზუსტად გადმოცემას ვცდილობდი, რათა არ დამვიწყებოდა. არც მეგონა, ლექსი თუ გამომივიდოდა. მემუარული ჩანაწერი მეგონა, ლექსების წიგნში შემთხვევით რომ გაერია. როდესაც ერთმა ფილოლოგმა ეს ხელნაწერი წაიკითხა და მითხრა: „ეს ყველას სჯობს, ეს საუკეთესო ლექსია", ვუთხარი, შეგეშალათ, ეს ლექსი არ არის-მეთქი. ამ ტექსტის ლექსად აღსაქმელად წლები დამჭირდა.

მოიერზი: პოლკოვნიკს რა ბედი ეწია?

ფორშე: დაიღუპა.

მოიერზი: მის მსხვერპლს?

ფორშე: ისინიც დაიღუპნენ.

მოიერზი: ლექსმა კი დროს გაუძლო, ასე რომ, თუკი ეს ნუგეშად კმარა, მოგონებებს მუდამ აქვთ გადარჩენის შანსი.

ფორშე: დიახ, იმედია.

მოიერზი: ეს შემთხვევა ჟურნალისტის კალმით რომ აღმწერა, ზუსტად და მშრალად ჩამოვაყალიბებდი: ვინ, სად, როდის, რატომ. რა განსხვავებაა ჟურნალისტის რეპორტაჟსა და იმ ჭეშმარიტებას შორის, რომელსაც ამ ტექსტით გამოთქვამთ?

ფორშე: ზოგიერთი მწერალი, ვისაც დიდად ვაფასებ, ამბობს, რომ ფაქტებს არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. როცა ეს ტექსტი საბოლოოდ შევიტანე წიგნში „ქვეყანა ჩვენ შორის", მისი მეშვეობით რაღაც მნიშვნელოვანზე მივუთითე, რაც რეალურად მოხდა. მაგრამ ასევე მსურდა, ვითარების ის სიტლანქე გადმომეცა, რომელიც ადამიანებზე უმძაფრესად მოქმედებს. როცა აშშ-ში დაბრუნების შემდეგ ამ ლექსის ხმამაღლა კითხვა დავიწყე, შევნიშნე, რომ ზოგიერთ ადამიანს ის ძალზე აღელვებდა, ზოგიერთი კი ბრაზდებოდა. იყვნენ ისეთებიც, ვისაც ამის დაჯერება არ სურდა: ამბობდნენ, შეუძლებელია ასეთი რამ მომხდარიყოო.

ამას, როგორც ფაქტს, მეტწილად უარყოფდნენ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც „ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი სალვადორელ ჯარისკაცებს გაესაუბრა, მათ ახსენეს, რომ მტრებისათვის ყურების დაჭრის ჩვეულება მართლაც არსებობდა. მეტსაც გეტყვით: ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ეს რეპორტაჟი რომ წაიკითხა, სადაც ეწერა, რომ ის ომში მტრებს ყურებს აჭრიდა, სიამაყით აღივსო, რეპორტაჟი გაზეთიდან გამოჭრა და საფულეთან დაატარებდა. უხაროდა, სახელი გავითქვიო.

მოიერზი: ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ ჟურნალისტის რეპორტაჟს დაემართოს, ლექსი კი განაჩენია.

ფორშე: დიახ, სწორედაც რომ განაჩენია. როგორც ჟურნალისტს, უფლება არ გექნებოდათ, უხამსობა დაგეწერათ და პოლკოვნიკის სიტყვები პირდაპირ გადმოგეცათ. მისი განცხადება პრესისთვის არც ყოფილა განკუთვნილი: ეგონა, ვაშინგტონში დავბრუნდებოდი და ნანახსა და მოსმენილს საიდუმლოდ მოვახსენებდი ვისაც ჯერ არს. საუბედურად შეცდა, არასწორი პიროვნება შეარჩია და თავისი გზავნილი პოეტს მიანდო.

მოიერზი: პოლიტიკოსებსა და სამხედრო ლიდერებს ამ გაკვეთილის გათავისება მოუწევთ: არასოდეს ესაუბრონ პოეტს.

ფორშე: არასოდეს.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკი

ყველაფერი, რაც ამის შესახებ გსმენიათ, სიმართლეა. თავად ვიყავი მასთან სახლში. მისმა ცოლმა ლანგრით ყავა და შაქარი შემოგვიტანა. მისი ქალიშვილი ფრჩხილებს იქლიბავდა, ვაჟი კი მეგობრებთან ერთად წავიდა. ოთახში ეწყო გაზეთები, პატარა ბალიშზე ესვენა რევოლვერი, დარბოდნენ ძაღლები, სახლის თავზე ჩამობმულ შავ თოკზე კი ქანაობდა შიშველი მთვარე. ტელევიზორში ინგლისურ ენაზე პოლიციელების შესახებ შოუს გადმოსცემდნენ. გარედან სახლის კედლებში დამსხვრეული ბოთლები იყო ჩამაგრებული, ისე, რომ ვინც ახლოს მივიდოდა, მუხლს გადაიხსნიდა, ან ხელს დაისერავდა. ფანჯრებზე ისეთი გისოსები დაემაგრებინათ, როგორც ჩვენთან კონიაკის მაღაზიას აქვს ხოლმე. სადილად გვქონდა ბატკნის კანჭი, კარგი ღვინო, სუფრაზე იდო ოქროსფერი ზარი მოახლის დასაძახებლად. მოახლემ მწვანე მანგო, მარილი და იქაური პური მოგვართვა. მკითხეს, როგორ მომეწონა მათი ქვეყანა. ამ დროს ტელევიზორში ესპანურად მოკლე რეკლამა გაუშვეს. მისმა ცოლმა მაგიდა აალაგა. შემდეგ დაიწყეს საუბარი, თუ რა რთული სამართავი გახდა ქვეყანა. თუთიყუში ტერასიდან ვიღაცას მიესალმა. პოლკოვნიკმა უბრძანა მოეკეტა და ფეხზე წამოხტა. ჩემმა მეგობარმა თვალებით მანიშნა, ხმა არ ამომეღო. პოლკოვნიკი უბრალო ნაჭრის ჩანთით ხელში დაბრუნდა. მაგიდაზე უამრავი ყური დაყარა. ისინი გახლეჩილი ატმის ჩირებს ჰგავდნენ. სხვა შედარება არ მოუხდება. მან ერთი ყური ხელში აიღო. სახესთან ახლოს მოგვიტანა, შემდეგ წყლიან ჭიქაში ჩააგდო. ის იქ გაცოცხლდა. *უსაქმობამ გადამღალა, მასხარაობამ,* – განგვიმარტა – *ადამიანის უფლებები კი... გადაეცი შენს უფროსებს, მაგათი დედაც!* მკლავი მოუსვა და ყურები იატაკზე გადაყარა, შემდეგ ღვინის ჭიქა ზევით ასწია. ლექსისთვის არაფერი გამოგადგებათ? მკითხა. იატაკზე ზოგიერთ ყურს მის ხმაში ლითონი არ გამოპარვია. დანარჩენი იატაკს იყო მიპრესილი.



ტანსაცმლის გახდა

მაისურს ვიხდი, გაჩვენებ.
იღლიებში თმა გავიპარსე.
შარვალი ავიკეცე, თმას დანით ვიფხეკ,
ფეხები თანდათან მითეთრდება.
დაჩეხილი ნეკერჩხლის ფერია ჩემი თმა.
თვალები – სამხრეთულად მოხარშული ლობიოსი,
ანუ, აფეთქებულ მთებში მთვარის შუქით განათებული ქვანახშირის
საბადოების.
ჩინური ლარნაკივით გაპრიალებულ კანზე
მეტყობა სისხლიანი ნახეთქები, ასაკი, ას სახელს მაინც
ვეძახი თოვლს, ასევე სახელი მშვიდია.
ღამით შენთან მოვდივარ და სირცხვილი მიპყრობს, რომ
ჩემი წიაღიდან წამოსული თრთოლვა კაცის კედელს უნდა შევაფშვნა.
შენ ცნობ უცნობებს,
თვლი, რომ ცხოვრებამ არაერთხელ გაგანადგურა.
ახსნას ვერ უძებნი ამ ღამეს, ჩემს სახეს, შენს მოგონებებს.
გინდა გითხრა, მე რა ვიცი?
შენი ხელები ტყუიან.

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ

დილა კუნძულზე

სინათლეები წყლის გასწვრივ ქალაქს აღვიძებენ.
წარმოსახვით თევზებად ციმციმებს წყალი.
შორიახლოს წვანან ნაძვების ჩონჩხები –
ზღვიდან ამორეცხილები და ქარისგან დამზრალები.
ზოგჯერ, დილაობით მათზე ვაბიჯებ,
ჩონჩხებსა და შუქურებზე გადავრბივარ.
უცნაურ ხოჭოს დაუხრავს ხეები,
ის შესაძლოა, აქ მუსიკით სავსე გემიდან მოხვდა,
ან იქნებ სულაც აქ იყო ყოველთვის,
ოქროსფრთიანი,
გაშეშებული შარშანდელი ზამთრის სიცივისგან,
რომელიც აღარ განმეორდება.
ჩვენ უკან კი თეთრი ბუ ცხოვრობს, წიწვოვანში,
თეთრი – თოვლს რომ შეერიოს ტოტებზე დაყრილს.
უკანასკნელი ბუ არისო, ასეც ამბობენ.
ღამღამობით მესმის, როგორც აყურადებს თაგვებს
და კივილით უხმობს უკვე აღარარსებულ ბუებს.

ტაძარი

Ce voyage, je voulais le refaire –[1]

წმინდა ნათელი, ზარები ბალდახინში. დიდი ხნის წინ, იქნებ არც არა.
ირმებისა და ყვავების აჩრდილები ირწევიან კვამლში.
მან გამიკეთა საფენი ყვავილისა და მტვრისგან, რათა მესვა ადუღებული საწამლავი.
შემდეგ წითელი ხის კუბოში შებრუნდა, როგორც ადრე.
დილა, ცხენები წრეში ჩადგნენ კბილების ღრჭენით,
ასე რომ, მათთან უნდა მივიდე, აღვირით ხელში, უხმაუროდ.
რაც უფრო ახლოს მივდივარ, მით უფრო მშორდებიან.
მათი დევნა ღრუბლებში –
მივდენი ღრუბლებში,
ისევ და ისევ.

ილიას ცარსკოე სელოდან

ვდგავართ პუშკინის ლიცეუმის დარაბებიან ფანჯარასთან.
ამ დაფებზე პუშკინი წერდა,
დაფა – მისი ასტროლაბი.
თოვლის ფიფქი ეცემა აქედან წარსულს და უჩინარდება ოქროს მინარეთებზე.
თოვლი შორდება არყის ხეებს. გაკვეთილი თავის თავს წერს დაფაზე:
იმ დღეს, როცა მიქელანჯელო მოკვდა რომში,
გალილეო დაიბადა პიზაში.
და გალილეო როცა მოკვდა, ისააკ ნიუტონი დაიბადა.
როცა ქაბირს ეძებდნენ, მის სავანეში მხოლოდ ჟასმინი აღმოაჩინეს.
ადამიანი ძეგლს ჰგავს, მისი პირიდან ბრინჯაოს ნატეხები იძვრის ჩურჩულით.
შენ ხარ ამ ძეგლის მცველი ერთგული, შენს მშვიდ სამყაროში შეფარებული.

ლიტანია კრაკოვში

სიცოცხლის დასტური
კედლების უარი
ხიდის დასტური
ხიდქვეშ წყლის უარი
ქარის დასტური მავთულხართების უარ
ზარების დასტური
დაგმანული კარების უარი
ჰაერის დასტური
პასუხის უარი
მერცხლების დასტური
ქვათა უარი.

---

1 (ფრ.) ხელმეორედ წავიდოდი იქ სამოგზაუროდ –

ისააკ ნიუტონი როცა მოკვდა, იმ წელს თოჯინების სპექტაკლის დროს
ფარდული დაიწვა.
ქაბირი ამბობს, მიწისთვის ყველა გვამი ერთია,
და სამყარო ოცნების მორევში ჩაიძირა.
ეს ცხოვრება არაა იგივე, რაც შენი სხვა ცხოვრება.
ჩვენ ვართ ვერცხლის საუკუნის პოეტების
ერთ-ერთ ტაძარში.
შენ ხარ ერთ-ერთი ვერცხლთაგანი.
თოვლი არის თეთრი ფარშევანგი
რუსული ლექსიდან.

მეჩირაღდნეები

ღამე გემების გარეშე. საყვირები გაქვავებულ ღრუბლებს შეჰყმუიან,
და შენ ისევ ცოცხალი ხარ, შუქით გარემოცული,
შუქი თითქოს ცეცხლი იყოს, ბერებისგან გადანახული.
ოდესღაც უკუნი ვარსკვლავებით გადაიფარა,
ახლა კი სიკვდილივით უკუნია,
როცა საკუთარ თავში მიცურავ,
მირბიხარ ველურ წყალმცენარეებში,
ხელზე ხელს მიჭერ
და მე შემიძლია ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვიხილო:
რგოლი და რგოლი სინათლისა, მისი ბრუნვა, ნათელი – დანაკარგის მაძიებელი,
ცეცხლის ეპოქაში, სანთლების და სანათების ეპოქაში,
ვეშაპის ქონის და ფთილის ეპოქაში, ნავთქურის და კარბიდის ეპოქაში
სასიგნალო ცეცხლი ენთება ჰუკის საგუშაგო კოშკის გასწვრივ.
შენ მეუბნები, ფხიზლად ვიყო, როგორც ლინზის გამომგონებელი,
რომელიც ფილტვებში წყლის დაგუბებით მოკვდა.
იყავი ურთხელი აყვავებული, ფუტკრებდასეული,
იყავი ტაძრის სანთელი და სისტერსიანელთა აჩრდილებიც კი შენკენ გადმოვლენ.
წვიმის შემდგომ სინათლეში, მოოჭვილ ღრუბლებსა თუ წყალში,
ნანახ ან ნაგრძნობ წყალში, ზღვასა თუ ტბაში,
შეჩერდები და ჰორიზონტს დიდხანს თვალს გაუშტერებ.
და როცა სინათლე გარდამოვა და ნაძვებში შეიმალება,
და ვარსკვლავები გამოჩნდება,
ჩვენი სამოთხეც ეს იქნება.
შენ მასწავლე, ასე მყვარებოდა.
რომ სიკვდილის მერეც ისე იქნება,
როგორც იყო ჩვენს დაბადებამდე.
არაფერია საშიში.
არაფერი, გარდა ბედნიერების,
აუტანელის, როგორც შიშის,
რომლისგანაც ის იბადება.
დახვდი სინათლეს
და ყოველთვის გემის გარეშე.

ინგლისურიდან თარგმნა პაატა შამუგიამ

2 ნომრის ავტორები

ნესტან ნენე კვინიკაძის სერიოზული თამაში

ეკა ქევანიშვილი

როცა ერთ, არ ვიცი, რამდენად მშვენიერ დღეს, ნესტან ნენე კვინიკაძემ ხევსურული კაბით და „ადიდასის“ წითელი კედებით რუსთაველზე ჩაიარა და მას თვალი გააყოლეს, მე, ალბათ, სავარაუდოდ, მისი ქალაქიდან 300 კილომეტრის მოშორებით, სხვა ქალაქში, ფეხსაცმელებზე სხვადასხვა ფერის თასმა შევიკარი და, როგორც მაშინ მეგონა, ასე გამოვაპროტესტე, აღარ მახსოვს, რა. ეს წარმოსახვითი პარალელი იმიტომ გავავლე, რომ ნენე კვინიკაძეს აქამდე პირადად არ ვიცნობდი, მიუხედავად თითქმის ზუსტად ერთდროული ლიტერატურული დებიუტისა, საერთო სანაცნობო წრისა და, ბოლოს და ბოლოს, საერთო სიყვარულის – ლიტერატურისა. მასზე – მისი წიგნებით თუ სტატიებით თუ ფოტოებით თუ ვიდეობლოგებით შექმნილი წარმოდგენა, ცხადია, არ ითვლება. ასე მე ჩემთვის საინტერესო თითქმის ყველა ავტორს ვათვალიერებ, განსაკუთრებით კი მათ, ვინც მგონია, რომ სხვებისგან რაღაცით მკვეთრად გამოირჩევა. პრინციპში, მივაგენი, რაც მინდოდა – სიტყვა გამორჩეულობას. მისი სულ პირდაპირი მნიშვნელობით – ნესტან ნენე კვინიკაძეზე მოყოლასაც ასე დავიწყებ, მისი ფართე წითელი ქამრით, რომელიც შავ ჟაკეტზე შემოხვევია და ჩვენი პირველი შეხვედრის პირველი მკვეთრი დეტალია, რაც დამამახსოვრდა.



მოქმედი გმირები: ნენე, თომა, ნიკიტა, მაქსიმე და კიტა.
მოქმედების ადგილი:თბილისი/ბერლინი/კანი
მოქმედების დრო – დღეს/ახლა.
მოქმედების ტემპი – სწრაფი.

ბოლო ახალი ამბები: ნენე კვინიკაძე ახალ რომანს წერს. კიდევ ერთ კინოსცენარსაც. მალე მისი ტექსტების კრებული გამოვა, როგორც მკითხველისთვის ერთგვარი თავის შეხსენება, მოთელვა. ტყუპები, მაქსიმე და კიტა წამოიზარდნენ. ჟურნალი „ფოკუსი“ რვაწლიანი რედაქტორობის შემდეგ დატოვა – ოღონდ, როგორც რედაქტორმა, „თბილისი აუტი“ დროებით გაჩერებულია. აგრძელებს პროდიუსერობას გადაცემა „სხვა შუადღეში“, ნიკიტა უკვე სკოლისთვის ემზადება, თომაც (ჩალაძე) ასე – ხან სამსახური „სხვა შუადღეში“, ხან მუსიკა. თომა დიჯეია. თომა კულინარიც არის. ნენეს ტექსტების ყველაზე განსხვავებული შემფასებელიც. თამაში გრძელდება. თამაში მრავალფეროვანია და საინტერესო. ოთახი დალაგებულია. ნენე კვინიკაძე არეულობას ვერ იტანს.



ნენე და ნიკიტა

კონტრაქტი (არა) საზოგადოებასთან

მე სულ მეგონა, რომ ბავშვებთან მიმართებაში სხვებს ყველაფერი უფრო ადვილად გამოსდიოდათ, ვიდრე მე. ასე მეგონა, სანამ ერთი შვილი მყავდა, ნიკიტა. ძალიან ვღიზიანდებოდით, როცა მეორე ბავშვზე გველაპარაკებოდნენ, როგორც ეს საქართველოშია მიღებული: თითქოს აუცილებელი კითხვაა – როდის თხოვდები, თუ გათხოვდები, როდის აჩენ, ხოლო თუ ერთ შვილს გააჩენ, უკვე გეკითხებიან, მეორეს აპირებ, თუ არა. ახლა ჩემი ამ სამი შვილის ყოლით მე მგონი ყველას კითხვები დავაკმაყოფილე. ახლა აქტუალურია კითხვა – კი მარა, რამეს არ წეერ? ასეთ დროს ვხვდები ხოლმე, რომ საზოგადოებას ხშირად აქვს ეს მოთხოვნილება – კითხვების დასმის. არადა, რეალურად, არცერთი ადამიანი არ აფორმებს კონტრაქტს საზოგადოებასთან – მე ასე მოვიქცევი, მე ასე დავგეგმავ.

ტყუპები

ხო, ტყუპები. უცნაურად კი დაიწყო – ექოკოპიაზე რომ მივედი, ექიმმა გვითხრა, რომ ერთ რამეს გვეტყოდა, მაგრამ არ უნდა შევშინებულიყავით, რადგან ცუდი ამბავი არ იყო. ტყუპებს გულისხმობდა. მანამდე კი, სანამ მათ არსებობას შევიტყობდი, ამ ორი ბავშვით მუცელში მთელი ქვეყანა მოვიარე ლამის, მაგრამ გამიმართლა – ხელი არაფერში შეუშლიათ არც ერთ საქმეში. რაც წამოვიწყე, ბოლომდე მივიყვანე. კანის ფესტივალი იყო თუ თეატრალური ფესტივალი საქართველოში – მშვიდად მატარეს და ასეთივე კომფორტულები გაჩნდნენ – თითქოს მართლა ჩემი შვილები უნდა ყოფილიყვნენ და ზუსტად ამ ხალხში უნდა ეცხოვრათ. მაქსიმე და კიტა დავარქვით. უბრალოდ, იმიტომ, რომ ეს სახელები მომწონდა. არც ის მინდოდა, რომ ყველასნაირი სახელი რქმეოდათ.

დედობა

სიფრთხილესა და მოვლის საკითხში მობილიზებულობაზე არ ვლაპარაკობთ, ხომ? ეს თავისთავად. აქ დედური დედა ვარ. თუმცა, მთავარი მაინც პატივისცემა მგონია – ყველა დეტალის მიმართ, მათი ყველა შეგრძნების, ქცევის მიმართ. მარტივად, ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ბავშვი თავის დახატულ ნახატს გაჩვენებს, შენ უნდა აღფრთოვანდე და ეს გამოხატო. დღეს უკვე ყველა ფსიქოლოგი შეთანხმდა იმაზე, რომ ის კომპლექსი, რომელიც თანამედროვე დედას და მამას აქვს, ანუ ბავშვთან საკმარის დროს რომ ვერ ატარებენ, არაფერს ნიშნავს იმიტომ, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა სწორედ იმ ნახევარ საათს აქვს, როცა შვილთან პირისპირ რჩები – ეს ნახევარი საათია გადამწყვეტი, რამდენად სავსეა ეს დრო და საინტერესო. ხომ არიან მშობლები, რომლებიც მუდმივად სახლში სხედან, მაგრამ მაინც „გადი, თავი დამანებეს“ რეჟიმში არიან? რამდენიც გინდა. ბავშვებს სრულყოფილი 30 წუთი მეტად სჭირდება ჩვენგან, ვიდრე ინდიფერენტული მთელი დღე.

სავსე

ისე მოხდა, რომ ჩემი ცხოვრება მუდამ მოვლენებით იყო დატვირთული. რაღაც სულ ხდებოდა. ვერასოდეს ვასწრებდი მოწყენას, ოღონდ, იმ გაგებით არა, რომ მხიარული ვარ. არა. მხიარული საერთოდ არ ვარ. უბრალოდ, სულ ამბებით სავსე იყო. ერთ ბიჭზე გაბრაზებასაც ვერც ვასწრებდი, მალევე სხვა რამით ივსებოდა ცხოვრება. 27 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი და მაინც მეგონა, რომ 17 წლის ვიყავი. დღესაც ძნელად მესმის იმ ადამიანების, ვინც ძალიან ადრე გადაწყვეტს ხოლმე ოჯახის შექმნას. მეტი ინფორმაციის მიღებაა საჭირო ამ გადაწყვეტილებამდე. მგონია, რომ ასე უფრო გამძლეა ერთადყოფნა.

ოჯახი

იმ პატივისცემის უფრო მჯერა, რაც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ უნდა ჰქონდეთ. შეიძლება საერთოდ არ თანაგიგრძნობდე რაღაცაში, ან არ მესმოდეს შენ არჩევანი მუსიკაში, მაგრამ პატივს გცემდე. ჩვენთანაც ასეა. კიდე – როლები ოჯახში. ადრე, მახსოვს, მამის ფუნქცია საერთოდ არ იყო გამოკვეთილი, მეტიც, მაგ პერიოდში მამები დიდი ხნით იკარგებოდნენ. მე, ალბათ, ძალიან გამიმართლა, რადგან ჩემ ირგვლივ საგრძნობლად იმატა ისეთი კაცების რიცხვმა, ვინც ასე არ იქცევა. თომასთვის მაგალითად ჩვეულებრივი ამბავია ბავშვის მოვლა ისე, როგორც მე მოვუვლიდი. ეს ურთიერთობები მერე გიბრუნდება და დღეს რომ ჩემი 6 წლის შვილი ნიკიტა ჩვენთვის მეგობარივით არის, ეს ძალიან დიდი კომფორტია.

სამ ბიჭთან ერთად

ერთად

ერთად ჩემი და თომას ცხოვრება ჰგავს... მოკლედ, ძალიან ვცდილობთ. თომა თვითონ არის ძალიან კომფორტული ადამიანი. შემდგარი თავის საქმეში, გიჟდება, ისე უყვარს გემრიელი საჭმლის კეთება და არის პატარა ბავშვივით. რადგან ორივეს კარგად გვესმის რას ნიშნავს საქართველოში სამი შვილის ყოლა, მითუმეტეს, როცა გაქვს ამბიცია, რომ მათ კარგი რეალობა შეუქმნა, თან ისე, რომ გინდა, იმუშაო, რაღაც პროცესებსაც არ ჩამორჩე, ვცდილობთ, ბევრი თამაში მოვიგონოთ. შესაბამისად, როცა სამსახურიდან სახლში ვბრუნდებით, არის სამი ბავშვის შემოსევა. სამსახური მთავრდება იქ, სადაც ის არის, სახლში კი იწყება თამაში. ღამე ასეთია – თომა მუსიკას უსმენს, მე ვკითხულობ ან ვწერ. ნიკიტა ხატავს, ტყუპებს სძინავთ. კი, ამ ბალანსს სჭირდება ფინანსები. მე კი იმისთვის, რომ ადეკვატური და რეალიზებული ვიყო, აუცილებლად მჭირდება სადმე წასვლა. ვერ ვიტყვი, რომ ადვილია, მაგრამ ვცდილობთ. ადრე ემიგრაციაზეც ბევრი მიფიქრია, ჩემი საქმიდან გამომდინარე ბევრ ემიგრანტთან მქონია საქმიანი ურთიერთობა და მაშინ მივხვდი, რომ თუ წასვლა შენი არჩევანი არ არის, ემიგრაცია ერთ-ერთი უმძიმესი განაჩენია, რაც კი შეიძლება ადამიანს ჰქონდეს. არა, არ უნდა წავიდეთ. მე მგონია, რომ იმის შესაძლებლობა უნდა გვქონდეს, რომ წავიდეთ ხოლმე და მერე ისევ დაბრუნდეთ. როგორც მაგალითად, ჩვენ და ბერლინი.

ბერლინი

გვაქვს ეს ჩვენი საყვარელი ქალაქი. იქ აგვისტოში მივდივართ ხოლმე. რატომ შემიყვარდა ასე ბერლინი, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ერთხელ, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ვიყავი და ჩემს მეგობართან ჩავედი იქ. ისეთი კომფორტი, როგორიც ამ ქალაქში ვიგრძენი, მანამდე არასოდეს მიგრძვნია. მივხვდი, რომ 21-ე საუკუნის ადამიანი სწორედ იქ უნდა ცხოვრობდეს. რატომ? ჯერ ერთი, ჩემი უდიდესი პატივისცემა ხალხს, რომელმაც მოახერხა ასე მოკლე ვადაში ფეხზე დაეყენებინა ქვეყანა. სულ ვადარებ ხოლმე, რა რთულად ვახერხებთ ერთი პატარა რეფორმის გატარებასაც კი, აქ, ჩვენთან და სულ ის მახსენდება, მანქანაში ღვედის კამპანიით და ამ წესის შემოღებით რომ ვართ ხოლმე აღფრთოვანებულები. ამ ქვეყანამ კი, ლაფში ამოსვრილმა შეძლო ის, რაც შეძლო. ბერლინიც რაღაცნაირი ქალაქია, თავს სახლის ჩუსტებში გრძნობ, ყველასთვის ღიაა კარი. ამიტომ მივდივართ ხოლმე ზაფხულში.

როლები

მე უფრო მენეჯერი ვარ. საჭმელი არასდროს გამიკეთებია, მაგრამ ძიძები კარგად გავანაწილე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს საყვარელ ადამიანებზე მაღლა არ შემიძლია არაფერი დავაყენო, წარმოდგენილი მაქვს ერთი ასეთი დღე, რომ ყველა თავის გზაზე წავიდა, ისე, როგორც ეს უნდა ხდებოდეს კიდეც, ხოლო მე ისე არასწორად ვიცხოვრე, რომ ამ დროს აღარც წიგნის კითხვის რეფლექსია ჩემში, მეგობრები, ყველანი თავის გზაზე დგანან, არ ვიცი რა ფილმს ვუყურო და უცებ ეს რომ წარმოვიდგინე, ძალიან, ძალიან არ მომეწონა ჩემი ასეთი პერსპექტივა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არასოდეს უნდა დააყენო საკითხი ისე, რომ უარი თქვა რაღაცაზე. მე და ჩემი და რომ გავჩნდით, დედაჩემმა თავისი სამსახური მიატოვა. მსხვერპლშეწირვები სწორი არ მგონია – თუ, ცხადია, საშუალება არსებობს. კიდევ რა. მე არ შემიძლია არეული ოთახი. არც ერთ ეტაპზე. ორ სიტყვასაც კი ვერ დავწერ, თუ ყველაფერი მოწესრიგებული არ არის, ამიტომ ეს მოწესრიგებული გარემოც ჩემს თავზე მაქვს აღებული. და კიდევ, მგონი ინიციატორიც უფრო მე ვარ. ბავშვებიც, თომას როცა ხედავენ, თამაშის ასოციაცია აქვთ, ჩემთან უფრო ჩახუტების. და ვართ ასე.

სიყვარული

12 წელია ვიცნობ და 7 წელია ცოლ-ქმარი ვართ. სიყვარული თუ იცვლება? კი. რაღაც დეტალები სულ იცვლება. ჩვენს შემთხვევაში ასეა, რომ ერთმანეთის თვალწინ თუ გვერდით გავიზარდეთ და ამ ზრდაში, ცხადია, არ შეიძლება რამე არ იცვლებოდეს. უფრო ღრმავდება და თუ იცვლება, იმის სასიამოვნო გააზრებით, რომ რა მაგრად იცნობ მეორე ადამიანს, შენს ადამიანს.

მეორე აზრი

როცა ვწერ, თომას ვაკითხებ ხოლმე, კი. მის გარდა, ძირითადად, ჩემს მეგობრებსაც ვუზიარებ, ვინც ლიტერატურა იცის და უყვარს. მაგრამ, როგორც წესი, ყველაზე განსხვავებული შეფასება, მაინც თომასია. და კრიტიკაც რაღაც კონკრეტული მაგალითის მოყვანით იცის, ასოციაციებით აფასებს ჩემს ტექსტებს და ეს ჩემთვის ძალიან საინტერესოა.

დებიუტი

ზუსტად ის დრო იყო, თეატრალურში სწავლის, სადღაც რაღაცამ აუცილებლად რომ უნდა ამოხეთქოს. ჩემი მეგობარი ლექსებს წერდა, მე - ვითომ მოთხრობებს, რაღაც საშინელებებს. თან ის დრო იყო, გამომცემლობები რომ იქმნებოდა. 1998 წელი იდგა, ჩემი პირველის წიგნის პრეზენტაცია რომ გაიმართა. ახლა კი ვფიქრობ, ასეთი უპასუხისმგებლო როგორ ვიყავი-მეთქი, რადგან მგონია, რომ არაფერი ღირებული იმ ნაწერებში არ იყო, თუმცა, ისიც ვიცი, მაშინ ეს „ჩუტყვავილა“ რომ არ მომეხადა, მერე შეიძლებოდა, ძალიან გამჭირვებოდა ლიტერატურაში შემოსვლა. როგორც ბავშვი თხილამურზე სრიალს სწავლობს ადვილად, რადგან არ ეშინია, რაღაც ეგეთი განცდა მქონდა მეც. ალბათ, ეს ახალი როლიც მომეწონა. კინოჟურნალისტიკაზე ვსწავლობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, იქ ისე კარგად თავს ვერ ვგრძნობდი. თან, როგორი დრო იყო? სულ რაღაც ხდებოდა, აქტიური, მიტინგები, ინსპირაციის ზღვა! რაც მაშინვე ვიცოდი, ის იყო, რომ არასოდეს მომდომებია ავტობიოგრაფიული ტექსტების წერა. მაგრამ რადგან გოგო ვარ, ეს ვიღაც გოგო სულ იყო ჩემი ტექსტების მთავარი გმირი. არ ვიცი, მე ვარ ეგეთი, თუ მინდა, რომ ვიყო. ჩემი გმირი



ნენე და თომა

გოგოები ყოველთვის იყვნენ ძალიან ძლიერები. ეს ძლიერება მე და ჩემს დასაც გამოგვიმუშავდა, რაც ოჯახში ცვლილებებმაც განაპირობა. მახსოვს, დედაჩემი რომ გარდაიცვალა, მამა ძალიან გვივლიდა, მას არაფრის ეშინოდა და, ეტყობა, ეს გადამდებია. დღესაც, მგონია, რომ ყველაზე კრიზისულ სიტუაციაშიც ეს სიძლიერე და პირდაპირობა მიცავს. მგონია, რომ ის გოგოებიც, ჩემი გმირებიც, ასე ბუნებრივად პირდაპირები არიან.

წესები წერისას

მე მაქვს ერთი ასეთი პრინციპი – თუ ჩემი ბავშვობიდან ან საერთოდ ცხოვრებიდან მოდის რაღაც საინტერესო პასაჟი, რაც შემიძლია გამოვიყენო, ავიღებ მას, დავწერ მასზე და აღარ წავალ სხვის ამბავში. თუმცა, ჩემთვის ლიტერატურა მაინც არის – „რა შეიძლება ყოფილიყო“ – ამის დაწერა. რაც დრო გადის, ამაში ვრწმუნდები და ჩემი ბოლო ტექსტიც ამის მტკიცება იქნება. მგონია, რომ ზღვარია გასავლები – ერთია შენი თავგადასავალი, რომელიც შენია და მეორეა ის ნივთები, რომლებიც მოგაქვს ამ თავგადასავლიდან და სხვის ნივთებად აქცევ. ხანდახან ისეთი ფანტასმაგორიული რაღაცები მახსენდება ჩემი ცხოვრებიდან, რატომ უნდა დავკარგო, არ მესმის.

დეტალები

ხანდახან, წერისას ძალიან ზედაპირულიც ვყოფილვარ, მაგრამ თან იმდენად გულწრფელი, რომ ადვილი ასატანია ამის გაცნობიერება. ესეც ეტაპია. 23 წლის ვიყავი „ისპაჰანის ბულბულები“ რომ დავწერე. დღეს უკვე სხვანაირადაა. ჩემი ბოლო წიგნი 2007 წელს გამოვიდა. ამ დროში მე შემეძლო ორი-სამი ისეთი წიგნი დამეწერა, როგორიც არ მინდოდა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რადგანაც არ მინდოდა, პროცესის მონაწილე ვყოფილიყავი, ასე მერჩივნა. უხარისხოს ვერაფერს მივაჩეჩებდი მკითხველს. არ შემიძლია.

საკუთარი ოთახი

უკვე ვთქვი, არეული ოთახი ვერ იქნება. ის, რომ არტისტულად თავზე უნდა მეყაროს ფურცლები და მსგავსი მოთხოვნილებები არ მაქვს. პირიქით. ყველაფერი ზედმიწევნით მოწესრიგებულია. ასე იყო, როცა ფურცელზე ვწერდი და ასეა დღეს, როცა ჩემს ლეპტოპში ვწერ. ყველაფერი ფოლდერებშია გადანაწილებული. „ახალი რომანი“ აწერია მას და ასე ვწერ. ზედმეტია?

ბოლო წერტილი

როცა წერას ვასრულებ, ძალიან მაგარი შეგრძნება მაქვს. მგონი, ეს არც არსად მითქვამს: იმდენად ცვარიელდები ხოლმე, რომ ძალიან იაფფასიანი და ზედაპირული რაღაცებისკენ მიმიწევს გული. შეიძლება, ტახტზე დავჯდე და ტელევიზორი, რომელსაც ზოგადად, ოჯახში, არ ვცნობთ, ჩავრთო და მეტიც, ერთი 25 წუთი მაინც შევყვე და ვუყურო რაღაც ძალიან ცუდ ვენესუელერ სერიალს.

ინსპირაცია

ეს, შეიძლება, გახდეს ყველაფერი. მე არ ვარ ასე, წერა ჩემი სამეცადინოსავით იყოს, ბეჯითად დავჯდე და სულ ვწერო. არა. მე რაღაცის ასაწყობად შესაძლოა ერთი დეტალიც მეყოს. ან ბავშვობიდან ამოტივტივებული რაღაც ეპიზოდი. ბევრს ვფიქრობ და მალე ვწერ ხოლმე. ამ ბოლო დროს შეიძლება ვწერდე, მაგალითად ტყუპების დაძინებისას, ოღონდ თავში. ასე გამოვიმუშავე დროის ეკონომიაც.

მკითხველი და სხვებიც

უფრო ის, რომ რასაც დავწერ, იმან, რაც შეიძლება ,მეტი ადამიანი ჩაითრიოს, მოხიბლოს. ეს მოლოდინი მაქვს მუდამ. ვიღაცის გულის გახეთქვა არ უნდა იყოს წერის მიზანი. მე რომ გამიმართლა და იაპონიაში ვიმოგზაურე, ამის ჩვენება, ცხადია, მინდა შენთვის, როგორც მკითხველისთვის. კინოც ეგრეა, სანამ შენ რაღაც ეტაპებს გაივლი და რაღაცას მიხვდები, ვიღაცებს უკვე აქვთ ორსაათნახევარში ამ კითხვებზე პასუხები გაცემული, ანაც წიგნში. მოკლედ ესაა, რასაც მწერალი ელის – გააზიაროს, დააფიქროს, ემოცია აღძრას და შეცვლისკენ უბიძგოს.

შემოსვლა

ვერ ვიტყვი, რომ ლიტერატურული ჟურნალების კარი ჩემთვის ღია იყო. ლიტერატურულ წრეებში მყავდა მეგობრები, ვინც წაიკითხა, მოიწონა, გამამხნევა. ძალიან დავაფასე ზაზა თვარაძე, რომელსაც მაშინ საშინელი ტექსტები მივუტანე, მან კი ძალიან გულწრფელად მითხრა: იცით, როგორი ტექსტებია, რომ დავბეჭდო, არაფერი მოხდება და რომ არ დავბეჭდო, მგონი, ცოტა უკეთესი იქნებაო. ძალიან სწორი იყო. დღეს მართლა იმდენად აღარ მომწონს ხოლმე ის ადრინდელი ტექსტები, სულ მინდა, სადღაც გადავმალო. როსტომ ჩხეიძეს ძალიან ვუყვარდი და „ჩვენს მწერლობაში“ ბეჭდავდა ჩემს მოთხრობებს. ყველაზე დიდი გამოხმაურება მაინც „ისპაჰანის ბულბულებს“ ჰქონდა. მართლა ზღაპარივით მახსოვს, „პარნასის“ კაფეში იყო ამ წიგნის პრეზენტაცია, ივნისი იყო, იმ ღამით კი, მეგობრებთან ერთად მივდიოდით ბათუმში. მე მიყვარს ბათუმი არასეზონზე. მატარებლით წავედით და მეორე დილით, ბულვარში, ვხედავთ, რომ გაზეთების სტენდი აჭრელებულია ამბებით ჩემი წიგნის პრეზენტაციის შესახებ. სასწაული შეგრძნება იყო. რა თქმა უნდა, ყველა გაზეთი ვიყიდეთ.

სხვა ბაზარი

ავტორის გასვლას სხვა ბაზარზე აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. მიხარია, რომ ჩემმა რამდენიმე კოლეგამ ეს წრე გაარღვია. თომა ამბობს ხოლმე, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი თვალი გიყურებს, როცა უკრავ ან ტექსტს კითხულობ. და მართლაც, ზოგჯერ ძალიან ცუდად მიგრძვნია თავი, როცა მივმხვდარვარ, რომ ადამიანს უბრალოდ არ აინტერესებს, რას ლაპარაკობ. გერმანელი მსმენელი კი, ვისთან ურთიერთობის შესაძლებლობაც მე მომეცა, მაშინაც კი, როდესაც ქართულად



„ელექტრონავტის“ დაჯილდოებაზ

ვკითხულობდით, გვისმენდა დიდი ინტერესით, მანდ მივხვდი, რომ ევროპა შედგება იმისაგან, რომ ყველაფერს ჰყავს თავისი მუშტარი. ვინც მოდის, ის ტყუილად არასოდეს მოდის შენთან – მას შენ მართლა აინტერესებ.

დღეს, აქ და ახლა

უცნაური ოთხი წელი იყო ეს ბოლო ოთხ წელი. ვმუშაობ ტელევიზიაში, სადაც მარტო ეს სატელეფონო ზარები რომ დავაგროვე, რაც შემოდის და რასაც ვისმენ, რამე მაინც დაიწერ ება. ამ საქმემ გამიკეთა ის, რომ ჩემი ქვეყ ნის კონტექსტს საუკეთესოდ გავეცანი. ამას ემატება ჩემი პირადი ცხოვრება, ბავშვები და ა მრავალმხრივი შემოტევის ფონზე, მე მგონი, მი ვიღე ძალიან სწორი და საინტერესო იდეა, რაზეც ახლა იწერება ჩემი რომანი. უკვე არსებობს რამ დენიმე ათეული გვერდი და ის იქნება ყველაზ დიდი მოცულობის, რაც კი აქამდე დამიწერია მაგრამ სანამ ეს წიგნი გამოვა, მანამდე მინდა რომ თავი შევახსენო ჩემს მკითხველს და რა კი რამე ასე თუ ისე ღირებული დამიწერია, ერ თად ავკინძო. სწორედ ამას მოჰყვება რომანიც

„ჯაყოს ხიზნები“ (რეჟ. დათო ჯანელიძე). გადასალები მოედანი

სავარაუდოდ შემოდგომაზე, რომელზეც, ჯერ-ჯერობით, მეტს არაფერს ვიტყვი, თუმცა, ერთ პატარა ფრაგმენტს ამ რომანიდან აქვე მაინც შემოგთავაზებთ.

კანი და კინო

ამის გარეშე ჩემი ცხოვრება არ არსებობს. ხშირად ვფიქრობ, ეს ჩემი ყოველწლიური კანის ფესტივალზე წასვლის აკვიატება არ არის მხოლოდ კინოს სიყვარულის გამო. ეს ალბათ ტექსტის და წერის სიყვარულის გამოცაა. მე ბოლო დროს სერიოზულად მომიწია კინოსცენარზე მუშაობა და ამ მხრივაც ბევრი რამ მაინტერესებს. მაქვს ის ბედნიერება, რომ ერთ-ერთმა პირველმა ვნახო ხოლმე ოთხი-ხუთი ძალიან კარგი ფილმი, რომლითაც მაჯისცემას გაიგებ. უყურებ ამ წითელ ხალიჩას, სადაც ყველა ძალიან ლამაზია, ვარსკვლავები ბრჭყვიალებენ, მერე კი კინოში შედიხარ და აღმოაჩენ, რომ ყველა ერთ სამყაროზე ვლაპარაკობთ. ამიტომ მიყვარს კანი: ხომ ასეთი გლამურული ფესტივალია, მაგრამ როგორ პატარავდება სამყარო იქ – ამის სიამოვნების განცდა მიყვარს ყოველ წელს. განცდა, რომ მარტო არა ხარ და შენზე ბევრად ჭკვიანი ადამიანებიც ფიქრობენ. ეს არის ეგოიზმის დაკმაყოფილებაც, შესაძლოა, კომპლექსებისაც და, საერთოდ, ყველაფრის ერთად.

„ფოკუსი“ და სხვანი

ეს ჟურნალი რვა წელი ვაკეთე და ბოლოს მივხვდი, რომ ამოვწურე და წამოვედი. ვფიქრობ, ყველაზე დემოკრატიული ჟურნალი იყო, ყველანაირი ავტორისათვის ღია. ზოგადად, მე არ შემიძლია, ავტორების აკვიატება. ისინი სულ უნდა იცვლებოდნენ. ფოკუსში სულ ასე იყო.

„თბილისი აუტი“ იყო ერთადერთი ზუსტი გზამკვლევი, რითიც მართლა ვამაყობდი, რადგან ჩვენი დამსახურებაც მგონია, რომ ერთი თვით ადრე თითქმის ყველა შესაბამისი უწყება თუ ორგანიზაცია მიეჩვია ერთი თვით ადრე რეპერტუარის დამტკიცებას. დღეს ჟურნალი დროებით დახურულია. კულტურის სამინისტრომ ამ ეტაპზე უარი თქვა მის დაფინანსებაზე.

„ანაბეჭდი“. ეს იყო მართლა ყველაზე განსხვავებული რამ. მე მას ასე ვეძახდი – ამიერკავკასიაში ყველაზე კარგად დაფინანსებული ანდერგრაუნდი. იქ მე ამისრულდა ყველა სურვილი და ოცნება და როცა ასეთი სურვილები და ოცნებები დაფინანსებულია, მართლა სამოთხესავით იხსენებ მერე მაგ პერიოდს. იქ იყო ყველა სრულიად უცნაური და შეშლილი ადამიანი შეკრებილი და ეს იყო ექსპერიმენტების დრო.

ბიბლიოთეკა

მე ისინი მიყვარს ერთმანეთის პარალელურად. ერთდროულად ვგიჟდები ჰენრი მილერსა და ბროდსკიზე. კამიუსა და თომას მანზე. ჩემთვის რაც უფრო ასე გაშლილია პალიტრა – მით უფრო საინტერესოა. თანამედროვე ავტორების წიგნებსაც, სულ ვცდილობ, გავეცნო. ბოლო, რაც აღმოვაჩინე, ეს იყო ჯონათან ლითლის რომანი მეორე მსოფლიო ომზე. ძალიან შთამბეჭდავი. ჩემთან ერთდროულად არსებობს, სიტყვაზე, ედგარ ალან პო ან დავით კლდიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და ზადი სმიტი, რომელიც სულ შემთხვევით აღმოვაჩინე გუგლში. რაღაც ეტაპზე ფამუკიც მიყვარდა, მერე გადავიყვარე. გადაყვარებებიც ვიცი. კინოშიც მყავს ასეთები. ჩემები, ფასბინდერი. მაიკლ ლი. ძალიან მიყვარს კაურისმაკის ფილმი, ჰავრე – ასე ჰქვია – რამდენიმე წლის წინ ვნახე კანის ფესტივალზე, ბრწყინვალე ფილმი იყო კეთილ ადამიანებზე და ა.შ და ა.შ.

აუცილებლობა

მეგობრები. მათ გარეშე არ წარმომიდგენია. ჩვენ ვქმნით თითქოს ერთმანეთს. ვავსებთ. თომასა და ბავშვებზე არ ვლაპარაკობ, ეს ისედაც ცხადია. კიდევ, არ შემიძლია იმ მოლოდინის გარეშე ცხოვრება, რომ კარგი ფილმის სანახავად საფრანგეთში უნდა წავიდე. მოკლედ, კომფორტში მოქცეული ეს თავისუფლება ჩემთვის ბევრი რაღაცის განმსაზღვრელია. კიდევ, მე მგონი, ესთეტიც ვარ, რადგან, მაგალითად, უგემურ საჭმელსაც კი გემრიელად შევჭამ, თუ ის ლამაზად შეფუთულია. შესაბამისად,

ესეც ჩემი მოთხოვნილებების ნაწილია. ამ ყველაფრის საერთო სახელი კი, რაც მე მჭირდება, არის თავგადასავალი.

პატარა

სამი წლის როცა ვიყავი, ვიყავი ძალიან სასაცილო გარეგნობის, შავგრემანი, დაგრეხილი ფეხებით და, ცოტა არ იყოს, ბილწსიტყვაობის მოყვარული. ხუთი წლიდან ვმღეროდი, სანამ თინეჯერი არ გავხდი და არ მივხვდი, რომ სირცხვილი იყო. მუსიკალურ შვიდწლედშიც ვიარე. რაც კარგად მახსოვს, ეს იყო ჯანმრთელი გარემო ჩვენს სახლში, რამაც ყველაფერი განსაზღვრა. ჩემმა მშობლებმა ჩვენში ჩადეს ყველაზე დიდი ინვესტიცია – სიყვარული და ჩვენთან გატარებული დრო.

ომამადე

ომამდე ცხოვრება იყო უფრო მხიარული, ომის მერე აღარ. მამაჩემს ძალიან ბევრი სოხუმელი მეგობარი ჰყავდა. ნათლიაჩემიც სოხუმელი იყო, რომელიც იქ ააფეთქეს. მერე მახსოვს, რომ ჩვენთან მამას მეგობრები ჩამოვიდნენ და დროებით ცხოვრობდნენ. მაგ დღიდან მივხვდი, რას ნიშნავს უბედურებები ადამიანების ცხოვრებაში.

განათლება

დღეს, მგონია, რომ ეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში. იმ გადაცემაში, რომელზეც ახლა ვმუშაობ – რაზე არ გვილაპარაკია, და ყველაფერში ვაწყდებით განათლების დეფიციტს. მარტივი მაგალითი – მაგალითად, ქართველ დედას ძალიან უნდა, რომ მის შვილს ბალის სპექტაკლში ჰქონდეს კარგი როლი, მაგრამ არცერთ დედას არ აღელვებს, რომ მისმა შვილმა იცოდეს ზონარის შეკვრა. მე მგონია, რომ საქართველოში ამაზე ფიქრის დეფიციტია. ზოგადად, ფიქრის დეფიციტი. ერთხელ, ისევ ბერლინში, პარკში ვიჯექი, როცა მასწავლებელმა სათამაშოდ ბალის ბავშვები შემოიყვანა. ისე მოხდა, რომ თავისი დავთარი ჩემთან ახლოს დადო. ძალიან მაინტერესებდა, რას ასწავლიდა და ჩავხედე – ეს იყო ბავშვებისთვის გასაგებად ახსნილი – ფერადი გრაფიკა – საგზაო მოძრაობის წესები! ამიტომ არის, რომ როცა იქ ბავშვი დედას ველოსიპედით უკან მიჰყვება – მას არასოდეს არაფერი შეეშლება.

2 წლის

12 წლის



14 წლის

ფრანგულის გაკვეთილი პიესა ორ მოქმედებად

ნესტან ნენე კვინიკაძე

მოქმედი პირნი:
სალომე – ფრანგულის მასწავლებელი
ირაკლი – თინეიჯერი მოსწავლე

მასწავლებელი, სასიამოვნო გარეგნობის, საშუალო ასაკის ქალბატონი.

16 წლის ირაკლი, სიმპათიური, ასაკისთვის ოდნავ დიდი შეხედულების. საუბრობს მანერულად, ჭკვიანი სახე აქვს.

პირველი მოქმედება

სცენა 1

საცხოვრებელი სახლის პატარა კაბინეტი, კედლებზე ნახატები და დეკორატიული თეფშები კიდია. თაროებზე წიგნები აწყვია. კაბინეტიდანვე მოჩანს სამზარეულო ოთახი.
კარზე ზარი ისმის. სამზარეულოდან გამოდის სალომე მასწავლებელი და აღებს კარს.

ირაკლი – Bonsoir.
სალომე – ირაკლიიი, Bonsoir.
ირაკლი – როგორ ბრძანდებით?

ირაკლი ყვავილების თაიგულს უწვდის მასწავლებელს.

სალომე – ისევ ყვავილები? (კეკლუცად) როგორ მახარებ და მაიმედებ, ირაკლი!

ორივე კაბინეტში შედის, ირაკლი მხარზე გადაკიდებულ ჩანთას იხსნის და სკამზე ჯდება.

სალომე – მთელი დღეა, ცუდ გუნებაზე ვარ... ტელევიზორს ვუყურებ დილიდან.

მასწავლებელი თაროდან ვაზას იღებს. სამზარეულოდან გამჭვირვალე, წყლით სავსე დოქი შემოაქვს. წყალს ვაზაში ასხამს და შიგნით თაიგულს დებს.

ირაკლი – მადამ, მანდ კარგს არასოდეს იტყვიან! მე საერთოდ არ ვუყურებ. არ მიყვარს. თან რა არის იცით, ტელევიზორს ვერ ვუყურებ იმიტომ, რომ იმწამსვე იწყება თარგმანი. (სერიოზულად) იმწამსვე ფრანგულ სინქრონს ვიწყებ. (თან ჩანთიდან ალაგებს რვეულებს და წიგნებს).
სალომე – (ღიმილით) ეჰ, ირაკლი, ირაკლი... როგორ ხარ? რა არის ახალი?
ირაკლი – მე, კარგად. მამა იყო ცუდად, გული ხომ აწუხებს და...

მასწავლებელი მოპირდაპირე მხარეს იკავებს თავის ადგილს.

სალომე – (შეწუხებული) უი, რა ცუდია. არა უშავს, ირაკლი, ყველაფერი კარგად იქნება. (მოულოდნელი ალმაცერობით) გული ვის არ აწუხებს... (პაუზის შემდეგ) გამახსენე დავალება.
ირაკლი – წასაკითხი მქონდა ეს მოთხრობა, (წიგნს უთითებს და უწვდის) მოსასმენი ეს სიმღერა (დისკს უწვდის), სავარჯიშოები – თავისთავად და 300 სიტყვიანი ესსე დასაწერი.
სალომე – მოგეწონა?
ირაკლი – მოთხრობა და სიმღერა მომეწონა. სავარჯიშო და ესსე თქვენ უნდა მოგეწონოთ, მადამ. (ირაკლი ალმაცერად შეხედავს მასწავლებელს).
სალომე – რა სასაცილო ბიჭი ხარ! (თან სავარჯიშოების რვეულს იღებს და კითხულობს). ირაკლი, შეგიძლია, მოთხრობა შეაფასო? რატომ მოგეწონა? (მასწავლებელი თავს არ წევს რვეულიდან).
ირაკლი – ეს არის სასონარკვეთილი ადამიანების ყოფა, სადაც სამყაროს დასასრულის და აპოკალიპტურობის განცდა ჭარბობს. (ერთმანეთს მიაყრის ირაკლი).
სალომე – (დაბნეული ახედავს ირაკლის) – კი, მაგრამ, აბა, მომეწონაო?!
ირაკლი – მე მოთხრობა მომეწონა, მადამ, და არა პერსონაჟები და მათი მოწოდებები.
სალომე – რატომ, ირაკლი? შენი აზრით, სამშობლოს სიყვარული სასონარკვეთაა? თუ მოდური აღარ არის დღესდღეისობით?
ირაკლი – მადამ, მე ასე არ მითქვამს. მე, უბრალოდ, არ ვიზიარებ მთავარი გმირის შეხედულებებს. მე არასოდეს დავტოვებ საყვარელ ადამიანს! არაფრის გულისთვის და არავის გულისთვის!
სალომე – მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ღირდა?
ირაკლი – რა ღირდა, მადამ? (ირონიული გაკვირვებით) ღალატი?

სალომე – იქნებ ეს ღალატი არ არის? იქნებ, უბრალოდ, ცუდი დასასრულია, არ შედგა სასიყვარულო ამბავი, Voila!
ირაკლი – მადამ, თქვენ ალბათ მთავარი გმირის წარმომავლობა, ელეგანტურობა და საუბრის მანერა ისე გხიბლავთ, რომ მზად ხართ, ყველაფერში გაამართლოთ.
სალომე – ირაკლი, ცხოვრება სხვა რეალობას ითხოვს დროთა განმავლობაში. წარმომავლობაც ბევრს განაპირობებს ხოლმე, ელეგანტურობა კი შინაგან კულტურაზე მეტყველებს... ჩემი თაობა, ყოველ შემთხვევაში, ამ დეტალების წყალობით იქცა თაობად და შენ ამას ერთ დღესაც აუცილებლად მიხვდები.
ირაკლი – შესაძლოა, მადამ, მაგრამ მე ჯერ ხომ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ?!
სალომე – მაგრამ ეს არ გარიდებს პასუხისმგებლობას.
ირაკლი – ვის წინაშე, მადამ?
სალომე – საკუთარი თავის, ირაკლი. იმიტომ, რომ სხვა დანარჩენი ეგოიზმია. ჩვენი ახალგაზრდობა, სილაღის და უდარდელობის მიუხედავად, ამ პასუხისმგებლობას მაინც გრძნობდა.
ირაკლი – როდის, მადამ? (ირონიულად).
სალომე – ყოველთვის! (მკაცრად).
ირაკლი – რატომ გაბრაზდით, თქვენ მკითხეთ, მოთხრობა თუ მოგეწონაო, მე გითხარით, რომ მომეწონა. უბრალოდ, მთავარი გმირი... როგორ გითხრათ, სხვა თამაშს თამაშობს, (არტისტულად) როგორც ერთი მწერალი იტყოდა, სხვა ჯინსები აცვია. (ღიმილით) მას სიყვარული არ შეუძლია და სხვა რაღაცებით ამართლებს ამას. და თან, მე არ მჯერა ტრანსპარანტების, მადამ.
სალომე – როდის ნახე ბოლოს ტრანსპარანტები? (ნიშნისმოგებით)
ირაკლი – დღეს.
სალომე – მაინც, სად?
ირაკლი – თქვენი სახლის სადარბაზოს კარზე, მადამ.
სალომე – (თითქოს შეიშმუშნება) კარგი, კარგი. (მხრებში გასწორდება. სახეზე ეტყობა კმაყოფილება, თითქოს ირაკლის უკომპრომისობით ერთგვარი სიამოვნებაც განიცადა) წაიკითხე შენი 300 სიტყვიანი თემა, თუ როგორც შენ ეძახი – ესსე!.. როგორ დაასათაურე?
(ირაკლი რვეულს გადაშლის და სალომეს ქვემოდან ახედავს).
ირაკლი – მარტივად, მადამ, – „ჩემი საყვარელი მუსიკოსი". (ირაკლი ჩაახველებს და კითხვას შეუდგება):
„მას არ სჯერა პოლიტიზებული როკ-ვარსკვლავების – ბონოსა და სტინგის მოძღვრების. ავანგარდული მუსიკის ალქიმიკოსი სულ უფრო კონცეპტუალურ და პოლიტიკურ ალბომებს ქმნის. დღეისთვის, თანამედროვე მუსიკაში ის უნიკალური შემოქმედია – მოუსვენარი ნოვატორი, პროფესიონალი პიანისტი და სუპერვარსკვლავი. ოთხი წლის ასაკში მან პიანინოზე და ვიოლინოზე დაკვრა დაიწყო. შვიდი წლის ასაკში სკოლის გუნდში მღეროდა. BBC-ის ხმის ტექნიკოსის შვილმა მალე საკუთარი სახლის საყოფაცხოვრებო ნივთები მუსიკალურ ინსტრუმენტებად აქცია: სარეცხი მანქანის, ტოსტერის და კბილის ჯაგრისის ხმები მან მუსიკისთვის გამოიყენა"...

(მთელი მონოლოგის მანძილზე სალომე ირაკლის აღფრთოვანებული შესცქერის).
მოულოდნელად ისმის მობილურის ზარი. ირაკლი კითხვას წყვეტს და ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს.

ირაკლი – (ჩურჩულით) დედა, გაკვეთილზე ვარ, ხომ იცი, ნუ. (პაუზა) რატომ? რა საქმე გაქვს? კაი, ხო. (დაბნეული და შეწუხებული ირაკლი მასწავლებელს უწვდის ტელეფონს) – თქვენ გთხოვთ.
სალომე – (დაბნეული) ალო, დიახ, არა უშავს. დიახ... (დაძაბული)... რას ამბობთ! დანამდვილებით იცით? (მასწავლებელი თითქოს სუსტდება, პატარავდება და შიში იპყრობს). ანუ უკვე ამაზეა საუბარი? სად მოისმინეთ? (პაუზა) თავისთავად ცხადია, რომ საშიშია. (პაუზა) რა ვთქვა, არ ვიცი... დილიდან ცუდი შეგრძნება დამყვება, კი ვიფიქრე, დღეს ირაკლის დავურეკავ და იქნებ გაკვეთილი გადავდოთ-თქო, მაგრამ მე... (პაუზა). არა, ხმა ჯერ არ გაგვიგია... (პაუზა). ირაკლი?... არა. დრო და ვითარება გვიჩვენებს... ნუ იდარდებთ. (პაუზა). დამშვიდდით. (პაუზა) არა, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია! მშვიდობით.
ირაკლი – რა უნდოდა, მადამ?

მასწავლებელი ფეხზე დგება.
სალომე – იცი, ირაკლი, დედამ მითხრა...
ირაკლი – მამა მოკვდა? (ირაკლიც ფეხზე დგება).
სალომე – არა. (თავს ნერვიულად გააქნევს). არა, ირაკლი, დაწყნარდი.
ირაკლი – რა გითხრათ?
სალომე – მოკლედ, შენ დღეს, აქ უნდა დარჩე, ირაკლი!

პირისპირ მდგომი მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთს თვალებში ჩასჩერებიან.

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

მასწავლებლის საძინებელში მკრთალი შუქი ბჟუტავს. ოთახში დგას ერთკაციანი ლოგინი, ტახტი და ტანსაცმლის კარადა. დასადგამი სარკის კიდეზე მძივები კიდია. ძირს სხვადასხვა ზომის ზარდახშებია მიწყობილი.
სიჩუმეა. სიჩუმეს არღვევს გარედან შემოსული ვერტმფრენების ხმა.
ლოგინზე წევს მასწავლებელი. ტახტზე – მოსწავლე.

ირაკლი – ვერ ვიძინებ.
სალომე – დაითვალე.
ირაკლი – (პაუზის შემდეგ) პარიზში ნამყოფი ხართ, მადამ?
სალომე – კი.
ირაკლი – მე – არა, მაგრამ კარგი ლექსი ვიცი.
სალომე – აბა!
ირაკლი – „...პარიზის არყით მთვრალი საღამო,
მიმქრალი შუქის ნისლით ნაგები...
ბნელ ტრამვაის გიჟურ სიმღერას
მკერდზე იწერენ ლიანდაგები“...
გიიომ აპოლინერი. Voila!
სალომე – (პაუზის შემდეგ) კარგი თარგმანია.
ირაკლი – მადამ, რა არის მთავარი თარგმანის დროს?
სალომე – თარგმანი უნდა იყოს უანგარო და არა ბოღმიანი.
ირაკლი – ხო, მეც ასე მგონია... (პაუზა) და მადამ, თქვენი თაობის, ასე ვთქვათ, ბიოგრაფია „სამი მუშკეტერიდან“ იწყება?
სალომე – შეიძლება ითქვას... დაიძინე! დაიძინე, ირაკლი! (დაჟინებით თხოვს მასწავლებელი).
ირაკლი – კი მაგრამ, არ მეძინება და როგორ დავიძინო?
სალომე – უნდა დაიძინო!
ირაკლი – როგორ?
სალომე – რამე კარგზე იფიქრე.
ირაკლი – ანუ თქვენზე, მადამ?
სალომე – ირაკლი! (მკაცრად)
ირაკლი – გინდათ გაგაცინოთ? სოფელში რომ ვიყავი, მეგობრის ბაბუამ იცით, რა გვასწავლა? თუ გინდა შეიტყო, ქალი ქალწულია თუ არა, აიღე ამბრაგის თესლი, რაღაც სომხურია მგონი, კარგად დანაყე და წყალში გაზავებული დაალევინეო. თუ მაშინვე მოფსა, ნახმარია, თუ ნახევარი საათის შემდეგ, ქალწულიაო. (იცინის) ასე თქვა, ზუსტად ასე. ნახმარიო. (ირაკლი სულელივით იცინის).
სალომე – (მკაცრად) ზედმეტი ხომ არ მოგდის?
ირაკლი – არა... ეს ისე, რომ გაგამხიარულოთ. (ტახტიდან დგება) მაშინ ჩავრთავ იმ სიმღერას, რისი ტექსტიც დამაზეპირებინეთ, მადამ.
ირაკლი დგება და რთავს სიმღერას. ისმის ჟაკ ბრელის სიმღერა Ne me quitte pas.
ირაკლი – არ ვიცეკვოთ?
სალომე – ირაკლი, ცუდად თუ მოიქცევი (თითქოს ენა ებმებაო), ჩე... ჩემიი ხელით მიგიყვან სახლში.
ირაკლი – ვერ მიმიყვანთ, მადამ სალომე... (ნელა და ერთგვარი იმედგაცრუებით) აქედან რომ ვერსად გავალთ, გგონიათ არ ვიცი? (პაუზა). თქვენ მე დებილი გგონივართ? ან იქნებ იმპოტენტი? გგონიათ არ ვიცი, რომ მე ხვალაც აქ ვიქნები და ზეგაც და საერთოდ, შესაძლოა, ერთად მოვკვდეთ ამ პატარა სახლში? გგონიათ, აპოლინერი მეხალისება? თქვენ დედაჩემივით ხართ... (ნერვიულად აქნევს ხელებს). არა, სალომე! თქვენ გულს ვერ ამიჩუყებთ.
თქვენ გიჟდებით სასწავლებლად დასავლეთში წასულ ბურჟუებზე. მე – არა! ყოველ გაკვეთილზე იმას მიყვებით, ტიფით გარდაცვლილი ოცი წლის მომხიბვლელი ფრანგი მწერლის – რაიმონდ რადიგეს დაკრძალვის ხარჯები კოკო შანელმა გაიღო.
და რა მერე, მადამ? ერთიც მკვდარია და მეორეც. ბედნიერების გარანტიას ვერაფერი იძლევა. და ამან გამოუშრო ხახა თქვენნაირებს.
თქვენ ახლა გეტირებათ იმაზე, რაც გარეთ ხდება. მე – არა, მადამ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ეს თქვენ ხართ გამუდმებით ბედნიერების გარანტიის მოლოდინში და, შესაბამისად, ბევრი გაქვთ დასაკარგი. მე – არა! მე ახლა უნდა დავიწყო ყველაფერი. მარტომ. (თითქოს როლში შედის) მე გადავწყვიტე, მადამ – ჩრდილოეთის ორაგულივით ვიქნები!
სალომე – გამუდმებით დინების წინააღმდეგ? (დასუსტებული)
ირაკლი – ხშირად საკვების გარეშე, მაგრამ მხოლოდ უსაფრთხო ადგილას დავყრი ქვირითს. ხო! თქვენგან განსხვავებით!
პაუზის შემდეგ დამშვიდებული ირაკლი სინანულით ამბობს:
ირაკლი – არ შეიძლება, დუმილმა რომ შეცვალოს? არ დავანგრიო და არ ვიყვირო. არ შევცვალო ცხოვრება. არ შეიძლება, თავისით რომ დაემხოს?
ირაკლი ნელა, დამარცხებული, ლოგინში ბრუნდება. სიჩუმეა ერთი-ორი წუთი.
ირაკლი – მადამ! (პაუზა) Je tam.

ფარდა

ამარგი

დათო ტურაშვილი

მახსოვს ის დღე, როცა ნენე გავიცანი და უფრო სწორად კი მახსოვს ის ადგილი, სადაც პირველად ვნახე ნესტან კვინიკაძე, რომელიც იდგა ერთი ნახატის წინ, ერთ საგამოფენო დარბაზში და ექსპონატებს ათვალიერებდა. ბევრი ცუდი თვისება მაქვს, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებით ცუდია და ვინმეს რომ გამაცნობენ ან ჩემით დავინტერესდები ხოლმე (რომელიმე ადამიანით), თვალი (უნებლიეთ), მისი ფეხსაცმელებისკენ გამირბის და თუ ფეხსაცმელი არ მომწონს, მერე ის ქალიც ნაკლებად მაინტერესებს. მაშინ, როცა ნენე ვნახე (პირველად), ისეთი ცუდი დრო იყო, რომ უამრავ ადამიანს თბილისში, თურქული წარმოების ფეხსაცმელი ეცვა და უცებ, ნესტანის ფეხებს რომ დავხედე, მართლა პირი დავაღე და ასე პირდაღებულმა (და მისი ფეხსაცმელებით აღფრთოვანებულმა) გავიცანი მწერალი ნესტან კვინიკაძე. რასაკვირველია, მაშინვე მივხვდი რომ პროზას წერდა (როცა მითხრა ვწერო) და რასაკვირველია, მალე დავმეგობრდით, რადგან ასეთ მშვენიერ ადამიანებს (სამეგობროდ), ყოველთვის ისედაც ვეძებდი და ახლაც ვეძებ ხოლმე. ხოლო როცა მისი მოთხრობები წავიკითხე, მერე კიდევ უფრო შემიყვარდა ნენე, თუმცა არა მხოლოდ მისი წერის ნიჭის გამო, რადგან მთავარი, მაინც, მგონი ადამიანად ყოფნის ნიჭია და ეს კი მაშინ, იმ ცუდ წლებში, მითუმეტეს ადვილად აღმოვაჩინე. იმ ცუდ წლებში კი, მხოლოდ იმით შეიძლებოდა თავის დამშვიდება, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც, არანაკლებ მძიმე მდგომარეობა იყო მაშინ, მაგრამ ძალიან მალე, განსხვავებაც გამოიკვეთა და განსაკუთრებით კი თურქეთში. მართალია, თურქებს სამამულო ფეხსაცმლების გაუმჯობესება მაინც გაუჭირდათ, მაგრამ (სამაგიეროდ), კინო და თეატრი, ფეხბურთი და მედიცინა, ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა (და კიდევ ძალიან ბევრი რამ), ძალიან სწრაფად განავითარეს. ჩვენც ძალიან გვინდოდა, რომ ჩვენი ქვეყანაც ძალიან მალე შეცვლილიყო უკეთესობისკენ და გვინდოდა რომ ჩვენი წვლილიც შეგვეტანა ამ პროცესში და გვჯეროდა რომ წიგნსა და ლიტერატურასაც შეეძლო ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს გაუმჯობესება. ყველაფრის საფუძველთა საფუძველი კი, ჩვენი აზრით, მაინც თავისუფლება იყო და რადგან ლიტერატურისთვის თავისუფალი სივრცე, მაშინდელ საქართველოში, მხოლოდ გარეთ, ქუჩაში არსებობდა, ჩვენც ქუჩის აქციებით დავიწყეთ. პოეტურ და პროზაულ ტექსტებს (სანამ ლიტერატურული სარდაფი გაჩნდებოდა), პირდაპირ ეზოებში, ბაღებსა და ქუჩებში ვკითხულობდით და გაზაფხულის ერთ საღამოს, პოეზიის საღამო, ზუსტად მრგვალ ბაღში გავმართეთ, მაგრამ სულ არ გაგვხსენებია რომ იქვე (სულ ორიოდ ნაბიჯში), საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ცხოვრობდა. უფრო სწორად კი, შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციაში ცხოვრობდა (ოჯახთან ერთად), მაგრამ ვაკეში, მრგვალ ბაღთანაც ჰქონდა სახლი და ლექსების კითხვა დავიწყეთ თუ არა, სულ რამდენიმე წუთში, პოლიციის სპეცნაზმა ალყა შემოგვარტყა. ეტყობა, კიდევ უფრო დაწინაურების მომლოდინე, აქტიურმა და მონდომებულმა პოლიციის უფროსმა, ძალიან ხმამაღლა და ომახიანად იკითხა, – აქ რა ხდებაო და ნესტან კვინიკაძემ კი, ძალიან მშვიდად, ხმადაბლა და წყნარად უპასუხა - გაზაფხულის საღამოა მშვიდი...

ნენე რომ გავიცანი, პატარა თუ არა, ძალიან ახალგაზრდა ნამდვილად იყო და მაშინაც მიკვირდა (გულწრფელად) და ახლაც მიკვირს, თუ როგორ შეიძლება რომ უკვე ასეთ ასაკში, ადამიანს, ასეთი ჯანმრთელი და ზუსტი ფასეულობები ჰქონდეს ჩამოყალიბებული და ასე პრინციპულად ერთგული იყოს ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ღირებულებების. თუმცა, ყველაზე მთავარი, რაც ნესტან კვინიკაძეს სხვებისაგან (და არა მხოლოდ მწერლებისგან) გამოარჩევს, სწორედ სხვებისადმი დამოკიდებულებაა და დღევანდელ საქართველოში, მზრუნველობის ასეთი უნარი, მგონი მართლა უჩვეულო და იშვიათი მოვლენაა. ეს სიტყვა მზრუნველობა, შეიძლება ცოტა პათეტიურადაც კი ჟღერდეს, მაგრამ სხვა რა უნდა ერქვას ნენეს დაუსრულებელ სურვილს, რომ ყოველთვის ისეთი ჟურნალის გაკეთება შეძლოს, სადაც უამრავ კოლეგასა თუ არაკოლეგას, წერისა და მუშაობის საუკეთესო საშუალებას შეუქმნის. როცა რაღაცის გაკეთება ასე ძალიან გინდა, გამოგდის კიდეც და ნესტან კვინიკაძეც ყველაფერს გემოვნებით და ხარისხიანად აკეთებს და ეს მხოლოდ ლიტერატურას არ ეხება. თუმცა, პირადად მე, როგორც მისი ერთგული მკითხველი, რასაკვირველია ვისურვებდი, რომ სამი შვილის აღზრდისა და ყველა დანარჩენი საქმიანობის პარალელურად, ნენემ იმ წიგნების დასაწერადაც მოიცალოს, რომელიც მე ნამდვილ სიამოვნებას მანიჭებს...

P.S. ნესტან კვინიკაძის პირველ წიგნს „ამარგი“ ერქვა და ეს სიტყვა შუმერულად, ნამდვილ თავისუფლებას ნიშნავს...

დღე თამაშობისა

(ფრაგმენტი გამოუქვეყნებელი რომანიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაუ ელფრიდა და ჰერ ტომას, დიდი მადლობა იმ ყურადღებისთვის, რასაც ჩემი ბიჭისთვის იჩენთ. ისიც ვიცი და მიხარია, რომ თავადაც მონდომებულია, კარგად სწავლობს და დილაობით ლოგინსაც ალაგებს. დაბადების დღეც ჩინებული გადაგიხდიათ. მატარებლის ფორმის ტორტი გამოგიცხვიათ და სხვა მისი თანაკლასელები მოგიწვევიათ. მერე პიანინოზე დაგიკრავთ ფრაუ ელფრიდა. გმადლობთ, დიდი მადლობა.

ჩვენთან სატელეფონო კავშირი ჭირს, გვპირდებიან, მალე მოგვარდებაო, რაც იმედს მაძლევს, რომ გაცვლითი პროგრამის დასრულებამდე მოვახერხებ თქვენთან პირადად გასაუბრებას და შესაბამისი სამადლობელო სიტყვების თქმას.

ფრაუ ელფრიდა და ჰერ ტომას. ახლა ჩემს ბიჭს უჩვეულო მოვლა სჭირდება. ორი-სამი კვირა გთხოვთ, შენიშვნა არ მისცეთ, არ უთხრათ ხმამაღალი სიტყვა, რომც დააშავოს რამე. მომთხოვნი არასოდეს ყოფილა და თუ მოითხოვა რაიმე, გთხოვთ, შეუსრულოთ და შემდეგ გამოუქვითოთ. შესაძლოა, აგრესიული იყოს, მაგრამ ფრაუ ელფრიდა და ჰერ ტომას, უმორჩილესად გთხოვთ, არ მიაქციოთ ყურადღება.

უჩვეულოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ გთხოვთ, წითლად მოურთოთ ოთახი. სასურველია, წითელ თეთრეულში იწვეს, ფარდები და მაგიდის გადასაფარებელიც... იქნებ... განათებაც რბილი მოწითალო იყოს. ანგელოზები დაუკიდოთ სადმე ჭაღთან. სანთელი დაუნთოთ ოთახში და ხშირად ჰკითხოთ, რამე ხომ არ სურს.

ფრაუ ელფრიდა და ჰერ ტომას. თქვენში, შესაძლოა, ეს მხოლოდ ინფექციაა, რაც სხეულზე გამონაყარში და მაღალ ტემპერატურაში გამოიხატება, მაგრამ აქ, ჩვენთან, მას ბატონები ჰქვია. იცით, ფრაუ ელფრიდა და ჰერ ტომას, თითქოს ამ დროს ადამიანში ბატონები მობრძანდებიან და ისინი ბატონობენ სამფლობელოში, სხეულში. და როგორც ბატონებს არ აბრაზებენ, ყველაფერს უსრულებენ, სწორედ ასევეა ჩვენებური სახადის დროს. სულ ასე იყო უხსოვარი დროიდან და ყველა იცავდა ამ წესებს, რადგან, ღმერთმა დაიფაროს, ბატონები თუ გაბრაზდნენ, შესაძლოა არასოდეს წავიდნენ.

კიდევ ერთი, არ თქვათ, რომ ჩემი ბიჭი ავად არის, ამას ავადმყოფობას არ ეძახიან ჩვენში, – ეს სახადია, ბატონებისთვის მოსახდელი.

და ბოლოს, ფრაუ ელფრიდა და ჰერ ტომას. მეტისმეტად მერიდება ამის თქმა, მაგრამ, როცა ოჯახში ასეთი ბავშვია... მერიდება, როგორ გითხრათ... ნუ... მოკლედ, ქალს და კაცს შორის ურთიერთობა არ შეიძლება... მაპატიეთ, ფრაუ ელფრიდა და ჰერ ტომას. თუ ყველაფერს დავიცავთ, ორ კვირაში ბატონები წავლენ და ყველაფერი დალაგდება.

არც კი ვიცი, როგორ გითხრათ მადლობა.

ფრაუ ელფრიდა და ჰერ ტომას. ბოდიშს გიხდით და კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, რაც დედაჩემმა ეს წერილი გამოაგზავნა და მართლაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემს მასპინძლებზე. ჩემს ფიქტიურ მშობლებზე, რომლებიც გაცვლითი პროგრამის წყალობით შევიძინე.

ფიქტიურმა მშობლებმა ერთხელ, სადილზე გამომიცხადეს, ჩვენი მშობლები ნაცისტები იყვნენო. მე ლუკმა გადამცდა. მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლიანი ცოდნა იმისა, თუ რა ხდებოდა იმ დროს იქ, სადაც მე ახლა თბილ ღვეზელს და ცხელ შოკოლადს გემრიელად ვეტანებოდი, ნაღდად არ მქონდა.

მაგრამ სულის ვარჯიშმა, სრულიად ერის ნებამ, ჩვენ ფენიქსივით ფეხზე დაგვაყენა. ჩვენ არასოდეს დავბრუნდებით იქ, – ასე დაასრულა ტომასმა.

დედობილი კინომცოდნე იყო, მამობილი გიდი.

დიახ, გამიმართლა.



გადაფრენის ინსტინქტს დაქვემდებარებული თაობა

ანუკი იმნაიშვილი

[...] „ისპაჰანის ბულბულების“ უკლებლივ ყველა პერსონაჟი უძღები შვილია. შეუძლიათ, სამშობლო მიატოვონ ღარიბი ნათესავივით, რაღაც ოცნებისფერი სურვილის გამო, რომლის ახდენაც თურმე საკუთარ ქვეყანაშივეა შესაძლებელი; მიატოვონ უბრალოდ, ფოტოგრაფიის სამთვიანი კურსებისათვის, ანდა, სულაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი საუკუნის „ქვეცნობიერი ცენტრი“ ნიუ-იორკია, „სადაც ყველანაირი ალბათობა დაშვებულია“. და არ იციან, რომ ისპაჰანის ბულბულებივით, მოხეტიალე მტრედებივით თუ შემოდგომის ბატებივით მათი გადაფრენა-გაფრენით ვიღაცას უხარია ან გული სწყდება ტკივილამდე. მათსა და უფროსი თაობის უძღებ შვილთა შორის ის განსხვავებაა, რომ გადაჯიშებას გადარჩენილნი არიან, ამსტერდამის შუაგულში ერთმანეთთან უცხო ენით არ საუბრობენ, გამუდმებით ამტკიცებენ საკუთარ წარმომავლობას და სამშობლოდან ძალიან შორს მყოფთ, სრულიად მარტოებს უწევთ მათი ერთი ბეწო კულტურის დაცვა (რომელიც ყოველთვის უფრო დიდი გვგონია, ვიდრე სხვა დანარჩენი ერთად). მაგრამ რა იქნება მერე?! მერე, როცა სამშობლოში დაბრუნდებიან. არაფერი, გარდა იმისა, რომ უფროსი თაობის ემიგრანტთა დამახასიათებელ სიყალბეს ასცდებიან. მაგრამ ის ნამდვილია, რომ სამშობლოში დაბრუნებას არავინ ჩაუთვლით გმირობად. არც ოთოს ეგონა სამშობლოში დაბრუნებული ასტამური გმირი: „ხუთმეტრიანი სირაქლემების და სამთითა ცხენისმაგვარი პიპარონების საძებნელად რომ გარბოდი, ყველას აქ რომ გვტოვებდი, გამუდმებით ცაში რომ იყურებოდი და პატარა კენჭიც ფეხს გიბრუნებდა, რას შვრებოდი მთელი ეს დრო, ბიჭო?! „არც თავს მოვიკლავ და არც ვინმეს მოვაკვლევინებო“ – ეს იყო შენი ბოლო სიტყვები და წახვედი. ჩვენ აქ ვიყავით, ასტამურ, და მაგრად გვეკიდა შენი ბულბულების გადაფრენა. ყველანი ვიყავით პოეტები, ძმაო, მაგრამ გაყინულ ტრამვაიში რაღაც ვეღარ ვიგრძენით ამის აუცილებლობა“.

თაობაც კი არ არის ერთიანი. გაორებულია, გაყოფილია. ერთნი (ოთო), რომელთაც პოეტობის აუცილებლობა ვერ იგრძნეს ომების ქაოსში და არ იციან, რა უპირატესობა აქვს სამშობლოდან გადახვეწას. და მეორენი (ასტამური, ნიკა), რომელთაც სტერეოტიპების დასანგრევად რაღაც პროფესია აურჩევიათ, ბაბუის დანატოვარი ოთხოთახიანი ბინა უყოყმანოდ გაუყიდიათ და საკუთარი ქალაქი მიუტოვებიათ მეუღლესთან ერთად ან მის გარეშე. თან აქედან მიჰქონდათ ცოდნა, რომელსაც იქ გააღრმავებდნენ. მათ, უბრალოდ, „გადაფრენის ინსტინქტი“ არ ასვენებთ.

ასტამური, რომელიც ბედს თუ ბედისწერას უასაკო ასაკში ძმისმკვლელად ექცია, იმავე ასაკიდანვე იყო გაორებული. არ იცოდა, ასტამური იყო თუ ფარვიზი, თავის ტყუპისცალი, რომელიც უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ორი ქალი უყვარდა. ან ვერ ხვდებოდა, რომელი უფრო უყვარდა თუ უფრო სჭირდებოდა, ტატა თუ ნატაშა. 16-17 წლის ასაკში მტკიცედ გადაწყვიტა, ფრინველების შემსწავლელ მეცნიერებას დაუფლებოდა, როგორც აღნიშნულია, სტერეოტიპების დასანგრევად, არადა, ბავშვობიდან უყვარდა ჩიტები და ცაში ყურება. მოკლედ, დარწმუნებული არც იმაშია, პროფესია ბავშვობისდროინდელი ინტერესის გამო თუ თაობის სტერეოტიპების დასანგრევად აირჩია. სამაგიეროდ, ოცნება ერთი ჰქონდა და ისიც ორნითოლოგიური – ერთხელ მაინც ენახა ისპაჰანის ბულბულების გადაფრენა. ხოლო ამ ოცნების ახდენას თვითშემეცნებისა თუ თვითდამკვიდრების მცდელობამდე მიჰყავს. ხელმოცარულ უძღებ შვილს სამშობლოში კიდევ ერთი პროცესი აქვს გასავლელი, განკურნების მაგვარი.

წითელა ბატონები რომანში კვაზი სიმბოლური სახეა. ბავშვობაში ასტამურს წითელა შეეყარა შემოდგომის ბატების გადაფრენისას, ანუ ბავშვობაში დაავადდა სურვილით, რომელიც გადაფრენის ინსტინქტს ვერ დაექვემდებარა. სამშობლოში დაბრუნებული, ისპაჰანის ბულბულების გადაფრენისას დაავადმყოფდა ბატონებით ანუ განიკურნა სურვილისაგან, რომელიც გადაფრენის ინსტინქტზე იყო დაქვემდებარებული. მაგრამ საბოლოოდ „გადარჩა“ თუ არა ასტამური (მთლიანად თაობა), რომანში მთლად უპასუხო კითხვასავით არ არის მიტოვებული. [...]

[...] რომანი მკითხველში ბევრ ასოციაციას აღძრავს. „ცნობიერების ნაკადის“ ფრაგმენტულობითა და კვაზი მითოლოგიური სიმბოლოებით „ისპაჰანის ბულბულებს“ ნეომითოლოგიური რომანისკენ აქვს მიდრეკილება. ტექსტში კვაზი მითოლოგიური სიმბოლოა წყალი – „წყალში სამოგზაუროდ ისინი მიდიან, ვისაც ხმელეთზე არ დაედგომებათ“. ქართულ მითოლოგიაში წყალი მარადიული ბრუნვის სიმბოლოა, განახლებისა და განწმენდის. ასტამური, ნატაშა და ტატა წყალში სამოგზაუროდ „განსაწმენდად“ კი არ მიდიან, არამედ იმიტომ, რომ ხმელეთზე აღარ დაედგომებათ, მაგრამ იქაც, „ხიზილალაგამოტენილი თევზების სამყარო უფრო რეალურია, ვიდრე მათი“. ასტამურისთვის (მთლიანად თაობისთვის) უცხოეთში გამგზავრება და შემდეგ დაბრუნება სახადივით იყო, ხოლო მისი განწმენდა და განახლება წითელა ბატონების მოხდა.

რომანის ბოლოს (რომელიც შეიძლება ავტორის მონოლოგად ჩაითვალოს) მაინც მტკიცდება ამ თაობის უპირატესობა – „ისინი სულ დარჩებიან ასეთივე დაუოკებელი პატრიოტები, ურჩი ახალგაზრდები, ხესავით მოუდრეკელები და თავისუფლები“. სწორედ ამ თავისუფლებით, ჭეშმარიტებისა და საკუთარი თავის ძიებისთვის არიან უპირატესნი და არა ადამიანური სისუსტის – სიმშვიდის მოპოვებისათვის. [...]

„წიგნები – 24 საათი“, 2008

[...] დიახ, ნენე კვინიკაძის წიგნში უახლესი საქართველოს (და არამარტო საქართველოს) პორტრეტი იხატება – დანაწევრებულად, როგორც კუბისტებთან... ავტორი, როგორც პრეზენტაციაზე დათო ტურაშვილმა აღნიშნა, წიგნის შესავლიდან ფინალამდე შენიღბულია, მისი ასაკისა და სქესის „დადგენა“ მკითხველს ძალიან გაუჭირდება... არადა, ავტორის მონოლოგი, მისი განსჯა, მისი დაკვირვება „იაგუარების ტექნოს“ ძირითად ნაწილს იკავებს; დანარჩენი კოლაჟური „ჩართვებია“, ისე, როგორც დადაისტებთან – გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებები, საინფორმაციო სააგენტოების ცნობები, სტატიები. წიგნის გმირი გვიამბობს სატელევიზიო ტოკ-შოუში მუშაობის საკუთარ გამოცდილებაზე და ჩამოთვლის პროფესიებს, რომელთანაც შეხება ჰქონია – მკითხავებს, პარაფსიქოლოგებს, სექსოლოგებს, დიეტოლოგებს, კრიტიკოსებს... მრავალ, მრავალ ადამიანს... ასე იქმნება ჭრელი სამყარო თავად ნენე კვინიკაძის წიგნშიც და ავტორს, საერთოდ, არა აქვს პრეტენზია გააერთიანოს ეს სამყარო... ეს – თუ შეიძლება ასე ითქვას – „ოპერაცია“ თავად მკითხველმა უნდა შეასრულოს. [...]

გოგი გვახარია

რადიო თავისუფლება
კულტურული მიმოხილვა,
27 ივლისი, 2008



ჟან რუო
Jean Rouaud

გონკურების პრემიის ლაურეატი თბილისში

ფრანგული ინსტიტუტის მოწვევით, 2015 წლის მარტში, ფრანკოფონიის დღეების ფარგლებში საქართველოს ესტუმრა თანამედროვე ფრანგი მწერალი, გონკურების პრემიის ლაურეატი, ჟან რუო. იგი იუმორით აღსავსე, სადა, დახვეწილი ენით საყოველთაო ისტორიას განიხილავს ფიქციამდე ამაღლებული საკუთარი ამბების, ყოველდღიური განცდების, ახლობელთა გარდაცვალებით გამოწვეული გულისტკივილის გადმოცემით; მიგვახვედრებს, როგორ მიედინებოდა ისტორია ჩვენს ცნობიერში, არაცნობიერში, ქვეცნობიერში. მის რომანებში არის ანალიზი ჯერ ყველაზე ახლობელისა, მერე კი გულში ღრმად ჩამარხული, ფარული კაეშნისა, რომელიც ტანჯვის მიზეზია და რასაც სახელს ვერ ვარქმევთ.

შეიძლება ითქვას, რომ მასთან შეიმჩნევა თანამედროვე რომანისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი თვისება: შინაგანი აფორიაქება, რომელიც განმარტავს ისტორიულ უწესრიგობას.

ჟან რუოს შესახებ ფართო საზოგადოებას პირველად ის ახსენდება, რომ „გაზეთების კიოსკის გამყიდველმა გონკურების პრემია მიიღო“, თუმცა ეს 25 წლის წინ მოხდა. მაშინ სამ ტაბუდადებულ თემაზე – ოჯახზე, სამშობლოსა და რელიგიაზე – რომანის შეთხზვით მან ძალიან გარისკა. მაგრამ დახვეწილი სტილის წყალობით კრიტიკა გააუვნებელყო. მის პირველ რომანს „ბოლო ათწლეულის ყველაზე გასაოცარი აღმოჩენა“ უწოდეს.

„უდიდეს ზეწოლას ვგრძნობდი. ვშიშობდი, როგორც ბევრი ფიქრობდა მაშინ, ერთი წიგნის მწერლად არ დავრჩენილიყავი. გონკურების პრემიის ლაურეატს არც ისე კეთილგანწყობით ექცევიან.“ მაგრამ შეუძლებელია, ჟან რუოს რაიმე იარლიყი მიაკრა. მას მერე მწერალმა მრავალმხრივი ნიჭი გამოავლინა: „მე ავტორი ვარ. ვწერ ყველგან, სადაც კი შემიძლია. უბრალოდ, სხვადასხვა სფეროში გამოვხატავ თავს“, – თქვა მან ერთ-ერთ ინტერვიუში. ჟან რუოს წარმატება არ იყო შემთხვევითი: იგი დიდი ხნის განმავლობაში ქმნიდა რომანს, მუშაობდა ენაზე; ახლაც მუდმივად ხვეწავს თავის სტილს. ბრწყინვალე პროზის, ღრმაზროვანი მეტაფორების და დიალოგების შექმნას შატობრიანს, მარსელ პრუსტს, კლოდ სიმონს უმადლის.

სინამდვილეში, ჟან რუო გონკურების პრემიისგან „გათავისუფლდა“ მხოლოდ 2001 წელს, როდესაც გამომცემლობა „გალიმართან“ დაიწყო თანამშრომლობა. ეს ერთგვარი კულტურული შემობრუნება იყო: რობ-გრიესა და დიურასის გამომცემლიდან კამიუს, ჟიონოს, არაგონის გამომცემლისკენ. თუმცა, იგი სხვადასხვა გამომცემლობასთან თანამშრომლობს; 2014 წელს მისი ახალი წიგნი გამომცემლობა „დიალოგმა“ დაბეჭდა. ამჟამად მწერალი ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში.

ჟან რუო დაიბადა 1952 წლის 13 დეკემბერს, დასავლეთ საფრანგეთში, მდინარე ლუარის მხარეში, მოკრძალებული მოგზაური ვაჭრის ოჯახში. 11 წლისას მამა გარდაეცვალა; შობის მეორე დღეს, მამამ მიულოცა იოანეს დღესასწაული, რომელსაც 27 დეკემბრის აღნიშნავენ. როგორც აღმოჩნდა,

ეს იყო მამის ბოლო სიტყვები, და პატარა ჟანმა იმის ნიშნად აღიქვა, რომ სახარების შემქმნელი იოანეს მსგავსად (ფრანგულად იოანე გამოითქმის, როგორც ჟან), ისიც ოდესმე აღწერდა იმის ცხოვრებას, ვინც ცხოვრობდა და გარდაიცვალა. 12 წლის ასაკში დაწერილი პირველი ლექსი, რითაც მშობელს დედის დღე მიულოცა, მამის სიკვდილით გამოწვეულ ნაღველს ეხებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს დიდხანს აფორიაქებდა ჟანს და 80-იანი წლების ბოლოს პირველი რომანების თემების შერჩევა არ ყოფილა შემთხვევითი.

1969 წელს ჟან რუომ ქალაქ სენ-ნაზერის სენ-ლუის კათოლიკური ლიცეუმი დაამთავრა და იმავე წელს ქალაქ ნანტის უნივერსიტეტში ჩააბარა თანამედროვე ლიტერატურის ფაკულტეტზე. ყმაწვილკაცობიდანვე პოლ კლოდელის და პოლ ელუარის შემოქმედების თაყვანისმცემელი იყო და მათი პოეზიით შთაგონებულმა ლექსების წერა დაიწყო. ამავდროულად წერდა სიმღერების ტექსტებს გიტარისთვის,ჲთუმცა, ეს ლექსები ტრადიციული, კლასიკური პოეზიის ნიმუშები კი არა, არამედ უფრო თავისუფალი პოეტური ქმნილებები იყო.

პირველი პროზაული ტექსტი ჟან რუომ 19 წლის ასაკში დაწერა. ეს იყო თეატრალური პიესა, რომელიც, სამწუხაროდ, ვერც დაიდგა და ვერც დაიბეჭდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის სხვადასხვა დროებით სამუშაოს ასრულებდა. 1978 წლიდან მუშაობა დაიწყო გაზეთში „პრესოსეან" (Presse-Océan), სადაც უძღვებოდა გაზეთის მოწინავე რუბრიკას სახელწოდებით: „რეგიონალური და სახუმარო". მოგვიანებით წიგნად გამოცემული ეს ტექსტები გვაცნობს მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს და მის თვალსაზრისს ლიტერატურაზე.

მოგვიანებით ჟან რუო პარიზში გაემგზავრა და ჯერ მუშაობდა წიგნების მაღაზიაში, შემდგომ კი გაზეთების გამყიდველად პარიზის მე-19 რაიონში, ფლანდრიის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ჯიხურში. 1988 წელს რუომ შემთხვევით გაიცნო გამომცემლობა მინუის დირექტორი, ჟერომ ლენდონი, რომელმაც ურჩია, თავი დაენებებინა ექსპერიმენტული, ავანგარდისტული წერისთვის და ტრადიციული რომანების წერა ეცადა. მოგვიანებით ჟერომ ლენდონი მისი პირველი წიგნების გამომცემელი გახდა.

პირველი რომანი, „ღირსების ველები", 1990 წელს, ჯერ კიდევ მაშინ დაიბეჭდა, როდესაც ჟან რუო კვირაში სამი დღე საგაზეთო ჯიხურში მუშაობდა გამყიდველად. რომანი გონკურების პრემიის ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა წაიკითხა და მოეწონა. მალე, ყველასთვის მოულოდნელად, ჟან რუო ამ პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის ლაურეატი გახდა. „ღირსების ველებს" არანახული წარმატება ხვდა წილად. ‚პირველივე ჯერზე, მხოლოდ 4 თვეში 500 000 ეგზემპლარი გაიყიდა, მერე კი მილიონს გადააჭარბა. 25 ქვეყნის გამომცემლობამ ითხოვა თარგმანის საავტორო უფლება.

წარმატებამ ავტორს საშუალება მისცა, თავი დაენებებინა საგაზეთო ჯიხურში მუშაობისთვის და თავი მთლიანად მწერლობისთვის მიეძღვნა.

„ღირსების ველებს", ოჯახური საგის პირველ ტომს, გამომცემლობა „მინუის" გამოცემული 4 რომანი მოჰყვა: „ცნობილი ადამიანები" (1993 წ.), „დაახლოებით ასეთი სამყარო" (1996 წ.), „თქვენი საჩუქრებისთვის" (1998 წ.) და „სცენაზე, როგორც ცაში" (1999 წ.). ამ რომანებში, რომლებშიც არავითარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ არის დაცული, ჟან რუომ გვიამბო იმ ადამიანებზე, ვინც მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვობაში, სხვადასხვა ეპიზოდებით, თბილი მოგონებებით გააცოცხლა თავისი ოჯახის ადამიანური ტრაგედია ისტორიული ფაქტების, პირველი და მეორე მსოფლიო ომების ფონზე.

2014 წ. დავით კახაბერმა შესანიშნავად თარგმნა ჟან რუოს პირველი რომანი „ღირსების ველები". რომანში მოქმედება 60-იანი წლების საფრანგეთში სადღაც, მდინარე ლუარას ქვემო ნაწილში ხდება. ეს არის ამბავი ოჯახისა, რომელზეც თითქოს ბედისწერა გაბოროტებულა და მთავარი გმირი უმწეო მომსწრე ხდება ყველაზე ახლობელთა: მამის, დეიდის, პაპის, ბებიის გარდაცვალებისა. ამაში თითქოს არაფერი ორიგინალური არ არის. და მაინც, გარდაცვლილებზე თხრობისას ჟან რუო ოჯახის წევრთა თავგადასავალს ისეთი ზუსტი სიტყვებით, საოცარი სიფაქიზითა და სითბოთი გადმოგვცემს, რომ მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველას იცნობს. მწერალი პოეტურად გვიყვება სრულიად უბრალო ადამიანების ცხოვრებას, ომისშემდგომი საფრანგეთის მრავალრიცხოვანი, დაობლებული, ძაძებით შემოსილი ოჯახების ამბებს. დიალოგების უქონლობა, გრძელი აღწერები და პერსონაჟთა პორტრეტები რეალისტურ რომანებს მოგვაგონებს. პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებული მრავალი თემაა ნახსენები: ჰიგიენის ნაკლებობა, წვიმა, ტალახი, საკვების და ძილის ნაკლებობა, ყოვლისმომცველი სიკვდილი და შიში... წიგნში წინა პლანზეა წამოწეული ახლობელთა ტანჯვა. მას ნათლად ვხედავთ მატილდას (ემილის ქვრივის) პერსონაჟში, რომელიც მრავალი წელი ელოდა მეუღლის დაბრუნებას, დეიდა მარი (ემილის და ჟოზეფის და) კი სამუდამოდ დაღდასმული რჩება ორი ძმის სიკვდილით, და მოგონებები დააავადებენ. ომი წარმოდგენილია, როგორც ოჯახების განადგურების მიზეზი, ღრმა, შეუხორცებელი ჭრილობა. მის

თხრობაში იგრძნობა მოკრძალება, ავტორი არ ჩანს და მკითხველი გაუბედურებული ადამიანების ბედის პირისპირ რჩება. უბრალო მინიშნებებით (კბილის პროტეზი, რამდენიმე ფოტოსურათი, ხატი) თანდათან იგება ამბავი, რომელიც სრულდება ომის ფონზე განვითარებული მოვლენებით. ოჯახის წევრების ყოველდღიურობასა და მათ გარდაცვალებაზე „დიდმა ომმა“ მოახდინა გავლენა. მკითხველი ამას მხოლოდ წიგნის ბოლოს ხვდება, და ეს თხრობას ამძაფრებს.

ამჟამად ჟან რუოს დაწერილი აქვს ოცამდე წიგნი, – რომანები, ლიტერატურული ესეები და ილუსტრირებული წიგნები, არის მომღერალი (55 წლის ასაკში დაიწყო ბლუზის სიმღერა და დისკიც გამოსცა), ჟულიეტ გრეკოს, ჯონი ჰოლიდეის და სხვათათვის დაწერილი სიმღერების ტექსტების ავტორი, დრამატურგი, 6 დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი. კოლეგებისგან განსხვავებით, „მხოლოდ კლასიკას რომ კითხულობენ“, მას ძლიერ აინტერესებს თანამედროვე მწერლობა; ხშირად მართავს შეხვედრებს თანამედროვე მწერლებთან საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონში, მხარს უჭერს მათ, მუშაობს მათთან ერთად. ყველანაირად ცდილობს, დაიცვას ლიტერატურა, როგორც სამყაროს შეცნობის საშუალება და წუხს, რომ მას ყოველი მხრიდან უტევენ. მაგრამ ლიტერატურა იარსებებს, სანამ ჟან რუოს მსგავსი მწერლები შექმნიან ჭეშმარიტად ნატიფ და გულშიჩამწვდომ თხზულებებს.

მოამზადა მანანა ბოსტოღანაშვილმა



ჟან რუო: ლიტერატურა ვერტიკალურია

(ინტერვიუ)

შოთა იათაშვილი: ბატონო ჟან, მე „ღირსების ველების“ კითხვა რომ დავიწყე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მთელი რომანი შეიძლებოდა განვითარებულიყო იმ წვიმის ქვეშ, რომლითაც იწყება ტექსტი და რაღაცნაირად მოვინუსხე ამით. მაგრამ წვიმამ უცებ გადაიღო რომანში. რა თქმა უნდა, ყველაფერი ისევ იმავე ადგილას ხდება და ეს წვიმა უკვე იგულისხმება: იმდენად არაჩვეულებრივადაა წვიმა აღწერილი რომანის დასაწყისში, რომ იგი მერეც იგრძნობა, წვიმის ხმა მაინც ჩაგესმის. მაგრამ რატომ გადაიღო მაინც წვიმამ რომანში?

ჟან რუო: ეს ნამდვილი წვიმაც არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ამავე დროს მეტაფორული წვიმაც იყო, იმიტომ რომ კითხვის დაწყებისთანავე მინდოდა ნაღვლიანი გარემო შემექმნა. კიდევ ალბათ იმის სათქმელად, რომ ყველაფერი ციდან მოდის. პირველ რიგში წვიმა, რომელიც ციდან მოდის პირველ ნაწილში, მეორე ნაწილში არის მოხუცი მამიდა, რომელიც ლრკვლულობს და მთელი მისი მეტაფიზიკური ფიქრები მიპყრობილია ცისკენ, და მესამე ნაწილში ისევ ციდან ცვივა ბომბები. ეს არის ცხოვრებები, რომლებიც საკუთარ თავს ვერ განაგებენ. ცა განაგებს ამ ცხოვრებებს – დამორჩილებული ცხოვრებებია, ყველაფერი ცაზეა დამოკიდებული. ცოტა ირონიული მოსაზრებითაც ვამბობ ამას, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც... ამ წიგნის სამ ნაწილში ცის სამი მდგომარეობაა მოცემული.

შოთა იათაშვილი: ოჯახური საგა – ეს რომანი ამ ჟანრს მიეკუთვნება, და როგორც ვიცი, მთელი ციკლი გაქვთ ამ ჟანრში დაწერილი. არის რაღაც ტრადიციული ფორმები, რომლებიც აქტუალობას კარგავენ და მკითხველი უკვე ნაკლებ ინტერესს იჩენს მათდამი. თქვენი აზრით, რა არის ამ ჟანრში ისეთი, რომ ძალიან იცვლება გარემო, უკვე ახალი ტექნოლოგიების საუკუნეა, მაგრამ მკითხველს მაინც აქვს ეს მუდმივი გამძაფრებული ინტერესი ასეთი ტიპის ლიტერატურისადმი.

ჟან რუო: სუფთა ტრადიციული გაგებით ოჯახური საგა მაინც არ არის ეს რომანი და მე ვფიქრობ, ადამიანების, მკითხველის ინტერესი იმითია გამოწვეული, რომ ჩვენ ყველანი ერთმანეთთან ვართ დაკავშირებულები, ყველას გვაქვს რაღაც ოჯახური ისტორია... სოციალური ქსელი წარმოშობს კავშირებს. და ყველას აქვს ამ კავშირების მოთხოვნილება. ხოლო სოციალური ქსელები, შეიძლება ითქვას, რომ ჰორიზონტალურია. მაგრამ როცა წიგნს კითხულობ, ლიტერატურა ვერტიკალურია და სიღრმეში ჩადიხარ. ხოლო როდესაც ვერტიკალურია ლიტერატურა, ეს იმას ნიშნავს, რომ მკითხველი მუდამ ფიქრობს: საიდან წამოვედი, როგორი იყო ჩემი ისტორია, რასთან ვარ დაკავშირებული... ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარეც კი უჩნდება ასეთი კითხვები და ეძებს. მაგალითად, საფრანგეთში ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც პენსიაზე როცა გადის, მაშინ იწყებს თავისი გენეალოგიის კვლევას. იმიტომ, რომ ამას – უკან დაბრუნებას – დრო სჭირდება. და მწერლის საქმე ეს არის, სხვა არაფერი. მე ვფიქრობ, რომ მწერლის საქმეა დაბრუნება.

შოთა იათაშვილი: არსებობენ სხვადასხვა ტიპის მწერლები და ისინი ხშირად ერთმანეთს ვერ უგებენ ხოლმე. არიან სულით ხორცამდე ექსპერიმენტატორი მწერლები, რომლებიც გარეგნულ, ფორმალურ ექსპერიმენტებზე არიან გადასულები. არიან მწერლები, რომლებიც მარგინალურ თემებს ეხებიან მხოლოდ. ამ შემთხვევაში მაინტერესებს, როგორია მათი დამოკიდებულება, როდესაც თქვენს მაინც, ასე ვთქვათ, ტრადიციული ფორმით მოწოდებულ ლიტერატურას კითხულობენ?

ჟან რუო: ასეთ მწერლებთან მე დღეს არა მაქვს ურთიერთობა, მაგრამ ექსპერიმენტული წერა რასაც ჰქვია, მთელი ჩემი ახალგაზრდობა ამას ვაკეთებდი. სტრუქტურალიზმი, დეკონსტრუქცია – სულ ამაში ვიყავი და ვვარჯიშობდი. და რაღაც მომენტში ისიც ვიგრძენი, რომ ეს ხალხისთვის გაუგებარი იყო. უკვე იქამდე მივედი, რომ ასეთი ექსპერიმენტული ნაწერი მსოფლიოს, ქვეყნის, ადამიანის შესახებ აღარ ლაპარაკობდა. ცხოვრება მოულოდნელ შემთხვევებს გვიწყობს. უცებ გამოფხიზლდები ხოლმე და ხვდები, რომ სადღაც სხვაგან დარჩი და რეალობაში კი სხვა რამე ხდება. მაგალითად, სიკვდილი. როდესაც მამაჩემის სიკვდილზე დავწერე, შეიძლება ითქვას, რომ მაშინ დავბრუნდი ამქვეყნად. მე მაინც ვფიქრობ, რომ ლიტერატურაში ექსპერიმენტებით წერა მაინც უკანაა მოტოვებული. იმაზე შორს ვერ წახვალ, რაც საფრანგეთში მოხდა 70-80-იან წლებში. როდესაც ფრაზა დეკონსტრუქციას განიცდის, უკვე არაფრისმთქმელი ხდება. ფონეტიკურ ინსტალაციას წააგავს, მაგრამ ლიტერატურული ველიდან ამოვარდნილია.

შოთა იათაშვილი: ალბათ „ახალ რომანს" გულისხმობთ...

ჟან რუო: „ახალი რომანი" ჯერ კიდევ იკითხებოდა. შემდეგ კიდევ უფრო წამოვიდა ეს ტენდენცია.

შოთა იათაშვილი: მე მგონი ბუნებრივად მივედით პოეზიამდე. თან ვიცი, რომ ახალგაზრდობაში პოეზიას წერდით. ახლა, თუნდაც ათასში ერთხელ, ხდება თქვენი დაბრუნება პოეზიასთან? ხელი გაგექცევათ ხოლმე ლექსის დასაწერად თუ არა? ისე, ჩემი აზრით, ექსპერიმენტალიზმი პოეზიას უფრო ესადაგება, იმიტომ რომ რამდენიმე სტრიქონში ეს ექსპერიმენტი, ეს სხვანაირად დაჭერილი ფრაზა შესაძლებელია უფრო ზუსტი და გასაგები იყოს და მოხვდეს ადამიანსაც გულზე, ვიდრე უზარმაზარი რომანები.

ჟან რუო: ექსპერიმენტულ წერას, მართალი ბრძანდებით, მოთხრობა და რომანი ნაკლებად უხდება. რადგან მას აწყობა, კონსტრუქცია სჭირდება. პოეზიას კი შეუძლია აფეთქებები მოახდინოს, დაშლა გააკეთოს და ემოციები ასე გამოხატოს. ამიტომ განვასხვავებ მე ერთმანეთისგან პოეზიას და ლექსს. ლექსი არის პოეზიის ადგილი. ლექსი არის ის ველი, სადაც თავსდება პოეზია. ერთგვარი კონტრაქტი იდება მათ შორის. ამიტომ მე არასდროს სპონტანურად არ გამირბის ხელი პოეზიის დასაწერად. ჩემი გამოხატვის ფორმა არაა სპონტანურად ლექსის წერა. ჩემი საუკეთესო მეგობარი პოეტია და მე ვიცი, როგორ მუშაობს ის – ყველაფერი მის ცხოვრებაში და შემოქმედებაში ლექსის გავლით გადის. ეს სხვანაირი, განსაკუთრებული არსებობაა ამ სამყაროში.

შოთა იათაშვილი: ანუ საერთოდ აღარ იწერება და არც იბეჭდება ლექსები და ეს პოეტური გამოცდილებაც აბსოლუტურად უარყოფილია?

ჟან რუო: არა, ჩემი ლექსები გამოქვეყნებული არ ყოფილა, და საერთოდაც, ბევრი ლექსი არ მაქვს დაწერილი. რომანის გამოქვეყნებამდე ჩემი ნაწერები იყო სულ ექსპერიმენტები. მათი დაწერის მიზანი გამოქვეყნება არ ყოფილა. მაგალითად, ჰაიკუს ვწერდი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, მხოლოდ იმიტომ, რომ რეალობის ასახვა შემძლებოდა, მესწავლა. დაწერო მალარმეს სტილში დემატერიალიზებული ნაწერი, არის საკმაოდ რთული. იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო გარდატეხა, როდესაც პრეციოზული წერა შეიცვალა რეალისტურით. მე-17 საუკუნეში იყო პრეციოზული წერა, და სწორედ იმ პერიოდში წამოვიდა მოლიერი, რომელსაც უკვე რეალისტური მომენტები შემოჰქონდა, ხოლო მერე, მე-19 საუკუნეში უკვე წამოვიდნენ ბალზაკი, სტენდალი, რომელთაც რეალისტური რომანი შექმნეს და ამათ შორის, რომ გადახედოთ, თითქოს სულ ბრძოლა არის ცასა და მიწას შორის...

შოთა იათაშვილი: მარკიზ დე სადიც მათ შორის იყო.

ჟან რუო: ის ციხეში იყო (იცინის). მაგრამ აი, სელინი სწორედ სიურრეალიზმის პერიოდში წამოვიდა.

შოთა იათაშვილი: მე თქვენი მხოლოდ პირველი რომანი მაქვს წაკითხული, ამიტომ მაინტერესებს, მერე რა ხდებოდა? არსებობს თქვენს შემოქმედებაში ამ ტექსტისგან კარდინალურად განსხვავებული სხვა რომანები, ან რამე ასეთი ახლა ხომ არ იწერება?

ჟან რუო: ეს წიგნი 25 წლის წინ გამოიცა, ასე რომ, ამ წიგნის მომავალი უკვე უკან დაგვრჩა. ამის მერე ძალიან ბევრი რამ გამოვიარე და გამოვცადე და უკვე ოთხი წელია დავიწყე ახალი სერიის გამოცემა, რომელსაც ჰქვია „პოეტური ცხოვრება". და ვეხები სწორედ იმ საკითხებს, თუ რატომ მოხდა, რომ 70-იან წლებში, როცა მე 20 წლის ვიყავი, გამოცხადდა, რომ რომანი მოკვდა. რატომ მოხდა, რომ საზოგადოებამ გამოაცხადა, რომ უკვე აღარ შეიძლება ამბების მოყოლა.

შოთა იათაშვილი: ღმერთი მოკვდაო, მანამდე გამოაცხადეს და...

ჟან რუო: ეს მთელი სერიაა: ჯერ თქვეს ღმერთი მოკვდაო, მერე თქვეს რომანი მოკვდა, მერე თქვეს ოჯახი მოკვდა და ასე შემდეგ... ავტორი მოკვდა...

შოთა იათაშვილი: მკითხველი მოკვდება?

ჟან რუო: მე ვფიქრობ, მკითხველი არ მოკვდება არასოდეს, მაგრამ შესაძლოა, ხალისი დაკარგოს კითხვის.

რადიო თავისუფლება, 26 მარტი, 2015

3 პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ბაკურაძე

* * *

როდესაც არ ვწერ
მგონია რომ უფრო მეტს ვიცოცხლებ
სიხარულიც ბევრჯერ გამიმეორდება და
შვილებიც სწრაფად დამიბერდებიან
ამიტომ ზოგჯერ არ ვწერ

როდესაც არ ვფიქრობ
არაფერიც არ მგონია
ნამდინარევი გუბე ვარ
ან ნებისმიერი სიცარიელე

როდესაც არ ვყვირი
ალბათ გათენებას ველოდები
ან უკვე დიდი ხნის წინ დავიწყებულ სიზმარს

როდესაც არ მძინავს
ხელისგულები მაქვს თვალებზე აფარებული
ან მთვრალი ვარ

გაზაფხულობით კანაფს ვრგავ
თითისგულებით მიწა მიყვარს და
უმისამართო იმედები
ამიტომ ზოგჯერ არ ვწერ



* * *

მომილოცეთ
გარემოს თავდასხმის მინისტრობის რამდენიმე შესაძლო კანდიდატთაგან ერთ-ერთი ვარ
ეს ბევრ რამეს მეტყველებს არამარტო ჩემზე
არამედ გარემოზეც
ვთქვათ იმას რომ საბოლოოდ შევიცვალე მდგომარეობა
და მყარიდან თხევადში გადავინაცვლე
შესაბამისად გარემოსაც არა გვამის ან მძორის სახით ვევლინები
არამედ წვიმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვხაკ

მდინარის
ფურთხის
ღვინის და სხვ.
ამჯერად ჩემში სისხლი კი არ მიედინება როგორც ადრე მახსოვდა
მე ვიღვრები ხორცში
და რამდენიც მომინდება იმდენი ცრემლი ვარ

ერთადერთი სიტყვებს ვერ შეველიე
მახსოვხართ
ხან ფსკერზე მყავხართ
ხან შუაგულ მორევში
ხან ვიღაცის დაკარგული ცხედარივით ტივტივებთ ჩემზე
თქვენი ამოსახსნელი ამოცანა ვიხსენი
და ზოგჯერ ასე მივიფსმები და ვიხსენებ
რა მერქვა გუშინწინისწინ
მიწა?
მიწა და გუშინწინისწინანდელი მე მხოლოდ სიტყვები ვართ
რომელთა წარმოშობასაც შეისწავლის ჩვენი სამინისტრო

ერთხელ როდესაც არ მეძინა
მომდევნო სიზმარს ვკითხე
და მან მიპასუხა
ნებისმიერი სიტყვა წინადადება იყოო
და მე არ შემშინებია
(ძალიან ოდნავ მაგრამ მახსოვს წარსული)
ნებისმიერი სიჩუმე მოლოდინი იყოო
და წყალიც ადრე ფიქრი ყოფილა
და მას სიცოცხლე შეძლებია
და სიცოცხლისა სიცოცხლით დამთრგუნველი ყოფილა
და რიცხვებიც მომდევნო რიცხვზე მეტი სიტყვა ყოფილა
და
ეს მიმართულება არის ჩვენი პრიორიტეტი
ამაზე ვიმსჯელებთ ჩვენ ყოველკვირეულ თავდასხდომებზე

თუ ვინმეს სიკვდილი დასცდება პირიდან
ჩანჩქერის ხმით ვუპასუხებ
რომ დორბლი ვართ
რომ სიცოცხლე და სიცოცხლე ერთი და იგივეა
რომ ის რაც ხორცში შევიდა ხორციდანვე გადმოდინდება
სიტყვები კი ადრე წინადადებები იყვნენ
და მათი არ უნდა შეგვეშინდეს

ქართული ენა ღმერთების ენა არაა
უბრალოდ არსებობენ თანხმოვანშეთანხმებები
ვთქვათ „თ“ და „ხ“
რაც ჩემს მდგომარეობასაც აღნიშნავს და თიხასაც
ან „ღ“ და „მ“
ღმუილსაც და არაფერსაც
„ყ“ და „ვ“
ძირითადად ერთადყოფნას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

თუ გაღვიძებაა
იმ ოთახში უნდა გაიღვიძო სადაც კედელზე
მსოფლიო პოლიტიკური რუკაა გაკრული

ევრაზია დიდია
ამერიკები – ორი
ანტარქტიდა თეთრი და ა.შ



თუ ცოდნაა
არაფრის ცოდნას ისევ ისტორიის არცოდნა სჯობს
მანდ ბორუსია ორია
მიონხენგლადბახის და დორტმუნდის
რუმინელები რომაელები არიან
სირია ქვეყანაა
აფრიკა კონტინენტია
ჩრდილოეთ პოლუსი არ ჩანს
მონღოლეთი ჩინეთის თავზეა
ინდონეზია არქიპელაგია
და ა.შ.
ჰო აშშ მარცხნივაა

იქ კი სადღაც ლონდონიდან ბრიუსელამდე რომელიღაც გოჩა
მიზანმიმართულად აფეთქებს ნებისმიერ ხვიჩას
რომ შემდეგ უიარაღო ევრონიუსმა მამლუქი შეთხზას
და ახალი ბიბლიის დასაწერად
იურა დონეცკში კლავს მომდევნო იურას
და ტუნისიც საერთოდ არ არის კართაგენი
იქ მხოლოდ ევროპელ ტურისტებს ხვრეტენ
და პუტინიც არის ხუილო
და ობამა – შავი

ნათჯეოვაილდზე კი დევიდ ათენბორო მიყვება
როგორი სახიფათო ცხოველია ბეჰემოთი
იგივე ჰიპოპოტამი
და ნიანგებიც თურმე წელიწადში საშუალოდ 200 ადამიანს ჭამენ
რომ
ფუტკრის ან გველის ან ტარანტულის ნაკბენისაგან
ბევრად მეტი ადამიანი იღუპება
ვიდრე ისლამურ სახელმწიფოს ან ბოკა ჰარამის ტერორისტებისაგან
რომ წყალდიდობებს
მიწისძვრებს და ხანძრებს მოაქვთ ცრემლები ვიღაცეების ოჯახებში
რომ ლიზა ჯერარდი სიღარიბეს ტირის

ისტორიის არცოდნა სიკვდილის ცოდნაა

შენ კი ჩემო საყვარელო თავო
ვინც ცისანა მიქიაშვილმა გშვა შორეულ საბჭოთა კავშირში
რამდენიმე სომხეთისა და ბევრი წყლის თავშესაყართან
ნობელიანტი მწერლების ნაცვლად

ვიღაც ვერშემდგარი პოლიტიკოსის საზეპიროებს კითხულობ
და სიხარული გაშრება თვალზე
და გულში იმეორებ
ვიღაც ვიღაც ვიღაც

შენ ეგეთი ვიღაც ხარ
ხუთმა ადამიანმა მოგისმინა
სამმა თანაგიგრძნო
ვერცერთმა გიწამა
და არაღაფერს ელოდები

როგორი ადვილია შენი დამარცხება
როგორი უძლური და სუსტი ხარ
ნებისმიერ სიტყვას შენი გაქრობა შეუძლია
ნებისმიერ ღმერთს – მითუმეტეს

ერთი ჩაფსმის ისტორია

მაშინ უკვე 19 წლის ვიყავი
17 დეკემბერს შემისრულდა ცხრამეტი და 28-ში თოვლიც მოვიდა
მერე ახალწლამდე სულ თოვა და თოვა და
მოკლედ უკვე 19 წლის ვიყავი და აღარც ისე მიხაროდა ამდენი სიცივე და სითეთრე
თან ომი იყო
ქალაქი ბავშვებისაგან დაცლილი
ლამაზი გოგოებისაგან დაცლილი...

ორდღეში ერთხელ სამხედრო შტაბში მიწევდა მორიგეობა
და იმ დღესაც უხალისოდ მივეხეტებოდი სახლიდან კომპოზიტორების სახლისაკენ
ამჯერად იქ ომის კომპოზიტორები ცხოვრობდნენ
და შოსტაკოვიჩისა და შნიტკეს ნოტებით იხოცავდნენ ტრაკებს
მე კი ორდღეში ერთხელ მივდიოდი ხოლმე და
კალაშნიკოვით ხელში ვიცავდი
ბიბლიოთეკაში დატოვებულ განავალს
ეჰ კარგი იყო ომი

ჰოდა მივხეტიალობ გადათოვლილ და გაყინულ სოხუმში გელოვანის ქუჩიდან დენდროპარკისაკენ
ეს ისეთივე მანძილია რაც კიევის მაიდნიდან დნეპრამდე
ან Central park-ი დან უკანასკნელ ცათამბჯენამდე
ან ვარანცოვიდან დიდუბის მეტრომდე
ჰოდა მივხეტიალობ
ჯერ ჭოჭუას ქუჩა გავიარე
თითქოს სკოლაში მივდივარ
მუსიკალურ სასწავლებელს გავცდი და როცა ბარათაშვილის ხიდის ქვეშ გავძვერი
ვიგრძენი რომ ძალიან მეფსმებოდა
მეფსიოდა
მარცხნივ ბოტანიკური ბაღია
მარჯვნივ – ლენინის ქუჩის თეთრი კორპუსები
აბა სად უნდა მიმეფსა?
ქალაქი ცარიელი და თოვლიანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავუარე ფილარმონიას
მერე საათიანკოშკთან მარცხნივ გავუხვიე
თოვლი ღრმაა
სიარული ჭირს
მე კი ძალიან მეფსია
მაგრამ სად მოვფსა?
ქალაქი თოვლიანი და ცარიელია და თან ჩემი

მივდივარ
მარცხენა ხელით ყვერები მიჭირავს
მარჯვენამ არ უწყის რას ჩადის მარცხენა
და ეგრე გავიარე კიროვის ქუჩა და ბესლეთის ხიდზეც გადავედი და
მივდივარ და ვერსად ვერ ვფსამ
ცარიელია ქალაქი
კაციც არ მხვდება რომ მითხრას
მიდი შვილო, შენ ახლა გეფსია და აგერ მდინარეში გადააფსი,
მაინც მთელი კანალიზაცია მასში ჩაედინება,
მიდი მიაფსი.
მაგრამ
როგორ მივაფსა ჩემს ქალაქს?

მოკლედ ერთსაათიანი ტანჯვისა და სალხინებელის შემდეგ
მივუახლოვდი სამხედრო შტაბს
მეტს უკვე ველარ გავუძლებდი
დავიწყე ხვანჯრის გახსნა
მაგრამ
გაყინული თითებით ღილები ვერ გავხსენი
მერე კი
სასიამოვნო სითბო ვიგრძენი ლაჯებს შორის

ჩემი პირველი სიყვარულის ისტორიაც ასე დასრულდა
არ მივაფსი და ბოლოს ჩავიფსი

* * *

ვიცი შემოდგომა თითქმის ბრუნდება
და ოთახები კიდევ უფრო მმალავენ
მთელი შემოდგომა თითქმის ბრუნდება
და აღარსაით გახედვა არ მსურს

ქუჩის ხმაურიდან გზა რომ არ მესმოდეს
ჭერზე სამოცვატიანი მზე რომ არ ენთოს
ეს მექანიკური გზა რომ არ მესმოდეს
ველარცერთ ღიმილზე გაგცემდი პასუხს

თუკი სიყვარული მართლა ეს არი
ნიშნავს ასეთი უნდა ყოფილიყო
შენი სიყვარული მართლა ეს არი
და არავისთან აღარ მაქვს კითხვა

ერთად ჩამოვსხდეთ და რამეს ვუყუროთ
თან აღარსაით გახედვა არ მსურს
ტახტზე დავსხდეთ და ერთმანეთს ვუყუროთ
და ვისხდეთ ასე დიდხანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კიბე იშლება, იხურება...
ესკალატორს შეყავხარ ან გამოყავხარ
ცხადიდან შიგნით, შიგნიდან ცხადში...
საფეხურზე დგახარ უძრავად.
ესკალატორი წინ მიიწევს,
შენ – უკან დროში,
სადაც მგზავრები კიბეებზე უკულმა დგანან:
ზემოთ ამსვლელნი პირით ქვემოთ,
და პირით ზემოთ – ქვემოთ ჩამსვლელნი...

კიბე იშლება, იხურება...
ესკალატორის პოზიციიდან თუკი ვიმსჯელებთ,
ის არ მოძრაობს „ქვემოთ“ ან „ზემოთ“–
გიგანტური საათია ესკალატორი,
ერთგვაროვან წრეზე ბრუნავს,
თითო კიბე მის ციფერბლატზე თითო ხაზია,
ისრები კი – საფეხურებზე მდგომი ხალხი,
და ეს ისრები
ერთის ნაცვლად იმდენივე დროს უჩვენებენ
რამდენი კაციც შემოდის და დგება კიბეზე...
ესკალატორის წრეზე
დრო მუდამ მრავალია და ცვალებადი...

ქვები

ბრაზის ქვა – გავარვარებული,
სადღაც კუჭსა და ფილტვებს შუა,
ზამთრის ამ შიშველ, სუსხიან ღამეს
მერამდენედ გაგორდება, გამოგორდება.
დავუყვავებ, მოვეფერები, იქნებ გაცივდეს
და ტკივილის ქვად გადაიქცეს,
რომელზეც დაღლილს,
ზოგჯერ მაინც შემეძლება ჩამოსვენება.
ამდენი ხნის ლოცვების მერე, სახადივით
ტკივილის ქვასაც შეეყრება ფერისცვალება:
სევდის ქვა, გლუვი და ფერმკრთალი,
ჭის წყალივით – დასაწყურებლად –
სიღრმეებიდან სიმაღლისკენ ამოღებული...
სევდის ქვა კი თან მძიმეა, თანაც – მსუბუქი,
თან პოეტია, თანაც კიდევ – ფილოსოფოსი,
თან მეძავია, თანაც – სალოსი
და ამიტომაც შეუძლია
სიყვარულის ქვად გადაიქცეს.
სიყვარული კი ღმერთიაო, ასე ამბობენ...
მაშინ, ღმერთის ქვად კი არა –
ქვებად იქცევა სიყვარულის ქვა...
ჰოდა, ერთ დღესაც
სიყვარულის ქვები დაგსეტყვავს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომი

მოელვარე ტყვიების ფონზე
მთვარის ნეგატივს გამჟღავნება არ უწერია.
წამიერია მდუმარება.
ისევ ფხაკურობს მიწაში ვირთხა –
გვირაბს თხრის ალბათ.
ტყვიებდაცლილი ჩემი თოფი
ხელისგულების ოფლს ისრუტავს,
თითქოს მისი სიმხურვალე გადაარჩენს ცივი მიწისგან.
ჩემი თოფის რკინის სხეული ჩემი ქალის სხეული ხდება,
თბილი, როგორც სექტემბრის წყალი.
ტანის რბილი მოძრაობით მივცურავ ზღვაში
ისე ღრმად, რომ ნაპირი ქრება.

მტვერი

არაფერია იმაზე უფრო მშვენიერი,
ვიდრე შიშველი სხეულები
გვერდიგვერდ მწოლი
მოხუცი წყვილის.

ბავშვობაში ბიჭი მიყვარდა.
ერთხელ, ფეხბურთის თამაშისას,
ამ ბიჭმა გოლი გაიტანა.
მივირბინე და ლოყაზე ვაკოცე.
ზედა ორი კბილი აკლდა, რომ გამიღმა.

სკოლას როცა ვამთავრებდი, ბიჭი მიყვარდა.
რაღაც ხნის მერე შემთხვევით შემხვდა
და ველარ მიცნო, სახელიც კი ვერ გაიხსენა.
აღარაფერი გამიმხელია.
დაჭკნა ნაჩუქარი ყვავილი წიგნის ფურცლებში.

ქმრის გვერდით ვწევარ ცხელ სილაზე,
რომელზეც თითებით მოვხაზეთ წრე
და მერე ვთქვით: ნურავინ შემოვა აქ,
ეს არის ჩვენი ტერიტორია,
ჩვენი კუნძულის ქვემოთ ზღვაა.

ყოველდღე სიხარულს გიზიარებ
და გაჩვენებ ჩვენი პატარა შვილის განავალს ქოთანში.
რაც არ კვდება – სიყვარულის ანაბეჭდია...
ამ ფიქრებით ვცლი შვილის ქოთანს.

არ მინდა ახალი სათამაშო, ბებო, მალე შენთან მოვალო, –
შვილიშვილის ხმა ტელეფონში.
სარკეში ვამოწმებ გუშინ შეღებილ თმებს. ვიწყებ ცხობას.

ნამცხვრის სურნელს მოყვება ქმარი.
მოგონებების ფრინველები წამოიშალნენ.

„შენი სხეული ისეთივე მშვენიერია,
როგორც მაშინ, ორსულობისას.“ –
ქმარი დამჭკნარ კანზე მეხება.
თითებს ვაყოლებ მის ნაოჭებს,
სიმებივით გაწოლილს შუბლზე,
და ხელის მშვიდი მოძრაობით მივიწევ ქვემოთ...

მიწას ვასწორებ ქმრის საფლავზე
და მახსენდება ძველი ფოტო –
ქოთანში ჩვენი პატარა შვილის განავალი –
რომელზეც გუშინ მტვერი გადავწმინდე.

ბანაობა

ლივლივებს წყალი ბავშვის ცისფერ აბაზანაში,
წყალში თამაშობს ჩემი შვილის პატარა ხელი.
ვეფერები პაწაწინა შიშველ სხეულზე,
ვუქაფავ ზურგს და ვფიქრობ, თუ რა ადვილია მისი დახრჩობა,
ხელის მარტივი მოძრაობა და მიყუჩდება წყლის დგაფუნი,
სრული სიჩუმე დაისადგურებს,
ალბათ სიბნელეც. რა ადვილია...
შორიდან ვხედავ, როგორ მაწვდის პატარა ხელი
აბაზანაში მოტივტივე თვალების კაკლებს,
როგორც ახალ სათამაშოს...
მეთამაშე – მეუბნება თაფლისფერი ღიმილი მისი...
ხომ შეიძლება, სიყვარული უცებ გაგიჟდეს...
ხომ შეიძლება, მოგეჩვენოს ღმერთი სატანად...
წყლიდან სწრაფად ამომყავს ბავშვი,
მისი ფაფუკი პირსახოციდან სურნელოვანი ცვივა ვარდები...
წამის სისწრაფემ სიცოცხლეშიც არაერთხელ გადამარჩინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„I don't believe"

(ეძღვნება ლიკას)

მეც არ მჯერა უკვდავი ღმერთების,
რომლებიც არასოდეს მინახავს
და არც მოკვდავი ადამიანების,
ერთ დღესაც რომ კარს აღებენ და სადღაც მიდიან.
მე ჩემი სოფლის მდინარის მჯერა,
მას ახსოვს ჩვენი პატარა ტერფების სხმარტალი
ზაფხულის თაკარა დღეებში
და მუხლებსაყოლილი ჟრჟოლა –
მუცელთან რომ იკვანძებოდა და კივილად ამომსკდარი ტალღებს ერთვოდა.
ქვებისაც მჯერა,
მდინარის პირას წამოწოლილი გლუვი ქვების,
როგორც ჩუმი მონმეების ჩემი შიშველი ზურგის
და თეძოების,
ზაფხულიდან ზაფხულამდე რომ ივსებოდნენ
და მრგვალდებოდნენ იმ ქვების მსგავსად.
და კიდევ ხეების, როგორც პირველი სიყვარულის ამბის მთხრობელების,
ტოტებს რომ ხრიდნენ და ჩრდილებს გვაფენდნენ,
რაც შეიძლება საიმედოდ რომ დავეფარეთ იქ, ქვევით შეყუჟული გოგო-ბიჭი.
მზის სხივებისაც მჯერა, იმ ხეების ფოთლებიდან შემოპარული სხივების,
როგორც საიდუმლო მაცნეების, ჯადოსნური და შორეული სამყაროსი,
სადაც, ცოტაც და, შევაბიჯებდით.
ჰო, ხმების მჯერა კიდევ, მიწიდან დაბადებული ხმების,
რომელსაც მხოლოდ მაშინ ვისმენთ,
როცა ვყრუვდებით და ერთმანეთის სხეულებში
ჯადოსნურ თიხად ვიზილებით...

მინდვრები

თუ დავიჯერებთ, შეგვიძლია ვიყოთ მინდვრები,
გავიშალოთ და ცას ვუცქიროთ,
მხოლოდ ცას და არც შევიმჩნიოთ,
ვინ გადაირბენს ჩვენს მუცელზე,
ვინ გადაივლის მოზომილი, ნელი ნაბიჯით,
ვინ შეყოვნდება, კარავს გაშლის, ჩამოისვენებს რამდენიმე დღით და საათით.
თუ დავიჯერებთ, რომ მინდვრები ვართ,
მწვანე და ფერადად მოყვავილე,
ზეცის ლურჯ თვალში არეკლილი,
მხოლოდ და მხოლოდ მისკენ მზირალი,
მის უჩვეულო სიშორეზე შეყვარებული,
არა, ნამდვილად ვერ შევამჩნევთ,
პიკნიკი რომ დაწყებულა რომელიმე ბორცვის გარშემო
და ერთჯერადი თეფშებია მიმოფანტული.
როგორ განიშნო, რომ მინდორი ვარ?
როცა ასე მშვიდს და ასე თვინიერს მხედავ
და სალაღობოდ, სატრფიალოდ მეტანები,
როგორ გამცნო, რომ
შენი მოსვლა-წასვლით გათელილი ბალახები

წამიერადაც არა ფრთხებიან
და როგორც ქალიშვილთა ძუძუსთავები
ზეცისაკენ მიისწრაფიან?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხები

როცა მე ვახერხებ, შენი ფიალიდან მარწყვის ნაყინი ბოლომდე ამოვჭამო,
შენ კი ყავას სვამ და არ იმჩნევ,
რომ ის მეორე, შოკოლადისფერი ბურთულა არც შენ არ გიყვარს,
და თან ჩემს პლანშეტს მაგიდაზე გადაშლილ წიგნს ვაფარებ,
რომელსაც შენ კითხულობ და მერე იმაზეც გეკამათები,
რომ ეგ ნაბეჭდი ტექსტები გაჩენისთანავე ქვავდებიან
და ვერაფრით შეედრებიან იმ მფეთქავ გრძნობას,
რითაც მე სიტყვების სამყარო ვირტუალურად აღმაგზნებს,
ნუთუ არ გადარდებს ამ დროს ჩვენი ფეხები,
რომლებიც, როგორც ქუჩისპირა აკაციების ტოტები,
მაგიდის ქვეშ ერთმანეთში იხლართებიან
და არტერიებში სისხლის მიმოქცევას აყურადებენ?

კისერი

როცა ამბობ „შენ ყველაზე მნიშვნელოვანი ხარ ამ სამყაროში“ და მერე თვეობით იკარგები,
და შენი დუმილი ბეტონის კედელივით მკვრივდება ჩვენ შორის,
მე თითისწვერებზე ვიწევი და როგორც შემიძლია, კისერსაც ვიწვდი,
იქნებ იმ კედლის ზემოთ გადმოვიხედო და თვალი მოგკრა რომელიმე ქუჩის კუთხეში,
სადაც მე გამოსვლა აკრძალული მაქვს,
ანდა ვზივარ ავი დედინაცვლის მორჩილი გერივით და კისერწაწვდილი ვცდილობ,
ცალ-ცალკე გადავარჩიო ჭვავი და ქერი, განვაცალკევო სიტყვისგან მზერა,
რომლითაც შენ ჩემს ხელებს აკვირდებოდი, ლიმონს რომ ვჭრიდი,
და ღიმილი, როცა მე ჭიქაში შაქარს ვურევდი, შენ კი ნამცხვრის ბეზეს ლოკავდი.
და კიდევ უფრო ვიგრძელებ კისერს, რაც ათასმეერთედ გადავსინჯავ ტელეფონს, ფოსტას,
ყველა სახის ქსელსა და კავშირს,
მოხერხებულად რომ მოვერგო უნუგეშო მოლოდინისთვის განწირულ დღეებს,
ამ დაუნდობელ ჯალათის კუნძს, რომელსაც მხოლოდ ერთი მოძრაობა:
მუხლის მოყრა და თვინიერად წინგაწვდილი თავი სჭირდება.

ყური

როცა გარწმუნებ, რომ ქარვის ბურთულები კანზე შეხებისას ცოცხლდებიან
და ჩვენს თითებს იმახსოვრებენ,
შარფი, ეს მკვლელი ყულფია, რომლის გამონასკვაშიც უნებურად ვიწაფებით,
ტანსაცმლის ღილებს კი ისედაც ღალატი და შიში სჩვევიათ
და პირველივე შეხებაზე სადღაც გარბიან,
და გარწმუნებ, ამ ცრუ დარაჯებს უნდა დავუსხლტეთ, ჩქარა,
სასწრაფოდ ჩამოვიხსნათ, მოვიშოროთ, შორს გადავყაროთ,
სანაცვლოდ კი თეთრი მკლავები შევაგებოთ ღვარად გადმომსკდარ სიცოცხლის მტევნებს,
მაშინაც, როცა ჩემი კანი ზღვიდან ამოტანილი ნიჟარასავით სკდება
და შენს ხელისგულებზე სადაფის მარგალიტებად ნაწილდება
და ზღვას კი ისლა დარჩენია, ჩვენს უჯრედებში გადმოიღვაროს,
ვერაფერი ჩაახშობს ხმაურს, რითაც ჩემი ყური შენს ერთადერთ სიტყვას ჩასაფრებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლილი მასალის გახსენება (ცირკულაცია)

1

გუშინდელივით მახსოვს, სკოლის კედლებში მოსიარულე
მე და ჩემს კლასელებს როგორ მოგვწონდა თავი
ჯიბეში ჩადებული ქაღალდის მობილური ტელეფონებით.
გაკვეთილის დროს, რვეულებიდან შუა ფურცელს ამოვხევდით
და უკანა მერხებზე მსხდომ ბიჭებს გადავაწვდიდით.
ისინიც გაკეცავდნენ ოთხად, გრაფებს გამოყოფდნენ ერთიდან ცხრამდე,
და თავზე, დახვეული ფურცლით, მიმღებს გაუკეთებდნენ.
(მიმღები – ულვაში წვერგაპარსული კაცის სახეზე.)
სწორედ რომ იმ დროს, ჩვენ თვალწინ მოხდა ევოლუცია
და გაკვეთილზე ნამდვილი სატელეფონო ზარის ხმა გაისმა.
ჩვენ დავიბენით, რადგან ეს არც სკოლის ზარს ჰგავდა,
არც ჩვენს სახლებში მობინადრე ტელეფონებისას,
ნულის აკრეფას რომ ანდომებდნენ ყველაზე დიდხანს
სხვა ციფრებთან შედარებით,
იგი არც ეკლესიის ზარი იყო და არც ნაგვის მანქანის,
არამედ რაღაც სხვა, ვიბრაციაშერეული ზუზუნი, უცხო და მიუწვდომელი.
მასწავლებელმა ჩანთა გახსნა.
(ღამით გაყინული უსახლკაროები მზეს მიეფიცხნენ.)

2

მერე გვიხსნიდა მასწავლებელი, რომ მხოლოდ ციფრების აკრეფით
ვერ დავუკავშირდებოდით სასურველ ნომერს,
რომ მწვანე ღილაკზე თითის დაჭერა იყო აუცილებელი,
გვასწავლიდა, რომ სახლში დარეკვის შემთხვევაში
ქალაქის კოდი უნდა დაგვერთო ნომრისათვის,
გვასწავლიდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებას,
მერე მის არსსა და გამოყენებას.
ჩვენ კი სულგანაბულნი ვუსმენდით, რომ მერე სხვისთვის მოგვეყოლა,
და თუ სტუმრად მოვიდოდა მამის მდიდარი მეგობარი,
თავი გამოგვეჩინა მის ტელეფონზე ყველა დეტალის ცოდნით.
მახსოვს, კედლის საათიც კი გავტეხეთ საკლასო ოთახში,
რომ უფრო ხშირად დაეხედა ჩვენს მასწავლებელს
სამოცლარიანი სასაუბრე ბარათით
გასუქებული რევოლუციური აპარატისთვის.

3

ეს აპარატი მაგნიტოფონის ფუნქციას აითვისებსო,
მაშინ რომ ეთქვათ, არ დავიჯერებდი,
ახლა კი, როცა ყურსასმენი შევუერთე უახლეს სმარტფონს,
და საყვარელი მუსიკის მოსმენა დავიწყე,
დავფიქრდი ჩემს მასწავლებელზე,
მოღიმარ და სიცოცხლით სავსე მასწავლებელზე,
დღეს რომ სიბერეს პარფიუმერიით ატყუებს,
ახლადჩასმული კბილები რომ თვალებზე თეთრი აქვს,
მასწავლებელი ყელზე, ყურებსა და თითებზე ასხმული ოქროებით,
როგორ ზის დღესაც ახალ კლასთან, ახალ ბავშვებთან,
საათგატეხილ ოთახში და ცარციან თითს ილოკავს.
დროდადრო დახედავს თავის ციფრებგადაქლექილ, მიმღებიან ტელეფონს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლის არსში ახალი კლასიც გაარკვია.
ჩემი მასწავლებელი... რომელიც დღესაც მოღიმარი და სიცოცხლით სავსეა,
რომელიც მზადაა, კიდევ ბევრი თაობა გაზარდოს,
კიდევ ბევრ თაობას ასწავლოს გზები,
სწორი გზები... ლამაზი გზები...

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა,
ერთხელ სარეცხით სავსე კალათაში ეძინა
და შეჰყვა სარეცხს პატრონის მოსამსახურის ხელიდან სარეცხ მანქანაში,
და სარეცხის ფხვნილიან წყალთან ერთად დალია სული.

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა,
ერთხელ მაღალ კორპუსებზე სეირნობისას
დაინახა, რომ მუნჯ ბავშვს სცემდნენ სხვა ბავშვები
და დასახმარებლად გადმოხტა,
მიწამდე ინანა, მიწამდე, სადაც სული არ დაჰყოლია,
არა იმიტომ, რომ მიზანს სცდებოდა,
უბრალოდ, ინანა და გაუხარდა გაცოცხლებულს,
მის გვერდით რომ იწვა მკვდარი მუნჯი ბავშვი.

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა,
ერთხელ მის ტერიტორიაზე შემოჭრილმა
ბეწვაქეცილმა და სუნიანმა ძაღლებმა გაგუდეს
კანალიზაციის იმ მილის გვერდით,
რომელიც, უკვე წლებია, რაც გახეთქილიყო.

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა,
და ერთ ზამთარში შიმშილით მკვდარი ვირთხების ჭამას
ისევ შიმშილით სიკვდილი ამჯობინა
და მოკვდა თოვლში, ლოთურ ბარბაცით,
უანავლელად, უემოციოდ.

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა,
ერთხელ მძარცველებს გაკიდებულმა
პოლიციის მანქანამ გადაუარა ჩიხში მძინარს,
გაცოცხლებულმა კი დაინახა,
რომ სანაგვე ყუთს შეჯახებული პოლიციელები მომკვდარიყვნენ
ქუჩას კი ეტყობოდა მძარცველების მანქანის ბორბლების კვალი.

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა,
ერთხელ მეცნიერმა დაიჭირა
და საცდელი ვირუსი გამოსცადა მასზე.

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა,
და ახალ ზამთარს ისევ მოკვდა შიმშილით კატა.

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა
და ერთხელაც, სიბერით მოკვდა,
ისევ იქ, იმ ქუჩაზე,
სადაც წლებია, გახეთქილიყო კანალიზაციის მილი,
და გამვლელ ადამიანებს ცხვირსახოცები აეფარებინათ სახეზე.
ვეღარ ხვდებოდა გაცოცხლების მიზეზს ბებერი კატა.

თუმცა, გაცოცხლდა,
რადგან კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა,
ბოლოს იგი მშიერმა ადამიანებმა დაიჭირეს,
გაატყავეს, შეწვეს და შეჭამეს
მრავლის მომსწრე ჩიხში,
ძვლები კი ბეწვაქეცილ და
სუნიან ძაღლებს გადაუყარეს.

კატას 9 სიცოცხლე ჰქონდა
და ცხრავე აზრიანად, ამაყად
და მშვიდად გალია,
მისი პატრონისგან განსხვავებით,
რომელმაც კატის პირველ სიკვდილზევე
მოიკლა თავი.

ეროვნული

დურმიშხან ტაბატაძე (მარცხნივ) ლექსის „კაცი ედგარ[illegible] პროტოტიპთან, ლონგინოზ ჯიბუტთან ერთად ბაქოში, 2002 [illegible] წელს (დაგეროტიპით გადაღებული ფოტოსურათი სახელმწიფ[illegible] არქივიდან).

დურმიშხან ტაბატაძე 1981 წელს დაიბადა ქ. თბილისში. პატარა დურმიშხანი მშობლებთან ერთად საცხოვრებლად გადასახლდა ქ. ბაქოში, სადაც მამამისს წვრილი ბიზნესი ჰქონდა. მალე მშობლები გაიყარნენ და მათ ყურადღებას მოკლებული მომავალი პოეტი ქუჩის გარჩევების აქტიური მონაწილე გახდა. ტრადიცია გაგრძელდა მამის მიერ თბილისში მისი გამოგზავნისა და ავეტიკ ყაზაროვის სახელობის სახალხო სკოლა-ინტერნატში მისი სწავლის წლებშიც. 2001 წელს იგი დააპატიმრეს და იმყოფებოდა ჯერ მეტეხის, შემდეგ ქუთაისის და ბათუმის ციხეებში. 2003 წელს 22 წლის ჭაბუკმა მიიღო მეტად რთული გადაწყვეტილება, საბოლოოდ ზურგი ექცია კრიმინალური სამყაროსთვის და მხოლოდ ბოჰემური ცხოვრების თავისუფლებით შემოფარგლულიყო. პარალელურად, ბაქოში დაძმობილებული რევოლუციური აქტივისტების დახმარებით, იგი საპყრობილის ცივი კედლების დატოვებისთანავე მოეწყო საბჭოთა საქართველოს მეურნეობების ტრესტის მმართველის მრჩევლად და მომდევნო წელს თბილისის შინსახკომის საარქივო განყოფილების კურიერი გახდა. 2005 წელს მომავალი პოეტი გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების სამმართველოში ინსპექტორად, სადაც დღემდე მუშაობს. დურმიშხან ტაბატაძის პოეტურ კალამს ეკუთვნის ლექსები, პიესები, ნოველები. მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია ერთი მხატვრული ფილმი, თავადაც შესრულებული აქვს არაერთი საინტერესო როლი ცნობილ ქართულ ფილმებში. 2008 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული სათაურით "სადარბაზოვ, კარგო გოგოვ!", რომელმაც მყისვე დაიპყრო ნორჩ თბილისელ მკითხველთა მართალი გულები. დურმიშხან ტაბატაძის ლექსის „კაცი ედგარი" ტექსტზე შეიქმნა თბილისელთათვის საყვარელი სიმღერა. ყველას მოეხსენება, თუ რაოდენ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა მის მიერ სულ ახლახან ყველა ჭეშმარიტი ქართველის გულგასახარად დაარსებულმა ეროვნულმა აკადემიამ „ფურთხისიონი„. თავად დურმიშხან ტაბატაძე ხაზგასმული თავმდაბლობით აღნიშნავს, რომ მისი პოეტური მცდელობები მხოლოდ დარდებისგან მისივე გათავისუფლების საშუალებაა და მეტი პრეტენზია არც შეიძლება ჰქონდეს პოეტების ქვეყანაში. და ეს – მიუხედავად იმისა, რომ იგი სისტემატურად შეჰყავთ კემბრიჯისა და ოქსფორდის ცნობილ ყოველწლიურ ენციკლოპედიურ გამოცემებში: „აბა, გამოიცანი, ვინ ვინ არის?". წინამდებარე პუბლიკაცია აერთიანებს მგოსნის მიერ 2000-იან წლებში შექმნილ, როგორც ფართო მკითხველისთვის დღემდე უცნობ, ისე ერთი-ორ ნაცნობ ლექსსაც, მათ შორის – საქართველოს საჰიმნე ტექსტების კონკურსში ნომინირებულ და ბრძოლის ველზე ტრაგიკულად დამარცხებულ სახოტბო პოეზიის ჩინებულ ნიმუშს სახელწოდებით „დედაბუნება". დურმიშხან ტაბატაძის პოეზია საგრძნობლად არის გაჟღენთილი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის უტყუარი შემართებით, მაგრამ ავტორისთვის არც სათუთი ლირიკული განწყობილებებია უცხო და არც – ცხოვრებისეულ თემებზე რთული, ტრაგიკული ტონალობის შემცველი მედიტაციები, რომლებიც გაჯერებულია ხან სუფისტური მისტიციზმით, ხან – კონფუციანური სიბრძნით და ხანაც – ქართული ხალხური პედაგოგიკის ხელიხელ ნაგოგმანები შეგონებებით. და მაინც, ეს არის უბრალო, უპრეტენზიო პოეტის ალალმართალი პოეზია, ერთგვარი ქება უბრალოებისა, რომელიც გვარწმუნებს, რომ ტრადიციული ლექსის დეკონსტრუქციის გარეშეც შეიძლება თურმე საკუთარი სახლი ააშენო ამ საყოველთაო ნგრევის ფონზე. მართალია, დურმიშხან ტაბატაძის ლირიკაში მკითხველი ვერსად შეხვდება ისეთ გენიალურ რითმებს, როგორებიც არის, მაგალითად „მეფეთა – შემომეფეთა", „სუნდუკი – დუდუკი" და სხვ., მაგრამ მგოსნის პოეტიკა მდიდარია ასონანსური დიმპინანსებით და დისონანსური ტაურნანსებით, რომლებიც ესოდენ ეძვირფასება ქართული სულის პოეტიკას.

ვაჟიკა უბნისელ[illegible]

ფიქრი

დაფიქრებული ვიდექ ჩემთვინა
და გავცქეროდი მე ლამაზ მინდვრებს,
ბაღში გალობდნენ ჩიტები ნაზად
და ჩემი გულიც ხტოდა მათკენა.

ჰოი, რამდენჯერ მისეირნია
ასეთ მინდვრებზე ლაღად და კარგად,
მაგრამ არ ვიყავ მაშინ მარტოკა,
ჩემივე სატრფო მყვანდა გვერდითა.

ის დრო წავიდა უკვე ჩქარ-ჩქარა
და თან წაიღო მოგონებებიც,
ხოლო მე დავრჩი ამ ჩემს ფიქრებთან
და ქარს ვმეგობრობ მე ხანდახანა.

ასეთი არის ცხოვრება, ძმაო,
ამ ჩიტებივით ის გაფრინდება,
შენ კი დარჩები დავიწყებული
მეფე ლირივით ამ ბაღებშია.

მაგრამ თუ გინდა, ბედმა არ გჩაგროს,
უნდა შეგეძლოს შენ ღვინით თრობა
და ღრუბლებივით გადაგეყრება
დარდი, რომელიც გულში გრჩენია.

და მაშინ იტყვი: ვიშ, რა კარგია
ჭიქა ღვინო და გასეირნება,
თვალიერება გვირილებისა,
თავის ქნევითა რომ გესალმება.

ვიშ, რა კარგია ფოთლისა ცვენა
ამ ცხოვრებაში ფიფქებივითა,
როცა მეგობრობ შენ გაზაფხულთან
და ჩანჩქერიდან გიყვარს წყლის ლევა.

ნაბახუსევზე გაგახსენდება
ბიძა და ბებო, დედა და მამა,
ნეტავი ერთი სად არიანო,
იფიქრებ უცებ შეშფოთებითა.

გაეშურები მყისვე ველიდან
მათ სანახავად შენ სახლისკენა,
ზურგზე ჩიტები მოგჭიკჭიკებენ
და გილოცავენ გზას შინისკენა.

გულისფანცქალით შეხვალ სახლშია
და შეიხედავ შენ ზალაშია
და თვალები რომ დაინახავენ
ყველას ერთადა, გულს უხარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენ მიხვდები მაშინ ჩუმადა,
რა ლამაზია, ისინი ერთად
მაგიდასთან რომ ზიან ტკბილადა
და წვნიან რამეს შეექცევიან.

და როცა საჭმელს შეგთავაზებენ,
შენ გაუღიმებ ყველას გულითა
და ეტყვი იმათ მსუბუქ ზვირთებით,
რაც სამუდამოდ გიოცნებია:

დამალევინეთ მე ჭიქა ღვინო,
რომ დაგილოცოთ თქვენ ჯანმრთელობა,
და ვიდრე ისევ მომენატრებით,
ვიხეტიალო ჩემ ბაღებშია.

და ბაგენი რომ წითელ ღვინოსა
დაეწაფება მონატრებითა,
კარს გააღებ და გამოვარდები
შენ ბაღ-ველებში სასეირნოდა.

და ჰა, შენ დგახარ დაფიქრებული
და გასცქერიხარ ლამაზ მინდვრებსა,
ბაღში გალობენ ნაზად ჩიტები
და შენი სულიც მიხტის მათკენა.

ფორთოხალი

შენ მომაწოდე მე ფორთოხალი,
და რომ შევჭამე, მეგემრიელა,
ო, დღემდე მახსოვს გემო ფორთოხლის,
რომელიც მაშინ გამომიწოდე.

მე დარცხვენილმა გითხარ მადლობა,
შენ შემომცინე გაღიმებითა,
და მე დავკარგე წონასწორობა,
თავბრუ დამესხა გამწარებითა.

მას მერე რა დრო გასულა, ტურფავ,
რაც არ მენახე ამდენი ხანი,
არც ორი სიტყვა მსმენია შენზე,
მაგრამ ჩემს სულში იყავ ცოცხალი.

ახლა კი, როცა თვალები მოგკარ
მოულოდნელად კაფეში შენა,
ტვინმა იხსენა ის ფორთოხალი,
გამომიწოდე მაშინ რომ შენა.

უმალ მოვიჭერ შენთან ფეხითა
და ერთურთს თვალი თვალში ვუყარეთ
და როცა ჩაწვდი საქმის მსვლელობას,
ჩემკენ შეჰკივლე აღტაცებითა.

მერე კი ვსხედით ჩვენ მაგიდასთან
და ვუყვებოდით ერთმანეთს ამბებს,
შენ შენს წარსულზე ლაპარაკობდი,
და მე კი ჩემზე ვყვებოდი ბევრსა.

ასე გავლიეთ ჩვენ ეს საღამო,
ბევრი მოვწიე სევდიანობით,
კვამლში ცურავდა ჩვენი სახენი
და გული ძგერდა, როგორც პეპელა.

და როცა მთელი ქვეყნიერება
ამ მე უბედურს ჩემი მეგონა,
უცებ ლოგინში გამომეღვიძა
და მე დავბრუნდი სიფხიზლეშია.

უმალ ვუმზირე იქვე მაგიდას,
სადაც წინადღით ვჭამდი ფორთოხალს
და დამრჩენოდა გადაუყრელი
მე ნაფცქვენები ფორთოხალისა.

და მაშინ მივხვდი, რომ გამქრალიყო
ჩემი ხილვები, როგორც პეპელა,
და ჩემს თავს ჩქარა ვუთხარი მწარედ:
ეჰ, სიზმარია ყოფა-ცხოვრება.

ლექსის „ფორთოხალი" ადრესატი, დარია ჯამასპიშვილი-ოჩხიკიძისა, თვითმკვლელობამდე ერთი წლით ადრე. თბილისი, 2003 წელი (დაგეროტიპით გადაღებული ფოტოსურათი სახელმწიფო არქივიდან).

თბილისის სიყვარული

ოჰ, მიხარია ეს დედამიწა,
ფერად-ფერადი ჭრელ ფერებშია,
ფრანგი, გარმონით ხელჩაბღუჯული,
ჩინელი თავის კარგ კედებშია;

მონღოლი, ცხენზე შემოჯდომილი,
ხოლო ქართველი მწვადით პირშია,
გერმანელებსა შვენით წიგნები
და ამერიკელს გულში ფულია.

მე კი სამშობლოს ვენაცვალები,
სადაც ისრები გამისროლია,
ვის არ მოხიბლავს მისი ბუნება,
ია-ვარდი და ზამბახებია.

მე აფხაზეთში ჩამქოლონ დაე,
გამაპანღურონ სამაჩაბლოდან,
დაედოს მტვერი სამცხე-ჯავახეთს,
დააკვდეს აზრი საინგილოსა;

ჩემი თბილისი ხომ ჩემთან არის,
ჩემი ბადახში და უფრო მეტი,
მთავარი მაინც თბილისი არის,
განსაცვიფრებლად არის მთავარი.

ჩემი ქალაქის დედაქალაქო,
რამდენ ტურისტი მოგიხიბლია,
ძველი თბილისის ახალო კინტოვ,
შენ ერთს ვერ დაგთმობ სამარის პირთან.

ვერც შენ ვერ დაგთმობ, ვარაზისხევო,
მერე რაა, რომ ჭუჭყიანი ხარ,
ჩვენი ამაყი ქალებ-ვაჟები
შენს აღმართებზე ადი-ჩადიან.

გავექანები მეტეხის ხიდზე
და მე ვიყვირებ: თბილისი ჩემი!
სისხლს დავღვრი მისთვის, ჰეი, უწინამც!
მტერო ვერაგო, ჩქარა მოისპე!

ნარიყალადან ჩავქვეითდები
აბანოთუბნის რესტორნებშია,
იქაც დავჭექებ: ჰეი, უწინამც!
და მიხარია თბილისელობა.

მაგრამ მე მიყვარს სხვა ნაციებიც,
თათარი ჩემი პირველი ძმაა,
თურქეთი ჩემი მოძმე ერია,
რუსეთშიც ბევრჯერ გამიხარია!

მიწა ერთ დიდი რესტორანია,
სუყველა ერი სუფრაზე ზიან,
მაგრამ ქართველი მაინც სხვა არის,
ის უნდა იყოს მუდამ თამადა.

დოლ-გარმონებში ვინ გამეჯიბროს!
ტაშ-ფანდურებში ვინ მყავს ტოლები!
მე ფესვიანი თბილისელი ვარ,
თბილისელობა ჩემი ბედია!

და შევარცხვინე მე ის ქართველი,
ვინც ისე წავა მამულეთიდან,
რომ არ იხსენონ ის მოძმეებმა
კაცად, რომელიც თბილისს დააკლდა.

ძირს ის ქართველი, თბილისის ბუნკრებს
ვინც ანაცვალოს სხვისი სამოთხე,
ვინც თავის ქვეყნის ვირობის ნაცვლად
არჩიოს სხვაგან მშვიდად ცხოვრება.

აქ და მხოლოდ აქ, მუშავ, შენ მიწყივ
მუშაკობდე და სახედარობდე,
მეომარო კი იგულოვნე და
დაეც თავზარი თბილისის უბნებს!

მიჯნურო, იყავ მარად მიჯნური,
ფულის კაცო კი აკეთე ფული;
ბოზო, იბოზე; ქურდო, იქურდე;
ჩემო სამშობლოვ, შენ გაიხარე!

პატარა დურმიშხანი მშობლებისა და მათი ბიზნესპარტნიორების გარემოცვაში. ბაქო, 1985 წელი (დაგერროტიპით გადაღებული ფოტოსურათი სახელმწიფო არქივიდან).

წვიმა და გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ წვიმაა, მე ვზივარ შიგნით
და წვიმის წვეთებს ვფლეთავ თვალებით.
იქ ჩემ თავისთვის მე მიმიგნია
და მე მას ვუმზერ, როგორც არაფერს.

როგორ გავფლანგე ჩემი ცხოვრება
დროსტარებაში და ღვინის სმაში,
ნეტა მეკითხა მეც გაზეთები,
როგორც ხალხები შობიან ამას.

ნეტა გამეგო, რა ხდება ქვეყნად
ყოველდღიურად ან თვეში ერთხელ,
გამოცანები ამეხსნა მიწის
და ცის ამბებშიც გავრკვეულიყავ.

ახლა კი უკვე გვიანი არის
ჩავწვდე ამ საქმის არსთა მსვლელობას,
მე უსაშველოდ დავიგვიანე,
როგორც არაგვზე ერთ დროს ზაფხულმა.

აგერ გაზეთნი ამ ჩემს სკამებზე,
ვფურცლავ და ვკეცავ, ვკეცავ და ვფურცლავ,
თითქოს მესმის და მაინც არ მესმის,
მესმის და მაინც არ მესმის თითქოს.

შენ, აფრიკელო ამაყო ბიჭო,
რომ შემომცქერი ამ გაზეთიდან,
იქნებ ოდინდელ შენს ცხოვრებაში
მეფე ერეკლეს ედექ მხარდამხარ.

შენ კი, ახალო კომკავშირელო,
ქართლის ბედზე რომ ამაყად სწუხხარ,
შენ ნდემბუს ტომის ბელადი იყავ,
ახლა კი აზრზე არა ხარ, ვინ ხარ.

ეგ ძველი ბიჭიც, გვერდს რომ გიმშვენებს,
ეგ ალბათ ბანტუს ტომში ერია,
თორემ საიდან ამდენ საერთო
შორის ქართველთა და აფრიკელთა.

ან ეს გაერო რა ხილი არის
ან ევროწევრი რა ჯანდაბაა,
ძნელი ყოფილა უცოდინრობა,
როცა ვერ არჩევ ნეხვისგან ქლიავს.

ნეტა მეც ვიყო განათლებული
და თავი სავსე მქონდეს ცოდნებით,
გამოვიდოდი ტელევიზორში
და ავუხსნიდი მეც ხალხს ბევრ რამეს.

ვეტყოდი, როგორ უნდა მოიქცნენ,
არჩევნის ჟამი რომ დაუდგებათ,
ვის მისცენ დღეს და ხვალე ვის მისცენ,
სად როგორ მისცენ და როდის მისცენ.

მაგრამ ეჰ მოვრჩე მე ამ ოცნებას,
ისა სჯობია წვიმას ვუმზირო,
მაინც ვერ წავალ მსოფლიო ბანკში,
რომ ამოვუდგე მხარში მამულსა.

ერთ სიბრძნეს ვეტყვი მხოლოდ ჩემს თავსა,
არა დედ-მამის მიერ ნათქვამსა,
ოდენ იმასა, ოდენ იმასა,
ერთმა გაზეთმა რაც შემასწავლა:

არსებობს ჩქარი მატარებელიც,
არსებობს ნელი მატარებელიც,
არსებობს კვირის მატარებელიც
და მატარებელ-ექსპრეს-რაკეტაც,

მაგრამ რკინიგზა მათთვის ერთია,
ყველა საერთო ლიანდაგს ტკეპნის,
ჩქარ მატარებელს ვინც ვერ გასწვდება,
მოჯაყჯაყეში დაიდოს ბინა.

მაინც იზრუნებს ეს გლობანური
დემოკრატია ყველა ჩვენგანზე,
ჩვენ მხოლოდ ტაში დავუკრათ კარგად
და გაზეთები ვიკითხოთ მალე.

ლოთიანი-დარდიანი

ინდე, მთა-გორებს მოხვდა მზის სხივი,
საწყალმა კაცმაც შეწყვიტა გორვა,
გამოიღვიძა ბუნებამ სწრაფად
და ფრინველებმაც გააბეს სტვენა.

მეც უმალ ფიცხელ შევხტუნდი მყისვე,
ბორკილნი შვებით შემოვიმსხვრიე
და გავუღიმე მზეს ყველა კბილით,
რომლებიც დღემდე შემომრჩენია.

გარეთ გამოველ სადარბაზოდან
და გავიზმორე ერთი კაცურად,
თითებში ვვარცხნე ჩემი ჭაღარა
და ვთქვი, რა ვარგო მე ჩემს ქვეყანას.

ასე გავიდა წუთნი ფიქრისა
და როცა კვების დამიდგა ჟამი,
გულმა სიამით შემატყობინა,
წამო, ვუმტვრიოთ სახაშეს კარნი.

მაგრამ რაღაცა უცბათ აღუდგა
ვერაგ განზრახვას ჩემი გულისა
და უთხრა, განვედ ჩემგან მაცდურო,
სულ სხვა კაცი ვარ მე ამ დილიდან.

რა გეხაშება, რა გეხინკლება,
როცა სიცოცხლე ასე ზეიმობს,
რამე კარგ საქმეს მოემსახურე,
მაგალითები მიეც მოძმეთა.

მე აღარ მინდა მივყარ-მოვყარო,
თუნდაც დავჭყლიტო და მივანგრიო,
დავდგე გორაზე ყანყრატოების
და ვიღრიალო დევივით როგორც.

დავეტაკო და მივეტაკო და
მივაგლიჯო და მივათხლიშო და
დავფშვნა და ჩავხოც-ჩავატიალო
ვინც უნდა იყოს ეგ სულერთია.

ძირს პანღურები, კისრების გრეხვა,
რქებით მიწოლა და ასე შემდეგ,
მე ღმერთი ვიყავ და კაცად ვიქეც,
მე კაცი ვიყავ და ვიქეც ღმერთად.

ამოვუნგრიო? ყბა ჩამოვულო?
კბილნი ვულეწო? ნამწვები ვაწვა?
აღარასოდეს, ჩემო მამულო,
ვისო მამულო ეგ სულერთია.

დაე, დამტანჯოს უსაქმურობამ,
დაე, დამადგან გულღვიძლზე ფეხი,
მე აღარ ვავნებ ჩემს სამშობლოსა
და არც ის მავნებს არასდროს მეცა.

მაგრამ თუ ვინმემ გამიბედა და
მე ამ საქმეში წინ გადამიდგა,
ისეთ საბრძოლო ყიჟინას დავცემ,
მიცვალებულსაც გაეცინება.

სამშობლოვ, შენი ყოველი მტერი
მე მომიშვირე, ნუ გეშინია,
დავცხებ და დავცხებ, მივჩეხ და მოვჩეხ,
გავკრავ, გამოვკრავ, დავკრავ და მოვკლავ.

სახეზე ბოთლებს, ჭიქებს და კოვზებს,
ჩანგლებს და თეფშებს მარჯვედ მივაფშვნი,
ო, ნევენმორა, ო, ნევენმორა,
ქვაბს დავახურავ თავზე ტიალსა.

სულ სხვა კაცი ვარ მე ამ დილიდან,
ყურებს დავაჭრი, ძუძუს ავახევ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიფათს მივუნგრევ, ზურგს გადავუმტვრევ,
ვის გადავუმტვრევ ეგ სულერთია.

ეგ სულერთია რატომ და რისთვის,
შენ მარტო მითხარ, ჩემო სამშობლოვ,
თითი დაადე და ვისაც გინდა
ზურგს გადავუმტვრევ, სიფათს მივუნგრევ.

ჩავხოცავ, როგორც მარაბდის ველზე
და ანდა როგორც ბოროდინოსთან,
მე არ მოვმკვდარვარ, მე მხოლოდ მძინავს
და ძილში ხანჯლებს და თოფებს ვხედავ.

არჩევანი შენა

უსმინე, ჩემო ძმობილო,
დურმიშხანისა მცნებასა,
ყურნი დაუგდე სწავლასა,
ნაწრთობსა ბევრი ფრენითა.
აწ არჩევანი შენზეა,
გაქვს უთვალავი ფერითა,
ძირი მწარეა, კენწერო
გაგიტკბილდება ლხენითა.

ეპოიდების მიღების
შედეგად გამოწვეული
ქცევითი აშლილობანი,
პოსტკომოტური სინდრომი.
შიზოფრენიისმაგვარი
ბოდვითი დაავადება
ან თუნდაც რეტის სინდრომი,
შენა გსურს აწ რომელია?

ემოციურად ლაბილუ-
რი ორგანული დარღვევა,
მსუბუქი აშლილობანი,
კატატონური დარღვევა.
დელირიუმი, რომელიც
თან ერთვის დემენციას და
ისიც, რაც ყველას დაგვერთვის,
შენა გსურს აწ რომელია?

სედატური და საძილე
საშუალებების მიღების
შედეგად გამოწვეული
ქცევითი აშლილობანი.
ბიპოლარული აფექტუ-
რი აშლილობა, პარანო-
იდული შიზოფრენია,
შენა გსურს აწ რომელია?

ჰებეფრენული და იქვე
კატატონური და იქვე
პრეფსიქოზური და იქვე
ციკლური შიზოფრენია,
გვიანი პარაფრენია,
პროდრომალური და თუნდაც
მოსაზღვრე შიზოფრენია,
შენა გსურს აწ რომელია?

კატატონური სტუპორი,
ანანკასტური ნევროზი,
სულაც პრედომინანტურად
კომპულსიური ქცევები.
მწვავე და გარდამავალი,
ბოდვითი აშლილობანი,
მარტივი შიზოფრენია,
შენა გსურს აწ რომელია?

სენტიზიური ბოდვა და
ფსიქოგენური ფსიქოზი,
ან სულაც პარანოიის
ყვერულანტური ფორმა და
სინდრომი ასპერგესისა,
იქვე დისმორფოფობია,
ტიკები, ჰიპერშფოთვები,
შენა გსურს აწ რომელია?

ინდუცირებულ-ბოდვითი
ან მწვავე პოლიმორფული,
ხანმოკლე შიზოფრენულიც
ბევრი სხვა აშლილობანი,
კონვერსიული და მწვავე
სტრესული აშლილობანიც,
დეპრესიული სტუპორი,
შენა გსურს აწ რომელია?

ქცევის და ემოციების
შერეულ აშლილობათა
დიდი სიუხვე, ატიპურ-
ნერვული ანორექსია,
უბრალოდ ანორექსიაც,
უბრალოდ სომნამბულიზმიც,
უბრალოდ პარანოიაც,
შენა გსურს აწ რომელია?

შიზოფრენული ფსიქოზი,
ჰიპომანია, აგორა-
ფობია, ციკლოთიმია
და ტრიქოტილომანია
და სიბსის კონკურენციის
აშლილობა და პათოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური პირომანია,
შენა გსურს აწ რომელია?

ჰიპოქონდრია, ნერვული
ანორექსია და კვების
პოლიფაგია, კლეპტო და
სხვაც ბევრი ცუდი მანია.
გთავაზობ ვუაიერიზმს
და ფეტიშისტურ ტრანსვესტიზმს,
თუნდაც ტრანსვესტულ ფეტიშიზმს,
შენა გსურს აწ რომელია?

აპრაქსიასაც გთავაზობ,
ნევროზულ ბულიმიასაც,
არაორგანულ ენკოპრეზს,
სატირიაზსაც, მუტიზმსაც.
ჰა, მთლად შენია ქვეყანა,
შეიცან შენი მხსნელია,
დროულად ამოირჩიე,
შენა გსურს აწ რომელია?

დედაბუნება

ბანანისფერი ვაშლები
და ვაშლისფერი ატმები,
ატმისთვალება კომბოსტო,
კომბოსტოსფერი ხახვები.

ხახვივით მწარე პრასები,
პრასივით მწვანე გარგრები,
გარგრისებური ალუჩა,
ალუჩისფერი მამული.

მამულისფერი ქოქოსი,
ქოქოსისფერი ტყემალი,
ტყემლისფერება ყურძენი,
ყურძნისკურკება ხურმები.

ხურმებზე მძიმე ჭერმები,
ჭერმებზე მჟავე ლიმნები,
ლიმნისტუჩება ნივრები,
ნივრებზე თეთრი გოგრები.

გოგრებზე მძიმე ნესვები,
ნესვებზე მრგვალი საზამთრო,
საზამთროსფერი წიწაკა,
წიწაკისფერი კიტრები.

კიტრებზე გრძელი ყაბაყი,
ყაბაყზე მსხვილი ჭარხალი,
ჭარხალზე მკვრივი ბოლოკი,
ბოლოკზე მრგვალი თხილები.

თხილებზე დიდი ლეღვები
და ლეღვისფერი მაყვლები
და მაყვლისფერი ქლიავი,
ქლიავისფერი მამული.

მამულისფერი ბლები და
ბლისფერი პომიდორები,
პომიდვრისფერი სტაფილო,
სტაფილოსფერი ლობიო.

ლობიოსფერი მაჟალო,
მაჟალოსფერი მწვანილი,
მწვანილისფერი მამული,
მამულისფერი მამული.

კაცი ედგარი

როგორც ლეგენდის ატორტმანება,
მე თბილისისკენ მივტორტმანებდი,
ხელში მეჭირა ჩემი ფანდური
და ვუმღეროდი მას ბალადებსა.

იქვე შემომხვდა კაცი ალალი,
იდგა, თავისთვის იპურჭყებოდა,
მივედ, დავდექი და გავიცანი
და ჩვენ გავაბით წყნარად ბაასი.

გულზე მეკიდა დადუმებული
ჩემი ფანდური აღელვებითა,
ვიპურჭყებოდით ჩვენ უკვე ორნი
და მოვუთხრობდით ერთურთს ამბებსა.

უცებ გამოჩნდა კაცი საზარი,
თვალები რისხვით უტრიალებდა,
კისერს იფხანდა აჩქარებითა
და აქეთ-იქით იპურჭყებოდა.

ის ჰგავდა თბილისს, ნაჩვევს, სუნიანს,
მშობლების მიერ ჩვენთვის მოძღვნილსა,
მოგვიახლოვდა, ჩადგა ჩვენს შორის
და უკვე სამნი ვიყავით ჩვენა.

მაგრამ სხვა იყო მისი პურჭყება,
რაღაც დიადი და იდუმალი,
ამიტომ ვკითხეთ ორივემ ერთად:
„ვინ ხარ, ძმობილო, სად გაწაფულხარ?“

ხოლო მან თვალი გვტყორცნა მზარავი
და ვაჟკაცურად უმალ ჩაცუცქდა,
კბილებში გასცრა: „მე ვარ ედგარი“,
და ერთხელ კიდევ გადმოაპურჭყა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე კი თავი მძიმედ დახარა
და ნამწვი რამე მიმოიძია,
დასწვდა, აიღო და გადააგდო
და თავი აღარ აუწევია.

და ჩვენ შეეშფოთდით ფეხზე დგომითა
და მის კვალდაკვალ ჩავიცუცქენით,
მაგრამ, ო, ღმერთო, ჩვენ ვეღარ მივხვდით,
ჩვენს შორის იყო თუ მოგველანდა.

მაშინ გავხედეთ ქუჩის იმ კუთხეს,
ის საიდანაც გამოტორტმანდა
და ვთქვით ერთბაშად: „ის აღარ მოვა,
მარადისობას ის შეერია“.

უპატრონო ბიჭს, ფუჭ

ბიჭოვ, შენ დედა არა გყავს?
ბიჭოვ, შენ მამა არა გყავს?
ბიჭოვ, ქართველი არა ხარ?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

ვინ არის შენი ბიძია?
ვინ არის შენი დეიდა?
პანჩურეთელი არა ხარ?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

ვინ არის შენი მამიდა?
ვინ არის შენი პაპიდა?
შენ რა, ფესვები არა გაქვს?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

ბიჭოვ, ბებია არა გყავს?
ბიჭოვ, ბაბუა არა გყავს?
ნაგვის ქვეყანა არა გაქვს?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

არც ცოლის დედა არა გყავს?
არც ცოლის მამა არა გყავს?
თბილისის სუნი არ აგდის?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

ბიჭოვ, ძმაკაცი არა გყავს?
ბიჭოვ, დაქალი არა გყავს?
ამაყთა ქვეყნად არ ცხოვრობ?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

არც საყვარელი არა გყავს?
არც მეზობელი არა გყავს?
შენ ფუისელი არა ხარ?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

ძმაკაცის დასაც არ ხეხავ?
დაქალის ძმასაც არ ხეხავ?
მეზობლის დედაც არა გყავს?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

ბიჭოვ, ნამუსი არა გაქვს?
ბიჭოვ, სინდისიც არა გაქვს?
მე შენგან პასუხს მოვითხოვ:
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?

ბიჭოვ, რაინდი არა ხარ?
ბიჭოვ, ბიჭბუჭი არა ხარ?
ბიჭოვ, ნაგავი არ გიყვარს?
ბიჭოვ, ვაჟკაცი არა ხარ?

ივერთა ადათს არ მისდევ?
პანჩურეთელებს ღალატობ?
ბიჭოვ, პატრონი არა გყავს?
ბიჭოვ, ქართველი არა ხარ?

სად არიან მამები
(ორიგინალი)

სად არიან მამები, მამები სად არიან,
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია.
სად არიან მამები, მე რომ მოგაბარეა,
გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია.
საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია,
სად არიან მამები, ქარია, არ არიან.
სად არიან ვეფხვები, ლერწმიანში არიან,
ლერწმიანში ქარია, ვეფხვები არ არიან.
ჩემი მკვდარი კი არა, შენი პატიმარია,
მიველ, ციხე გავტეხე, არ არიან, ქარია,
შვილო, მამა გიყვარდა, თქმა ვერ მოასწარია,
გზაზე გამოეკიდე, არ არიან, ქარია.
ეშმაკს ერქვას სახელად, ვინც მე ხელი დამრია,
სად არიან მამები, მამები სად არიან.
იმათ სახელობაზე ხე ვერ გავახარეა,
რაც იპოვეს, სულ დასწვეს, ვერვის მოსახმარია.
საქართველო, მითხარი, ნუთუ მხოლოდ ქარია,
სად არიან მამები, მამები სად არიან,
გავალ გავიხედები, არ არიან, ქარია,
საყელოზე ვის მივწვდე, მამები სად არიან.
არ არიან მამები, საქართველო ქარია.
ობლად დავეყარენით, მამები არ არიან,
ცოცხლები არ არიან, მკვდარი ისეც მკვდარია.
დღე არი, არ არიან, ღამეა, არ არიან,
ქარია, არ არიან, არ არიან, ქარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 პროზა

ფრაიბურგული ამბავი

„cecin'est pas une pipe"

ალექსანდრე ჭელიძე

მთავარი ევროპეს ჭიპია, თქვა ზევსმა, როცა ხარადქცეულმა მშვენიერი ასული მოიტაცა ზღვის ნაპირიდან. ალექსს ხარის თავის დამარხვა ვიკის ულამაზეს ჭიპში სურდა, როგორც მაგიურ ორმოში. ენით ხაზავდა ვიკის მუცელზე წრეებს, ქალი ნეტარებისგან კვნესოდა (თუმცა, თვალდახუჭული არა; ფანჯრის მინას ბუზი ეხლებოდა, თითქოს „წარმოსახვის გლუვ, უფიქრო ზედაპირს" და ვიკი თვალს არ წყვეტდა ბუზს). ალექსს ფრაიბურგის ახალი ხელოვნების მუზეუმში ყოფნისას ცნობილი სიურრეალისტური ნახატი დაამახსოვრდა. კაცი ქალის სხეულშია ჩაკეტილი; ერთსხეულებაა კაცისა და ქალის. ქალი ხთონური ღვთაებაა, მშვიდად იღიმება. კაცს გაქცევა სურს. მისი სახე სასოწარკვეთას გამოხატავს, თან საოცრად მიამიტურია, გეგონებათ, პატარა ბავშვს უნდა საპნიანი წყლით სავსე ტაშტიდან ამოსვლა და მშობელი არ ანებებს. ქალის მკერდი ჰაერში დაკიდებული ფანტასტიკური გორებია. მისი საშოდან მდინარე გამოედინება. ვაგინალური დანტე; ვიკის ყოველ საშო-თაღს ენით ლოკავდა ალექსი და მსუბუქ, ლამის ჰაეროვან შარდის გემოს გრძნობდა. მათ დათქვეს, რომ უნდა ჰქონოდათ ჩუმი სექსი. ვინც პირველი გამოსცემდა ხმას – წაგებული იქნებოდა და უცილობლად რაიმე სასჯელი დაეკისრებოდა, თუმცა, ეს პირობა ახლა ორივეს გადაავიწყდა, თავი მისცეს ვნებას და სხვა აღარაფერი ახსოვდათ. ქალმა, კმარაო, თავი გაითავისუფლა და სააბაზანოსკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯით.

ერთხანს ასე იწვა გარინდებული. მერე შარვალი ჩაიცვა, ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ორსართულიანი, ყვავილების ქოთნებით მორთული სახლი ჩანდა. ერთ-ერთ ოთახში ბავშვები თამაშობდნენ. ალბათ ქერათმიანი ბრუნჰილდე, ან გრეტხენი. სიტყვების გაურკვეველი მარცვლები ალექსის ყურამდე აღწევდა. „Du Popo" – ატირდა გრეტხენი, ქერათმიან ბრუნჰილდეს ხელი ჰკრა და მაგიდის ქვეშ შეძვრა. „ნეტა რა ეწყინა?" საწერი მაგიდა გახდა გრეტხენის საკანი, ხოლო გაალმასებულმა ბრუნჰილდემ ზიგფრიდსა და რაინდთა მთელ დასს უხმო (მაგიდის ფეხს მთელი ძალით დაუშინა დათუნია ტედი, ალბათ სურდა გრეტხენი თავშესაფრიდან თავისი ნებით გამოსულიყო). ალექსმა გაიგონა, სააბაზანოში როგორ დავარდა რაღაც მეტლახის ფილაზე და გატყდა. ისევ დახურა ფანჯარა, თითქოს ამ ხმამ აიძულა, რაიმე მოემოქმედა, ერთგვარი ჩამრთველივით, ან სასიგნალე გასროლასავით.

მერე კი ზღვაში შევიდა. ზღვა იყო ჩუმი, ტალღები – მდორე. ხშირად უნახავს სოფლად ხავსიან ტბორში მკვდარი ბაყაყი. მომწვანო ქაფი ბაყაყის მოტივტივე, წებოვან სხეულს გარს ეკვროდა... ზღვის ტალღები ალექსს ისევე ეწებებოდა, როგორც მომწვანო ქაფი და მან პირობა მისცა თავის თავს, რომ აღარასდროს შევიდოდა ზღვაში... კვლავ აულაგებელ ლოგინზე მიწვა შარვალგაუხდელი და გაციებული ყავა მოსვა პლასტმასის ოქროსფერი ფინჯნიდან, რომელიც ერთი შეხედვით ძვირფასი ფაიფურისას ჰგავდა...

სოფლად ალექსი ბნელ სახლში ცხოვრობდა; სახლი იყო უსიცოცხლო, როგორც ექსპრესიონისტულ ტილოზე გამოსახული სარკმელჩაბნელებული ნაგებობები, უზარმაზარ თავის ქალას რომ ჰგვანან. თავის ქალაში ადამიანები ცხოვრობდნენ. საუზმე, სადილი და ვახშამი მნიშვნელოვანი რიტუალი იყო... საღამოობით, მზე მეწამულ სხივებს, როგორც ბლანტ სისხლისფერ ლაქებს აფრქვევდა, რაც სახლის ტერასაზე გაშლილ მოკრძალებულ ტრაპეზს პირქუშ იერს სძენდა... ოთხი ლანდი უსხდა მაგიდას. გამალებულები ჭამდნენ, თითქოს სადღაც ჩქარობდნენ. მაგიდაზე ჭურჭელი წკრიალებდა მონოტონურად და გამაღიზიანებლად; პირის გაწკლაპუნება, წვნიანის ხვრეპა, ბლანტი გეომეტრია მაგიდის და ამ გეომეტრიაში დაკარგული ადამიანები. პურის ობიანი ნატეხი... ივან ქარონი თითქოს ამ ნატეხში ცხოვრობდა, ისე ეალერსებოდა პურის ყუას და მერე დაჭიანებული კბილებით კვნეტდა. იყო ქარონში რაღაც უწმინდური, უსიამო. მოსიარულე გვამს ჰგავდა, არსად იყო სასურველი სტუმარი. მეზობლებს ათვალწუნებული ჰყავდათ, ბაზარში გამყიდველები ხურდას ამრეზით უბრუნებდნენ მადლობის უთქმელად... მამამ ყველის გაყვითლებული ნაჭერი გადააწოდა ივანეს, გემრიელად მიირთვიო. თვითონ შედარ-

ებით მოზრდილი გადაიღო. ივანემ უკმაყოფილო სახით გამოართვა, ღირსებაშელახული ადამიანის კილოთი უთხრა, მე თავად ავიღებდი, რომ მდომოდაო. მამამ – ბევრს ნუ ლაპარაკობ, ჭამეო. თეფში დააცარიელა. – კიდევ მინდა. ერთიც დამისხი, ქალო! დედა ადგა მაგიდიდან, მორჩილი და ჩუმი. გაუხეშებული, დანაოჭებული ხელით გამოართვა მამას ჯამი და იქვე, გაზქურაზე შემოდგმული უზარმაზარი ქვაბისკენ გაემართა. წვნიანით კვლავ გაავსო და მამას მიაწოდა, რომელსაც კერძის მოლოდინში ნეტარებით თვალები მიელულა და ხელები მუცელზე დაეწყო. – ივანე, შენც ხომ არ გინდა! დაისხი, არ მოგერიდოს! – არა უფალო, მე მოვრჩი! მხოლოდ თამბაქოს გასახვევი ქაღალდი თუ გექნება, იქნებ მომაწოდო. მამამ უპასუხა, არა, ბატონო, მხოლოდ ჩვეულებრივი სიგარეტი მაქვსო. ქარონმა – ისე, კი არ ვეწევი მასეთს, გასახვევი თუთუნი მირჩევნია, მაგრამ ახლა, ჯანდაბას, მრავალფეროვნებისთვის გავსინჯავო. მამამ „ვინსტონი“ გაუწოდა. სინამდვილეში ივანეს თამბაქოს მაგვარი არაფერი ჰქონდა და შესაბამისად არც ქაღალდი სჭირდებოდა. ამდენ მანჭვას, შეეძლო, პირდაპირ ეთხოვა, მაგრამ კარგად იცოდა, როგორ სიამოვნებდა მამას, როცა ქარონი ზრდილ არისტოკრატს თამამობდა, მაღალი წრისას. მამა აჰყვებოდა ხოლმე თამაშში, მერე კი, კეთილხმოვანი, ტკბილსიტყვიანი ბაასის შემდეგ გინებით გააგდებდა მაგიდიდან, ნადი, შენს საქმეს მიხედეო...

ალექსმა ყავა მოსვა... ფრაიბურგში ჩამოსვლის დღიდან ლამის ყავის კანტატაა ალექსის ცხოვრება, ანდა ყავის იმპროვიზაცია. ვიკი სთხოვს ალექსს ევროცენტებს. „ყავისთვის მჭირდება ფული, რომ ავტომატში ჩავყარო.“ მერე მადლობას უხდის. „я твоя шлюшка, შენთან გატარებული დროისთვის ფული უნდა გადამიხადო.“ იღიმის, იცინის, თვალები უბრწყინავს, მოაქვს ყავა, ალექსს მუხლებზე ჩამოუჯდება, კვლავ იცინის, სასიყვარულო სიტყვებს ჩუმად ჩასჩურჩულებს ყურში. ვიკი უბრალოა. როცა რაიმეს უყვება ალექსს, თუნდაც ძალიან ინტიმურს, მისთვის არ არსებობს არანაირი ბარიერი. მამაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა, იმდენ ყავას სვამ, ვერ გათხოვდებიო. იცი? ეზიზღება ყავა. რა თქმა უნდა, არაყი ურჩევნია. მახსოვს ერთხელ... ხო, ცნობისთვის, დედ-მამა გაშორებულები არიან, თუმცა, ერთ სახლში ცხოვრობენ და ერთმანეთს ჯიბრში უდგანან. ჩვენი სახლი ორადაა გაყოფილი, ერთ მხარეს მე და დედა ვცხოვრობთ, მეორე ნახევარი კი მამაჩემის განკარგულებაშია. ბარიკადებია სახლში აღმართული, დასანანია რომ მთელი ბავშვობა ამ ბარიკადებზე გავატარე. ხოდა, ყავაზე ვამბობდი რაღაცას, какая я дура. დედას სახლში მოჰყავდა საყვარლები, ისევ და ისევ მამის ჯინაზე, მამას კი... აქ ვიკიმ გადაიკისკისა. მამა მხოლოდ მუშაობს, არქიტექტორია და თავისთვის ხაზავს რაღაცებს... სხვა არაფერი აინტერესებს. მოკლედ, ფინჯანი მიჭირავს ხელში და მამასთან შევდივარ, მას კი ბინოკლი მოუმარჯვებია და ჩახდილი შარვლიდან მომჩვარული ფალოსი უჩანს. თურმე დედას უთვალთვალებს ჩუმად. და წარმოგიდგენია, რას მეუბნება? იმდენ ყავას სვამ, ვერ გათხოვდებიო (არადა, 16 წლისაც არა ვარ ჯერ). „დღიდან დღემდე გიმტკიცებ, მაგრამ ვერ შეგაგნებინე, მავნებელია ბევრი კოფეინი.“ „აჰ, მამაო ჩემო, თუ ამას ამიკრძალავ, უდიდეს ტანჯვას მომაყენებ. ათას კოცნაზე უფრო ტკბილია ამ ღვთაებრივი სასმელის გემო.“ მამას არაფრის გაგონება არ უნდოდა. ეზიზღება ყავა, დიახ, ბატონო. მეზობელ ოთახში დედა ღალატობდა, თუმცა ამას ღალატი აღარ ჰქვია, ისინი ხომ ოფიციალურად გაშორებულები არიან. მამა კი მეუბნება, ყავას ნუ სვამო... სასაცილოა, არა? ვიკის თვალზე ცრემლი ადგას. ალექსი ბოლომდე ვერ ხვდება, ვიკის გადამეტებული სიცილისგან მოსდის ცრემლი, თუ მართლა ტირის. ლოყაზე წვრილ, თითქმის შეუმჩნეველ ხაზად მოსდიოდა ცრემლი.

ალექსი ბრაისგაუს უკაცრიელ სადგურზე ღამის ათ საათზე ჩამოვიდა. რელსები ზუზუნებდნენ, ღრჭიალებდნენ (სადაცაა, სხვა მატარებელი ჩამოდგებოდა ბაქანზე). სადგურიდან მიუნსტერი მოჩანდა, მგლოვიარე ბერივით. ინგლისელი მფრინავის, ვინმე კინგის ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ მან 1944 წლის 27 ნოემბერს ცეცხლმოდებული ქალაქის თავზე, საჰაერო სივრცის პატრულირებისას, ათი საათის მიმართულებით შეამჩნია უჩვეულო, სფეროსებური მფრინავი ობიექტი. მოხდა საოცარი რამ; მფრინავის მიერ მიუნსტერის მიმართულებით გატყორცნილი ყუმბარები სამიზნეს არ მოხვედრია. პირიქით, თითქოს უზარმაზარ ბატუტზე დაეცნენ, დრეკადმა მიწამ აისხლიტა ისინი და მფრინავს კატაპულტირება რომ არ მოესწრო, ვეღარაფერი გადაარჩენდა... თუმცა ეს ერთადერთი უჩვეულო მოვლენა არაა, რაც გერმანიის მწვანე დედაქალაქში მომხდარა. ამბობენ, ერთხელ, ჯერ კიდევ კაიზერ მაქსიმილიანის დროს, შეყვარებული წყვილის ორეულები მოეფინნენ მთელს ალთშტადტს, ისინი ათასობით იყვნენ. ქალაქის ბიურგერმეისტერმა საგანგებო ზომებიც კი მიიღო, რათა მოსახლეობის მღელვარება დაეცხრო; ზოგი წყვილი ბანკის გაძარცვას და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რბილად რომ ვთქვათ, ვნებიან ხვევნა-კოცნასაც არ მორიდებია.

ფრაიბურგი – ქალაქი-მოჩვენება. ალექსმა გაიფიქრა, რომ შეიძლება ამ უკიდეგანო სიჩუმეში, სახლების ფასადებს მიღმა ნანგრევებია, წებოვანი სისხლის გუბეები და ადამიანთა კიდურების გორები დგას. ფრაიბურგი ცარიელია, მხოლოდ სასწაულებრივად გადარჩენილი მიუნსტერი დაჰყურებს მიტოვებულ ქალაქს. ტაქსისტს მაშინვე მიაჩეჩა ხელში ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი მისამართი. სამხრეთული აქცენტი ეუცხოებოდა, არ სურდა მძღოლს მასთან საუბარი გაება. სანამ სტუჰლინგერშტრასეზე ახლადაშენებულ სასტუმროსთან მივიდოდნენ, მთელი გზა უხერხულობის განცდა დაჰყვა, შებოჭილი იყო.

ალექსმა ნომერში ბარგი, დააბინავა და რესტორანში ჩავიდა დასანაყრებლად. მიმტანი

მაშინვე მასთან გაჩნდა და მფარველ-დამრიგებლის კილოთი თავაზიანად დაიწყო კერძების ჩამოთვლა. ყველაფერს დაწვრილებით განუმარტავდა, თუ რა რისგან იყო გაკეთებული და ალექსიც მორჩილად უსმენდა ეშხში შესულს, სანამ ეს უკანასკნელი ვრცელ მონოლოგს დაასრულებდა... საბოლოოდ მხოლოდ ფრანკფურტული ძეხვი და ლუდი შეუკვეთა, თან მორცხვად დაამატა Entschuldigung.

ის იყო რამდენიმე ყლუპი მოსვა კრომბახერისა, რომ ქუჩაში ტურისტებით სავსე ავტობუსი გაჩერდა, რომელზეც მსხვილი ასოებით პედიგრის რეკლამა იყო გამოსახული; კმაყოფილ ფინია ძაღლს თავი ჩაერგო ჯამში და საკვებს გატაცებული შეექცეოდა. ქერათმიანმა გიდმა მიმართა ტურისტებს, ჩამოსვლის დროაო. მას ხორხისმიერი ხმა ჰქონდა, თითქოს სულ იცინოდა. სხვადახვა ფერის ჩანთებით, ჩემოდნებით და რუკზაკებით აღჭურვილი ტურისტები ქუჩას მოეფინნენ, ავტობუსი დაიძრა (თითქოს ფინია ძაღლმა ჭრელი ლეკვები დაყარა, რომლებიც გაუჩერებლად წკმუტუნებენ, და თავის გზას გაუდგა)... მგზავრები ერთხანს დაბნეულები იყურებოდნენ გარშემო. რამდენიმე მათგანმა ფოტოც კი გადაუღო წითლად ანთებულ ლატერნებს და სასტუმროს ფასადს, რის შემდეგაც ნელ-ნელა თავისი ნომრებისკენ დაიძრნენ.

გადაწყვიტა ღამის ქალაქი დაეთვალიერებინა და რესტორნიდან გამოვიდა. სიგარეტს მოუკიდა და ნეტარებით ჩაისუნთქა კვამლი. მინიატურული ქალაქი ვიწრო ქუჩებით, თითქოს მარიონეტებისთვის, ანდა პატარა თოჯინებისთვის გაკეთებული მაკეტი. ჯერჯერობით მხოლოდ სურათებიდან იცნობდა ფრაიბურგს. ფრაიბურგი გერმანულად თავისუფალ მოქალაქეთა ციხე-ქალაქს ნიშნავს. ალექსმა ბევრი რამ წაიკითხა ისტორიული წიგნებიდან, თუმცა, განსაკუთრებით ერთი ნიშანდობლივი ფაქტი აღებეჭდა გონებაში. მეცამეტე საუკუნის მიწურულს დიდი უთანხმოება გაჩნდა ქალაქის მოსახლეობასა და თავადებს შორის. როცა ფრაიბურგის მთავარმა გადასახადები გაზარდა, უკმაყოფილო მაცხოვრებლებმა კატაპულტები დაუშინეს მის სასახლეს, რომელიც შლოსბერგზე იყო აღმართული... კატაპულტების გრუხუნსა და ფრაიბურგის მთავარ ეგინო მეორის განრისხებულ შეძახილებში ალექსმა გამოკვეთილად გაიგონა აჩქარებული ნაბიჯების ხმა და ცარიელ ქუჩაში მაღალი ქუსლების ეკო – პატარა დეტონაციები.

უკან შებრუნდა. ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი ლამის შეეჩეხა. მან სწრაფად დაიხია უკან. ქალმა გერმანულად მიმართა: უკაცრავად, ახლახან ჩამოვედი და სასწრაფოდ მჭირდება დარეკვა. ქალაქში საერთოდ არავის ვიცნობ, ჯერჯერობით აქაური ნომერიც არ ამიღია. მოკლედ ужас, რუსული სიტყვაც ჩაურთო, мне обязательно надо позвонить, თუმცა რუსული საიდან გეცოდინებათ, какая я дура, თუ დამეხმარებით და ტელეფონის ჯიხურს მაპოვნინებთ, ძალიან დამავალებთ. აქაური ხართ? დამტვრეული გერმანულის და რუსულის ნარევზე უნებურად გაეღიმა ალექსს. მისი სახე იცნო: ქალი აშკარად ერთ-ერთი ტურისტთაგანი იყო, რამდენიმე წუთის წინ ავტობუსიდან რომ ჩამოვიდა.

– მეც პირველად ვარ ამ ქალაქში, барышня.

– მაშ, თქვენ რუსული იცით? რა კარგია, საიდან ხართ? მოდი, გამოვიცნობ, ნუ მეტყვით, იქნებ პეტერბურგიდან? არა? რუსი არ ხართ?

– არა.

ალექსი გაკვირვებული უყურებდა ქალს. „ნეტა, როგორ ვერ შეამჩნია სასტუმროს მისაღებში დადგმული ტელეფონი? თუმცა, მნიშვნელობა აღარ აქვს.“ განმარტოებით ყოფნა სურდა. უნდოდა, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა თავიდან აბეზარი თანამგზავრი.

ალექსი ნელა მიიწევდა წინ, თან გზაზე დაბალ შენობებს ათვალიერებდა ყურადღებით. ქალი აშკარად უკმაყოფილო დარჩა მისი მოკლე პასუხით.

– შეიძლება, ცოტა ჩქარა ვიაროთ? შემცივდა, თქვენ კი ისე თბილად გაცვიათ. და საერთოდ, სახელიც არ გიკითხავთ ჩემთვის.

ასე გაიცნო ვიკი. ვიქტორია. ქალმა უთხრა, ჩემი სახელი ესპანურად საკმაოდ სასაცილოდ ჟღერსო. სანამ ფრაიბურგში ჩამოვიდოდი, ორი კვირა იქ ვისვენებდი ზღვაზე, ახალშეძენილი ნაცნობები ბიკის მეძახდნენო. „აი, რამდენად არ უყვარს „ვ“-ს გამოთქმა. სამაგიეროდ მე ძალიან მიყვარს ჭლაყა დე ლა ჩატედრალეს, სანაპიროზე თაღოვანი კლდეები ნამდვილი ტაძრებივით აღმართულან, სანახაობით აღტაცებული, რაღა თქმა უნდა, ასეთ წვრილმანებს ყურადღებას აღარ ვაქცევდი.“

– მე ვიკის დაგიძახებთ, თქვენის ნებართვით.

– ჰო, რა თქმა უნდა.

ძლივძლიობით მიაკვლიეს ტელეფონის ჯიხურს. ვიკიმ დარეკა და დიდხანს გატაცებით ლაპარაკობდა.

– დრო მიმთავრდება. 50 ცენტიანი ხომ არ გექნებათ? – ალექსმა ჯიბე მოიჩხრიკა და ხურდა გაუწოდა. გაიფიქრა, ისეთი შინაგანი რიტმი აქვს ამ ქალს, მისი შეხების შემდეგ ალბათ ყვავილის ქოთანიც კი გაცოცხლდება და ამოძრავდებაო. თავად ყოველთვის ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მაგალითად, სტუმრად ყოფნისას, დიდი ზომის კარადასთან დგებოდა ან ჯდებოდა ყოველთვის. არ სურდა, ვინმეს თვალში მოხვედროდა.

– სიგარეტს ეწევით?

– კი.

– ნახეთ, მე რა მაქვს – ჩანთიდან ჭრელი ჩიბუხი ამოიღო – ხომ ლამაზია? სამახსოვროდ ვიყიდე. იქნებ, როგორც მწეველმა შემიფასოთ? ძალიან საყვარელი ნივთია.

– მე ზოგადად თუთუნს არ ვეწევი... ვიკის ჩიბუხი მოუხერხებლად გაეჩარა პირში და ჰაერს გამალებული ისრუტავდა.

ფრაიბურგული ლეგენდის თანახმად, ერთ-ერთი სახალხო ზეიმის დროს ნიღბიანმა უცნობმა (ნიღაბი გადაშლილ წიგნს ჰგავდა, რომელზეც პატარა ხუთქიმიანი ვარსკვლავები იყო გამოსახული) კაიზერ მაქსიმილიანს უცნაური საჩუქარი – ჭრელი ჩიბუხი გადასცა და მაშინვე გაუჩინარდა. კაიზერს ჩიბუხი იმდენად მოეწონა, რომ განუყრელად თან ატარებდა. სწორედ იმ დღიდან გამრავლდნენ ქალაქში შეყვარებულთა ორეულები, რომელთაც მრავალი ენითაუწერელი რამ ჩაიდინეს. კაიზერმა გადაწყვიტა, ერთ-ერთი წყვილის სასამართლო პროცესს დასწრებოდა ინკოგნიტოდ. მაქსიმილიანეს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა საოცარი მსგავსება აღმოაჩინა განსასჯელის სკამზე მჯდარ ქალსა და მის სატრფოს, ფელიცე ფონ შტუჰლინგერს შორის, ხოლო ვაჟი კი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა თავად კაიზერს.

ირმების ქუჩაზე იტალიურ რესტორანში შევიდნენ და პიცა შეუკვეთეს, რომელიც საკმაოდ უგემური გამოდგა. სამაგიეროდ, ვიკიმ აარჩია კარგი ღვინო – „ტორესი“. ბოთლის ყელთან პლასტმასის სათამაშო ხარი იყო მიკრული. მიმტანმა ინგლისურად ჰკითხა ალექსს, აბა, სათამაშო რომელს მოგცეთ? ვიკიმ უპასუხა, მე არ მინდა, ძალიან დაღონებული ჩანს და რქები დაბლა დაუხრიაო. – Er sieht komisch aus. ალექსი აღარ შეუშინდა სამხრეთულ აქცენტს და თავისუფალი გერმანულით მიმართა მიმტანს. – Ich mag solche Spielzeuge, danke sehr.

– რა კარგად ლაპარაკობთ გერმანულად? სასწავლებლად ხართ აქ? – ეკითხება ვიკი.

– ჰო, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ბერძნულ ფილოლოგიაში აქ ვაპირებ.

– რა საინტერესოა. მე კი სამუშაოს დაწყება მინდა, მაგრამ ამისათვის ჯერ გერმანული უნდა ვისწავლო კარგად – ვიკიმ პიცის მოზრდილი ნაჭერი გადაიღო თეფშიდან – მე მჯერა, რომ სიყვარულისთვის ვარ შექმნილი! წინადადების ასეთ დასასრულს არ მოელოდა ალექსი... ვიკიმ ლექსად გააგრძელა:

Мне нравится, что можно быть смешной -
Распущенной - и не играть словами...

იმ დღეს უკვე კარგი მეგობრებივით დაშორდნენ ერთმანეთს. ალექსმა დამშვიდობებისას უთხრა, უმა თურმანს გავხარო. ვიკის სახე გაუმკაცრდა, მე არავის ვგავარო. ეს – უეცარი ცვლილება იყო. და ალექსმა სწორედ მაშინ დაინახა პირველად სხვა ვიკი, რომელმაც შუბლი გაიხსნა და გულიანად, თბილად გაიღიმა მის კომპლიმენტზე, ხოლო ის მეორე, წარბშეკრული გაემართა თავისი ნომრისკენ.

მამა ხშირად ეტყოდა ხოლმე ქარონს: ჩემო ძმაო, ივანე, ხომ იცი, შენი იმედი მაქვს, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, შენს მხრებზეა ეს სახლი, კარ-მიდამო ვრცელი და მდიდარი. კარგად მიხედე შენს ნავს, ჩემო ძმაო!

კარ-მიდამო ვრცელი და მდიდარი! ალექსს ვერ გაეგო, რას ნიშნავდა საერთოდ მდიდარი? ვრცელი? სახლი ძალიან ძველი იყო; წითელი აგურით ნაშენები, კრამიტით გადახურული. წვიმის დროს წყალი ჩამოდიოდა ხოლმე ჭერიდან... და რამდენჯერ მდგარა მთელი ღამე მძინარე მამის სასთუმალთან გათოშილი, აკანკალებულ ხელში წყლის ნაკადისთვის შეშვერილი სათლი სჭერია, მამას რომ არ გაჰღვიძებოდა და ძილი არ გასტყდომოდა. ალექსისთვის ისიც გამოცანა იყო, საერთოდ რას აკეთებდა ქარონი მათ სახლში?! ეზოში პატარა მდინარე ჩამოდიოდა, მდინარეში ნავი იყო, ქარონი თითქმის მთელ დროს იქ ატარებდა. წარმოიდგინეთ, უზარმაზარი ნავი პატარა მდინარეში, რომელიც ნაპირებს ეხიდება. ერთხელ ჰკითხა კიდეც ალექსმა, რად გინდა მანდ რომ ზიხარ, რა დაგრჩენიაო? ივანემ მიუგო, უფალმა ბრძანა ასე და მის სიტყვას ვერ გადავალო. ამის მეტი არაფერი უთქვამს, სახე მოექცა და ავმა ღიმილმა გაურბინა ტუჩ-პირზე. იმ საღამოსვე უთხრა მამას, შენი მხოლოდშობილი ვაჟი თავისთავს ელაპარაკება ხოლმე, მგონი მთლად ჭკუაზე მყოფი ვერ არიო. ალექსს ჩვევად ქონდა, ღამე, ყველა რომ დაიძინებდა, ეზოში გავიდოდა და მინაზე დაწვებოდა გულაღმა, ვარსკვლავებს უცქერდა და ნატრობდა, რა იქნებოდა, მცენარედ გავეჩინე ღმერთსო, მზესუმზირა, ან, თუნდაც, გვირილა ვყოფილიყავიო, ჩემთვის ვიქნებოდი, მზესშემაცქერალი ვიხარებდიო. ერთხელ მინა გათხარა, შიგ ჩაეფლო და თვალები დახუჭა, თვალწინ წარმოუდგა ზღაპრული ქოხი, სახლის გადაღმა გორაზე რომ იდგა. ქოხში, სავარაუდოდ, არავინ ცხოვრობდა, სახურავზე კენკროვანი ბუჩქი და ბალახი ამოსულიყო, მაგრამ ალექსს ძლიერ უნდოდა იქ დასახლება სრულიად მარტოს. მიტოვებული საბინადრო იზიდავდა. მამა ამბობდა, ის ადგილი უნდა ვიყიდო და ეკლესია უნდა

ავაშენო, რომ ღმერთის შეწევნა არ მოაკლდეს ჩვენს სამკვიდრებელსო... წამოიწია, მიწიდან წამოდგა ალექსი, ნახევარრკალი მოხაზა ხელით ჰაერში, თითქოს აღთქმული სამყაროს კარი შეაღო. – არავინაა აქ? – იკითხა ჩუმად. თვალი გაახილა და ქარონი შეეფეთა, თურმე დარაჯობდა ალექსს. – რას აკეთებ, ბიჭო? – დაგუდული ხმით ჰკითხა – მამა გაბრაზდება, ხო იცი. – მერე, შენც ნუ ეტყვი, რა? ძია ივანე, გთხოვ. მაგრამ ვინ უგდებდა ყურს ალექსის ვედრებას, მეორე დილასვე გაიგო მამამ ყველაფერი და ალექსი შეშლილად გამოაცხადა. – ტყუილად მაქვს შენი იმედი, შვილო ჩემო! ერთი დღე გაუბახტში უნდა დაგამწყვდიო, იქნებ ცნობაზე მოხვიდე!

„გაუბახტი" ვიწრო, უჰაერო ოთახი იყო, სადაც ხორცს ბოლავდნენ. მამა ყოველთვის იქ ამწყვდევდა სახლის ბინადართ ურჩობისთვის. ალექსმა მორჩილად მოიხადა სასჯელი. ღამით ციოდა და უკვე შებოლილ, უზარმაზარი ტახის ბარკალს ეხუტებოდა აკანკალებული. საკმარისი ადგილი არ იყო ოთახში და ზეზეურად მოუწია გათენება. გაუასკეცდა მიტოვებულ ქოხში დასახლების სურვილი, სიგიჟემდე სურდა მშობლიური სახლიდან გაღწევა. მოგვიანებით დედასაც გაუმხილა თავისი ოცნება. დედა მდუმარედ შეჰყურებდა ერთხანს, მერე თვალზე ცრემლი ჩამოუგორდა და გულზე მიიხუტა შვილი...

„ახლავე უნდა წავიდე აქედან!" დღეში ასჯერ მაინც უმეორებდა საკუთარ თავს. ეზოს მაყვლოვანი ეკრა გარს. ალექსს ეჩვენებოდა, რომ მაყვლოვანი ყოველდღე უფრო და უფრო იზრდებოდა და გაუვალი ხდებოდა. საღამოობით, როცა მამა მაგიდასთან თვლემდა ნებივრად, მშვიდად, ხოლო ივან ქარონი თავის ნავში იჯდა ნიჩაბს დაყრდნობილი, ალექსი ჩამავალ მზეს და სისხლისფერში გახვეულ ქოხს უმზერდა.

* * *

ვიკი სააბაზანოდან გამოვიდა, იატაკზე სველი ტერფების ანაბეჭდი რჩებოდა. ალექსი თეთრად განათებულ სარკმელს უცქერდა და წარმოიდგინა, რომ ეს ფანჯარა სხვა, უფრო დიდი ალექსის თვალები იყო, რომელიც ოთახში თავშესაცევად იცქირებოდა. ქალ-ვაჟი კი ყველაფერს აკეთებდა უხილავი მაყურებლის გასართობად. ისინი სასაცილო მარიონეტებივით მოძრაობენ, მათ აქვთ მარიონეტული სექსი და ლეგო-გენიტალიები. Everything is great! მარიონეტებმა ვერ გაიყვეს საწერ მაგიდაზე დარჩენილი ბურგერი და წარმოიშვა მარიონეტული Bürger-დრამა (ვიკიმ იტირა პატარა გრეტხენივით და ბალიშში ჩარგო თავი). ალექსის ქვაბში (რომელიღაც ნაკლებადმნიშვნელოვანმა მწერალმა ადამიანის თავი ქვაბს შეადარა) ყველაფერი ვერ იყო რიგიანად მოხარშულ-შეკმაზული: მოგონებები და ფიქრები გაფუჭებული ბოსტნეულივით ირეოდა, თუმცა, ძველი ჩინური ანდაზის თანახმად, არ არსებობს კარგად ცუდი საკმაზი კერძისათვის, არსებობენ მხოლოდ კარგი და ცუდი მზარეულები. მარიონეტების ოთახში ალექსი და ვიკი კეტჩუპის ბოთლებით შეიარაღებულები დასდევდნენ ერთმანეთს; ეს ერთი შეხედვით ბავშვური თამაში მოყირჭების განცდას უმძაფრებდათ და მათი შეძახილებიც დაუსრულებელი სტრეტასავით მეორდებოდა ენტროპიულ ფუგაში. იატაკს კეტჩუპის სისხლისფერი, ცხარე წვეთები ეშხეფებოდა... ვიკიმ აბაზანიდან ზღვის სურნელი გამოიყოლა, ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა ალექსს. ქალმა იცოდა, ალექსის წყობიდან გამოსაყვანად მცირედიც კმაროდა და თავისი არყოფილი სასიყვარულო ინტრიგის მოყოლა დაიწყო, რომელიც ვითომდა Playa de las Catedrales სანაპიროზე გადახდა თავს; ექსჰიბიციონიზმის აქტი ახლადგაცნობილ un buen chico-სთან ტურისტებით სავსე პლაჟზე, გამოგონილი პიკანტური თავგადასავლის მოყოლისას ვიკი იცინოდა – ფუგის ახალი თემა. სიცილი ყველა მხრიდან ესმოდა ალექსს. სურდა, ერთი წუთით მაინც მარტო დარჩენილიყო და გონება მოეკრიბა. „ყველა ჩვენ გვიღებდა სურათებს, დიახ!" ტკივილი შავი ფრინველივით ფართხალებდა მკერდში. ალექსს საინფორმაციო გადაცემაში ჰქონდა ნანახი, როგორ გადაარჩენდნენ მაშველები ნავთობით დაბინძურებულ სანაპიროზე თითქმის სასიკვდილოდ განწირულ თოლიებს. ნავთობის შავი, სქელი ფენით დაფარულებს მოძრაობა აღარ შეეძლოთ. გული მძლავრად ცემდა. შავმა ფრინველმა გამოტეხა მისი მკერდი და პირდაპირ ვიკის წინ დაეცა. სხვა, უფრო პატარა ალექსმა კი გამოტეხილი ნაპრალი დაგმანა, სახელდახელოდ ამოქოლა და ფულუროდქცეული სხეულის უსწორმასწორო ბილიკს დაუყვა არსაითკენ...

– «Il me semble que je serais toujours bien la ou je ne suis pas». – თავისთვის თქვა და უკვე მაგიდასთან მჯდომ ვიკის გახედა, რომელიც ტუჩის საცხს დირიჟორის ოსტატური, ზუსტი და, ამავე დროს, არტისტული მოძრაობით ისვამდა.

– ესე იგი, ყოველთვის უფრო ბედნიერი იქნები იქ, სადაც არ ხარ.

– უფრო ზუსტად, იქ, სადაც არ ვარ, ჩემი ნამდვილი მეა.

– და კიდევ უფრო ზუსტად: იქნებოდი ყველგან, ოღონდ არა ამ სამყაროში. ანუ, გინდა თქვა, რომ მოგბეზრდი? – ტუჩის საცხის წასმა არ შეუწყვიტავს, მოძრაობა ხელისა უბრალოდ უფრო ნერვიული გახდა.

იგრძნო, რომ ვიკი სურდა; აი ასე გაღიზიანებულ-დაეჭვებულ-განრისხებულ-უმიზეზოდ გაალმასებულზე. მიუახლოვდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა გაურკვევლად. ვიკიმ შეხედა: რას მეუბნები? ნუთუ მოესმა?! კითხვის ნიშანი გადაიქცა ძახილის ნიშნად, რომელიც აღტაცებას გამოხატავდა. ალბათ სასვენ ნიშნებში უნდა არსებობდეს რაიმე გარდამავალი ნიშანი, მაგალითად, ასეთი ?<!!, რომელიც იქნებოდა თანდათანობით გამქრალი ეჭვის და სიხარულის გამომსახველი. თუ მსგავსი რამ ოდესმე მოხდება, აღარ იარსებებენ სიტყვებს შორის მიმართებები, არამედ მხოლოდ ნიშნები, საგზაო ნიშნების მსგავსად. ვიკის თვალები უციმციმებდა, ერთი სული ჰქონდა, ეთქვა, მეც მიყვარხარო, მაგრამ ალექსმა მშვიდად, დამარცვლით მიუგო, არაფერი მითქ-

ვამს, უბრალოდ გაგეხუმრეო. მერე გონს მოსვლა აღარ აცადა ქალს და ხელი მოხვია შიშველ მხრებზე.

ვიკი არ შეწინააღმდეგებია. თუკი გაურკვეველობის განცდას შესაძლებელია, ჰქონდეს გემო, ალექსი ამ გაურკვევლობას, ეჭვს გრძნობდა ვიკის ბაგეებზე; ქალის ტუჩებს სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი გემო აქვს. ალექსი კი ნამდვილი გურმანი გახლდათ ამგვარი ნიუანსების.

დაღლილები, ერთმანეთის გაოფლილ სხეულებს მიხუტებულები იწვნენ. ვიკიმ უთხრა, მშიაო, ალექსი კი ეკითხება – მოგეწონა? ვიკიმ თავი გააქნია – ისე რაა. – მაშინ, მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთ. ალექსმა ვიკის სველი თმის დახვევა დაიწყო საჩვენებელ თითზე. – არა. ახლა მშია. მერე იყოს – და უარის ნიშნად თავი გააქნია. – იყავნ ნება შენი, მაშ ჩავიცვათ და სადმე პაბში წავიდეთ, კარგი?

ტანზე ჩაიცვეს და ოთახიდან რატომღაც ფეხაკრეფით გავიდნენ. ოთახში დარჩნენ სხვა ვიკი და სხვა ალექსი, რომელთაც გააგრძელეს ერთმანეთით ტკბობა მაშინ, როცა მათი ორეულები შტულინგერსტრასეზე პიცასა და ლუდს შეექცეოდნენ.

* * *

ალექსმა მამლის ყივილზე გაიღვიძა. საწოლიდან წამოიწია და მაშინვე სოფოს ნაჩუქარ წიგნს მოჰკრა თვალი. სქელტანიანი რომანი იყო. სოფო მათ მეზობლად ცხოვრობდა. ალექსმა თავად შეურჩია სახელი. მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი და აღელვებულმა იმის კითხვაც ვერ მოახერხა, რა გქვიაო. ცხენს ასეირნებდა მიტოვებული ქოხის მახლობლად. ფერდებჩაცვენილი ცხოველი მადიანად შეექცეოდა ბალახს, ის ფარაონის სიზმრიდან გადმოხვეწილ მჭლე ძროხას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხენს. უპროპორციო ტლანქი ტანი, თუმცა, მაინც თავისებურად ლამაზი. ხანდახან ადამიანები ტლანქ პროპორციაში ვპოვებთ ხოლმე საზრისს და ეს საბრალო ცხენიც, რაღაცნაირად მშვიდად ბედს შეგუებული, ძალიან უყვარდა ალექსს. ცხენი იცოხნებოდა. ალექსმა სიცილის ხმა გაიგონა. ცოტა ეუცხოვა ამ უდაბურ ადგილას ასეთი სავსე კისკისი და მოუთოკავ-სადავემიშვებული განცდა... და დაინახა სოფო, ახმახ, უწვერულ ბიჭთან ხელიხელგადახვეული აღმართს მოუყვებოდა და ალექსს რომ გაუსწორდა, მაშინღა შეწყვიტა კისკისი, ლამის რომ ანაყოფიერებდა გაუდაბნოებულ მიწას. ტბას ხომ ვერ მიმასწავლიო, ჰკითხა გაწითლებულსა და დარცხვენილს. – მაღლა აუყევით გორას და დაინახავთ – ძლივს მიუგო. სოფო ერთხანს აკვირდებოდა, მერე კი წიგნი გაუწოდა, გამომართვი, გჩუქნიო. „წეროს ორი შთამომავალი" – დიდი შრიფტით ეწერა გარეკანზე. ალექსმა გამოართვა. „რატომ მაჩუქა?" – გაურბინა თავში. მერე მიხვდა, გაცრეცილი წიგნი მხოლოდ ტვირთი იყო შეყვარებულთათვის. მათ წიგნი თავიდან მოიშორეს, როგორც უსარგებლო ნივთი... ქალ-ვაჟი საოცრად ჰგავდა ერთმანეთს, როგორც წეროს ორი შთამომავალი. გოგონამ თითქოს სავიზიტო ბარათივით გადასცა საჩუქარი. და მაინც, რაში უნდა გამოეყენებინა? ალექსი ხომ ძლივს ახერხებდა კითხვას... სოფლის მახლობლად სკოლის დაწყებით კლასებში დადიოდა, მერე თანდათან გული აიკრუა სწავლაზე, ბოლოს კი საერთოდ მიანება თავი. თანაკლასელები მოსვენებას არ აძლევდნენ, ხშირად ნაცემი ბრუნდებოდა სახლში. აზლუქუნებული და პირგასისხლიანებული ეკვროდა დედის კალთას, მამა კი ირონიულად უმეორებდა ერთსა და იმავეს, ვერ ხედავ, შენი ადგილი მხოლოდ აქაა, მშობლიურ სახლში, ვერ ხედავ, სხვაგან დაგცინიან და არ გინდობენ, არაფრად გაგდებენო...

ალექსი აივანზე გამოვიდა, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. მამა უკვე ამდგარიყო, ტერასაზე იჯდა. ივან ქარონი თბილი წყლით ბანდა ფეხებს. მამა სიგარეტს ეწეოდა და ვერ ამჩნევდა, როგორ ეფერფლებოდა ნამწვი ქარონის ალაგ-ალაგ გამოხეულ, მრავალჯერ დაკემსილ პერანგს. ალექსი ჩქარი ნაბიჯით გაემართა თავლისკენ. – სად მიდიხარ ბიჭო ასე უთენია? – დააწია მამამ კითხვა. – რავი, ცხენს გავასეირნებ, ცოტას ვაბალახებ. ამის თქმა იყო და გაავებული ფინია ძაღლი გამოეენთო საიდანღაც, პატრონის სკამქვეშ თუ იქნებოდა დამალული. „ალბათ წინადღის ნასუფრალი არ ეყო გასაძღომად და ამიტომაა ასე გაანჩხლებული" – გაიფიქრა. მამამ უკმაყოფილოდ ასწია წარბი. – ხომ გითხარი, ნუ აბრაზებ-მეთქი ამ ძაღლს. – კიდე მე ვაბრაზებ? ლამისაა, შემჭამოს. ივანეს გაეღიმა, მამას ეუბნება, აქამდეც უღრენდა ეგ ალექსს, მაგრამ მერე გადაწყვიტა ბიჭმა, შემოვიჩვევო, პურის დიდ ნატეხებს აჭმევდა და მთლად გაუთავხედდა ძაღლი. ცხოველი ასე ფიქრობს: სუსტია ეს კაცი და ჩემთან შემორიგებას მაგიტომ ცდილობსო. – შენ ბევრს ნუ ფილოსოფოსობ, გააგრძელე, რასაც აკეთებ – შეუღრინა მამამ. ქარონმა ცხელი წყალი ჩაამატა ტაშტში და მოწიწებით, რიდით დაასრულა ფეხთა განბანა.

ალექსისთვის გამოცანა იყო, ამდენ ხანს როგორ გაძლო ივანემ მათთან, ან რატომ უყვარდა ასე ძლიერ მამა? მას ხომ არაერთხელ მიუყვანია ცემით სიკვდილის პირას, უმეტესად არყის ქურდობისთვის, ანდა ისეთი დანაშაულებებისთვის, რასაც „გაუბახტში" სასჯელის მოხდა ვერ გადასწონიდა (მაგალითად გაუფრთხილებლობით თეფშის ან ჭიქის გატეხვა, ანდა ნახირიდან ძროხების დაგვიანებთ მორეკვა). არაერთხელ გამოქომაგებია დედა, არაერთხელ ატირებულა, და შევედრებია მამას, მოეშვი, ნუ შეიკლავო, მაგრამ გაცეცხლებული მამა, როგორ თუ შეპასუხება გამიბედეო, დედასაც დაუწყებდა ცემას და მის ცრემლსა და სისხლს ერთმანეთს შეურთავდა.

სახლში რამდენიმე ძროხა და ერთი ხარი ჰყავდათ, რომელიც ალექსს გამორჩეულად უყვარდა, მას დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა, ძალიან წყლიანი. ნაზამთრევს, ხეში წყალი რომ ჩადგებოდა, გარეთ გაპარვა იცოდა ხარმა. როგორ, რა მანქანებით, სახლის ვერცერთ ბინადარს ვერ გაეგო. გაიჭრებოდა თავისუფალი,

მონავარდე და რქით მიწის ჩხერას იწყებდა, კოტრიალობდა მერე რქითნაჩხერ მიწაში და მადლიერი, ჟინდამცხრალი, კმაყოფილი ბღაოდა. ალექსს ეჩვენებოდა იმ წამს, რომ ხარი ლაპარაკობდა. მიწასა და ტალახში ამოსვრილი თავისი ფეხით ბრუნდებოდა მერე ბაკში. არცთუ იშვიათად სტუმრობდა მას, როცა გაავებული მამა სახლის სხვა ბინადართ სჯიდა. თვინიერი ცხოველი თმას ულოკავდა მშობლიური მზრუნველობით დარტყმის ყრუ ხმებს და დასჯილთა კვნესას გამოქცეულ, გამხმარ ფუნაში მოკუნტულ ალექსს. ხარი სამი წლისა რომ გახდა, მამამ გადაწყვიტა, დაეკლა. ბიჭს ეწყინა, გული დასწყდა და ტირილი მოუნდა, მაგრამ შეიმაგრა ცრემლი. თვითონვე შველოდა მერე ქარონს და მამას ხარის წაქცევაში... სისხლის დიდი გუბე დადგა, ენამოკვნეტილი თავი ცხოველისა ტანს რომ მოსცილდა. ერთხანს უყურა გუბეს, მერე კი გაღიზიანებულმა ჩაჰკრა ფეხი და სისხლისფერი ანარეკლები ერთმანეთში არია... იმ ღამით ხარი ესიზმრა და კაცური ხმით უთხრა, ჩემი თავის ქალა შეინახე და ერთი წლის შემდეგ, დღეის სწორს გორაზე რომ ქოხია, იქვე, ეზოში დამარხეო. ორი წერო შეგხვდება და გზას გკითხავენ, შენც მიასწავლი და იმ დღესვე დამარხავ ჩემს თავს, თორემ უბედურებას გადაეყრებიო. ზუსტად ერთი წელი გავიდა მას მერე. ალექსი ერთხანს მალულად ინახავდა ხარის თავს ბაკის გამონგრეულ კედელში. გარედან დიდი მონდომებით ამოქოლა, რომ ვერავის შეემჩნია, მაგრამ ფინია ძაღლმა მიაგნო ყნოსვით. საკბილო გამოუჩნდა და რაღას დათმობდა. ალექსმა სდია, წართმევა უნდოდა, მაგრამ ამაოდ. გაავებული არაფრისდიდებით არ აპირებდა ნადავლის პირიდან გაგდებას, თან მამას რომ დაენახა ალექსი, ორდღიანი „გაუბახტი“ არ ასცდებოდა – ამიტომ ხელი ჩაიქნია და დევნას თავი ანება. თავის ქალა ფინიას დარჩა...

* * *

შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ ფრაიბურგში დაკარგვა არც ისე ძნელი საქმეა, დაკარგვა თუ არა, გზის აბნევა მაინც. ძველ ქალაქში ქუჩებს უცნაური სახელები ჰქვია: ანგელოზთა ქუჩა, მარილის ქუჩა, ხარაზთა ქუჩა და კიდევ სხვა მრავალი. ეს ვიწრო ქუჩები ლაბირინთის მაგვარ ხვეულებს ქმნიან, საიდანაც დაუხმარებლად თავის დაღწევა ქალაქში ახლადჩასული ტურისტისთვის რთულია. ალექსი და ვიკი პაბს ეძებდნენ "ZUM ROTEN BAREN", რომელიც მთელ გერმანიაში უძველესი სასტუმროცაა, ის შვაბთა კარიბჭესა (Schwabentor) და მიუნსტერის ტაძარს შორის მდებარეობს. ადრეც ესტუმრნენ წითელ დათვს, თუმცა, ალექსს გზა ველარ გაეკვლია შუასაუკუნოვან ლაბირინთში, თან ჯიუტი ბავშვივით დაიჟინა – საითკენ უნდა წავიდეთ არავის ვკითხავ, ჩემით უნდა მივაგნო იმ წყეულ პაბსო. ვიკი ლამის ემუდარებოდა, ასე დაუსრულებლად მოგგიწევს ალბათ ხეტიალიო, მაგრამ ალექსი თავისას არ იშლიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ძველი ხალიჩასავით გახუნებული, მოწითალო-მონაცრისფრო რომბებით მოხატული შენობის ფასადი და ორივემ შვებით ამოისუნთქა.

ჭაღარა ბარმენი თავაზიანად შეეგებათ ღიმილიანი სახით.

– ძალიან სასიამოვნოა, რომ კვლავ შემოგვიარეთ, არ მეგონა, თუ ასე მალე მობრუნდებოდით უკან.

– ასე მალე? რამდენიმე დღეა, აქ არ ვყოფილვართ, თუმცა, რახან დაგამახსოვრდით, ესე იგი, თქვენთვის გამორჩეული სტუმრები ვართ – ვიკიმ კეკლუცად ჩაიღიმა.

– სულ ორი წუთის წინ გახვედით აქედან, ოღონდ თქვენ ნაცრისფერი პერანგი გეცვათ, აი თქვენ კი ვიწრო ჯინსი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები.

– რა მნიშვნელობა აქვს, კაბა მეცმევა თუ ვიწრო ჯინსი!

– მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს? – ჩაერია ალექსი – გაიფიქრა, ალბათ მომსახურე პერსონალს სამუშაო საათებში დალევას არ უკრძალავენო... და საერთოდ, ბევრი რომ არ გაგაგრძელოთ, ლუდი და შნიცელი მომიტანეთ შემწვარი კარტოფილით, თორემ შიმშილისგან სული მიმდის.

– მე კი ღვინო ტორესი და რაიმე წვნიანი.

– იქნებ, სხვა რამ შემოგთავაზოთ, სულ ახლახან ზუსტად იგივე მიირთვით...

აბეზარი მიმტანისთვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ, ისე დასხდნენ მაგიდასთან მყუდრო კუპეში... ყოველ პაემანზე, თითქოს ყველაფერი ახლიდან იწყებოდა. ალექსი და ვიკი ყოველდღიურ წვრილმანებზე ლაპარაკით იფარგლებოდნენ, თავს იქცევდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ამინდი, საუნივერსიტეტო ცხოვრება, იტალიური აქცენტის იმიტაცია; ვიკი ენის კურსს გადიოდა მაქსიმილიანის უნივერსიტეტში, სადაც თითქმის მთელი მსოფლიოდან მრავლად იყვნენ უცხოელები. იტალიური ოპერა, ბუფას ინტონაციები ნაკლებ უხდება გერმანულ ენას. ალექსს კარგად გამოსდიოდა იტალიელების მიბაძვა – ვიკი სიცილისგან იგუდებოდა, ის კი უცხო იყო, უცხოსავით ელიმებოდა.

– სწორად ვამბობ? Wenn wir für unsere Beziehung mehr Zeit hätten. – ეკითხება ვიკი.

– კონიუქტივი ამ შემთხვევაში სწორი ფორმაა... სიტყვები, პატარა ვერბალური აფეთქებები, რომელიც დაცლილია რაიმე შინაარსისაგან, უფრო პატარა ინტერლუდიებია...

– რა იქნება, რომ ცოტა უფრო მეტი დრო გვქონდეს. ცოტა ხანში სამშობლოში მომიწევს დაბრუნება – ნაღვლიანად ამბობს ვიკი და მაგიდის ქვეშ ცალი ხელით ეპოტინება ალექსის შარვლის ღილებს... ალექსი ფიქრობს, ხანდახან წონასწორობის, ახალი საყრდენის პოვნა თითქმის შეუძლებელია, როგორც პაულ კლეეს სივრცეში გეომეტრიული ფიგურების აღმოჩენა. „Я хочу испробовать все мой сладенький... Мой сю сю.“

ფანჯრიდან დაინახა, როგორ ცდილობდა შეყვარებული წყვილი გზის გაგნებას, ყოველ შენობასთან დაბნეულები ჩერდებოდნენ, ეტყობოდათ რომ დაიღალნენ. „ესენი ხომ ჩვენი ორეულები

არიან“... ვიკი ეუბნება, რაღაც მინდა გაჩუქოო, სამახსოვროდ, თან, მაინც თუთუნს ეწევი, ცერა და საჩვენებელი თითები აღარ გაგიყვითლდებაო. ჩანთიდან ჩიბუხი ამოიღო.

– გამომართვი.

– იქნებ ის წყვილი აქ შემოვიპატიჟოთ, ჩვენი ბარმენი ნამდვილად გაგიჟდება სიხარულისგან.

– შენ რა, არ მისმენ? თუ საჩუქარი არ მოგწონს?

– ეს ჩიბუხი არაა.

* * *

ალექსი ახლადაშენებული შემინული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში იჯდა, რომელიც ბერფოლდშტრასეს გადაჰყურებდა. მანქანების საქარე მინები მზეს ირეკლავდნენ. მანათობელი, ნელი წერტილები. არ შეეძლო ყურადღების მოკრება, შლოსინგერის ვრცელ სახელმძღვანელოში ევროპეს მითს ჩაჰკირკიტებდა, თუმცა, უშედეგოდ. მზის შუქი ვიკის გაღვივებულ, უთეთრეს კანში ირეკლებოდა, როგორც ზღვის გამჭვირვალე თევზების სხეულებში. შალპიდა მაგიორე – ეს სახეობა ძირითადად ეკვატორულ წყლებში ბინადრობს და პლანქტონით იკვებება, სალპიდები გამჭვირვალენი არიან და ფორმით ცილინდრს ჰგვანან. ისინი დაცურავენ როგორც ცალკე, ასევე პატარა კოლონიებად. სალპას კიდევ ერთი რამ გამოარჩევს; ამ სახეობის წარმომადგენლები ჰერმაფროდიტები არიან. ალექსიც ერთგვარი სალპიდა იყო, სოფლად თითქმის ისევე იზრდებოდა, როგორც კასპარ ჰაუზერი, „გაუცნობიერებელი ალმაფრენით“ (მაქს შელერი ამას vorstellungsloser Gefühldrang-ს უწოდებს), მაყვლოვანის მიღმა არსებული სამყაროსკენ ბუნდოვანი ლტოლვით. ვიკის საშოც მჩხვლეტავ ბუსუსებს დაეფარა, რაც ალექსს მაყვლოვანს ახსენებდა და ქალისადმი ლტოლვას უმძაფრებდა. ალექსი ვერ თავისუფლდებოდა განცდისაგან, თითქოს ვიღაც მალულად უცქერდა. ხელის მტევნები გადააჭდო ერთმანეთს და მოიფშვნიტა... მის გვერდით, მაგიდასთან მჯდომ სათვალიან გოგონას რვეულის ცარიელ გვერდზე მონდომებით, დინჯად გამოჰყავდა გულები. ჰორიზონტალური და ვერტიკალური მწკრივები ერთმანეთს კვეთდნენ.

ალექსს ვიკის სიტყვები უტრიალებდა თავში, შენი პირველი კოცნა ჩემთვის მრავლისმთქმელი იყოო. სამი შეხება, ტუჩები თითქმის არ მოსცილებიან ერთმანეთს. ალექსს ისე შეეშინდა, როგორც ალბათ ავადმყოფს ეშინია გამოჯანმრთელების შემდეგ მკვეთრი მოძრაობებისა. ბინდს მოეცვა დაცარიელებული ქუჩა. ვიკი განაბული იჯდა მერხზე, თვალები მიელულა, მომშვილდულმომართულიყო მისი სხეული. ფრაიბურგული მთვარე და ფართოთვალება ვიკი, მის თვალებში მთელი მთვარე ჩაეტეოდა. და ამბროზიის დადგა სურნელი. ქალს ალექსის ვიწრო ქურთუკი მოესხა მხრებზე, თავად ალექსი თუთუნს ახვევდა. ჯერ საკმაოდ ვერ დაოსტატებულიყო და თამბაქო წამდაუწუმ ებნეოდა ძირს. ბოლოს თავი ანება გახვევას, თითები უკანკალებდა. იქვე, პატარა არხში ჩაყარა დარჩენილი თუთუნი, რომელიც უმალ გაიჟღინთა წყლით.

ფრაიბურგში პატარა არხებია, შუასაუკუნეებში საქონლის დასარწყულებლად ააშენეს, დროთა განმავლობაში ეს არხები ქალაქის ღირშესანიშნაობად იქცა. ვიკიმ თვალები გაახილა: ჩემმა ჯგუფელმა მითხრა, ერთი ჩინელი გოგოა, она какая-та мерзкая, но у нее доброе сердце – გერმანულად ცდილობდა საუბარს, თუმცა, ხანდახან სიტყვების მარაგი რომ შემოელეოდა, რუსულ ფრაზებს იშველიებდა – საერთოდ ჩინელები არ მიყვარს, ის სულ ხელით მეხება ლაპარაკისას, მეუბნება, რომ ძალიან ლამაზი ვარ, მხატვარია, ჩემი პორტრეტის დახატვა უნდა. ვიყავი კიდეც მის ბინაში, საშინელი სუნი დგას, პიცის ყუთებით აქვს საძინებელი ოთახი გამოტენილი, ალბათ ამ ყუთებში ტარაკნები ცხოვრობენ. ისე არაა უნიჭო მხატვარი, თუმცა, რასაკვირველია, როგორც პროფესიონალი, ვერ შევაფასებ. მოკლედ, ამასწინათ მითხრა, თუ ამ პატარა არხებში გატოპავ, აუცილებლად შეგიყვარდებაო, რა რომანტიკულია არა?

გადააბიჯ-გადმოაბიჯა ალექსმა არხს, როგორც გულივერმა კაცუნების მინიატურულ თხრილს, მაგრამ წყალში არ გაუტოპავს. ვიკის თვალები მოლოდინით აღევსო.

უცებ გაიგონა, როგორ გაიწკრიალა თუნუქის ქილაში რაღაცამ (უკაცრიელ ქუჩაში უმცირეს ჩქამსაც კი საოცარი ექო აქვს). გზის განაპირას მათხოვარი იჯდა და ლუდს შეექცეოდა, ნიღაბი ეკეთა და ძალიან ჰგავდა უცნობ მკითხველს (ალექსი ვერ ხედავდა მის სახეს, უფრო გუმანი კარნახობდა მსგავსებას), უცნობ და ამავდროს ნაცნობ მკითხველს, რომელსაც უწინ ბიბლიოთეკაში ხშირად ხედავდა. რაც მშობლიური სახლიდან წავიდა, ბიბლიოთეკა მისი თავშესაფარი გახდა, სამკითხველო დარბაზში ატარებდა მთელ დღეებს, მიდიოდა დილაადრიან და უკან მხოლოდ ღამით ბრუნდებოდა, როცა უკვე ბოლო მკითხველი ტოვებდა დარბაზს. სწავლობდა, როგორც შეპყრობილი. უქმე დღეებზე ნასწავლს იმეორებდა, სურდა, რამენაირად ჩაეხშო დამთრგუნველი განცდა, საბოლოოდ დაეგიწყებინა სოფლის და ჯადოსნური ქოხის სცენები. თუკი ვინმე გამოეცნაურებოდა, ყველანაირად ცდილობდა ხანგრძლივი საუბრისთვის თავი აერიდებინა, არავისთან სურდა, რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა. მაგრამ იყო ერთი მკითხველი, რომელიც მის ყურადღებას იქცევდა, მასავით თითქოს არაფერი აინტერესებდა წიგნში ამოკითხულის გარდა. ახმახი, თეთრთმიანი მოხუცი დარბაისლური ნაბიჯით. რამდენჯერ ერთად გამოსულან ბიბლიოთეკიდან და უცნობს არც კი შეუხედავს, თითქოს ეჯიბრებოდა კარჩაკეტილობაში. ძალაუნებურად ცნობისწადილი გაუღვივდა ალექსს. ერთ საღამოს, როდესაც მოხუცმა გვერდით ჩაუარა წიგნების უზარმაზარ კარადასთან, გამბედაობა მოიკრიბა და გამარჯობის მსგავსი წაილუღლუღა, მან კი უკმაყოფილო სახით პასუხგაუცემლად განაგრძო გზა.

ბიბლიოთეკა სულ მცირე ხანში დაიკეტებოდა და ალექსმა განიზრახა, უკან გაჰყოლოდა მოხუცს, სურდა რაიმე გაეგო მის შესახებ. ბავშვივით ააღელვა იმის გაფიქრებამ, რომ უცხო ადამიანს მალულად უნდა გაჰყოლოდა უკან და ოფლის წვეთებით დაეცვარა შუბლი. თითქმის ცარიელ დარბაზში გაცრეცილფურცლებიანი წიგნის გადაშლის ხმაც კი ისმოდა, ორიოდე ადამიანი შემორჩენილიყო გვიანობამდე და ასე ფურცელ-ფურცელ ნაღვლიანად ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ბიბლიოთეკის ეზოში რამდენიმე ცაცხვი იდგა, ალექსი იმ ცაცხვების ჩრდილში გაჩერდა. არ სურდა მოხუცს შეემჩნია. უცნობი ნელა, მსუბუქად მიიწევდა წინ და თავისთვის ლაპარაკობდა. ხანგამოშვებით დადუმდებოდა, ალბათ მხოლოდ მისთვის გასაგონ ხმას უგდებდა ყურს. ალექსს ეუცნაურა ამგვარი ქცევა. ცაზე ღრუბლებიდან სავსე მთვარემ გამოანათა. მოულოდნელად მოხუცმა მისკენ მოიხედა, თან გაუღიმა და მთვარისკენ გაიშვირა თითი. თვალი გააყოლა ალექსმა და... „შეხედე, როგორც უზარმაზარი ყვითელი პეპელა, რამხელა წიგნია ცაზე გადაშლილი“, ამის თქმა იყო და ჰაერი მკვდარ ბალახთა სუნით გაიჟღინთა. უცნობი წიგნის ნაკვალევს მიჰყვებოდა. ფრანიბურგში ყოფნისას თანამედროვე მხატვრის ბუხმეიერის გამოფენაზე ალექსმა რამდენიმე გასაოცარი სურათი აღმოაჩინა; მოხუცი მიჰყვება მთვარეწიგნის ნაკვალევს, ანდა ბავშვს საბნის მაგივრად წიგნი ახურავს და ტკბილად სძინავს, ზღვის ნაპირზე წიგნებით აშენებული შუქურაა აღმართული. ვიკისთან ერთად იყო ახალი ხელოვნების მუზეუმში, თუმცა, ჩანდა, ქალს ნაკლებ აინტერესებდა, მაშინ, როცა ალექსი თვალებგაფართოებული უცქერდა ნახატებს..

– კი, მაგრამ, ამ არხებში ხან მოდის წყალი და ხან არა, რაშია საქმე? – სხვათაშორის ჰკითხა ვიკის.

– არ დაგავიწყდეს გერმანიაში ვართ, აქ მომჭირნედ ხმარობენ ყველაფერს...

კვლავ გაიგონა ხურდის წკრიალი თუნუქის ქილაში, მათხოვარი მათკენ მოდიოდა, მოირწეოდა. ფეხი ერეოდა, ალბათ მთვრალი იყო. ალექსს გაუსწორდა და რბილი, ბოხი ხმით ჰკითხა; უკაცრავად, ხურდა ფულს ხომ ვერ გაიღებთ? ალექსმა საჩქაროდ მოიჩხრიკა ჯიბეები, მუჭით ამოიღო ცენტები, ჯიბეები ამოისუფთავა და მათხოვარს ჩაუყარა ქილაში. ვიკი გაკვირვებული აკვირდებოდა. მადლობელი ვარ. ოღონდ ძალიან გთხოვთ, ასე წაიღეთ, ნუღარ ამოიღებთ, ანდა, მთლიანად ჩაიცალეთ ჯიბეში. ცალად დარჩენილი რკინის ფულის გამაწვრილებელ წკარუნზე საშინელი არაფერია. ჰმ, ასე ფიქრობთ? მე კი მგონია, ყველაზე ცუდი ისაა, კაცს ჯიბე რომ აქვს გახვრეტილი, თუმცა, ნება თქვენია, არ გეგონოთ გულუხვ საჩუქარს არ გიფასებდეთ. ღამე მშვიდობის. ვიკის თვალი ჩაუკრა და წავიდა ღიმილიანი სახით. იმ წიღბის მიღმაც ეტყობოდა, რომ იღიმებოდა.

– სულ მიეცი, რაც კი წვრილი ფული გქონდა?! უცნაურია, მე არ მომწონს, როცა ასე უტიფრად გთხოვენ ფულს.

ერთხელ ქარონმა ალექსი დაიმარტოხელა, ხელი წაავლო მკლავში, ტუჩები ყურთან მიუტანა და წასჩურჩულა: ხურდები ხომ არ გექნება, იქნებ მომცე, ბიჭო. ალექსმა იფიქრა, შეიძლება, არყის საყიდლად უნდა და მაგიტომ მთხოვსო. სახეამრეზილმა მიუგო: არა, ივანე, არა მაქვს. ჩაეღიმა ქარონს და მხოლოდ ტუჩები აამოძრავა, ხმამაღლა არც უთქვამს: ისევ შენთვის გეუბნები, ბრიყვო.

– ხანდახან მგონია, რომ ყურადღებას საერთოდ არ მაქცევ – ვიკი აშკარად უკმაყოფილო იყო – აი, ახლაც სხვაგან ხარ, ალექს, ამას წინათ უმა თურმანს შემადარე, ასე ძალიან მოგწონს ეგ მსახიობი?! მე კი არ მიყვარს, როცა ვინმეს მადარებენ. შეიძლება ქედმაღლობად ან კაპრიზად მოგეჩვენოს, მაგრამ მაინც მგონია, მე უფრო დახვეწილი ნიკაპი მაქვს, ვიდრე იმ შენს უმა თურმანს... ამ დროს ალექსს მარცხენა მხარზე ყვითელი პეპელა დააჯდა და ჰაერში მკვდარი ბალახების სუნი დატრიალდა. ვიკი ეუბნება; ყველა კაცს დაჰფარფატებს მხარზე სიყვარულის დემონი, ისევე, როგორც ღვთაებრივ სიზიგიებს. არა, ხელს ნუ აიქნევ, ნუ დააფრთხობ...

ივან ქარონს ალექსისთვის არასდროს არაფერი უთხოვია. იმ დილით პირველად სთხოვა ხურდა. საუზმე გაუხანგრძლივდათ ბნელი სახლის ბინადართ. მამა, ორატორის ჟინით შეპყრობილი, მრავალსიტყვაობდა. ალექსი არ უსმენდა, ისედაც ბევრჯერ ჰქონდა მსგავსი რამ გაგონილი (რომ მამამ სავსე ოჯახი თავდაუზოგავი შრომით შექმნა, შეადუღაბა, რომ მშობლიური სახლის მიტოვება საშინელი ცოდვაა, რომ სხვაგან შიმშილია და ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიკვდილია ჩასაფრებული). მაგიდასთან მსხდომნი ფართო ლანგარზე მამის მიერ განზრახ დატოვებულ ერთადერთ პურის ნაჭერს არ აცილებდნენ მზერას. ვის შეხვდებოდა ბოლო ნაჭერი? ესღა აფიქრებდათ მხოლოდ. მამის სიტყვები შიმშილს ვერ მოუკლავდათ და მაინც ეთანხმებოდნენ, შიგადაშიგ თავს უქნევდნენ, უღიმოდნენ ცალყბად. სადღეგრძელოს და შეგონებებს დასასრული არ უჩანდა... ბოლოს, როგორც იქნა, მამამ გამოსცალა თავისი სასმისი და დააყოლა, დღეს წინ მძიმე სამუშაო გველოდება, რკინის ძელი უნდა ამოვიტანოთ, ხომ არ დაგავიწყდათ, სახლის კედელი რომაა გასამაგრებელი. სახლის საყრდენი კედელი მართლაც გაბზარული იყო. დედას თვალები მოუწყლიანდა, კი, მაგრამ ამსიმძიმე ძელს სამი კაცი როგორ ამოათრევთ, წელს მოიწყვეტთო. მამამ გაიღიმა, თავი დახარა, რამდენიმე ხანს სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ის კი, თითქოს ბავშვობის ტკბილი მოგონება წარმოუდგა თვალწინ, კვლავ იღიმებოდა და წვნიანში ობლად მცურავ ქათმის ფრთას თვალს არ სწყვეტდა. მერე ხელი გაიქნია და დედას სილა გააწნა. – კი, მაგრამ, როდიდან გაქვს, ქალო, ხმის უფლება?! – ისევ ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა სახეზე – ივანე, ალექს! აბა, დროზე გამომყევით, რაც უფრო ადრე დავიწყებთ მუშაობას,

მით უფრო მალე მოვრჩებით. მამა ჩქარობდა, წაიფორხილა კიდეც, ძირს დავარდნილი ქუდის ასაღებად რომ დაიხარა. მერე კი ლამის სირბილით გაემართა ეზოში, ჭიშკართან დაყრილი რკინეულობის გროვისკენ.

ვიკი მოუთმენლად წამოდგა სკამიდან და ალექსს ტუჩებში აკოცა...

მზე უკვე ჩადიოდა, ქუჩიდან უცნაური ხმა აღწევდა. წაბლის მწიფე ნაყოფი ევანგელისტური ეკლესიის ბაღთან გაჩერებულ მანქანებს ეცემოდა. მთელი ქუჩა და ბაღი წაბლით იყო მოფენილი. ალექსი კვლავ მითოლოგიის სახელმძღვანელოს ჩაჰკირკიტებდა. შლოსინგერის წიგნში ბევრი არაფერი წერია ევროპეზე. ფინიკიური ქალაქის სიდონის მდიდარ მეფეს არეგონს ჰყავდა სამი ვაჟი და ერთი ქალი სახელად ევროპე, ენითაუწერელი სილამაზისა. ერთხელ მშვენიერმა მეფის ასულმა ნახა სიზმარი; აზია – მისი გამზრდელი და აზიისგან ზღვით გამოყოფილი მატერიკი ერთმანეთს ევროპეს გამო შეებნენ. საბოლოოდ აზია დამარცხდა და დათმო თავისი აღზრდილი. შეშინებულმა გაიღვიძა არეგონის ასულმა და ეველრებოდა ღმერთებს, რომ მოსალოდნელი უბედურება თავიდან აერიდებინათ მისთვის... ტექსტის ფრაგმენტებს შორის, ალექსის აზრით, ამ მრავლისმთქმელი ანტიკური მითისთვის ყოვლად შეუსაბამო ილუსტრაცია დაებეჭდათ. ევროპეს სულის ამაღელვებელ მოძრაობას, მის ეჭვსა და ავ წინათგრძნობას ნაკლებ გადმოგვცემს ფრანსუა ბუშეს როკოკოს სტილში შესრულებული ნახატი. ევროპე უდრტვინველი, ნათელი, მშვიდი სახით ამხედრებულა ლამაზ ხარზე, რომელიც უწყინარ ბოჩოლას უფრო ჰგავს, ვიდრე კრონოსის ელვისმტყორცნელ შვილს – მრისხანე ზევსს.

იმ ღამით ვიკის ბერძნული ქიტონის მსგავსი პიჟამო ეცვა და ბუშეს ევროპესავით იღიმოდა. ხანგრძლივი კოცნის შემდეგ ქალს სხეული გაუმკვრივდა. ალექსმა ფეხის თითი აულოკა ხარის წებოვანი, ხაოიანი ენით. წვრილ, თითქმის უჩინარ ძარღვებს მიეფერა, რუკაზე დატანილი მდინარეებივით რომ ჩანდნენ.

* * *

მზე აცხუნებდა. ქანცგაწყვეტილები ლეღვის ხის ჩრდილს შეეფარნენ და ისვენებდნენ. უკვე შუადღე იყო, საქმე კი ძნელად მიიწევდა წინ. რკინის ძელი მართლა ძალიან მძიმე აღმოჩნდა და ნახევარგზაზე დააგდეს ლეღვის ჩეროსთან. ალექსი გარინდებული იჯდა ჩრდილში და ხმობაშეპარულ ალვის ხეს უცქერდა; ტოტებმომტვრეულს, ფოთლებგაცვენილს. პატარაობისას, ხშირად აცოცებულა ზედ, როცა მძლავრი ქარი დაუბერავდა, ხშირად წარმოუდგენია, გემის კაპიტანი ვარ და აღელვებულ ზღვაში მივცურავო. ხე ირწეოდა, როგორც ხომალდი. ახლა კი ფოთლებგაცვენილი ისე იდგა ეზოს შუაგულში, გეგონებოდა უზარმაზარი შუბი ცაში აისროლესო. როცა ალექსმა ხის კენწეროზე უძრავად მჯდარი წერო შენიშნა, გაკვირვებისაგან კინაღამ წამოვარდა. თავში არასდროს მოუვიდოდა აზრად, რომ აქ შეიძლება წერო მოფრენილიყო. ეს რაღაც სასწაულს ჰგავდა. ის კი იჯდა ალვის ხეზე, ბრძენი და ძლიერი. ალვა თითქოს დაპატარავდა, როცა კენწეროზე წერო დაეშვა. ალექსს გაუჩნდა განცდა, რომ ფრინველის ძალა, უდრტვინველობა და სიმშვიდე მის დაღლილ სხეულს გადაეცემოდა. „ის აქ გაჩნდა ჩემთვის და აღარსად გაფრინდება“ – გაიფიქრა და თავადვე გაუკვირდა, ამგვარი აზრი რომ დაებადა.

მამა მიწიდან ხვნეშით წამოდგა, „გავაგრძელოთ ჩვენი საქმე, თორემ შემოგვაღამდებაო.“ ივან ქარონმა უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა რაღაც და ძელს მოეჭიდა.

როგორც იქნა, მხარზე გაიდეს. წინ ალექსი მიდიოდა, შუაში მამა იყო, ბოლოს ქარონი. ფეხს უწყობდნენ ერთმანეთს, ნელა მიიწევდნენ წინ. მზე ულმობლად აცხუნებდა, თუმცა, არ ნებდებოდნენ ოფლში გახვითქულები. დედა ტერასიდან უყურებდა მათ და პირჯვარს იწერდა. ებრალებოდა შვილი, მაგრამ ვერაფერს გააწყობდა.

ალექსს ფრთების ტყლაშუნის ხმა მოესმა და მაღლა აიხედა. წერო მათკენ მოფრინავდა. ოდნავ შეყოვნდა, ფეხი აერია და ის იყო, მამამ პირი გააღო დასაყვირებლად, თუ შესაკურთხებლად, რომ ფრინველი პირდაპირ ძელზე დაეშვა. ქარონი შეცბა და გვერდზე გახტა შეშინებული. მამამაც თავი ანება ძელს და მხოლოდ ალექსი მიათრევდა რამდენიმე წამს ინერციით, სანამ ძალა არ გამოელია საბოლოოდ და არ დაეცა. წერო კვლავ თავის ადგილას იჯდა, არც ფიქრობდა გაფრენას.

დედა სახლიდან გამოენთო ატირებული, მყისვე მიირბინა ალექსთან და ჩაიჩოქა. მას ისეთი არაფერი სჭირდა, მხოლოდ მუხლი გადაეყვლიფა მარცხენა ფეხზე.

– ყველა გინდა შეიწირო და შენს ახირებებს შეაკლა, არაადამიანო, ეშმაკის ნაშიერო?! -დაიყვირა დედამ მთელი ხმით. მამა შეცბა და თვალები გაუთეთრდა. წერო გაფრინდა.

მამამ ხელი შემართა, დედას ცემა დაუწყო. დედა ალექსს დაეცა ზევიდან და ის კი იწვა, ხმა არ ამოუღია, ყრუდ ესმოდა დარტყმების ხმა და მაშინაც არ დაუყვირია, სისხლი რომ შეეშხეფა სახეზე. მამამ ხელი იღრძო და ისევ ტკივილმა შეაწყვეტინა ცემა, თორემ გაჩერებას არ აპირებდა. თვალებგაფართოებული, სისხლიანი სახით იწვა დედის სხეულს ამოფარებული და ცდილობდა არ ესუნთქა, დედამ წელი აითრია, გაჭირვებით ადგა. დედა – პირანიების მიერ დაგლეჯილი ირემი, რომელსაც ფერდებიდან ძვლები უჩანს და მაინც ცდილობს, მდინარე გადალახოს, ნაპირზე გასული კი უსულოდ ეცემა. დედა დაეცა. ხმას არ იღებდა ალექსი, აკვირდებოდა, იქნებ სუნთქავსო. „ისუნთქე, დედა, ისუნთქე, დედა, თვალი გაახილე.“ დედა არ იძვროდა.

ტირილი დაიწყო, ცრემლები თავისით წამოუვიდა. უნდოდა, მამა მოეკლა, მაგრამ ხელები უკანკალებდა. მაინც დაიკივლა, „მოგკლავო“ და მისი ხმა ახლადდაბადებული ბატკნის კიკინს

უფრო გავდა, ვიდრე კაცისას. „შენ დედა მოკალი, შენ დედა მოკალი." მამის თვალებში შიში იყო, და ალექსმა იგრძნო, რომ ის აღარ იყო შვილი, არამედ მხოლოდ მკვლელობის მოწმე. ალექსი გაიქცა. მამა გამოუდგა. როგორც ღამის კოშმარშია, ფეხები მიწაში ეფლობოდა, ყველაფერს აწყდებოდა. ქვაზე წაბორძიკდა, ის იყო ,უნდა დაცემულიყო, რომ ძალა მოიკრიბა და კვლავ გაიქცა. მამა ისეთი მარდი არ იყო, მალე მოიღალა, მაგრამ ალექსს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ის სიკვდილს გაურბოდა. სხვაზე არაფერზე შეეძლო ფიქრი. მიაღწია ღობემდე, რომელიც გაუვალი ჩანდა და მაყვლოვანში გადაეშვა. ეკლოვანმა მცენარემ თითქოს მიიტაცა...

ეკლიანი ტოტები ხორცს აგლეჯდნენ და მისი გულის რიტმზე ირხეოდნენ... ალერსით კლავდა მაყვალი. შიში გაუქრა, აღარ ცახცახებდა. თვალწინ წარმოუდგა საოცნებო ქოხი, ღობის იქითა მხარეს. ეს მას სტანჯავდა სრულიად შიშველს და ხორცისგანაც ლამის გაძარცვულს. იქნებ სინამდვილეში ასე სურდა და ალბათ უკეთესიც იყო – მიუწვდომელ ოცნებად დარჩენილიყო ყველაფერი... უფრო და უფრო იხლართებოდა მაყვლოვანში.

უცებ მდინარე ადიდდა და კალაპოტიდან გადმოვიდა, აღელდა. ქარონის ნავი აღარ ეხიდებოდა ორივე ნაპირს, უკვე თავისუფლად გაცურავდა მდინარეში. ივანე ნავში იჯდა და ნიჩაბი მოემარჯვებინა. გვერდით ლანდადქცეული დედა ეჯდა. ჯიბე მოიჩხრიკა, რკინის ფული აათამაშა ხელში და ალექსისკენ გაიხედა დანანებით.

– ეს არ კმარა. ხომ გითხარი, ხურდა მომეცი მეთქი. ახლა ასე მოგიწევს ეკლოვან მცენარეში დარჩენა. რატომ იძუნწე? – ნიჩაბი მოუსვა და დაღმა დაუყვა დინებას.

ქარონმაც სამუდამოდ დატოვა ბნელი სახლი.

* * *

ერთად იწვნენ არეულ ლოგინში. ვიკი არაფერს ამბობდა, ალექსს აკვირდებოდა ჩუმად, თავისი ფართო, ნათელი თვალებით, და სახე საოცრად მშვიდი გაუხდა, თითქოს სადაცაა უმოძრაო წყლის სიღრმიდან რაღაც ზედაპირზე უნდა ამოტივტივებულიყო. უკვე რამდენიმე დღეა, არსად გადიოდნენ სასტუმროს ნომრიდან, ჭამითაც ბევრს არ ჭამდნენ. ძირითადად მათი დღიური რაციონი ყავითა და ერთი კოლოფი სიგარეტით შემოიფარგლებოდა. ვიკი ლოგინიდან ადგა, მაგიდაზე დარჩენილი ძეხვი პურის ორ ნაჭერს შუა ჩადო და მადიანად ჩაკბიჩა. მერე შიშველ ტანზე თხელი ზეწარი შემოიხვია, ყავა დაისხა და სავარძელში ჩაჯდა. ნიკაპამდე აიწია ზეწარი, ასე ალბათ სიცხიან, პატარა ბავშვს ჩაათბუნებს ხოლმე მშობელი. „ხანდახან მგონია, რომ ვბერდები, ვდგავარ სარკის წინ და ნაოჭებს ვითვლი, რომელიც კარგა ხანს არ გამიჩნდება სახეზე, ძალით ვინაოჭიანებ სახის ნაკვთებს, თითებით ვატყუებ ერთმანეთს..." თუმცა, მშვიდ ცურვას კვლავ მოჰყვებოდა ვნებათაღელვა, ყავის მედიტაციურ ორთქლში ამალია როდრიგესის პროფილი იკვეთებოდა, რომელიც ხანდახან სცენაზე გამოჭრილ გამძვინვარებულ ვეფხვს ჰგავს. და მშვიდი განცდის თხელ, საათუთ სიმებს ხელის ერთი მოსმით წყვეტდა ესპანური რასგუეო.

– როგორაა გერმანულად მინეტი?

– Blasen.

– მოგწონს?

– ისე რაა – და ის „რაღაც" კვლავ ბნელ წყალში ჩაიძირებოდა, სექსუალური ფანტაზიებსა და არეული ჩვენებებში. ვიკი ხშირად იმეორებდა, დრო ჩვენი საკანია, სულ მცირე ხანი რჩება.

დაღლილები თავს ძილს მისცემდნენ ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი „პატარა შესვენების" დროს ალექსმა უცნაური სიზმარი ნახა და მაშინვე მოუყვა ვიკის; ვითომ პატარა ეკლესიაში იყო, იქ ვიღაც გარდაცვლილი წმინდანი დაესვენებინათ, რომელსაც თავად აეშენებინა უფლის სახლი დიდი ჯაფითი და გულმოდგინებით. გარშემო ხალხი ირეოდა, ყველა ლოცულობდა და პირჯვარს იწერდა, სამი საოცრად ლამაზი ქალი, სულ გაშიშვლებულები ურცხვად იმანჭებოდნენ იმ წმინდანის კუბოსთან, თუ განსასვენებელთან და ისე მოიხიბლა ალექსი, რომ თვალი ვერ მოსწყვიტა. ერთ-ერთმა მათგანმა უთხრა, მოდი, ახლა ამ წმინდანს ჯვარი მოპარე, ძვირფასია, მერე გავყიდით და ბევრი ფული დაგვრჩებაო. ალექსი დაელოდა, სანამ ეკლესია დაცარიელდებოდა და ჯვარი მართლა შეხსნა წმინდანს. არც უნანია, არც გაკვირვებია, თუ რად მოიქცა ამგვარად. რომ დახედა ნადავლს, უბრალო გიშრის ჯვარი აღმოჩნდა, განსაკუთრებული არაფერი. ქალები სადღაც გაქრნენ. სამივე ვიკის ჰგავდა... ალექსი მოპარული ჯვრით ხელში ეკლესიაში იდგა. ხალხმა ისევ იწყო შემოსვლა, შენიშნეს, რომ ჯვარი დაიკარგა და დაიწყეს ძებნა. მან კი ფეხსაცმლის ყელში ჩაიცურა და შეუმჩნევლად გვერდზე გადგა, კედელს მიეყრდნო, თავი მოაჩვენა, ვითომ მგზნებარედ ლოცულობდა. მასზე არავის აუღია ეჭვი, მაინც უნდოდა, რამენაირად თავის ადგილზე დაებრუნებინა მოპარული, უბრალოდ, თავიდან მოეშორებინა. კვლავ ამოიღო და ყალბი სასოებით, მთელი ხმით დაიყვირა, ვიპოვნეო. ერთ-ერთმა მლოცველმა უთხრა, გადამრჩენელი ხარ ჩვენიო. მიდი, თავის ადგილას დააბრუნეო და მანაც სუდარა გადახადა მიცვალებულს. მას თავი მოკვეთილი ჰქონდა, განცალკევებული იყო ტანისგან. ნუთუ ეს მე გავაკეთე, ფიქრობდა ალექსი, იქნებ ისე ძლიერად გამოვწიე ჯვარი, რომ ჯაჭვმა ხორცი გაჭრა. ბოლოს რაღაცნაირად თავი ტანს მიუდგა, დააბრუნა მოპარული და ეკლესიიდან გავიდა. ხალხი ზეიმობდა, ის კი ვერაფერს გრძნობდა, სინდისი საერთოდ არ ქენჯნიდა. უცებ გაშეშდა. თავში გაუელვა, ის მკვდარი წმინდანი მამამისს ჰგავდა ორი წვეთი წყალივით.

– დაივიწყე ეგ სიზმარი. ალბათ პრეზერვატივით არ მოგწონს სექსი, და მაგიტომ ხარ უხასიათოდ, ისე მართალიც ხარ, სიამოვნების დიდ ნაწილს გვართმევს. ეს იგივეა, უმშვენიერეს დანამულ მდელოზე რეზინის ჩექმებით იარო. წარმოიდგინე, პატარა ბავშვი თავის სათუთი ფეხებით გარბის დანამულ მდელოზე.

– შენ პოეტიც ყოფილხარ.

– ხუმრობ?

– არა. შენ სულ ახლახან პატარა შედევრი შექმენი. „ჩემი სამოს დანამულ ბილიკებს ისე მიიკვლევ, თითქოს ფეხშიშველი ბავშვი მირბოდეს მდელოზე“. სათაური ასეთი იქნება: „სექსი პრეზერვატივის გარეშე“

ვიკიმ გაიცინა, მერე კი უცებ ეცვალა სახე.

– მითხარი, რომ მალე არ დამივიწყებ.

– არ დაგასვენებ დარლინგ, არ დაგივიწყებ არაფრის დიდებით. ვიკიმ ალექსს ხელი კრა და ტირილი დაიწყო. – არის რაღაც, რაც არ უნდა მითხრა, არის რაღაც, რასაც ვერასდროს გაიგებ. თავს არ დაგანებებო, რომ მეუბნები, რაღაც ავბედითს მახსენებს, გამათავისუფლე, წაიღე ის ავი. ალექსმა ქალის სახე ხელებში მოიქცია – შენ შეგიძლია გაუმკლავდე ამ განცდას, ყველაფერი წარსულში დარჩება. – არა, არ დარჩება წარსულში. წაიღე! გამათავისუფლე!-დაუსრულებლად იმეორებდა ამ სიტყვებს. ალექსმა თითები მომუჭა, ვიკის ეუბნება – ის, რისი გახსენებაც არ გინდა, ამ მუჭშია – მერე ადგა, ფანჯარა გამოაღო და ხელი გაიქნია, თითქოს ის რაღაც ძალიან შორს გადააგდო. ვიკიმ ცრემლები მოიწმინდა, გამხიარულდა. „თავს არ დაგანებებ“ – ეს ხომ ხარად გადაქცეული ზევსის სიტყვები იყო. ვიკი ელოდა, რომ მოხდებოდა სასწაული და ალექსის თესლით განაყოფიერებული მკერდიდან უჭკნობი მცენარე აღმოუცენდებოდა, რომ ცა მიწას შეუერთდებოდა და უკვდავი გრძნობა დაიბადებოდა, იმგვარი, მეცხრამეტე საუკუნის გენიალური რუსი პოეტი „მიმოლეტნოე მგნავენიეს“ რომ უწოდებს...

გარეთ ნიღბების კარნავალი იკრებდა ძალას, ფრაიბურგის ცენტრალურ ნაწილში თითქმის ყველგან შეხვდებოდით ტრადიციულ სამოსში გამოწყობილ ადამიანებს. საყოველთაო ორომტრიალს ისიც ემატებოდა, რომ ქალაქი ვიკის და ალექსის ორეულებით გაივსო, თითოეული წყვილი განუხორციელებელი ოცნებისა და ფანტაზიის ხორცშესხმა იყო, მათთან შეხვედრა და პირისპირ დარჩენა კი ორივეს უსიამოვნო განცდებს აღუძრავდა. ნუთუ შეიძლება არაფრიდან, ცხოვრებისეული წვრილმანებიდან რაღაც მნიშვნელოვანი წარმოიშვას? ისინი ელოდნენ, რომ ყავის ჭიქებიდან ნამდვილი, მსოფლიოს წამლეკავი ცუნამი გადმოვიდოდა. სურდათ რაღაც განსაკუთრებული მომხდარიყო. მთელ მათ ყოფას მსჭვალავდა ეს აზრი; ორეულები კი მრავლდებოდნენ და ყველაფერი თანდათან დავირუსებულ, არეულ ვიდეოთამაშს ემსგავსებოდა; ვიკის არ მოსწონდა მერიის შენობა, ამბობდა შვიდი ჯუჯის სახლს ჰგავსო. მეორე დღეს კი, სეირნობისას, არც გაკვირვებია, როცა მის ადგილას ცათამბჯენი დახვდა. სხვაც კიდევ ბევრი შეიცვალა ფრაიბურგში; შვაბთა კარიბჭეს სხვა კარიბჭე გამოება ჰორიზონტალურად აღმოსავლეთის ფასადზე და „მაკდონალდსში“ შესვლა ახლა უკვე პირდაპირ შვაბთა კარიბჭიდან შეიძლებოდა. ვიკი აკრიტიკებდა ალექსის ჩაცმის სტილს; სექსის დროს მის „ცეცხლოვან ტემპერამენტს“ – უყვარდა ამ სიტყვების გამეორება – огненный темперамент. ერთხელ ალექსმა პენი მარკეტთან გმირობა ჩაიდინა, უფრო სწორად ეს მისმა ორეულმა გააკეთა. ვიკიმ უთხრა, ერთმა გაზეთების გამყიდველმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე სექსი შემომთავაზაო, ლამის ხელი მომკიდა და თავისთან ძალით წამიყვანაო. ბევრჯერ შეხვედრია ალექსი იმ გაზეთების გამყიდველს სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე და ერთხელაც სცემა. ეს ჩემი პირადი შეურაცხყოფაა – ეუბნებოდა ვიკის – უნდა დაგიცვა, ვერაფერ შეეხება ჩემ გარდა. ლამის სისხლში ჩაახრჩო ზორბა გერმანელი, უფრო სწორად, ეს სხვა ალექსმა ჩაიდინა მის მაგივრად.

ალექსი და ვიკი შლოსბერგს შეეხიზნენ, განცალკევებით ყოფნა სურდათ, მითუმეტეს ვიკი ორ დღეში სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. შლოსბერგიდან კარგად ჩანდა ქარის ელექტროსადგურები. ვიკიმ – როგორ საოცრად ჰგვანან წისქვილებსო. ალექსმა რომ უთხრა, ელექტროენერგიას გამოიმუშავებენო, ისეთი გაკვირვებული სახე მიიღო, გეგონებოდათ მეორეკლასელს უხსნიდნენ ფარდობითობის თეორიას.

– ქარი არხევს პროპელერს, ხახუნის ძალით წარმოშობილი მუხტი ელექტროენერგიად გარდაიქმნება და ამის შემდეგ ქალაქს მიეწოდება.... თუმცა, რა აზრი აქვს ამ უსაგნო ლაპარაკს? შემომხედე! რაღაც მნიშვნელოვანი მინდა გაჩვენო – ძალით შემოატრიალა ვიკი და თვალებში ჩახედა. ალექსს ხელში მაყვლოვანიდან გარდამოხსნილი ცოცხალ-მკვდარი ბავშვის ცივი სხეული ეჭირა და ვიკის წინ იდგა მკაცრი, მომლოდინე... უცნაური პიეტა. – საბრალო – ვიკიმ ხელი გადაუსვა ბავშვის დაკაწრულ სახეს და მის სისხლმდინარე ჭრილობებს შეეხო.

ამ დროს თავისუფალი ქალაქი აზვავდა, ამხედრდა, როგორც მეცამეტე საუკუნეში ხარბი მთავარის წინააღმდეგ. შლოსბერგს შყვარებულთა ორეულები შეესივნენ. ათიოდ მეტრში ყუმბარა გასკდა. ალექსი ქალს გადაეფარა, აღარ აპირებდა გაქცევას. ამ დროს კი ვიკი ეუბნება – შეხედე, რა ლამაზი ფოიერვერკია ცაზე, ყველა ზეიმობს, ნამდვილი საოცრებაა – მართლაც, ათასფრად გაიშალა მაშხალა.

– მოდი, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც იყო – ლამის შეეხვეწა ალექსს.

– ეს ძალიან რთული იქნება...

– მაშინ მასწავლე, როგორ ვილაპარაკო სიყვარულზე.

...ვიკის წასვლის შემდეგ ალექსიც აღარ დარჩენილა დიდხანს თავისუფალ ქალაქში. ფრაიბურგმა განაგრძო თავისი რიტმით ცხოვრება, თუმცა, რაღაც მაინც შეიცვალა. უცნობი კვლავ მთვარე-წიგნის ნაკვალევს მიჰყვებოდა, ოღონდ ახლა ის უკვე პატარა ბავშვი იყო. ხელიხელ-ჩაკიდებული შეყვარებულები კი, დაკარგულები ერთ პატარა ქალაქში, კვლავ ლატერნების შუქით განათებულ ქუჩებში მისეირნობდნენ.

5 ახალი წიგნი

იქნებ ამ რომანში ჩვენმა პედაგოგებმა საკუთარი თავი ამოიცნონ...

ლელა კოდალაშვილი

სკოლაში გატარებული წლები ხშირად უსიამოვნო, ხანდახან კი მძიმე, სტრესულ მოგონებებს უკავშირდება ხოლმე. ეს მარტო სკოლის კი არა, იმ ასაკობრივი შუალედის ბრალიცაა, რომელსაც მოსწავლეობის ხანა ჰქვია. ამ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი მეტამორფოზები ხდება. ადამიანი ბიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად ფორმირდება, მისი მორალურ-ეთიკური კოდექსი, მისი მენტალურ-ფსიქიკური სამყარო კი ნამდვილ რევოლუციას განიცდის. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი ადამიანები არიან მის გარშემო. მოზარდის გარდაქმნა-გადაკეთების ამბიცია ხომ დიდია მშობლებშიც და პედაგოგებშიც. და რამდენია მათ შორის მზად, არ შეიტანოს უხეში კორექტივები, არ შეიჭრას მის პირად „ტერიტორიაზე" და არ დააზიანოს ან დაასახიჩროს ის, როგორც მომავალი ადამიანი. ბევრ მათგანს ხომ საკუთარი თავი მხატვარი ჰგონია, რომელიც ბავშვს იმ ესკიზად მიიჩნევს, თავად რომ უნდა დაასრულოს და ნახატის სახე მისცეს.

მსოფლიოში ბევრი არ არის ისეთი მწერალი, რომელმაც გადაწყვიტა, საკუთარ ბავშვობაზე მოეყოლა და თან არც თუ ისე სრულფასოვან ბავშვობაზე. ბევრი არ არის ისეთი მწერალი, ვინც წერისას მთავარზე მთავარი ინსტრუმენტები – გულწრფელობა და თვითირონია – გამოიყენა იმ ყველაზე მძიმე პერიოდის მოსათხრობად, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. შედგე გაწონასწორებულ, კეთილშობილ ადამიანად, არ გამოიყენო ტექსტი ერთგვარი შურისძიებისთვის (რასაც ბევრი მწერალი აკეთებს), მიიღო მძიმე წარსული, როგორც, მერე რა, რომ უგუნური ადამიანებით გარემოცული სათამაშო მოედანი – ეს ბევრს არ შეუძლია და ერთ-ერთი, ვინც ეს მართლა ხარვეზების გარეშე მოახერხა, დანიელ პენაკი გახლავთ – თანამედროვე ფრანგი მწერალი, რომელიც ძალიან ბევრს წერს სკოლის ცხოვრებაზე და თან ისე, რომ უმეტესობისთვის ამ გამაღიზიანებელ სიტყვას, „სკოლას" სულ სხვა მხატვრული სამყაროთი ტვირთავს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას გაგიჩენთ მისი რომანი „სკოლის სევდა", რომელიც ახლა გამოსცა „დიოგენემ" და რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა მერაბ ფიფიამ.





მერაბს, როგორც მთარგმნელს, წარდგენა აღარ სჭირდება, რადგან ბოლო წლებია, ის უკვე ნამდვილ ბრენდად იქცა მთარგმნელობით ხელოვნებაში მას მერე, რაც ქართულ ენაზე გამოვიდა მისი ერიკ-ემანუელ შმიტი, მიშელ უელბეკი, რომენ გარი, მარგარეტ დიურასი და სხვა. მის მთარგმნელობით ოსტატობაზე მოგვიანებით ვიტყვი, მანამდე კი კვლავ სკოლას და მის შესახებ რომანს დავუბრუნდეთ.

სხვათა შორის, ამ წიგნის პრეზენტაციაზე მთარგმნელმაც აღნიშნა – როცა ეს შეკვეთა შემომთავაზეს და წიგნის სათაური წავიკითხე, სიმართლე გითხრათ, არ მოვიხიბლე, მაგრამ როცა ტექსტს გავეცანი, მომენტალურად გადავწყვიტე, რომ ეს რომანი აუცილებლად უნდა მეთარგმნაო. მართლაცდა, „სკოლის სევდა", როგორც სათაური, ვერაფერი შვილია. ყველაში იმ უსიამოვნო, რუტინული წლების ასოციაციას იწვევს, რომელიც სკოლაში გაუტარებია, მაგრამ ტექსტი თავისი სიმარტივით, სადა და მსუბუქი სტილით, თვითირონიით, იუმორით და სევდით მართლაც რომ გავლენის ქვეშ გაქცევთ. ის ტრანსპორტაბელურია ყველა ეპოქისა და საზოგადოებისთვის.

ეს არის ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხოს მშობელმაც, მასწავლებელმაც და მოსწავლემაც. ეს ტექსტი გვასწავლის მაღლა დგომას, პრობლემების სხვაგვარ ხედვას, მოთმენას, ატანას და მერე ამ ყოველივეზე გაღიმებას.

საინტერესო ის არის, რომ ავტორი თხრობის ერთ რაკურსს არ ირჩევს. ის ხან მოსწავლის ამპლუაში წარმოგვიდგება, ხან ხანში შესული მამაკაცის, რომელმაც ეს ყველაფერი გამოიარა, ხან კი მასწავლებლის გამოცდილებიდან იწყებს თხრობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი, ლამისაა, ყველა ეპოქას ტევს ამ ტექსტში ვიდრე ნეანდერტალელი ადამიანიდან ჩვენს სინამდვილემდე. ის სარდონიკული ტონით აკრიტიკებს, იცინის და თან ამავდროულად ხოტბას ასხამს ამ ყველაფერს.

„სკოლის სევდა" არის ტექსტი ტყუილის ფილოსოფიის შესახებ. როგორ ახერხებს ე.წ. ოროსანი მოსწავლე ლავირებას სკოლასა და მშობლებს შორის. რა ქსელში უწევს გაბმა მას და როგორ ნელ-ნელა იხვეწება მისი ოსტატობა გაქნილობაში, რაც მერე და მერე, თანდათანობით, ცხოვრებისეულ მდიდარ გამოცდილებაში გადაიზრდება – გამოსადეგსა და საჭირო გამოცდილებაში.

„სკოლის სევდა" არის ტექსტი-სტატისტიკა, სადაც დიფერენცირებულია მშობელი და მასწავლებელი კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად, რომელსაც ავტორი ერთდროულად განიხილავს მოსწავლისა და მასწავლებლის თვალთახედვის არედან და ამ განსხვავებაზე მკითხველი ბევრს იცინის. თუნდაც დედები ავიღოთ... აი, ერთ-ერთი: „არსებობს დედა გაცოფებული, ლამის დასაბმელი, დარწმუნებული იმაში, რომ მისი ბიჭუნა, უკვე დიდი ხანია, პედაგოგთა შეთქმულების უდანაშაულო მსხვერპლია. რა მნიშვნელობა აქვს საგანს. დევნა დიდი ხანია, დაიწყო... მაშინ ბავშვი ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დადიოდა. ჰოდა, იქ იყო ერთი ისეთი აღმზრდელი... არც დაწყებით კლასებში გაუმართლა ამ უბედურს. ზუსტად იგივე განმეორდა. ამჯერად ფრანგულის მასწავლებელი კაცი აღმოჩნდა (დამიჯერეთ, კაცი მასწავლებლები ქალ მასწავლებლებზე უარესები არიან. არავის ვუსურვებ)..." და ა.შ. პენაკი ხატავს დედების მთელ გალერეას და საბოლოოდ თითქმის ყველა სიტუაციაში შვილის ბედი აინტერესებს, მის ინტერესებს იცავს, მისთვის ზრუნვისთვის ამხელს ყველას, ვინც გარშემოა.

ახლა მამებს არ იკითხავთ? „ერთხელ, მოსწავლის მამა კატეგორიული ტონით მეუბნება: – ჩემს ვაჟიშვილს მოწიფულობა აკლიაო. ახალგაზრდა მამაკაცი, მკაცრი სტილის პიჯაკში ჩაჭედილი, სარგადაყლაპულივით წამოიჭიმა სკამზე და ყოველგვარი შესავლის გარეშე მაჯახა, ჩემს ბიჭს მოწიფულობამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელიო. ეს იყო ფაქტის კონსტატაცია, რომელიც არც შეკითხვისთვის და არც კომენტარისთვის იოტისოდენა ადგილსაც არ ტოვებდა. მხოლოდ გადაწყვეტილებას მოითხოვდა და მორჩა! მე მაინც შევბედე და მოკრძალებით ვკითხე, თქვენი ვაჟიშვილი რამდენი წლის არის-მეთქი. ჩემს კითხვას მოულოდნელი პასუხი მოჰყვა: – უკვე თერთმეტის გახდა." პენაკი ისე ჰყვება, თითქოს მკითხველს სთავაზობს, გაბრაზების, გაღიზიანების გარეშე გაეცნოს ამ ისტორიებს, რომელთაც ბოლო არ უჩანს ამ რომანში. მისი სურვილია, როგორმე ჩვენამდე დაიყვანოს თავისი მიმართებები, ის, რომ ადამიანებზე, და მითუფრო წარსულზე, შურისძიება არ შეიძლება. ჩვენი ფსიქიკა რეზისტენტულია ყოველგვარი სიმახინჯის მიმართ და ეს მშვიდად უნდა მივიღოთ.

„სკოლის სევდა" არის ტექსტი სიყვარულის შესახებ, რადგან ავტორი ახერხებს, არ იყოს არც პროვინციალური სენტიმენტებით გაჯერებული, არც პათეტიკური, არც ყალბი და არც კეკლუცი. ის უბრალოდ არ მალავს სიყვარულს ყოველივე იმის მიმართ, რაც თავს გადახდა, იმათ მიმართ, ვინც მის ცხოვრებაში ცუდი თუ კარგი პერსონაჟის როლი შეასრულა.

აქ აღწერილია მოვლენები, რომელსაც ავტორი კითხვის ნიშნებივით გვიტოვებს და ეს კითხვის ნიშნები სწორედ მოზარდობის პერიოდშია ყველაზე უხვად დასმული. პენაკის

აზრით, ეს საკითხები უფროსებმა ნაკლებად იციან. სწორედ ეს ურთიერთდაუნახაობაა მათ შორის გაუგებრობების მიზეზი. სასოწარკვეთილი და ლაბილური მოზარდები ისევ საკუთარი ინტუიციის წყალობით იკვალავენ გზას ცხოვრებაში. ის პრიორიტეტები, რაც მშობლებს აქვთ მათ მიმართ, მხოლოდ ტექნიკური აქსესუარებია, რომელიც ფიზიკურ არსებობას უზრუნველყოფს და არა სულიერ კვინტენსენციას...

ერთი შეხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ რომანი დაწერილია მარტივი ენით, გაჯერებულია ზედაპირული, სახალისო ამბებით, მაგრამ რეალურად ესაა ღრმა და პრობლემური ნაწარმოები, სადაც ავტორს არაერთი შეკითხვა აქვს დასმული. მას აინტერესებს, რა მომენტში ეშვება ყველაზე ცუღლუტი და გაჯიუტებული ბავშვი სოციალური რეალობის კონტექსტში, როგორ იღებს ამ და სხვა გადაწყვეტილებებს, სწორია თუ არა მისი არჩევანი, სადა აქვს ახსნა ადამიანის განვითარების ამ ბურუსით მოცულ მეტამორფოზას...

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა რომანის მთარგმნელობით მხარეზე... იმ ადამიანებს, რომლებიც არ ვფლობთ ამა თუ იმ ენას, ისღა დაგვრჩენია, თარგმნილი ნაწარმოები ორიგინალისგან დამოუკიდებლად, როგორც დამოუკიდებელი ნამუშევარი, ისე შევაფასოთ. ადრეც მითქვამს, რომ მერაბ ფიფია ზუსტად აგნებ ხოლმე ერთგვარ ლექსიკურ აუზს, რომელშიც ტექსტის ყვ ლაზე რთულ პასაჟებს „განბანს“ ხოლმე. ამ რიტუალის შ დეგ ეს რთული ნაწილი ორგანულად ეთვისება დანარჩენ და საბოლოო ჯამში, ქართულ ენაზე ბუნებრივად მორგ ბულ, საღ ტექსტს ქმნის. მთარგმნელების ღმერთმა მერაბ არც ახლა დაინდო და დანიელ პენაკის ამ რომანის სახი ახალი განსაცდელი მოუვლინა. კერძოდ კი, რომანში არ ადგილები, სადაც მას ფრანგულ გრამატიკულ ფორმებზე უ ევს საუბარი, რაც ქართულად არ ითარგმნება, საჭირო გახდ ჩვენებური შესატყვისების მოძებნა და ქართულ გრამატიკუ კატეგორიებში ჩასმა, შემდეგ კი კონკრეტული მაგალითები შედგენა... უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც მან უნა ლოდ და სუფთად აიღო გრამატიკული ბასტიონები. რთ ლია, აგრეთვე, იუმორისტული პასაჟების შენარჩუნება, რა ამ წიგნში უხვადაა და გემრიელ სიცილს ჰგვრის მკითხველ ეს კი, ისევ და ისევ, მთარგმნელის დამსახურებაა. მოკლედ არ მინდა, მეტისმეტი პანეგირიკი გამომივიდეს, მაგრამ რ ალობა ისაა, რომ წიგნს შენარჩუნებული აქვს ის ხიბლი, რა თანაბრად საინტერესოდ საკითხავს ხდის ბავშვისთვისაც დ დიდისთვისაც.

და დღეს, როცა საქართველოში ასე სავალალ მდგომარეობაა განათლების სისტემაში, კერძოდ კი საჯარ სკოლებში, ალბათ კიდევ უფრო აქტუალურია, „სკოლის სე და“ ჩვენმა პედაგოგებმაც წაიკითხონ. დარწმუნებული ვარ ბევრ მათგანს ეყოფა თვითკრიტიკის უნარი, რომანის პერ სონაჟებს შორის თავისი თავიც ამოიცნოს.



გამომცემლობა „საუნჯე“ წარმოგიდგენთ ახალ წიგნებს:







გივი ჩილვინაძე







მიხეილ გოგუაძე | ლექსო დორეული, ნიკა აგლაძე | უჩა ზაქაშვილი | ნიკა ჯორჯანელი

ჟურნალი „ახალი საუნჯე“ 2015 წლის ბოლომდე შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე

თითო ნომრის ფასი - 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებიძის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე.71/56.

Tbilisi International Festival of Literature

თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალ

ISSN 0134-9848
9 770134 984002

LXalusa